

ალექსანდრე  
დიასამიძე

იასე  
ზაუტაშვილი

საგადასახადო

სასამართლო

დაკვები

მასალები სასამართლო პრაქტიკიდან  
დოკუმენტების ნიმუშები  
კომენტარები

წიგნი პირველი

თბილისი 2002 წ

ავტორები:

— იასე ზაუტაშვილი, იურისტი, საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

— ალექსანდრე დიასამიძე, იურისტ-კონსულტანტი, საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

საგადასახადო სასამართლო დაცვები  
მასალები სასამართლო პრაქტიკიდან  
ლოკუმენტების ნიმუშები და კომენტარები

წიგნი პირველი

წიგნი მოიცავს 1997-2001 წლებში საგადასახადო-სამეწარმეო სასამართლო დავების გადაწყვეტის სასამართლო პრაქტიკას და შესაბამის კომენტარებს.

წიგნი განკუთვნილია: მეწარმეებისათვის, საგადასახადო, საბაჟო და სატინანსო ორგანოების მუშაკებისათვის, იურისტებისათვის, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებისათვის, ადვოკატებისათვის, სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების მოხელეები სათვის და ყველა დაინტერესებული მოქალაქისათვის.

წიგნი ასევე შესაძლებელია გამოყენებული იქნას შესაბამის სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებლებისათვის და მსმენელთათვის სასწავლო-პრაქტიკული მეცადინეობისათვის.

რეცენზენტი — დავით მუმლაძე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

## შესავალი

მას შემდეგ, რაც 1995 წელს მიღებულ იქნა სახელმწიფოს უზენაესი კანონი „საქართველოს კონსტიტუცია“, რომლითაც გამოიხატა საქართველოს მოსახლეობის ნება დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები. შეიქმნა ქვეყნის მშენებლობის სამართლებრივი საფუძველი.

ასევე მნიშვნელოვანი იყო 1997 წელს მიღებული სამოქალაქო კოდექსი, რომლითაც განისაზღვრა სამოქალაქო ურთიერთობათა თანასწორობა, ამასთან სახელმწიფოსა და პიროვნების თანასწორუფლებიანობა, შეიქმნა ყველა პირობა სამართლებრივი საკანონმდებლო ბაზის შექმნისათვის, რომელმაც განაპირობა სამართლის დასაეღურ სიერცეში შესვლა. საგადასხადო სფეროში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ჯერ კიდევ 1993 წელს, როცა მიღებული იქნა საქართველოს კანონი გადასახადების შესახებ, მაგრამ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიღება (ძალაში შევიდა 1997 წლის ივლისიდან) უფრო წინ გადადგმული ნაბიჯი იყო და მას სხვა დატვირთვა მიეცა კონსტიტუციის 21-ე, 42-ე, 65-ე, 94-ე და 106-ე მუხლების მოთხოვნიდან გამომდინარე.

როგორც ცნობილია საგადასახადო პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკის, მოსახლეობის მდგომარეობის და საგარეო პოლიტიკის ერთერთი განმსაზღვრელია, შესაბამისად სრულყოფილი საგადასადო კანონმდებლობის გარეშე შეუძლებელი იქნება ჩვენი ეკონომიკის ინტეგრაცია მსოფლიო ეკონომიკაში. ქვეყნის მშენებლობაში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადაიდგა 1997 წელს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიღებით, რომლის მე-7 და მე-8 მუხლებით (საქართველოს კონსტიტუციის 84-ე და 87-ე მუხლების შესაბამისად) განისაზღვრა მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, რითაც გამოირიცხა მათზე ყოველგვარი ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობა, მათ შორის სახელმწიფოს მხრიდანაც. ასევე უნდა აღინიშნოს 1996 წლის „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონის მიღება და საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობის, კონსტიტუციური კანონიერების და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას.

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისათვის ერო-ეროი აუცილებელი პირობაა ზემოაღნიშნული კანონების აღსრულება, რაც მოითხოვს შესაბამისი საქციალური კანონების და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებასა და ამოქმედებას. ამ კუთხით საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა მოელი რიგი კანონები. მათ შორის აღსანიშნავია:

1994 წლის საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;

1995 წლის საქართველოს კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“;

1996 წლის საქართველოს კანონი „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“;

1996 წლის საქართველოს კანონი „საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ“;

1997 წლის საქართველოს კანონი „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“;

1998 წლის საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

ასევე მნიშვნელოვანი იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ამოქმედება 1999 წლის 15 მაისიდან, რომლითაც შემოღებული იქნა საქმის სასამართლო წარმოების გამსაზღვრელი ახალი ნორმები, რამაც განაპირობა მხარეთა თანასწორობის, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დანერგვა.

2000 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა სისხლის სამართლის კოდექსი, რომლითაც საგადასახლო სამეწარმეო კანონმდებლობის დარღვევისათვის განისაზღვრა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

2000 წლის 1 იანვრიდან, ასევე ამოქმედდა საგადასახლო კანონმდებლობის დარღვევისათვის საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებები.

1999 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „სააღსრულებლო წარმოებათა შესახებ“, ასევე მნიშვნელოვანი იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ამოქმედება 2000 წლის 1 იანვრიდან.

მიღებულ საგადასახლო კოდექსში და კანონებში სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების გათვალისწინებით ხშირად შედიოდა ცვლილებები, რაც იწვევდა კანონთა ურთიერთ კოლიზიას და აქედან

გამომდინარე წარმოიშობოდა დავები. რას გამოც ბიუჯეტი სოლიდურ შემოსავლებს კარგავდა.

ჩვენ წარმოვადგინეთ კანონთა ის ნუსხა, რომლებიც ძირითადად გამოყენებული იქნა სასამართლოებში საგადასახადო დავების განსაჯვის დროს. გამონაკლის შემთხვევებში ყურადღება ასევე ვამახვილებთ კონსტიტუციის ძირებამდე მოქმედ კანონებზეც.

ვინაიდან ყველა კანონი და კანონქვეტლებარე ნორმატიული აქტა გამოდინარეებს საქართველოს კონსტიტუციიდან, ამდენად მისანშეწონილად ჩავთვალეთ აღნიშნულ წიგნში სრული სახით წარმოგვედგინა „საქართველოს კონსტიტუცია“.

ჩვენი მიზანია, რომ ჩამოკალიბდეს მეწარმის, როგორც მოქალაქის, ასევე მაკონსტროლებელი და საბართაღდაპკაცი ორგანიზების მუშაკების პასუხისმკებლობა ქვეყნის კანონებისადმი. რათა შეცვალოს მათი ფსიქოლოგია, რაც შეტდგომში განაპირბებს დემოკრატიულა პრინციპების დამკვიდრებას და სახელმწიფო აღმშენებლობას.

წიგნში მოცემულია ის საგადასახადო სასამართლო დავები, რომლებმაც გაიარა სასამართლოს სამივე ინსტანცია და მათზე მალევე იქნა საბოლოო გადაწყვეტილება. ეს ყველა დაინტერესებული პირისათვის ყურადსაღებია, რადგანაც გადაწყვეტილებები საგადასახადო დავებზე სრული ფორმიითაა წარმოდგენილი, თუ მსედველობაში არ მივიღებთ მსარეთა წარმომადგენლების, მისამართლეთა და ადვოკატების გვარებს. რაც ჩვენს მიერ შეგნებულად იქნა ამოღებული. წიგნში ასევე მოცემულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 243-ე, 256-ე და 257-ე მუხლებით განსაზღვრული ინსტრუქცია „საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის შესახებ“ და საჩივრის ფორმები, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-179 მუხლების შესაბამისად სასამართლოში წარსადგენი სარჩელის ფორმა №1-ს, რის ცოდნაც გამოადგებათ მეწარმეებს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მზადდება გამოსაცემად წიგნის მეორე ნაწილი საინტერესო მასალებით.

დასასრულს გვინდა მადლობის სიტყვები ვუძღვნათ ყველა იმ სპეციალისტს, ვინც უშოკლეს ვაღებში შექმნა და ამოქმედა ის საკანონმდებლო ბაზა, რომელიც აუცილებელია წინაპირობაა ქვეყნის განვითარებისათვის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო კანონმდებლობა საჭიროებს შემდგომ სრულყოფას, კერძოდ: გადასახდების სახეებისა და განაკვეთების შეტცირებას, ასევე ანგარიშწორების მექანიზმის გამარტივებას და საგადასახდლო სივრცის

გაზრდას. მიუხედავად შექმნილი მდგომარეობისა მადლობას იმსახურებს ის მოსამართლეები, რომლებმაც საგადასახადო დავებზე კანონიერი გადაწყვეტილებები მიიღეს.

ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საგასადასახადო დავების განხილვა მოითხოვს შესაბამისად მომზადებულ სპეციალისტებს და ახალ ინსტიტუციონალურ მოწყობას, ამდენად აუცილებლობად მიგვაჩნია „საგადასახადო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა“ დამოუკიდებელი სასამართლოს სისტემის შექმნა.

შესავალი

თავი I დაეები მეწარმეთა რეგისტრაციის, საბაჟო რეჟიმის დარღვევისა და ულიცენზიო საქმიანობის თაობაზე

1. დავა საბაჟო რეჟიმის დარღვევის თაობაზე 5
2. დავა უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს რეგისტრაციისა და საგადასახადო არლიცხვის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე 7
3. დავა მეწარმეთა რეგისტრაციისა და საგადასახადო არლიცხვის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე 95

თავი II დაეები მოგების გადასახადით დაბეგერის თაობაზე 126

1. დავა იჯარის (ქირის) გადასახადით მოგების გადასახადის შემცირების თაობაზე 126
2. დავა უცხოურ ვალუტასთან, ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებებით მიღებული შემოსავლის დაბეგერის თაობაზე 141

თავი III დაეები საგადასახდო ორგანოს ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე 17,

1. დავა საგადასახდო ინსპექციის მიერ საინკასო დავალების ბანკში წარდგენით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე 17;
2. დავა მავნე ნივთიერებათა გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადით დაბეგერით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე 184

თავი IV დაეები უძრავი ქონების გადაცემის გადასახადით დაბეგერის თაობაზე 197

1. დავა უძრავი ქონების 30 წლიანი მართვით გადაცემის თაობაზე 197

დავა კავშირგაბმულობის ანისის იჯარით გადაცემისათვის, უძრავი ქონების გადაცემის გადასახადით დაბეგერის თაობაზე	220
თავი V საკონსტიტუციო დავა	238
1. დავა ნოტარიუსთა სოციალური გადასახადებით დაბეგერასთან დაკავშირებით	239
თავი VI საგადასახლო ორგანოთა ქმედების გასაჩივრების წესი	255
1. ინსტრუქცია საგადასახლო ორგანოს გადაწყვეტილების გადასინჯვის წესის შესახებ (საგადასახლო კოდექსის 243-ე, 256-ე და 257-ე მუხლების შესაბამისად საჩივრის ფორმები)	255
2. საგადასახლო ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილების ან ბიუჯეტში გადახდილი თანხის შემოხვევაში, სასამართლოში გასაჩივრების წესი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177, 178 მუხლები. სასარჩელო განცხადების ნიმუში)	267
საქართველოს კონსტიტუცია	270



**დავები მეწარმეთა რეგისტრაციის, საბაჟო რეჟიმის დარღვევისა და უღმრთოების საქმიანობის თაობაზე.**

ქვეყანაში სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის არ არსებობამ, კერძოდ: საბაჟო კანონმდებლობის, მეწარმეთა შესახებ კანონის, სალიცენზიო და საგადასახადო კანონმდებლობის, ასევე სამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცემულმა უკანონო ინდივიდუალურმა აქტებმა მეწარმეებს ხელი შეუწყო გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების მიზნით სხვადასხვა დარღვევებზე წასულიყვნენ, რაც ხშირ შემთხვევაში სასამართლო დაევით მთავრდებოდა.

გავეცნოთ რამდენიმე საქმეს სასამართლო პრაქტიკიდან.

**დავა საბაჟო რეჟიმის დარღვევის თაობაზე**

ფირმა „ბანდირ ინშატი ტურიზმ ტიჯარეთი“-ს წარმომადგენლობაში საქართველოში, რომელიც რეგისტრირებულია მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად და აღრიცხვაზე გადამხდელად იყო ქბათომის საგადასახადო ინსპექციაში, შექმოსაველებას დამალვის მიზნით, საქართველოს საბაჟოზე შეიპოქსინდა ნავთობპროდუქტი თავისი სახელით და ახდენდა განთავსებას საბაჟო ტერიტორიის გარეთ საწყობში, თითქოსდა აღნიშნული საწყობი განეკუთვნებოდა საბაჟოს, რათა პროდუქცია ბოუქციათ საბაჟო-სასაწყობო რეჟიმში, ეინაიდან საბაჟო საწყობში მოთავსებული პროდუქცია არ არის განბაჟებული და დასაშვებია იმპორტიორის შეცვლა და იქიდან შეერჩიათ პროდუქციის ისეთი მიმღები და რეალიზატორი, რომელიც განთავისუფლებული იქნებოდა სახელმწიფო გადასახადების გადახდისაგან. ასეთად შერჩეულ იქნა საქართველოს საპატრიარქოსთან კანონდარღვევით მოქმედი ორგანიზაცია. „საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის განყოფილება“, რომელიც არალეგალურად მოქმედებდა საპატრიარქოს სახელით.

ზემოაღნიშნული ვითარება ცნობილი გახდა ქბათომის საგადასახადო ინსპექციისათვის, რომელმაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგადასახადო დეპარტამენტთან ერთად ჩაატარა ფირმა „ბანდირ ინშატი ტურიზმ ტიჯარეთი“-ს წარმომადგენლობის მიერ განხორციელებულ საქმიანობისა და სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ პრობლის დროსაც დაფიქსირდა საბაჟო და საგადასახადო

კანონმდებლობის დარღვევა, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ფირმა „ბაინდერი“-ს წარმომადგენლობას დაერიცხა 9 122 122 ლარი და შესაბამისად წარმოშვა დავა, რომელმაც გაიარა სასამართლოს პირველი ინსტანცია, აპელაცია და კასაცია.

ფირმა „ბაინდირ ინშაატ ტურიზმ ტიჯარეთი“-ს საკასაციო საჩივარი  
საბაჟო რეჟიმთან დაკავშირებით  
ა მ ო ნ ა წ ე რ ი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქმე №3გ/ად-83-კ 9 ოქტომბერი 2000 წელი  
ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული  
და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ

თაემჯდომარე  
მოსამართლეები:  
მდივანი

განიხილა ფირმა „ბაინდირის“ წარმომადგენლის, საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის და საგადასახადო საქმეთა პალატის 2000 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

საკასაციო პალატამ მოისმინა მოსამართლის მოხსენება და გამოარკვია:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგადასახადო სახელმწიფო ინსპექციის 1996 წლის 23 აპრილის აქტით თურქეთის რესპუბლიკის ფირმა „ბაინდირ ინშაატ ტურიზმ ტიჯარეთ ვე სანაი ა.შ.“-ის (შემდგომში „ბაინდირის“) ბათუმის წარმომადგენლობას სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელად დაეკისრა შემდეგი თანხები:

1. დამატებული ღირებულების გადასახადი –64845 ლარი;
2. ბენზინის შემოტანაზე ნატურით გადასახადი –2 070 084 ლარი;

3. უკანონო შემოსავალი აშშ დოლარებში - 4 048 977 აშშ დოლარი;

4. ჯარიმა იურიდიულ პირებთან ნაღდი ანგარიშსწორების გაწევისათვის - 758240 ლარი;

5. ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხიდან საშემოსავლო გადასახადის დაუკავებლობისათვის 45 604 ლარი.

6. საზღვარზე ნაღდი ფულის დეკლარირების გარეშე გადატანისათვის - 810 499 აშშ დოლარი;

7. საგზაო ფონდში თანხის გადაუხდელობისათვის - 70129 ლარი.

სულ ფირმა „ბაიდირის“ ბათუმის წარმომადგენლობას ბიუჯეტში გადასახდელად დაერიცხა 3 008 902 ლარი და 4859 476 აშშ დოლარი ანუ 9122 122 ლარი (1966 წლის 23 აპრილის აქტი, ს.ფ. 32,33).

ფირმა „ბაიდირის“ ბათუმის წარმომადგენლობის დირექტორმა გდევეჯიმ სადავო აქტი ჯერ აჭარის ა/რ სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციაში, ხოლო შემდეგ საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურში გაასაჩივრა.

აჭარის ა/რ სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის 1996 წლის 29 მაისის №94-ე წერილითა და საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის 1996 წლის 31 მაისის აქტით წარმომადგენლობის დირექტორის არგუმენტები არ იქნა გაზიარებული (ს.ფ. 18-21, ტ.1; ს.ფ. 1-5, დანართი ტ.10).

1998 წლის 23 აპრილს თურქეთის რესპუბლიკის ფირმა ბაინდირ ინშაატ ტურიზმ ტიჯარეთ ვე სანაი ა.შ.“-ის (შემდგომში „ბაინდირის“) წარმომადგენელმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს და აჭარის ა/რ სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის 1996 წლის 23 აპრილის აქტის ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ფირმა „ბაინდირს“ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელად 92 903 ლარი დაეკისრა, დარჩენილი 9030 119 ლარის დაკისრების ნაწილში სადავო აქტი ბათილად იქნა ცნობილი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მოსარჩელის მოსაზრება გაიზიარა და დადგენილად ცნო, რომ ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობის მიერ საქართველოში შემოტანილი ბენზინი გაფორმებული იქნა საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის 1995 წლის

31 იანვრის №16 ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო საწყობის შესახებ“ დებულების №4-ე დანართის შესაბამისად და საბაჟო ორგანოს თანხმობით საბაჟო საწყობის რეჟიმში მოთავსდა. საქონელი საბაჟო საწყობის საბაჟო რეჟიმიდან სხვადასხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე გაიყიდა, რომლებიც სასამართლოს მიერ იმპორტიორებად და ნავთობპროდუქტებზე 10% ნატურალური გადასახადის გადაიხდებოდა იქნენ აღიარებულნი შესაბამისად, სასამართლომ, ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობა იმპორტიორად არ მიიჩნია და 2 070 084 ლარის დაკისრების ნაწილში სადავო აქტი ბათილად ცნო.

სასამართლომ, ბათილად ცნო სადავო აქტი ნაღდი ვალუტის დეკლარირების გარეშე გატანისათვის – მოსარჩელეზე 810 499 აშშ დოლარის (1 019 608 ლარის) დაკისრების ნაწილშიც. ვინაიდან დადგენილად მიიჩნია, რომ წარმომდგელობისაგან თანხა გაიკა ფიზიკურ პირებზე, რაზეც გამოწერილი იქნა საღააროს გასავლის ორდერები, რითაც პასუხისმგებლობა თანხის განმკარგავ პირებზე გადავიდა. ამასთან, თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლომ „1996 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტში ვადაგადაცილებულ დავალიანებათა ჩამოწერისა და რესტრუქტურისაციის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 23 სექტემბრის №627-ე ბრძანებულების შესაბამისად ფირმა „ბაინდირს“ ჩამოწერილად ჩაუთვალა ვადაგადაცილებული დავალიანებები (სანქცია, საურავი, ჯარიმა).

აჭარის ა/რ საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტმა სააპელაციო საჩივრით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატას და მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სადავო აქტის კანონიერად ცნობა მოითხოვა. აპელანტმა სააპელაციო საჩივარში, ასევე, მიუთითა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 23 სექტემბრის №627 და 1999 წლის 28 დეკემბრის №851 ბრძანებულებების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს №08-1-09 და საგადასახადო სამსახურის №03-1-10 1996 წლის 17 ოქტომბრის წერილების საფუძველზე ფირმა „ბაინდირს“ ჩამოწერა პრეზიდენტის ბრძანებულების მიღების შემდეგ დარჩენილი ვადაგადაცილებული დავალიანებები და ამდენად, დავის საგანი ამ ნაწილში არ არსებობს. ამასთან, აპელანტის აზრით, ფირმა „ბაინდირის“ ის ვადაგადაცილებული დავალიანებები, რომლებიც პრეზიდენტის 1996 წლის 28 დეკემბრის

№851 ბრძანებულების მიღებამდე იქნა აპოლკებული და ჩარიცხულს ბიუჯეტში, დაბრუნებას არ ექვემდებარება.

ფირმა „ბაინდირის“ წარმომადგენელმა სააპელაციო საჩივარი არ ცნო და მთაწმინდის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება მოითხოვა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატამ აჭარის ა/რ საგადასახადო სახელმწიფო ლეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი საფუძვლიანად მიიჩნია და სრულად დააკმაყოფილა. გააუქმა მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით უარი უთხრა მოსარჩელე ფირმა „ბაინდირის“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო. ამასთან, კანონიერად ცნო აჭარის ა/რ საგადასახადო სახელმწიფო ინსპექციის 1996 წლის 23 აპრილის აქტი.

1. ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობის მიერ 1995 წლის 21 სექტემბრიდან 1996 წლის 1 აპრილამდე (შემოწმების პერიოდში) საქართველოში შემოტანილი იქნა 26 696 კგ. ბენზინი. შემოტანა განხორციელდა 5 ეტაპად.

საბაჟო დეკლარაციებით პირველ ორ შემთხვევაში ტვირთის გამოძგზავნად დაფიქსირდა „ბაინდირ ინშაატ ტურიზმ ტიჯარეთ ვე სანაი ა.შ.“—თურქეთი. მე-3 შემთხვევაში ფირმა „ოილ რევიინერ ლ.ტ.დ.“—ისრაელი. მე-4 და მე-5 შემოტანაზე კი ფირმა „პეტროლეუქსპორტი შაპოსტი“—რუმინეთი. ტვირთის მიმღებად ხუთივე შემთხვევაში დაფიქსირდა ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობა დეკლარაციის პირობით-საბაჟო და საბიუჯეტო გადახდაზე პასუხისმგებელი პირობათუმის წარმომადგენლობა (იხ.ს.ფ. 3-7 ტ.3).

სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 7 მარტის №67 ბრძანებულების 1 მუხლით შემოტანილ ნავთობპროდუქტებზე ყველა საჩის გადასახადის ნაცვლად დაწესდა ნატურალური გადასახადი 10%-ის ოდენობით.

მოსარჩელის მტკიცებით, მას 10%-იანი ნატურალური გადასახადი არ უნდა გადაეხადა, რადგან ნავთობპროდუქტი მის მიერ მოთავსებული იქნა საბაჟო საწყობის რეჟიმში, რაც მითითებული იქნა სს დეკლარაციებში და დამოწმდა საბაჟოს თანამდებობის პირების მიერ. მისივე მოსაზრებით, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა და ბათუმის საშუაშელო-კომერციული საწარმო სადაც 25.08.1995 წ. და 12.12.1995 წ. ხელშეკრულებების საფუძველზე მათ მიერ შემოტანილი

ნავთობპროდუქტები იქნა განთავსებული, საბაჟო საწყობებს წარმოადგენდა და „საბაჟო საწყობის შესახებ“ დებულების 2.1 პუნქტის შესაბამისად საბაჟო ორგანოს მიერ იყო დაარსებული და ლიცენზირებას არ საჭიროებდა.

თბილისის საოლქო სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული ჰოსაზრება და დადგენილად მიიჩნია, რომ აჭარის ა/რ ტერიტორიაზე არც საბაჟო ორგანოსა და არც სხვა საწარმოს მიერ დაარსებული საბაჟო საწყობი იმ დროს არ ფუნქციონირებდა. თავის მხრივ, ამ საწარმოებს არავითარი ხელშეკრულება ბათუმის საბაჟოსთან საბაჟო საწყობების შექმნის შესახებ არ კქონდათ. ფირმა „ბაინდირი“ მითითებულ საწარმოებთან ხელშეკრულებას აფორმებდა არა, როგორც საბაჟო საწყობთან, არამედ როგორც ტვირთის შემნახველთან.

თბილისის საოლქო სასამართლომ, ასევე დადგენილად ცნო, რომ უპორტირებული ნავთობპროდუქტების ძირითადი ნაწილი—22 995605 კგ. ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობის მიერ რეალიზებული იქნა საქართველოს საპატრიარქოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის განყოფილებაზე. ამასთან, „საქართველოს საპატრიარქოს“ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ“ 1994 წლის 17 თებერვლის საქართველოს კანონის შესაბამისად. საქართველოს საპატრიარქო განთავისუფლებული იყო ბიუჯეტში გადასახადების გადახდისაგან.

აჭარის ა/რ საგადასახადო სახელმწიფო ინსპექციის აქტის თანახმად, ირარსებული საბაჟო საწყობის რეჟიმის გამოყენებით, ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობის მიერ ტვირთის იმპორტიორად კანგებ დასახელდა საპატრიარქო, რათა ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობას არ გადაეხადა ნავთობპროდუქტებზე დაწესებული 10%-იანი ნატურალური გადასახადი. აპელანტის მოსაზრებები სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა და 2070084 ლარის ჯაკისრების ნაწილში სადავო აქტი კანონიერად ცნო.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობის საწარმოს რეზერვუარებში ნაშთად ღარჩენილი 8 344 348 კგ. ბენზინი წარმომადგენლობის და არა საპატრიარქოს საკუთრებას წარმოადგენდა, რადგან საქმეში არსებული ქტიციებულეებებით ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობასა და საპატრიარქოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის განყოფილებას ჰორის არანაირი ურთიერთობა არ არსებობდა. ამასთან, საოლქო სასამართლომ 2000 წლის 12 აპრილის განჩინებით ფირმა „ბაინდირის“

წარმომადგენლის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და საქმეში მესამე პირებად, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე არ ჩააბა საპატრიარქოს საგარეო-ეკონომიკური განყოფილება და მისი მამინდელი წარმომადგენლები: ზ.კალანდარიშვილი და თ.მათიაშვილი აღნიშნულ განჩინებაზე ფირმა „ბაინდირის“ წარმომადგენლის მიერ შეტანილ იქნა კერძო საჩივარი, რომელიც ხარვეზის შესავსებად უმოძრაოდ იქნა დატოვებული.

2. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აჭარის ა/რ სავადასახადო სახელმწიფო ინსპექციის მოსაზრება და დადგენილად მიიჩნია, რომ ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობა შემოწმების პერიოდში ისეთ საქმიანობას ახორციელებდა, რომლისთვისაც საჭირო იყო სპეციალური ნებართვა (ლიცენზია“. კერძოდ, წარმომადგენლობა ნავთობპროდუქტებით ვაჭრობდა უცხოურ ვალუტაზე (აშშ დოლარზე), მაშინ, როცა საქართველოს ეროვნული ბანკის 1994 წლის 2 ნოემბრის №36 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, მას სებ-ის ლიცენზიის გარეშე უცხოურ ვალუტაში საქონლის რეალიზაცია ეკრძალებოდა. სასამართლომ არ გაიზიარა ფირმა „ბაინდირის“ წარმომადგენლის მტკიცება, რომ ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობა ახორციელებდა ეროვნული ვალუტის კონვერტაციას და დადგენილად ცნო, რომ მან პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით ოფისში არსებული ქვითრების შეცვლა მოახდინა, რადგან ABC ბანკში ჩატარებული რევიზიით ფირმა „ბინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობის სავალუტო ანგარიშებზე, ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე თანხა აშშ დოლარებში შეტანილი აღმოჩნდა, რაც დასტურდება ბანკის ქვითრებით.

სასამართლომ გამოიყენა სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 16 სექტემბრის №363 ბრძანებულება „საქართველოს ტერიტორიაზე“ 1995 წლის 2 ოქტომბრიდან ერთადერთ სავადამხდლო საშუალებად ეროვნული ვალუტის –ლარის შემოღების შესახებ“ „სავადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს 1993 წლის 21 დეკემბრის კანონის 11-ე მუხლის მე-5 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი, სებ-ის ზემოაღნიშნული ინსტრუქცია და კანონიერად ცნო სადავო აქტი ფირმა „ბაინდირზე“ უკანონო შემოსავლის 4 048 977 ლარის დაკისრების ნაწილში.

3. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით აწარმოებდა იურიდიულ პირებს შორის ნაღდი ფულით

ანგარიშსწორებას და უგულვებელყოფდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 22 ივნისის №394 დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულების „საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის“ ორგანიუში, საწარმოებსა და დაწესებულებებში სალაროს მეურნეობის გაძლიერების შესახებ“ 4.10 მუხლის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც, იურიდიული პირი დაჯარიმდება წარმოებული ანგარიშსწორების 25%, თუ გამოვლინდება ნაღდი ფულით ანგარიშსწორების ფაქტები, ეინაიდან აღნიშნული დადგენილება ძალადაკარგულად გამოცხადდა მხოლოდ 1996 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტის №667 ბრძანებულებით, სასამართლომ მისი გამოყენება მანამდე არსებულ ურთიერთობებზე მიზანშეწონილად მიიჩნია და კანონიერად ცნო სადავო აქტი იურიდიულ პირებთან ნაღდი ანგარიშსწორების გაწვევისათვის ფირმა „ბაინდირს“ ბათუმის წარმომადგენლობის 758240 ლარით დაჯარიმების ნაწილში.

4. სააპელაციო სასამართლომ კანონიერად მიიჩნია, ასევე, სადაო აქტი ბათუმის წარმომადგენლობაზე საზღვარზე ნაღდი ფულის დეკლარირების გარეშე გატანისათვის 810 499 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში და გამოიყენა რა სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 6 იანვრის №1 ბრძანებულება „მოქალაქეთა მიერ საქართველოს რესპუბლიკის საზღვარზე ნაღდი ვალუტის გატანის დროებითი წესების შესახებ, მიუთითა, რომ „რანდენდაც სალაროს გასაყლის ორდერებში არ არის მითითებული საზღვარზე გატანისას საკომისიო დეკლარირების თაობაზე მტკიცებულება არ არსებობს, ამდენად, პასუხისმგებლობა „ბაინდირს“ უნდა დეკისროს“.

ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობა თავიდანვე იზიარებდა სადაო აქტს დამატებითი ღირებულების გადასახადის, საშემოსავლო გადასახადის და საგზაო ფონდში ჩასარიცხი გადასახადის ძირითადი თანხის დაკისრების ნაწილში, ხოლო რაც შეეხება ჯარიმებსა და ფინანსურ სანქციებს, მისი აზრით, ეს თანხები წარმომადგენლობას სხვა ჯარიმებთან და სანქციებთან ერთად უკვე ჩამოეწერა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 23 სექტემბრის №627-ე და 28 დეკემბრის №851 ბრძანებულების შესაბამისად. ამ ნაწილს აჭარის ა/რ საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტიც არ ხდიდა სადაოდ თავის სააპელაციო საჩივარში.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა არც ფირმა „ბაინდირის“ წარმომადგენლისა და არც აჭარის ა/რ საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მოსაზრება და საქართველოს ადმინისტრაციული



საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლზე დაერღობით, მიიხსნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ამ ნაწილში უარი თქვა სარჩელზე, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და არ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ გაზიარებული.

სააპელაციო სასამართლოს აზრით ფირმა „ბაინდირზე“ ვერ გავრცელდება საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულებები. ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლით დადგენილია, რომ საქართველოში „გადასახლებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტით „გადასახლებისაგან გათავისუფლება, ავრთვე სახელმწიფო ხაზინიდან ხარჯის ვადება დასაშვებია მხოლოდ კანონით“. სასამართლომ, ასევე გამოიყენა საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს კანონი „საგადასახადო დავალიანებების რესტრუქტურისაგან შესახებ“ და მიიხსნია, რომ „საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 23 სექტემბრის №627 ბრძანებულების გამოყენება მოცემულ საქმეზე, არ შეესაბამება კანონს და კონსტიტუციას.

ამდენად, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2000 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის მთავმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ფირმა „ბაინდირის“ სარჩელი უსაფუძვლობის გამო არ დაკმაყოფილდა. წარმომადგენელმა საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2000 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებისა და 2000 წლის 12 აპრილის განჩინების გაუქმება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა ვაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თურქეთის რესპუბლიკის ფირმა „ბაინდირ ინშაატ ტურიზმ ტიჯარეთ ეე სანაი ჯაჰ“-ის ბათუმის წარმომადგენლობა ქალაქ ბათუმის სასამართლოს ჰიურ სამეწარმეო

რეესტრში რეგისტრაციაში გატარდა 1995 წლის 21 სექტემბერს. წესდების თანახმად, წარმომადგენლობა წარმოადგენდა დამოუკიდებელ სამეურნეო სუბიექტს იურიდიული პირის უფლების გარეშე, მისი მთელი ქონება ეკუთვნოდა ფირმას, რომელიც პასუხს აგებდა წარმომადგენლის ვალდებულებებზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

1995 წლის 21 სექტემბერს წარმომადგენლობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქბათუმის საგადასახადო სახელმწიფო ინსპექციის მიერ აყვანილ იქნა აღრიცხვაზე.

ქბათუმის საგადასახადო სახელმწიფო ინსპექციის 1996 წლის 6 თებერვლის შემოწმების აქტით ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობას სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელად დაეკისრა 4 048977 აშშ დოლარი და 811804 ლარი. წარმომადგენლობის მიერ ქბათუმის საგადასახადო სახელმწიფო ინსპექციის აქტი გასაჩივრდა აჭარის ა/რესპუბლიკის საგადასახადო სახელმწიფო ინსპექციაში, რომელმაც დამატებით შეამოწმა მისი საქმიანობა განვილილ პერიოდში და 1996 წლის 23 აპრილის შემოწმების აქტით ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობას სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელად სულ დააკისრა 3 008 902 ლარი დ 4 859 476 აშშ დოლარი ანუ 9 122 122 ლარი.

ფირმა „ბაინდირის“ წარმომადგენელმა (ადვოკატმა) 1998 წლის 23 აპრილს სასარჩელო განცხადებით მიმართა ქთბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს და აჭარის ა/რ საგადასახადო სახელმწიფო ინსპექციის 1996 წლის 23 აპრილის შემოწმების აქტის ბათილად ცნობა მოითხოვა.

საქმეშია, ასევე, საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო სამსახურის 1996 წლის 31 მაისის გადამოწმების აქტი, რომელიც არ გასაჩივრებულა და შესაბამისად, მასზე მსჯელობა არც პირველი ინსტანციისა და არც სააპელაციო სასამართლოს არ ქქონია. ამდენად, საკასაციო სასამართლომ სათანადო მხარის—ფირმა „ბაინდირის“ საკასაციო საჩივრის ფარგლებში შეამოწმა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2000 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების კანონიერება.

2. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, კერძოდ, ბათუმში 1995-1996 წლებში ბათუმის ნავთობგადამუშავებელი ქარხნისა და ბათუმის საშუამავლო-კომერციული სწარმოს სახით საბაჟო საწყობები

არსებობდა. საქმეში არ არის ბათუმის საბაჟო ორგანოს მიერ ამ საწყობების დაარსების არანაირი დოკუმენტი, უფრო მეტიც, როგორც ბათუმის საბაჟო, ისე ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა და ბათუმის საშუამავლო-კომერციული საწარმო ასეთი საბაჟო საწყობების მათთან არსებობის ფაქტს უარყოფენ. ფირმა „ბაინდირსა“ და ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას, ასევე ფირმა „ბაინდირსა“ და ბათუმის საშუამავლო-კომერციულ საწარმოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებშიც არაფერია ნათქვამი ამ საწარმოთა სასაწყობო მეურნეობების „საბაჟო საწყობად“ გამოყენების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებას, რომ საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტის 1995 წლის 31 იანვრის №16 ბრძანებით დამტკიცებული დებულება, რომელსაც კასატორი ეყრნობა, ეხება „დროებითი შენახვის საწყობებს“ და არა საბაჟო საწყობებს“. დროებითი შენახვის საწყობი არ არის საბაჟო რეჟიმი, მაშინ, როცა საბაჟო საწყობი საბაჟო რეჟიმის ერთ-ერთი სახეა. „დროებითი შენახვის საწყობების შესახებ“ დებულების 6.1, 7.1, 12.2, 12.3, 12.9, პუნქტების შესაბამისად, „დროებითი შენახვის საწყობში ისეთი საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შენახვა, რომელიც არ გადაადგილდება საქართველოს რესპუბლიკის საზღვარზე, არ დაიშვება“. „ამ საწყობებში საქონლის შენახვის ზღვრული ვადა შეადგენს ორ თვეს“; დროებითი შენახვის საწყობი შეიძლება დაარსდეს საბაჟოს წარდგინებით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის მიერ და იგი წარმოადგენს საბაჟო ორგანოს სტრუქტურულ ქვედანაყოფს“.

რაც შეეხება საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტის 1995 წლის 31 იანვრის №31 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებას „საბაჟო საწყობების შესახებ“, აღნიშნული დებულება არ ვრცელდება საბაჟო ორგანოების მიერ დაარსებულ (დაფუძნებულ) საბაჟო საწყობებზე, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მასში არაფერია ნათქვამი ამ სახის საბაჟო საწყობების მოწყობასა და ფუნქციონირებაზე, მეორეც, დებულებაში არსად არ არის ერთმანეთისაგან გამიჯნული დაარსებული და დაფუძნებული საბაჟო საწყობები, რასაც ამტკიცებს კასატორი. საკასაციო პალატის აზრით „დაფუძნება“ და „დაარსება“ დებულებაში ერთი მნიშვნელობით არის ნახმარი.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობაზე ბათუმის საბაჟო ორგანოს მიერ გაცემული საბაჟო დეკლარაციები, აღნიშნით

Тамоҗенин склад- ბათუმის საბაჟო ტერიტორიაზე საბაჟო სასაწყობო რეჟიმის არსებობის უტყუარი საფუძველია. ამასთან, საკასაციო პალატა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო სახელმწიფო ლეპარტამენტის ყურადღებას მიაქცევს ბათუმის საბაჟო საგუშაგოს თანამდებობის პირთა არამართლზომიერ ქმედებაზე, რამაც ხელი შეუწყო ფირმა „ბაინდირის“ ბაიუმის წარმომადგენლობის მიერ შემოტანილ 26 696 365 კგ. ბენზინზე არარსებულ საბაჟო საწყობის რეჟიმში საბაჟო დეკლარაციების გაფორმებას და 10% ნატურალური გადასახადისაგან წარმომადგენლობის უკანონოდ განთავისუფლებას.

საკასაციო პალატა, ამასთან, მიიხსენებს, რომ ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობის ბრალეულობის საკითხი სცილდება ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციას და მან პასუხი უნდა აგოს „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 21 დეკემბრის კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის მეორე წინადადების შესაბამისად, საგადასახადო შეღავათების არასწორად გამოყენებისათვის, რაც საწარმოზე ძირითადი თანხის გარდა ფინანსური სანქციების დაკისრებასაც ითვალისწინებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს აზრით, „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობა ნავთობპროდუქტების იმპორტიორი და ნავთობპროდუქტებზე დაწესებული 105 გადასახადის გადამსდელია და აჭარის ა/რ საგადასახადო სახელმწიფო ინსპექციის სადავო აქტი ფირმა „ბაინდირზე“ 2070084 ლარის დაკისრების ნაწილში კანონიერია.

3. საკასაციო სასამართლო დადგენილად თვლის სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობა ნავთობპროდუქტებით ვაჭრობას ახორციელებდა უცხოურ ვალუტაზე. აშშ დოლარზე, და მიიჩნევს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის გამგეობის 1994 წლის 26 ნოემბრის №36 დადგენილებით დამტკიცებული „რწმუნებული ბანკების მიერ რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის სავალუტო ანგარიშების (ანაბრების) გახსნისა და მათი წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის 5.7 პუნქტის თანახმად, წარმომადგენლობა საჭიროებდა სებ-ის სპეციალურ ნებართვს (ლიცენზიას), რაც მას არ გააჩნდა. საკასაციო პალატის აზრით, „საქართველოს საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 21 დეკემბრის კანონის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობა კანონიერად დაჯარიმდა უნებართვოდ ისეთი საქმიანობის განხორციელებისათვის, რაც

სპეციალურ ნებართვას (ლიცენზიას) საჭიროებს, ასეთი საქმიანობით მიღებული მთელი ამონაკების -40-8977 აშშ დოლარის ბიუჯეტში გადახდევინებით.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ვერ უარყოფს კასატორის მოსაზრებას, რომ აქტარის არ საგადასახადო სახელმწიფო ინსპექციის მიერ დაირღვა აღმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პროცედურა, თუკა ამავე კანონის მე-11 მუხლის მე-1 პუნქტის პირველი აბზაცის თანახმად, მიიჩნევს, რომ აღნიშნული პროცედურის დარღვევა არ ათავისუფლებს ფირმა „ბაინდიროს“ პასუხისმგებლობისაგან, მიუხედავად, რომ 1995 წლის 2 ოქტომბრიდან საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 16 სექტემბრის №363-ე ბრძანებულებით საქართველოს მიუღეს ტერიტორიაზე ერთადერთი საგადამხდელო საშუალებად გამოცხადდა ლარი და კანონით დადგენილი წესით აიკრძალა ყოველგვარი ანგარიშსწორება უცხოურ ვალუტაზე.

4. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ფირმა „ბაინდიროს“ ბათუმის წარმომადგენლობას იურიდიულ პირებიან ნაღდი ანგარიშსწორებით არ დაურღვევია მოქმედი კანონმდებლობა. 1995 წლის სექტემბრიდან 1996 წლის აპრილამდე სადავო პერიოდში ძალაში იყო და მოქმედებდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 24 ივნისის №394 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ორგანოებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სალაროს მეურნეობის გაძლიერების შესახებ“ დროებითი დებულება, რომლის თანახმადაც იურიდიულ პირებს შორის ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გათვალისწინებული იყო იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა ვარაიმის სახით, ანგარიშსწორების თანხის 25%-ის ოდენობით.

მინისტრთა კაბინეტის აღნიშნული დადგენილება, საკასაციო პალატის აზრით, უფრო გვიან მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია, ვიდრე საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 29 ნოემბრის №240 და 1993 წლის 14 დეკემბრის №260 ბრძანებულებები, ამიტომ მას უპირატესი მოქმედების ძალა აქვს. დადგენილება ვრცელდება სადავო პერიოდზე, რადგან საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 14 ოქტომბრის №667 ბრძანებულებით თანდართული ნუსხის თანახმად. მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის დადგენილებები, მათ შორის №394 დადგენილებაც, ძალადაკარგულად გამოცხადდა (და არა ბათილად) რაც

ნიშნავს ნორმატიული აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან და არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე ამ ნორმატიული აქტის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისათვის ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობას აჭარის ა/რ საგადასახადო სახელმწიფო ინსპექციის მიერ კანონიერად დაეკისრა ჯარიმა საანგარიშსწორებო თანხის 25%—758 240 ლარი.

5. საკასაციო სასამართლო დადგენილად თელის სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობის კუთვნილი ნაღდი ვალუტა ფიზიკური პირების მიერ დეკლარირების გარეშე იქნა გატანილი საქართველოს საბაჟო საზღვარზე და მიიჩნევს, რომ წარმომადგენლობის მიერ დაირღვა კანონით დადგენილი საბაჟო წესები და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 6 იანვრის №1 ბრძანებულება „მოქალაქეთა მიერ საქართველოს რესპუბლიკის საზღვარზე ნაღდი ვალუტის გატანის შესახებ“, რისთვისაც ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობას კანონიერად დაეკისრა 810 4999 აშშ დოლარის გადახდა.

6. ფირმა „ბაინდირის“ წარმომადგენლის მოსაზრება, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 23 სექტემბრის №627 და 1996 წლის 28 დეკემბრის №851 ბრძანებულების შესაბამისად, ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობას მასზე დარიცხული ჯარიმები და ფინანსური სანქციები, როგორც ვადაგადაცილებული დავალიანებები, ჩამოეწერა, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა და მიიჩნია, რომ აღნიშნული ბრძანებულებები მოქმედი კანონებისა და კონსტიტუციის შეუსაბამოა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის აჭარის ა/რ საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მოსაზრებაც, რომ საქართველოს პრეზიდენტის ამ ბრძანებულებებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს №08-1-09 და საგადასახადო სამსახურის №03-1-10 1996 წლის 17 ოქტომბრის წერილების საფუძველზე ფირმა „ბაინდირის“ ჩამოეწერა საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 28 დეკემბრის №851 ბრძანებულების მიღების შემდეგ დარიჩენილი ვადაგადაცილებული დავალიანებები და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლზე დაყრდნობით, მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ამ ნაწილში უარი თქვა სარჩელზე, რაც

ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და არ უნდა იქნეს სასამართლოს მიერ გაზიარებული.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას და თელის, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 23 სექტემბრის №627 ბრძანებულება „1996 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტში კადაგადაცილებულ დეალიანებათა ჩამოწერისა და რესტრუქტურისაციის შესახებ“ და მისივე 1996 წლის 28 დეკემბრის №851 ბრძანებულება „მიუხედავად შემოწმების პერიოდისა“ ანტიკონსტიტუციურად არ გამოცხადებულა, რადგან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის ანტიკონსტიტუციურად ცნობა ადმინისტრაციული სასამართლოს პეროგატივას არ წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მოცემულ კონკრეტულ საქმეზე საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებულებები არ გააერცელა, რადგან მიიჩნია, რომ ისინი არ შეესაბამება საქართველოს 1993 წლის 21 დეკემბრის კანონს „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“, რომლის თანახმადაც „საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმებისა და სხვა ფინანსური სანქციების გადახდისაგან განთავისუფლება დაუშვებელია“ (მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი), ისინი არ შეესაბამება არც საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლს, სადაც მითითებულია, რომ „გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი, ხოლო გადასახადებისაგან განთავისუფლება, აგრეთვე სახელმწიფო ხაზინიდან ხარჯის გაღება დასაშვებია მხოლოდ კანონით“.

ამდენად, საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებდა.

საკასაციო პალატა, ამასთან, ვერ გაიზიარებს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მოთხოვნა შეუძლებელია გაერცელდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლზე, კერძოდ: „სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს მხოლოდ სააპელაციო საჩივრის ფარგლებში“.

7. საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულ ფაქტობრივ გარემოებებს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ფირმა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობაზე დარიცხული თანხები ამოღებული იქნა 1996 წლის 19 ივნისიდან 1996 წლის 30 აგვისტომდე და დღეისათვის შეადგენს 3 146 152 ლარს (სფ 112, ტ.2). მითუმეტეს, რომ კასატორმა ვერ წამოაყენა დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრისას სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 237-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ამასთან, არასწორად მიუთითა ამ კოდექსის კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი, რადგან საქართველოს საგადასახადო კოდექსი (237-ე მუხლი) ამოქმედდა 1997 წლის 24 ივლისიდან. ამდენად, ფირმა „ბაინდირის“ სარჩელი მხოლოდ 1996 წლის 24 ივლისამდე ჩარიცხული თანხების ნაწილშია ხანდაზმული.

8. საკასაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის შესაბამისად და საკასაციო საჩივრის ფარგლებში განიხილა ობილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2000 წლის 12 აპრილის განჩინება, ეინაიდან აღნიშნულ განჩინებაზე ფირმა „ბაინდირის“ წარმომადგენლის მიერ შეტანილი კერძო საჩივარი ხარვეზის ვამო უმომრად იქნა დატოვებული.

სააპელაციო სასამართლოს 2000 წლის 12 აპრილის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ფირმა „ბაინდირის“ წარმომადგენლის შუამდგომლობა საქმეში მესამე პირებად საპატრიარქოს საგარეო-ეკონომიკური განყოფილების, ზ.კალანდარიშვილისა და თ.მატიანიშვილის ჩაბმის თაობაზე და შუამდგომლობის ავტორს კანონის შესაბამისად აღნიშნულ განჩინებაზე მიეცა 12 დღის ვადა კერძო საჩივრის შესატანად, თუმცა, მეორე დღეს, 13 აპრილს სასამართლოს მიერ საქმეზე გამოტანილი იქნა საბოლოო გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ფირმა „ბაინდირის“ წარმომადგენლის მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ განჩინება დასაბუთებულია და სააპელაციო სასამართლოს მისი გამოტანისას საპროცესო ნორმები არ დაურღვევია.



ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ ფირმა „ბინდირის“ წარმომადგენლის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ძალაში უნდა დარჩეს ობიექტის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ-სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატის 2000 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ძირველი და საქართველოს საპოქლავო საპროცესო კოდექსის 410-ე, 284-ე და 399-ე მუხებში და

### და ა დ ვ ი ნ ა :

1. კასატორის, ფირმა „ბინდირ ინშაუტ ტურაზი“
2. ტიჯარეთ ვე სანაი ა.შ.-ის წარმომადგენლის საკასაციო
3. საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
4. 2. ძალაში დარჩეს ობიექტის საოლქო სასამართლოს
5. ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა
6. პალატის 2000 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება.
7. 3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება
8. საბოლოოა და არ ვასაჩივრდება.
9. 4. განჩინება გაეგზავნოს მხარეებს.

თავმჯდომარე

მოსამართლეები

PS\_\_ ავტორთა მოსაზრება- საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ მიიღო განჩინება, რომლითაც ძალაში დატოვა ქობილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 13 აპრილის სამართლიანი გადაწყვეტილება. მიუხედავად მიღებული გადაწყვეტილებისა ჩვენი მოსაზრებით იყო სხვა საფუძვლებზე დარიცხული თანხის შემცირებაზე, ვინაიდან სასამართლო განხილვამდე ფაქტიურად ამოღებული იქნა დაკისრებული თანხის ნაწილი 3 150 000 ლარი და აღნიშნულ დარიცხვაზე გავრცელდა 1996 წლის №627 და №851 ბრძანებულებები ვალების

რესტრუქტურის თაობაზე.

დავა საბაჟო რეჟიმის დარღვევისათვის  
ფირმა „ბაინდირის“ საქმეზე

საქმე №2/140 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგადასახადო  
დეპარტამენტის  
სააპელაციო საჩივარი

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს სსსრ-ში

13 აპრილი 2000 წელი ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს  
ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა  
სააპელაციო პალატამ

თაემჯდომარე  
მოსამართლეები  
მდივანი

აპელანტი – აჭარის ა/რ საგადასახადო დეპარტამენტი

მოპასუხე – აჭარის ა/რ საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტი

მოპასუხე – საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტი

მოპასუხე – საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტი

მოპასუხე – საქართველოს საპატრიარქო;

მოწინააღმდეგე მხარე: „ბაინდირ ინშაატ ტიჯარეთი“

განიხილა – აჭარის ა/რ საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის  
გადაწყვეტილების შინაარსი. სააპელაციო საჩივარი თბილისის  
მთავრობის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 10 მაისის  
გადაწყვეტილებაზე საქმე №2/140 „ბაინდირ ინშაატ ტიჯარეთი“-ს  
წარმომადგენლის გ.გაბაიძის სარჩელისა გამო. მოპასუხეების:

საქართველოს საგადასახადო ინსპექციის, აჭარის საგადასახადო ინსპექციის, აჭარის საბაჟო დეპარტამენტის და საქართველოს საპატრიარქოს მიმართ, შესამე პირი აფხაზეთის ლტოლვილთა და ინვალილთა ასოციაცია ბათუმის საგადასახადო ინსპექციის 1996 წლის 23 აპრილის აქტის ბათილად ცნობის თაობაზე, რომლითაც ფირმა „ბინდირ ინშაატ ტიჯარეთი“-ს ბათუმის წარმომადგენლობას ბიუჯეტში გადასახდელად დაეკისრა 9.122 122 (ცხრა მილიონ ასოცლორიათას ასოცლორი) ლარი.

თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით ფირმა „ბინდირ ინშაატ ტიჯარეთი“-ს წარმომადგენლის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოსარჩელეს დაეკისრა შემცირებული ღღ-ს სახით 25 564 ლარის და ბიუჯეტში კუთნილი გადასახადიდან 76 439 ლარის – სულ 92 003 ლარის გადახდა. 92 003 ლარის დაკისრების ნაწილში 1996 წლის 23 აპრილის აქტი ცნობილი იქნა კანონიერად, დანარჩენ 9 030 119 ლარის დაკისრების ნაწილში 1996 წლის 23 აპრილის აქტი ცნობილი იქნა ბათილად და მოსარჩელე 9 030 119 ლარის გადახდისაგან, როგორც უკანონოდ დაკისრებულისაგან განთავისუფლდა. ღიად იქნა დატოვებული მოქ. კილურაძესთან 54 000 აშშ დოლარის და ბათუმის კომერციულ ბანკ „აბს“-თან 547 840 აშშ დოლარის დავის საკითხი და მოსარჩელეს დარჩა უფლება ქვემდებარეობისამებრ დამოუკიდებელი დავისა, ასევე ღიად დარჩა ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ დაყადებული და კონფისკაციაქმნილი 8 700 841 კგ. ე.ი. 8700 ტ. ბენზინის დავის საკითხი.

აჭარის ა/რ საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტმა სააპელაციო საჩივრით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების, როგორც უკანონოს გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სასამართლო კოლეგიამ საქმის მასალების გაცნობის, მსარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად

### გ ა მ ო ა რ კ ე ი ა :

აჭარის ა/რ სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის №25 ბრძანების და ბათუმის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის 8 აპრილის №33 მოწმობის საფუძველზე ინსპექციის წარმომადგენლების მიერ ჩატარებული იქნა დოკუმენტალური რევიზია თურქეთის ფირმა „ბინდირ ინშაატ ტურიზმ ტიჯარეთ ვე სანია ა.შ.“ ბათუმის წარმომადგენლობა

„ბანდირში“ შემოწმება დაიწყო 1996 წლის 8 აპრილს და დამთავრდა 1996 წლის 23 აპრილს, რაზეც შედგენილი იქნა აქტი (იხ.საქმე ტ.), რომლითაც ფირმა „ბანდირის“ ბათუმის წარმომადგენლობას ბიუჯეტში გადასახველად დაეკისრა შემდეგი ოანსები: 1. დღგ-64 845 ლარი; 2. ზესნიის შემოტანაზე ნატურით გადასახადი 2 070 084 ლარი; 3. უკანონო შემოსავალი აშშ დოლარებში 4 048 977 აშშ დოლარი; 4. ჯარმა იურიდიულ პირებთან ნაღდი ანგარიშსწორების გაწვევისათვის 758 240 ლარი; 5. ფიზიკურ პირებზე გატეხული თანხიდან ჩამოტასავლო გადასახადის დაუკავებლობისათვის 45604 ლარი; 6. საზღვარზე ნაღდი თანხის დეკლარირების გარეშე გადატანისათვის—810 499 აშშ დოლარი; 7. საგზაო ფონდში თანხის გადაუხდელობისათვის —70 129 ლარი. სულ 9 122 122 (ცხრა მილიონ ასცდარიათას ასოცდარო) ლარი. იხ.საქმე 1999 წლის 23 აპრილის აქტი), რომელიც მოსარჩელემ გაასაჩივრა. 1996 წლის 29 მაისს №94 წერილით აჭარის არ სახელმწიფო საკადასტრადო ინსპექციამ ფირმა „ბანდირ ინშაატურიზმ ტიჯარეთ ვე სანია ა.შ.“ ბათუმის წარმომადგენლობის დირექტორ გ.დვეჯის 1996 წლის 2 მაისის საჩივრის არგუმენტები 1996 წლის 23 აპრილის აქტის უკანონობის თაობაზე არ გაიზიარა, გასაჩივრებული აქტი მიიჩნია კანონიერად და მიუთითა რომ ფირმა ვალდებულია სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხოს 9 122 122 ლარი (იხ.ს.ფ. 18-21 ტ.)

1998 წლის 23 აპრილს ფირმა „ბანდირ ინშაატ ტურიზმ ტიჯარეთ ვე სანია ა.შ.“ წარმომადგენელმა სარჩელით მიმართა თბილისის მთავმინდის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 23 აპრილს აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

თბილისის მთავმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 10 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოსარჩელეს დაეკისრა დღგ-ს სახით 25 564 ლარის და ბიუჯეტში კუთვნილი გადასახადიდან 76 439 ლარი — სულ 92 003 ლარის გადახდა. აღნიშნული თანხის დაკისრების ნაწილში 1996 წლის 23 აპრილის აქტი ცნობილი იქნა კანონიერად, დანარჩენ 9 030 119 ლარის დაკისრების ნაწილში 1996 წლის 23 აპრილის აქტი ცნობილი იქნა ბათილად და მოსარჩელე 9 030 119 ლარის გადახდისაგან, როგორც უკანონოდ დაკისრებულისაგან, გათავისუფლდა, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად: რომ „ბანდირმა“ ბათუმის საზღვაო-საევატრო პორტში 5-ჯერ შემოიტანა ბენზინი, 1995 წლის 25 აგვისტოს მოსარჩელესა და ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას შორის

დაიდო ხელშეკრულება. ასევე მოსარჩელესა და ბათუმის სამუდამო-  
კომერციულ საწარმოსთან 1995 წლის 29 ნოემბერს ბენზინის  
გადმოტვირთვა შენახვის შესახებ, რომ „ბანდირის“ მიერ საბაჟო  
სატვირთო დეკლარაციები შემოტანილ ბენზინზე გაფორმებულაა  
საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის №47 დებულების „საბაჟო  
საწყოების შესახებ“ №4 დანართის შესაბამისად, რაც დასტურდება  
ქბათუშის საბაჟოს უფროსის გ. შევარდნაძის №1-16-157 წერილით.  
სასამართლომ დადგენილად მიიჩნია რომ მოსარჩელემ ტვირთი მოათავსა  
საბაჟო საწყოების რეჟიმში საბაჟო ორგანოს თანხმობით, ხოლო საბაჟო  
საწყოები დაარსებული იქნა საბაჟო ორგანოს მიერ და ამდენად, საბაჟო  
საწყოების დებულების 2.1 პუნქტის შესაბამისად, ლიცენზირება არ  
მოეთხოვება, საქონელი გაიყიდა საბაჟო საწყოების საბაჟო რეჟიმთან და  
გაიშვა თავისუფალ მიმოქცევაში, რაზედაც გაფორმებული იქნა  
საიმპორტო-სატვირთო-საბაჟო დეკლარაციები, რისთვის გრაფიკში  
„მიმღები იმპორტიორი“ მითითებულია შემოსენი სხვადასხვა იურიდიული  
და ფიზიკური პირები, რომლებიც ანსტრუქციის 2.4. პუნქტის თანახმად  
თავადვე ითვლებიან 10% ნატურალური გადასახადის გადამხდელად,  
ვამონაკლისს წარმოადგენს საქართველოს საპატრიარქოს საგარეო-  
ეკონომიკური ვაწყოფილება, რომელიც 1995 წლის 5 აპრილის კანონის  
„საქართველოს საპატრიარქოს სახელმწიფო ბიუჯეტებში  
გადასახადებისაგან განთავისუფლების შესახებ“ მე-2 მუხლით  
გათავისუფლებულია ნატურალური გადასახადისაგან. 8700841 კვ.  
ბენზინი წარმოადგენს საპატრიარქოს საკუთრებას, რომელმაც მისი  
რეალიზაცია ვერ მოახდინა სავადასახალო ანსპექტის წერილის გამო  
(იხ.ს.ფ. 179) შესაბამისად, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია  
მოსარჩელეზე 2 070 084 ლარის გადასახადის დაკისრება. სასამართლომ  
უკანონოდ მიიჩნია მოსარჩელეზე 810499 აშშ დოლარის (1.019 608  
ლარის) დაკისრება, ვინაიდან თანხა მოსარჩელისაგან გაიკა სხვადასხვა  
ფიზიკურ პირებზე, რაზეც გამოწერილია სალაროს გასვლის ორდერები,  
რა დროსაც პასუხისმგებლობა გადაეცა თანხის განმკარგავ პირებზე და  
მოსარჩელე ამაზე პასუხს არ აგებს. სასამართლომ ასევე გაიზიარა  
მოსარჩელის პოზიცია „მუშაკთა ღირებულების შესახებ“ კანონის 26-ე  
მუხლის, სახელმწიფო მეთაურის 06.01.95 წ. 31 ბრძანებულების მე-7  
პუნქტის მოსარჩელის ქმედებასთან მიუსადაგებლობის ნაწილში და  
ჩათვალა რომ საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მიერ  
საზღვარზე ნაღდი თანხის დეკლარირების ვარაუდით გატანის ფაქტი;  
სასამართლომ მიიჩნია რომ პრეზიდენტის 1996 წლის 23.09. №627

ბრძანებულების „1996 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტში ვადაგადაცილებულ დავალიანებათა ჩამოწერისა და რესტრუქტურისაციის შესახებ“ მე-4 პ.-ის თანახმად „ბაინდირს“ უნდა ჩამოწეროდა ფინანსური სანქციების მიყენების შედეგად (1996 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სანქცია, საურავი, ჯარიმა) ვადაგადაცილებული დავალიანებები, რაც არ გავრცელებულა 4 048 977 აშშ დოლარზე; სასამართლომ ჩათვალა რომ ამავე ბრძანებულების თანახმად სანქციები მიჩნეულ იქნა ანტიკონსტიტუციურად, რის გამოც მოსარჩელეს უნდა ჩამოეწეროს 758 240 აშშ დოლარი (იხ.ს.ფ.183), ამავე ბრძანებულების თანახმად მოხსნას ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადების დაკავების და ბიუჯეტში ჩარიცხვის თაობაზე „ბაინდირი“-სათვის დაკისრებული 1 182 ლარი. ასევე „საგზაო ფონდში“ 48 671 ლარის გადახდის ვალდებულება იგივე ბრძანებულების თანახმად მოხსნილი იქნა. (იხ.ს.ფ.184) სასამართლო გადაწყვეტილებით ღიად იქნა დატოვებული მოქ. კილურაძესთან 54 000 აშშ დოლარის და ბათუმის კომერციულ ბანკ „აბს“-თან 547 340 აშშ დოლარის დავის საკითხი და მოსარჩელეს დარჩა უფლება ქვემდებარებისამებრ დამოუკიდებელი დავისა, ასევე დარჩა ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ დაყადაღებული და კონფისკაციაქმნილი 8700841 კვ. ბენზინის დავის საკითხი.

აპელანტი აჭარის ა/რ საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტი მოითხოვს გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებას შემდეგი მოტივებით. რომ საქმე განხილულია საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევებით, სასამართლომ ასევე, არასწორი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ: სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 7 მარტის №67 ბრძანებულების თანახმად ბენზინის იმპორტიორი ფიზიკური და იურიდიული პირი ყველა სახის გადასახადის ნაცვლად იხდის ნატურალურ გადასახადს 10%-ის ოდენობით, ყირმა „ბაინდირის“ ბათუმის წამომადგენლობამ გადასახადის თავედან არიდების მიზნით საბაჟო დეკლარაციები გააფორმა არ არსებული საბაჟო საწყობის რეჟიმით, სასამართლოს მსჯელობა კი საბაჟო საწყობის არსებობის თაობაზე მიიჩნიათ უკანონოდ, რადგან საქმეში არ მოიპოვება დოკუმენტი საბაჟო საწყობის დაარსების თაობაზე. აპელანტი უთითებს რომ სასამართლო არასწორად იყენებს საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 23.09 №627 ბრძანებულებას, ვინაიდან 1996 წლის 23 აპრილის აქტის შედგენისას ეს აქტი (პრეზიდენტის ბრძანებულება №627) საერთოდ არ არსებობდა. (იხ.ს.ფ. ტ. 194-203) აპელანტი ითხოვს სააპელაციო სასამართლოს მიერ

მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ფირმა „ბაინდირის“ სარჩელი არ დაკმაყოფილება.

მოწინააღმდეგე მხარე ფირმა „ბაინდირის“ წარმომადგენელმა არ ცნო სააპელაციო საჩივრის მოტივება და აღნიშნა წარმოდგენილ შეპასუხებაში რომ სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დატყუვდა საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები (იხ.ს.ფ. 3 ტ.1) სარჩელი დაკმაყოფილებულია და სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც კანონიერი უნდა დარჩეს უცვლელად.

*სააპელაციო სასამართლომ განიხილა რა საქმის მასალები, მოუსმინა მხარეთა ახსნა-განმარტებებს, შეფასება მისცა საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს, საქმის სასამართლო განხილვით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აჭარის ა/რ საგადასახადო დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი საფუძვლიანია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/140 და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება, სარჩელი არ დაკმაყოფილდეს შემდეგ ვარებობათა გამო:*

გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლოს მიერ დარღვეულია სამოქალაქო საქართველოს საპროცესო ნორმები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 394-ე მუხლის პ.ე) მოთხოვნები. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა; არასწორად განმარტა კანონი; გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის დასაბუთებული. კერძოდ: სასამართლომ დაეის გადაწყვეტისას გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, როცა 1992წ. საბაჟო კოდექსის 64-70 მუხლების თანახმად მიიჩნია რომ „სასაწყობო რეჟიმით შემოსული ტვირთი იმყოფება საბაჟოს კონტროლზე და გადასახადს არ იხდის (იხ. ს.ფ. 178) მაშინ როცა საქართველოს 1992 წლის 21 ოქტომბრის საბაჟო კოდექსის 64-70 მუხლები ითვალისწინებს საქონლისა და სხვა საგნების შენახვას საბაჟო კონტროლის ქვეშ, არავითარი კავშირი საბაჟო-სასაწყობო რეჟიმთან მითითებულ ნორმებს არა აქვთ, მეტიც, აღნიშნული კოდექსი ისეთ ცნებას, როგორცაა „საწყობის რეჟიმი“ საერთოდ არ ითვალისწინებს.

სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 208-ე, 239-ე, 241-ე, 261-ე მუხლები, როცა მიიჩნია რომ მოპასუხის მხრიდან დატული არ ყოფილა

აწინააღმდეგო ნორმების მოთხოვნები (იხ.ს.ფ.181-182) და რომ თავიანთ ქმედებაში უნდა ეხელმძღვანელოთ სასკოის 153<sup>1</sup> მუხლით, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროტოკოლარული კოდექსის მე-10 მუხლში განმარტებულია ადმინისტრაციული საპროტოკოლარული კოდექსის ცრება, ამ კოდექსით გათვალისწინებული საპროტოკოლარული კოდექსისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის „დაკისრების შემთხვევები, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნები "ს ა ს კ"-ის დებულებით გამოყენების თაობაზე იურიდიულად დასაბუთებული არ არის.

აგრეთვე, სასამართლომ დავის გადაწყვეტისას არაერთგზის და ამასთანავე, არასწორი ინტერპრეტაციით, გამოიყენა პრეზიდენტის 1996 წლის 23 სექტემბრის №627 ბრძანებულება ბიუჯეტში „ვადგადაცილებულ დავალიანებათა ჩამოწერისა და რესტრუქტურისაციის შესახებ“, რომელიც არ უნდა გამოყენებინა იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ აქტი შედგა 1996 წლის 23 აპრილს, რომლის ბათილად ცნობაც მოითხოვა მოსამართლემ და ნათელია რომ აქტის შემდგენლები 6 თვის შემდეგ მიღებულ ნორმატიულ აქტს ვერ გაითვალისწინებდნენ.

პრეზიდენტის 1999 წლის 23.09. №627 ბრძანებულების მე-4 პუნქტით საწარმოებსა და ორგანიზაციებს ჩამოეწერათ ბიუჯეტში ვადგადაცილებული დავალიანებები, რომლებიც გამოწვეულია ფინანსური სანქციების (სანქცია, ჯარიმა, საურავი) მიყენების შედეგად, 1996 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. მოკუმულ პუნქტს პრეზიდენტის 1996 წლის 23 დეკემბრის №851 ბრძანებულებით ბოლოში დაემატა სიტყვები: „მიუხედავად შემოწმების ჩატარების პერიოდისა“.

მოსარჩელე აღნიშნული ბრძანებულების საფუძველზე უთითებს სარჩელში რომ აქტით მასზე დაკისრებული სანქცია-საურავები ექვემდებარება ჩამოწერას, რაც უკრიტიკოდ იქნა გაზიარებული სასამართლოს მიერ, იმდენად რომ მთელ რიგ შემთხვევებში სრულებით არ იქნა განხილული და შესაბამისად არც დასაბუთებული აქტით დარიცხული თანხების კანონიერება-უკანონობის საკითხი, პირდაპირ დაქვემდებარებულია ჩამოწერას, ასევე დაუსაბუთებლად. აღსანიშნავია, რომ სანქცია-საურავებთან დაკავშირებით პრეზიდენტის №627 ბრძანებულების გაერცვლების თაობაზე აჭარის ა/რ საგადასახადო დეპარტამენტმაც აღნიშნა თავის სააპელაციო საჩივარში და მიუთითა რომ პ. №627 ბრძანებულების შესაბამისად „ბაინდირს“ ჩამოეწერა მასზე დარიცხული თანხები და ამდენად დავის საგანი არ არსებობდა (იხ.ს.ფ.



202), თუმცა იქვე უთითებს რომ 1996 წლის 1 იანვრამდე დარიცხული გადასახადისა და ფინანსური სანქციების ის თანხები, რომლებიც უკვე ჩარიცხული იყო ბიუჯეტში, ჩამოწერას და გადაედებას არ ექვემდებარებოდა.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, უარი თქვას სარჩელზე ან ცნოს სარჩელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, ამავე კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას სასამართლო საქმის გარეობებს იკვლევს თავისი ინიციატივით, აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ უნდა იქნეს გაზიარებული მხარეთა მოსაზრება აღნიშნულზე და თელის რომ მოცემული ბრძანებულება ვერ გავრცელდება ფირმა „ბინდიორზე“ 1996 წლის 23 აპრილის აქტით დაკისრებულ გადასახადებზე (სანქცია, საურავი, ჯარიმა) ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლით დადგენილია, რომ საქართველოში „გადასახდების და მოსაკრებლების სტრუქტურას, შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტით „გადასახდებისაგან გათავისუფლება, აგრეთვე სახელმწიფო ხაზინიდან ხარჯის გაღება დასაშვებია მხოლოდ კანონით“. კონსტიტუცია ბიუჯეტის წყაროების სტაბილურობის უზრუნველყოფის და გაკონტროლების ეფექტურობის მიზნით ამ დებულებით მხოლოდ კანონს და მამასადამე პარლამენტს აკუთვნებს პრიორიტეტს დაადგინოს გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურა, შემოღების წესი და ასევე, მხოლოდ კანონით მიაჩნია დასაშვებად გადასახადებისაგან გათავისუფლება და სახელმწიფო ხაზინიდან ხარჯის გაღება. კონსტიტუციით საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმად დამკვიდრებულია დემოკრატიული რესპუბლიკა. წყობილების ეს ფორმა გულისხმობს რომ სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრნობით. (მუხლი პ.4).

კონსტიტუციის 94-ე მუხლის ეს დებულება განმტკიცებული იქნა საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონით „ნორმატიული აქტების შესახებ“, რომლის მე-10 მუხლის თანახმად მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით შეიძლება განისაზღვროს პ.ვ) საქართველოში მოქმედი გადასახადებისა და მოსაკრებლების სახეები, სტრუქტურა, ოდენობა, მათი შემოღებისა და გადახდის წესი. ვინაიდან პრეზიდენტი კონსტიტუციის 73-3 მუხლის კ) პუნქტით ბრძანებულებებს

და განკარგულებებს გამოსცემს კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე. პრეზიდენტის ბრძანებულება წარმოადგენს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს. პრეზიდენტის 1996 23.09. №627 ბრძანებულება „1996 წლის I იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტში ვადაგადაცილებულ დავალიანებათა ჩამოწერის და რესტრუქტურიზაციის შესახებ“ არ შეესაბამება კონსტიტუციის 94-ე მუხლით დადგენილებას, ვინაიდან „ბიუჯეტში ვადაგადაცილებულ დავალიანებათა ჩამოწერა“ სხვა არაფერია, თუ არა გადასახადებისაგან გათავისუფლება. კონსტიტუციის მე-9 მუხლით საქართველოს კონსტიტუცია აღიარებულია, როგორც უზენაესი კანონი, ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. აღნიშნული დებულება კონსტიტუციის სრულ თვითდამკვიდრებას უზრუნველყოფს.

აღსანიშნავია ის გარემოება რომ კონსტიტუციის 94-ე მუხლის შესაბამისად, 1998 წლის 5 მარტს მიღებული იქნა კანონი „საგადასახადო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს საწარმოთა ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის (და არა ჩამოწერის, რაც პრინციპულად სხვაა) ზოგად პრინციპებს. კანონის მე-3 მუხლით დადგენილია ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის საკითხის განსახილველად ფინანსთა სამინისტროსთან შექმნილი კომისიაში საწარმოს (ხელმძღვანელის) მიმართვის და საკითხის განხილვის ვადები და წესები. მითითებულ კანონს 1999 წლის 22 ივნისის კანონით დაემატა 6<sup>1</sup> მუხლი, რომლის თანახმად, 1998 წლის I იანვრის მდგომარეობით არსებულ ვადაგადაცილებულ დავალიანებებზე რესტრუქტურიზაციის რეჟიმში მუშაობის დაწყებამდე დარიცხული საურაეების გადასდა განეკადოთ იმ საწარმოებს, რომელთა მიმართ პრეზიდენტის ბრძანებულებებით, ამ კანონის ძალაში შესვლამდე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურიზაციის შესახებ, რაც ასევე ვერ გავრცელდება მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის დავალიანებებზე, ვინაიდან ფირმა „ბაინდირის“ მიმართ ამ კანონის ძალაში შესვლამდე პრეზიდენტის ბრძანებულებით არ ყოფილა მიღებული გადაწყვეტილება ფირმის რესტრუქტურიზაციის შესახებ. როგორც საქმის სასამართლო განხილვით გამოიკვია თურქეთის ფირმამ დახურა ბათუმის წარმომადგენლობა „ბაინდირი“ და ის აღარ ფუნქციონირებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდენტის 1996 წ. 23.09. №627 ბრძანებულების გამოყენება მოცემულ საქმეზე, მით უფრო მისი არასწორი ინტერპრეტაციით, კონსტიტუციური ნორმების და დებულების უგულებელყოფას ნიშნავს. მით უმეტეს, სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა აღნიშნული ბრძანებულება-აქტის თანახმად, საგზაო ფონდის გადასახადის სახით დაკისრებულ 70 129 ლართან დაკავშირებით მსჯელობისას, საიდანაც ფინანსური სანქცია შეადგენს 48 676 ლარს, როცა მიიჩნია, რომ პრეზიდენტის №627 ბრძანებულებით მოსარჩელეს სანქციები ჩამოეწერა, მაშინ როცა პ. №627 ბრძანებულება ითვალისწინებს ბიუჯეტში გადაგადაცილებულ დაკალიანებათა ჩამოწერას, ხოლო საგზაო ფონდი „საქართველოს 1995 წლის 2 სექტემბრის კანონის „საგზაო ფონდის შესახებ“ I მუხლის I პუნქტის თანახმად ეს შემოსავალი არის არასაბიუჯეტო საგზაო ფონდი, მას აქვს მიზნობრივი დანიშნულება. ხოლო მე-3 მუხლით განსაზღვრულია საგზაო ფონდის მიზნობრივი არასაბიუჯეტო სახსრების შექმნა მუხლის I-რ პუნქტებით დადგენილი წყაროების ხარჯზე, ხოლო ის რომ კანონის მე-9 მუხლით საგზაო ფონდში სახსრების ამოღებას, აღრიცხვას და კონტროლს სხვა ორგანოებთან ერთად ახორციელებს საგადასახადო სამსახური, ბუნებრივია რომ საგზაო ფონდის გადასახადებს არ მიაკუთვნებს საბიუჯეტო გადასახადებს და პ.№627 ბრძანებულების გამოყენებით მოსარჩელის გათავისუფლება 48 676 ლარის გადახდისაგან უკანონოა.

სასამართლომ გადაწყვეტილების გამოტანისას არ გამოიყენა ნორმა, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კერძოდ, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის 1995 წლის 31 იანვრის №16 ბრძანებით დამტკიცებული დებულების „საბაჟო საწყობის შესახებ“ მე-8 თავი, მათ შორის 8.6. პუნქტი და ამასთან არასწორად განმარტა მოცემული დებულების მთელი რიგი ნორმები.

სასამართლომ არასწორად განმარტა სახელმწიფო მეთაურის 1993 წლის №260 ბრძანებულების მე-4 პუნქტი (იხ.ს.ფ.183) ამასთან, აღსანიშნავია რომ სასამართლო არაზუსტად უთითებს №260 ბრძანებულებას, ვინაიდან სახელმწიფო მეთაურის 1993 წლის 14 დეკემბრის №260 ბრძანებულებით სახელმწიფო მეთაურის 1993 წლის 29 ნოემბრის №240 ბრძანებულების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, ხოლო სახ.მეთაურის „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ფულად-საკრედიტო რეგულირების ზოგიერთი საგანგებო ღონისძიების შესახებ“ ბრძანებულების შესაბამისად 1994 წლის 1

მარტამდე დროებით აიკრძალა იურიდიულ პირებს შორის ნაღდ ფულზე ანგარიშსწორება. რაც არ გავრცელებულა ნავთობპროდუქტებზე ანგარიშსწორებისას. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს გამონაკლისი გავრცელდა 1 მარტის შემდეგაც. თუმცა 1994 წლის 24 იანვრიდან მოცემულ საკითხს აწესრიგებდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 24 ივნისის №394 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის მმართველობის ორგანოებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სალარო-მეურნეობის გაძღოლის შესახებ“.

აგრეთვე, არასწორად განმარტავს კანონს სასამართლო, როცა უთითებს, რომ პრეზიდენტის 1996 წ. 23.09 №627 ბრძანებულება წინ უსწრებდა საქართველოს ეროვნული ბანკის 20.07.1996 №52 ბრძანებით შემუშავებულ „საწარმო-დაწესებულებებში სალარო მეურნეობის შესახებ“ წესს და რომ აღნიშნულმა წესმა „ამოავდო მოქმედებიდან“ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994წ. 24.06. №394 დადგენილების 4.10 პუნქტი, სასამართლოს აღნიშნული დასკვნები სრულად უზუსტო და ალოგიკურია.

აგრეთვე, არასწორია როცა სასამართლომ მიუთითა, რომ პრეზიდენტის 23.09. №627 ბრძანებულებით „მთელი წინა პერიოდის სანქციები მიჩნეულ იქნა ანტიკონსტიტუციურად“ (იხ.ს.ფ.183), მაშინ როცა მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის დადგენილებები ძალადაკარგულად ჩაითვალა (რასაც სააპელაციო სასამართლოს შეფასებით უნდა გულისხმობდეს სასამართლო) არა პრეზიდენტის №627 (რომელიც სულ სხვა თემას ეხება) არამედ პრეზიდენტის 1996 წლის 14 ოქტომბრის №627 ბრძანებულებით მათ შორის მინისტრთა კაბინეტის 1994წ. 24.06. №394 დადგენილება ჩაითვალა საქართველოს კონსტიტუციის 108-ე მუხლის II ნაწილის (უნდა იყოს 106 მუხლის II ნაწილის) შესაბამისად ძალადაკარგულად და არა ანტიკონსტიტუციურად. ამ ორ ტერმინს შორის პრინციპული სხვაობა.

სრულად დაუსაბუთებელია სასამართლოს მსჯელობა მოსარჩელის მიერ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადების დაცვის თაობაზე, იმ საფუძველით რომ „წარმოდგენილი დოკუმენტებით დამტკიცებულია რომ მხარეთა შორის მოლაპარაკებები საკითხის სასამართლოს გარეშე მოგვარებისათვის მიმდინარეობდა 1997 წლის აპრილის ბოლომდე, და რომ მოსარჩელესა და ბანკ „ABS“-ს შორის ბოლო მოლაპარაკება დათარიღებულია 1997 წლის 03.06.-ით (იხ.ს.ფ. 186) მაშინ როცა საქართველოს 1993 წლის 21 დეკემბრის კანონის „საგადასახადო

სისტემის საფუძვლების შესახებ“ მე-18 მუხლის მე-6 პუნქტით ბიუჯეტში ზედმეტად ან არასწორად ჩარიცხული გადასახადებისა და სხვა გადასახადების თანხების დაბრუნებაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა საწარმოებისათვის ერთი წელია. ფიზიკური პირებისათვის კი სამი წელი ამ თანხების ბიუჯეტში ჩარიცხვის დღიდან. სასამართლოს არ გამოუკვლევია იყო თუ არა ამ კანონით დადგენილი ვადები დაცული. ან როდის მოხდა მოსარჩელეზე დაკისრებული თანხების ჩარიცხვა ბიუჯეტში.

სააპელაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს გადაწყვეტილებაში მოთხოვნილს (იხ.ს.ფ. 185) იმის თაობაზე, რომ „სასამართლომ მოპასუხეთა სატელეფონო ზარის გამო შეწყვიტა 1999 წლის 4 მაისის სსდომა მოცემულ საქმეზე და დამატებით ტელეგრამების მეშვეობით შეატყობინა მათ პროცესის გაგრძელების საათი და თარიღი, აღნიშნული ფაქტი დაფიქსირებულია სასამართლო სსდომის ოქმშიც (იხ.ს.ფ.171) მხოლოდ სხვა ვერსიით, აქ მოსამართლეს ურეკავენ საქართველოს უზენაესი სასამართლოდან. სასამართლო კოლეგია შეფასებას აძლევს რა ზემოაღნიშნულს, თქლის რომ ეს ფაქტი არ შეესაბამება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ სასამართლოში საქმეთა განხილვის წესს.

აგრეთვე, სასამართლო კოლეგია მიუთითებს იმ გარემოებებზეც, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაში არაერთხელ აღრეულია გამოყენებული ნორმატიული აქტების დასახელება, მათი მიღების თარიღი, მაგალითად გადაწყვეტილებაში მითითებულია 1995 წლის 5 აპრილის კანონი „საქართველოს საპატრიარქოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ“, მაშინ როცა ასეთი კანონი 1994 წლის 17 თებერვლით თარიღდება (იხ.ს.ფ. 179) აგრეთვე, სასამართლო უთითებს პრეზიდენტის №162 ბრძანებას „საურაევების გაყინვის შესახებ“ (იხ.ს.ფ. 183) თარიღის გარეშე, მაშინ როცა ბუნებაში არსებობს მხოლოდ პრეზიდენტის 1996 წლის 11 თებერვლის №162 ბრძანებულება, რომლის მე-7 მუხლი უთითებს საწარმოთა და ორგანიზაციათა საჯარიმო სანქციების შედეგად დაგროვილი თანხების გაყინვის თაობაზე, შემდეგი სათაურით: „საქართველოს ეკონომიკის ფუნქციონირების 1995 წლის ძირითადი შედეგებისა და უახლოესი ამოცანების შესახებ“. აღნიშნული ბრძანებულების მე-7 მუხლი სრულებით არ გულისხმობს რომ 1996 წლის 1 იანვრიდან აღარ მოხდეს საწარმოებზე საურაევების დარიცხვა, თანხების გაყინვა ეხება 1996 წლის 1 იანვრამდე უკვე დაგროვილ თანხებს. აგრეთვე, გადაწყვეტილებაში მრავლადაა გაუგებარი და ბუნდოვანი მსჯელობები

(იხ.ს.ფ.175, 177, 179). ბუნდოვანია ასევე, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიითითებული „ბიუჯეტში კუთვნილი გადასახადიდან 76 439 ლარის“ მოსარჩელესათვის გადახდის დაკისრების თაობაზე (იხ.ს.ფ. 187). გაუგებარია საიდან აიღო ან რას გამოაკლო სასამართლომ აღნიშნული თანხა, ამ საკითხს ვერც სააპელაციო სასამართლო სხდომაზე გამოკვლევისას მოეფინა ნათელი, ასევე გაუგებარია სასამართლოს მსჯელობა და გადაწყვეტილება მოქალაქე კილურამესთან 54 000 აშშ დოლარის და ბათუმის კ.ბ-თან „ABS“ 547 840 აშშ დოლარის დავის საკითხის ღიად დატოვების თაობაზე, მაშინ როცა აღნიშნული პირების მიმართ, სარჩელი წარდგენილი არ ყოფილა და სასამართლო არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა აღნიშნულზე.

*სასამართლო კოლეგიამ საქმეში არსებული მტკიცებულებების გაანალიზების და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად დადგენილად მიიჩნია შემდეგი.*

თურქეთის ფირმა „ბაინდირ ინშაატ ტურიზმ ტიჯარეთ ვე სანია“, ბათუმის წარმომადგენლობა „ბაინდირი“ კ.ბათუმის საგადასახადო ინსპექციაში 1995 წლის 21 სექტემბრიდან აყვანილია აღრიცხვაზე.

1996 წლის 23 აპრილის შემოწმების აქტი ეხება „ბაინდირი“-ს საქმიანობის 1995 წლის 21.09.-1996 წლის 1 აპრილამდე პერიოდს, რა დროსაც ამავე აქტის თანახმად, ფირმას ზუთჯერ შემოტანილი აქვს საქართველოში ნავთობპროდუქტები და ერთხელ პურის ფქვილი, 1996 წლის 1 იანვრამდე ფირმა „ბაინდირს“ შემოტანილი აქვს ბათუმში ბენზინი ორი გემით „ჰანეგა“ და „კარინა“, სულ 9 549 018კგ. და პურის ფქვილი 886 200კგ. ამ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხის შემოწმება ჩატარებული აქვს ბათუმის საგადასახადო ინსპექციას, რომელიც დამთავრდა 1996 წლის 6 თებერვალს, რომლის თანახმადაც ფირმას ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა უცხოურ ვალუტაში უკანონო შემოსავალი 4 048 977 აშშ დოლარი და კუთვნილი გადასახადები სანქციებით 811 804 ლარი, ფირმის წარმომადგენლებმა პრეტენზია გამოხატეს და უარი განაცხადეს აქტზე ხელის მოწერაზე. მათ მიერ გამოთქმულია შენიშვნებზე (რაც შეეხებოდა ბენზინზე 10% ნატურით გადასახადს) 1996 წლის 28.03. ბათუმის საგადასახადო ინსპექციამ პრეტენზიები მიიჩნია უსაფუძვლოდ და ძალაში დატოვა შემოწმებით გამოვლენილი შედეგები (იხ.ტ. 1993 წ. 23 აპრილის აქტი, დანართი №4), რის შემდეგაც საგადასახადო ინსპექციამ 1996 წლის 29 მარტს წარადგინა საინკასო

დავალდებები „ბაინდიროს“ ანგარიშსწორების ანგარიშიდან ბიუჯეტში თანხების ამოღების შესახებ, ამ დროისათვის ფირმას გააჩნდა ბანკში საკალუტო ანგარიშზე 799613 აშშ დოლარი და 1534 ლარი, ბანკს მიეცა მითითებები ანგარიშზე თანხების დაყვადების შესახებ. (იხ.ტ.აქტი დანართი №5), ხოლო ბათუმის საშუამავლო საწარმოში შენახული „ბაინდიროს“ ბენზინის ნაშთი შეადგენდა 8357959 კგ-ს. (იხ.დანართი 6), რომლის გაყემა „ბაინდიროს“ შემოწმებასთან დაკავშირებით შეჩერებული იქნა (იხ.დანართი 7) ვინაიდან თავის პროტესტებში ფირმა „ბაინდიროს“ ხაზს უსვამდა ბათუმის საბაჟო საწყობის რევიმზე ტვირთის მოთავსებას, რის გამოც იგი არ უნდა დაბეგრულიყო 10% ნატურით გადასახადით, აჭარის ა/რ საგადასახადო ინსპექციის მიერ დამატებით იქნა ფირმის მუშაობა შემოწმებული, ხოლო შემოწმების პერიოდი გაიხარდა 1996 წლის 1 აპრილამდე. შემოწმების შედეგად შედგენილი იქნა 1996 წლის 23 აპრილის აქტი, რომლის საფუძველზეც ფირმა „ბაინდიროს“ ბიუჯეტში გადასახდელად დაეკისრა შემდეგი თანხები:

დღგ-64 845 ლარი, აღნიშნული თანხა დაკისრებულია შევიცარიიდან 1995 წლის 10 ოქტომბერს „ბაინდიროს“ მიერ მიღებული პურის ფქვილზე 886,2 ტ.მოცულობით, რომლის ფასი სადეკლარაციო ღირებულებით შეადგენს 232 184 აშშ დოლარს. გადაყვანილი ლარებში უდრის 301 839 ლარს (იხ.აქტი გვ.18). ამ პროდუქციაზე ბათუმის საბაჟოზე გადახდილია დღგ-30 184 ლარი და საბაჟო პროცედურების 603,68 ლარი. რეალიზაციის ღირებულებამ ლარზე გადაანგარიშებით შეადგინა 329555 ლარი, აქტის თანახმად (გვ.19), ფქვილის რეალიზაციისას დარღვეული იქნა საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 24 დეკემბრის კანონის „დღგ“-ს შესახებ მე-4 მუხლის პ.12-ის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც აღნიშნულ ოპერაციებზე უნდა დარიცხულიყო დღგ გაყიდვის ფასსა და მომწოდებლისათვის გადახდილ ფასს შორის სხვაობიდან დღგ-ს ჩათვლით. საგადასახადო ინსპექციამ მიიჩნია რომ გაანგარიშებულ თანხას არასწორად დააკლდა საბაჟოზე გადახდილი დღგ 30 134 ლარი, რომლის მიხედვითაც ბიუჯეტიდან უკან ასანაზღაურებელმა თანხამ შეადგინა 25 564 ლარი, აღნიშნული თანხა ჩაითვალა დამალულად, რის გამოც ფირმას დაერიცხა ჯარიმა იგივე ოდენობით-25 564 ლარი, 10%-2556 ლარი ანგარიშის დაგვიანებით წარმოდგენისათვის და საურავი-0,5%-ის ოდენობით 11 161 ლარი, სულ 64 845 ლარი. სასამართლომ ჩათვალა, რომ ფირმას უნდა დაეკისროს მხოლოდ 25 564 ლარი, რაც თავად მოსარჩელემ სცნო, პრეზიდენტის 1996 წლის 23.09 №627 ბრძანებულების შესაბამისად.

სააპელაციო სასამართლომ შეაფასა რა 1996 წლის 23 აპრილის აქტის კანონზომიერება დღგ-ს დაკისრების ნაწილში, მიიჩნია, რომ სასამართლოს დასკვნა დღგ-ს დაკისრების არასწორად მიჩნევის შესახებ დაუსაბუთებელი და არასწორია. პრეზიდენტის 1996 წ.23.09. №627 ბრძანებულების გამოყენების თაობაზე (იხ.აქვე გვ.9-12). ს.ფ.185-186. რაც შეეხება დარიცხვის კანონიერებას. საქართველოს 1993 წლის 21 დეკემბრის კანონის „დღგ“-ს შესახებ მე-4 მუხლის 12 პუნქტის მიხედვით „საწარმოების მიერ სავაჭრო ოპერაციების განსორციელებისას დასაბეგრ თანხად ითვლება სხვაობა მათი რეალიზაციის ფასსა და მომწოდებლისათვის გადახდის ფასს შორის, დღგ-ს თანხის ჩათვლით, რაც „ბაინდირის“ მიერ დარღვეული იქნა, ვინაიდან დღგ გადაანგარიშებული იქნა ვაყიდვის ფასსა და მომწოდებლისათვის გადახდილ ფასს შორის სხვაობიდან, რასაც თავად მოსარჩელეც აღიარებს.

1. ბენზინის შემოტანაზე ნატურით გადასახადი -2070084 ლარი.

საქმეში არსებული დოკუმენტებით დადგენილია, რომ ფირმა „ბაინდირი“-ს ბათუმის წარმომადგენლობა „ბაინდირმა“ საქართველოში შემოიტანა 26 696 365 კგ.ბენზინი, რეალიზაციის მიზნით. შემოტანა განხორციელდა 5-ჯერ შემდეგი გეგმებით: 1. 20.09.1995წ. თბომავალი „პანევა“ სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია №2353 ნავთობპროდუქტი-4702727 კგ.

2. 02.11.1995წ. თბომავალი „კარინა“ სს დეკლარაცია №2649 ნავთობპროდუქტი-4846291 კგ.

3. 01.12.1995წ. თბომავალი „ბატოვა“ სს დეკლარაცია №4741 ნავთობპროდუქტი-4589011კგ.

4. 11.01.1996წ. თბომავალი „საეტა“ სს დეკლარაცია №081 ნავთობპროდუქტი-4917951 კგ.

5. 25.01.1996წ. თბომავალი „სეაფორტუნი“ სს დეკლარაცია №176-№177 ნავთობპროდუქტი-7540384 კგ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მითითებული დეკლარაციებით პირველ 2 შემთხვევაში ტვირთვის გამომგზავნად დაფიქსირებულია „ბაინდირ ინშაატ ტურიზმ ტიჯარეთ ვე სანაია“ თურქეთი, მესამე შემთხვევაში კი ფირმა „ოილ რეფინერ ლ.ტ.დ.“-ისრაელი. მეოთხე მეხუთე შემოტანაზე კი „პედროლ ექსპორტი მაპოსტი“-რუმინეთი. ტვირთის მიმღებად ხუთივე შემთხვევაში დაფიქსირებულია „ბაინდირი“-ს ბათუმის წარმომადგენლობა, დეკლარაციის პირობით-საბაჟო და



საბიუჯეტო გადახდაზე პასუხისმგებელ პირად მითითებულია „ბაინდირი“-ს ბათუმის წარმომადგენლობა. (იხ.დ.3,ს.ფ.3-7).

სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 7 მარტის №67 ბრძანებულების პირველი მუხლით დაწესდა დროებით, რესპუბლიკის ფარგლებს გარეშად ნავთობპროდუქტების მოწოდებელი იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის ყველა სახის გადასახადის ნაცვლად ნატურალური გადასახდი, შემოტანილი ნავთობპროდუქტების 10%-ის ოდენობით.

მოსარჩელემ მიიჩნია, რომ იგი არ იყო 10% ნატურალური გადასახადის გადამხდელი შემდეგი მოტივით, რომ ნავთობპროდუქტი მის მიერ მოთავსებული იქნა საბაჟო საწყობის რეჟიმში, რაც მითითებული იქნა სს დეკლარაციებში, რომლებზეც მებაჟის მიერ დასმულია დაღმა „აყვანილია კონტროლზე“. დეკლარაციების გრაფა „ვ“ მითითებულია „ტამოყენი სკლად“ და დაძვინებულია საბაჟოს თანამდებობის პირების მიერ, რაც ნიშნავს რომ საბაჟომ აღნიშნული ტვირთი მიიღო საბაჟო საწყობის საბაჟო რეჟიმზე საბაჟო კონტროლის ქვეშ. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის ეს მოსაზრება სასამართლომ სიტყვა-სიტყვით გაიზიარა (იხ.ს.ფ.176) და მიუთითა, რომ ეს საკითხი „1995 წლის ოქტომბრის თვეშივე იყო შეთანხმებული საბაჟოს ხელმძღვანელობასთან და რომ შეთანხმებითვე იქნა შერჩეული „საბაჟო საწყობის“ რეჟიმის ტვირთის გაფორმება, მტკიცდება დეკლარანტ ლომიძის განცხადებით“. მითითებული შორს დგას იურიდიული არგუმენტაციისაგან. უფრო მეტიც, სასამართლომ დადგინილად ჩათვალა რომ „ბაინდირი“-ს მიერ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანასთან და ბათუმის საშუამავლო-კომერციულ საწარმოსთან, 1995 წლის 25.08.და 12.12.დადებული ხელშეკრულებით, რეჟიმის განცხადების გარეშე, ტვირთი ავტომატურად გადავიდა დროებით სასაწყობო შენახვის რეჟიმზე, რასაც საფუძვლად ედო თვით საბაჟოს მიერ წინასწარ გათვალისწინებული პროდუქციის შესანახად ტექნიკური პირობებისა და კონტროლის განხორციელების გათვალისწინებით მოწონებული ბ.ნ. ქარხანა შემოღობილი და დაცული ტერიტორიებით, და შეთავაზებული იქნა საბაჟოს მიერ მოსარჩელისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული საწყობი დაარსა თვით საბაჟო ორგანომ და „საბაჟო საწყობის შესახებ“ დებულების პ.2.1. თანახმად, ლიცენზირება არ მოითხოვება.

სასამართლოს აღნიშნული დასკვნები არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასებიდან და არ შეესაბამება ქვეყანაში მოქმედ საბაჟო კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

სააპელაციო სასამართლომ შეაფასა რა წარმოდგენილი მტკიცებულებები ბათუმში „საბაჟო საწყობის“ არსებობა – არარსებობასთან დაკავშირებით, მიიჩნევს რომ აპელანტის მოსაზრებები და მტკიცებები მოცემულ სადავო საკითხზე გააზრებული უნდა იქნეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1992 წლის საბაჟო კოდექსი საერთოდ არ ითვალისწინებს „საბაჟო საწყობის“ რეჟიმს. ეს საკითხი დარეგულირებული იქნა საბაჟო დეპარტამენტის 1995 წლის 31 იანვრის №16 ბრძანებითადამტკიცებული დებულებით „საბაჟო საწყობის შესახებ“, რომლითაც განსაზღვრული იქნა „საბაჟო საწყობის“ დაარსების ფუნქციონირების და საქონლის მოთავსების წესები, ამასთან მოცემული დებულებით მოწესრიგებულია „საბაჟო საწყობში“ მოთავსებულ საქონელზე საბაჟო გადასახადის გადახდის წესი.

დებულების 2.1. პუნქტის თანახმად, საბაჟო საწყობი შეიძლება დაარსებული იქნეს სახელმწიფო საბაჟო ორგანოს ლიცენზიის არსებობისას. ლიცენზია არ მოითხოვება, თუ საბაჟო საწყობის დამაარსებელია საბაჟო ორგანო. სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება რომ დებულების პირველი შენიშვნით – „მოცემული დებულება არ ვრცელდება საბაჟო ორგანოების მიერ დასაფუძნებელ საბაჟო საწყობებზე“.

საქმის მასალებით არ მტკიცდება რომ ბათუმის საბაჟო საწყობი შექმნილია საბაჟოს მიერ, აჭარის ა/რ ტერიტორიაზე დღემდე არ შექმნილა საბაჟო საწყობი, არც საბაჟო ორგანოს და არც საწარმოების ან სხვა იურიდიული პირების (საწყობის მფლობელი) მიერ, ვინაიდან არ არის გაცემული შესაბამისი ლიცენზია. ის ფაქტი რომ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანასა და ბათუმის საშუამავლო-კომერციულ საწარმოზე საბაჟო ორგანოს „საბაჟო საწყობის“ შესახებ ლიცენზია არ გაუცია, დასტურდება ბათუმის საბაჟოს 1996წ. 11.04. №1-16/140 ცნობით. საწინააღმდეგოს სამტკიცებლად არ გამოდგება ფირმა „ბინდირსა“ და ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანასთან და ბათუმის საშუამავლო-კომერციულ საქმიანობასთან დადებული ხელშეკრულებები, ვინაიდან მოცემულ ხელშეკრულებებში განსაზღვრულია მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებები, ტვირთის შენახვის თაობაზე, სადაც არანაირი მითითება არ არის ამ საწარმოთა სასაწყობო შეურჩეობების „საბაჟო საწყობად“ გამოყენების თაობაზე. თავის მხრივ ამ საწარმოებს არა აქვთ არავითარი ხელშეკრულება ბაიურის საბაჟოსთან, „საბაჟო საწყობების“ შექმნის თაობაზე. ფირმა

„ბაინდირი“ მოითხოვს საწარმოებთან ხელშეკრულებას აფორმებს არა როგორც საბაჟო საწყობთან, არამედ როგორც ტვირთის შემწახველთან.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თვით ეს საწარმოები რომლებიც ხელშეკრულების საფუძველზე ინახავენ „ბაინდირის“ საქონელს, წერილებში ამტკიცებდნენ რომ საწარმოთა მეურნეობა ვერ უზრუნველყოფს იმ ტექნიკურ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია „საბაჟო საწყობის“ დებულებით (იხ. აქტის დანართი №19, №22, №23), და რომ ეს დებულება სრულებით არ ითვალისწინებს ნავთობპროდუქტების და საერთოდ თხევადი ტვირთების გადაზიდვის სპეციფიკას, რის გამოც „საბაჟო საწყობის“ დაარსება ვერ ხერხდება ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში.

სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული წერილები, ვინაიდან მიიჩნია რომ საბაჟო საწყობი დაარსებულია თვით საბაჟო ორგანოს მიერ და ამდენად, ლიცენზიის გაცემა საჭირო არ იყო, რასაც ასაბუთებს შემდეგნაირად რომ: „საბაჟომ საბაჟო კონტროლზე აყვანილ თვითონ ცნობის მიერ შერჩეული საწყობი მის მიერ დაარსებულად.“

აღნიშნული დასკვნისას სასამართლო ხელმძღვანელობს ის დეკლარაციებით, სადაც შესაბამის გრაფაში მითითებულია „საქონლის იმპორტი-საბაჟო საწყობში“ და რომ საბაჟოს ამის თაობაზე პრეტენზია არ აქონია, პირიქით, დეკლარაციები დამოწმებულია მებაჟოს პირადნომრიანი ბეჭდით.

საქმის მასალებით გამოკვეთილია მოსარჩელის ქმედების მიზანი, შესაბამისი მტკიცება სასამართლო სხდომებზე, მათ მიერ იმპორტირებულ ბანზინზე საბაჟო დეკლარაციების გაფორმება არ არსებული საბაჟო საწყობის რეჟიმით და ის ფაქტი რომ საბაჟო საგუშაგოს უფროსი (არაკვალიფიციურობის ძალადი დონით) იმპორტიორის მიერ სს დეკლარაციაში მითითებულ არასწორ მონაცემებს (ამ შემთხვევაში საბაჟო რეჯიმს) საბაჟოს ბეჭდით ადასტურებს, როგორც კანონთან შესაბამისს, მოსარჩელეს არ ათავისუფლებს საბაჟო გადასახადების გადახდისაგან, მით უმეტეს რომ თავისთავად „საბაჟო საწყობის რეჟიმი“ სრულებით არ გულისხმობს რომ საბაჟო გადასახადებს გადამსდელი აღარ იხდის, რამდენადაც, საბაჟო საწყობის არსებობისას დებულების 8.2, 8.3 და 8.6 პუნქტების მიხედვით საბაჟო გადასახადების შეტანაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საბაჟო საწყობის მფლობელს ან პირს, რომელმაც საქონელი მოათავსა საბაჟო საწყობში, რაც კონკრეტულ შემთხვევაში, თუნდაც საბაჟო საწყობის არსებობის შემთხვევაში გავრცელდებოდა მოსარჩელეზე.

არასწორია სასამართლოს მსჯელობა, რომ საბაჟო შეურჩია საბაჟო საწყობის რეჟიმი მოსარჩელეს, საბაჟო კანონმდებლობის თანახმად, იმპორტიორი თავად ირჩევს საბაჟო რეჟიმის სახეს, თავად ავსებს სს დეკლარაციას, ხოლო საბაჟო მხოლოდ მონაცემების სისწორეს ადასტურებს.

სასამართლო ასევე არასწორად განმარტავს საბაჟო დეპარტამენტის 1995 წ. 31.01 №16 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციას „საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთებისათვის სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების გაფორმების შესახებ“. ნავთობპროდუქტების იმპორტიორებისას „ბაინდირის“ სს დეკლარაციებში მე-9 გრაფაში იმპორტიორების ფინანსურ რეგულირებაზე პასუხისმგებელ პირად ყველგან მითითებულია „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობა. სასამართლოს მოსაზრება რომ სს დეკლარაციის მე-9 გრაფაში მითითებული პირი ფინანსური ურთიერთობების დამარეგულირებელია და არა გადასახადების გადამხდელი, უსაფუძვლოა, ვინაიდან სწორედ საბაჟო გადასახადების გადახდაზე პასუხისმგებლობა მოიაზრება სიტყვებში: „იმპორტიორების ფინანსურ რეგულირებაზე პასუხისმგებელი“.

საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ იმპორტირებული ნავთობპროდუქტების ძირითადი ნაწილი—22 995 605კგ. მოსარჩელეს რეალიზებული აქვს საქართველოს საპატრიარქოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის განყოფილებაზე.

1994 წლის 17 თებერვლის კანონის „საქართველოს საპატრიარქოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ“ თანახმად, საქართველოს საპატრიარქო გათავისუფლებული იყო ბიუჯეტში გადასახადების გადახდისაგან.

აქტის თანახმად, არარსებული საბაჟო საწყობის რეჟიმის გამოყენებით, ტვირთის მფლობელად გამოყვანილია საპატრიარქო (გვ.17 აქტი) რათა არ გადახდილიყო 10% ნატურალური გადასახადი, რის გამოც, ფირმამ უკანონოდ ისარგებლა რა საპატრიარქოზე მინიჭებული შეღავათებით, ბიუჯეტს დააკლო საპატრიარქოზე რეალიზებული ნავთობპროდუქტზე ნატურალური გადასახადი.

სასამართლომ დაასკვნა, რომ საბაჟო საწყობის რეჟიმში მოთავსებული ტვირთის თავისუფალ მიმოქცევაში გასელამდე შეიცვალა მისი შესაქურთრე, იგი შეიძინეს სხვადასხვა პირებმა, რომლებიც თავად იყვნენ საბაჟო გადასახადების -10% ნატურალური გადასახადის

გადამხდელი, გამონაკლისს წარმოადგენდა საპატრიარქო, რომელიც გათავისუფლებული იყო აღნიშნული გადასახადისაგან.

სააპელაციო სასამართლოს მანაინა რომ აღნიშნული დასკვნა არ გამოიძინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებიდან, ვინაიდან სასამართლო თავიდანვე არასწორად ასაბუთებს ბათუმში საბაჟო საწყობის არსებობას, მის დაარსებას საბაჟოს მიერ, შესაბამისად, არასწორია მსჯელობა რომ 10% ნატურალური გადასახადის გადამხდელი არის რა „ბაინდირში“ არამედ ბენზინის შემქმენი პირები, რაც რა თქმა უნდა ვერ იქნება გაზიარებული სასამართლო კოლეგიის მიერ, რადგან, თუნდაც საბაჟო საწყობის არსებობისას საბაჟო საწყობის რეჟიმში მოთავსებული ტვირთია გასხვისება კანონმდებლობით დაუშვებელია, ტვირთი ჯერ უნდა იქნეს განბაჟებული იმპორტიორის მიერ, ანუ საბაჟო გადასახადები იქნეს გადახდილი და მხოლოდ შემდეგ გასხვისებული, ვინაიდან აღნიშნული ნაყოფიეროდექტების იმპორტიორი გახლდათ „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობა, რაც დასტურდება შესაბამისი სს დეკლარაციებით (იხ.ტ.3 ს.ფ. 5-8).

ზოლო იმ შემთხვევაში, თუ საქონლის მფლობელი არ იხდის გადასახადებს, პასუხისმგებლობა „საბაჟო საწყობის“ შესახებ დებულების თანახმად, საბაჟო საწყობის მფლობელზე გადადის, რაც მოცემულ შემთხვევაში ვერ განხორციელებულა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგია იზიარებს აქელანტთა მტკიცებას იმის თაობაზე, რომ „ბაინდირმა“ კანონმდებლობის უხეში დარღვევით და მაქინაციებით, ისარგებლა რა საპატრიარქოზე მინიჭებული შეღავათებით, სახელმწიფო ბიუჯეტს დააკლო 2 07 084 ლარი.

აღსანიშნავია, რომ 1996 წლის 14.02. სს დეკლარაციებით №263, №264 და 27.02.1996წ. სს დეკლარაციებით და №323 ფირმამ საპატრიარქოს გადასცა 8700841კგ. ბენზინი, რაზეც არ გაერცვლებულა ნატურით გადასახადი, სს დეკლარაციაში საბაჟოს მიერ დამოწმებული ბეჭდით აღნიშნულია ტვირთის უკვე გაცემის შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ ბენზინი უკვე ჩატვირთულია სატრანსპორტო-საშუალებებში, თუმცა ამასთან ბათუმის საშუამავლო-კომერციულსა საწარმოს 1996 წ. 16.04 ცნობის თანახმად, ფირმა „ბაინდირს“ საწარმოს რეზერვუარებში ნაშთად გააჩნია 8344448 კგ.ბენზინი.

სააპელაციო სასამართლოში საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი იქნა საპატრიარქოს საფინანსო-ეკონომიკური საბჭოს მდივნის წერილი 2000წ. 03.01 სადაც

საპატრიარქო აცხადებს, რომ მათთან არ არსებობს ფირმა „ბაინდირსა“ და საპატრიარქოს (ს ე უ) განყოფილების ურთიერთობის ამსახველ საბუღალტრო საბუთები, რომ ეს განყოფილება გაუქმებულია და მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია არ მოეპოვებათ (იხ.ს.ფ. 305 ტ.1) იგივეს ადასტურებს საპატრიარქოს 28.03.2000წ. №119 წერილი (იხ.ს.ფ. 15 ტ.11) საგადასახადო დეპარტამენტისადმი ზოლო მთავარ სხდომაზე საპატრიარქოს წარმომადგენლებმა განაცხადეს რომ საპატრიარქოს „ბაინდირსავან“ ბენზინი მიღებული არა აქვს. წარმოდგენილი იქნა აგრეთვე საპატრიარქოს (საგ/ყ/უ) შემწმობის აქტი, დანართებითურთ (იხ.ს.ფ. 306-323), საიდანაც დადგენილია, რომ საპატრიარქოს ფირმისავან არავითარი ბენზინი არ მიუღია, არ არსებობს რაიმე მტკიცებულება საპატრიარქოს მიერ ბენზინის მიღების თაობაზე, არც არავითარი შემოსავალი ამ ოპერაციებით საპატრიარქოს არ მიუღია. მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ მთავარ სხდომაზე წარმოდგენილი იქნა ფირმა „ბაინდირსა“ და საპატრიარქოს (ს ე უ) განყოფილებას შორის 1996 წ. 28.01 დადებული ხელშეკრულება ნავთობპროდუქტების ყიდვა-გაყიდვის თაობაზე (იხ.ს.ფ. 69-71 ტ.11), რომლის საფუძველზეც მოსარჩელე ამტკიცებს რომ საგადასახადო ინსპექციის მიერ დაყადაღებული 8144 ტონა ბენზინი ეკუთვნის არა „ბაინდირს“, არაპედ საპატრიარქოს და რომ ბენზინი დაყადაღებული იქნა უკანონოდ. საპატრიარქოს წარმომადგენლებმა განაცხადეს რომ 7800ტ. ბენზინის გადაცემა არ მომხდარა გამყიდველისავან მყიდველზე და შესაბამისად. ბენზინი არც გამხდარა საპატრიარქოს საკუთრება. საინტერესოა, რომ სასამართლომ ასევე მიიჩნია 8700ტ.ბენზინი საპატრიარქოს საკუთრებად, მისი დაყადაღება უკანონოდ, აქტი ამ ნაწილში მიიჩნია ბათილად, ამასთან იგივე 8700ტ. ბენზინის დავის საკითხი დატოვა განსახილველად.

სასამართლო კოლეგიამ შეფასება მისცა რა მხარეთა განმარტებებს და წარმოდგენილ მტკიცებულებებს ჩათვალა, რომ მოსარჩელე წინააღმდეგობაში მოდის თავისსავე არგუმენტებთან, ვინაიდან თუ კი 8700ტ. ბენზინი საპატრიარქოს საკუთრებაა, მოსარჩელე აღნიშნულ დაეაზე არ არის უფლებამოსილი (დაყადარებული ბენზინის ფასი 3 146 152 ლარია) საპატრიარქო კი არ აცხადებს ბენზინზე პრეტენზიას. მოსარჩელემ სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ მას სასარჩელო მოთხოვნა საპატრიარქოს მიმართ არა აქვს. ამასთან, სასამართლო კოლეგია, თვლის რომ 1996 წლის 23 აპრილის აქტის შეფასებები და დასკვნები 8700ტ. ბენზინის „ბაინდირსათვის“ კუთვნილების საკითხში

კანონიერია, ვინაიდან ამ დროისათვის მათთან არ ყოფილა წარდგენილი 28.01.96წ. ხელშეკრულება. (თუმცა „ბაინდირის“ წარმომადგენლები მონაწილეობდნენ შემოწმებაში). შესაბამისად, კანონიერად უნდა იქნეს მიჩნეული საქართველოს 1993წ. 21.12. კანონის „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ შესაბამისად ჯარიმებისა და საურაგების დარიცხვა.

1. უკანონო შემოსავალი აშშ დოლარებში-4.048.977 ლარი.

აქტის თანახმად, ფირმას აღნიშნული თანხა შემოსავალში მიღებული აქვს უკანონოდ, ნავთობპროდუქტების აშშ დოლარებით ვაჭრობის შედეგად. რაც დადგენილი იქნა საბანკო ოპერაციების რევიზიით.

სასამართლოს მსჯელობა აღნიშნულ საკითხზე არასწორია და იურიდიულად დაუსაბუთებელია. სასამართლომ გაიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, როცა მიიჩნია, რომ თანხების უდავო წესით ამოღებისას დარღვეულია ადმინისტრაციულ სამართალ დარღვევათა კოდექსის 153 მუხლის მოთხოვნები, რომ ამ კოდექსის 208, 241, 261 მუხლებით დადგენილი წესი არ ყოფილა დაცული, მაშინ როცა საგადასახადო სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-11 და მე-18 მუხლების საფუძველზე.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ მოაწმინდის რაიონის სასამართლომ სრულყოფილად არ გამოიკვლია ამ ფაქტზე შეკრებილი მტკიცებულებები და არ მისცა მათ სათანადო შეფასება, ვინაიდან წარმოდგენილ დანართ ტომებში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ მოსარჩელე ნავთობპროდუქტებით ვაჭრობას ახორციელებდა უცხოურ ვალუტაში) კერძოდ, აშშ დოლარით). წარმოდგენილ რეესტრებში ნათლად ჩანს, რომ თანხების მიღება და გადაანგარიშება ხორციელდებოდა აშშ დოლარებით.

ასევე მოსარჩელის მიერ მყიდველებისათვის გამოწერილ ფაქტურებში ბენზინის ღირებულება დაფიქსირებულია აშშ დოლარებით, როგორც ციფრებში, ასევე სიტყვიერად. დოკუმენტებს ხელს აწერენ ფირმის დირექტორი და მთავარი ბუღალტერი, ანგარიშ-ფაქტურებში არსად არ არის მითითებული ეროვნული ვალუტა ან მისი ეკვივალენტი. ABS ბანკში ჩატარებული რევიზიით ირკვევა, რომ ბანკში „ბაინდირის“ საეალტო ანგარიშზე ანგარიშ-ფაქტურების საფუძველზე, მყიდველებს თანხა შეჰქონდათ აშშ დოლარებში, რაც დასტურდება ბანკის ქვითრებით.

სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 16 სექტემბრის 3363 ბრძანებულებით დადგინდა, რომ „1995 წლის 2 ოქტომბრიდან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გამოცხადდა ეროვნული ვალუტა „ლარი“, აგრეთვე, 1995 წლის 23 ივნისის „საქართველოს ეროვნული ბანკის კანონი“ 36-ე პუნქტში 1995 წლის 19 სექტემბრის ცვლილებებით განსაზღვრულია: „1. საქართველოს ფულის ერთეულია“, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „ლარი არის ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე“. მოსარჩელის მიერ დარღვეული იქნა სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 16.09. №363 ბრძანებულების 115-ე პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმად, 1995 წლის 2 ოქტომბრიდან რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი ვალდებულია საქონლისა და მომსახურებაზე ფასების გადაანგარიშება, გამოცხადება და ანგარიშსწორება მოახდინონ ახალ ეროვნულ ვალუტაში „ლარში“, ეინაიდან არცერთი ეს მოთხოვნა ფირმის მიერ დაცული არ ყოფილა.

საქართველოს ეროვნული ბანკის №36 დადგენილებით 1994 წ. 02.11. დამტკიცებული იქნა ინსტრუქცია „რეზერვული ბანკების მიერ რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის სავალუტო ანგარიშების (ანაბრების) გახსნისა და მათი წარმოების შესახებ“. რომლის 5.7 პუნქტით აიკრძალა რეზიდენტებს შორის უცხოური ვალუტის როგორც ნაღდი, ისე უნაღლო ანგარიშსწორება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა რეზიდენტს გააჩნია სებ-ის ლიცენზია საქონლის რეალიზაციის უცხოურ ვალუტაში განსორციელების შესახებ“. საქმის მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ფირმა „ბაინდირის“ გააჩნდა შესაბამისი ლიცენზია.

ზემოთაღნიშნულის გამო სააპელაციო სასამართლო თვლის რომ მოპასუხის მიერ „ბაინდირის“ ქმედება მართლზომიერად იქნა ცნობილი უკანონოდ და საქრესპუბლიკის 1993 წლის 21.12. კანონის „საგადასახადო ხისტების საფუძვლების შესახებ“ მე-11 მუხლის პ.51 ბ) უკანონოდ მიღებული მთელი ამონაგები ექვემდებარება ბიუჯეტში ამოღებას.

ის გარემოება, რომ საქმის მასალებით და ბანკის თანამშრომელთა ახსნა-განმარტებებიდან ასევე დასტურდება, რომ მოსარჩელემ გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით მოახდინა ოფისში არსებული ქვითრების შეცვლა, რაც მტკიცდება ABS ბანკიდან და ფირმაში არსებული ქვითრების ურთიერთშედარებით, აღნიშნული დასაბუთებულია



აქტის გვ.24-30 (იხ.საქმე ტ.5. ს.ფ 10-11; 13-15; 17, 32, 20, ტ.6<sup>1</sup> ვ 89; 84; 72-74 და ა.შ. აქტის დანართი 40-46; 47-54, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება იმისა, რომ ფირმას გააჩნია ეროვნული ვალუტის კონვერტაციის ფაქტზე საბუღალტრო ან სხვა სახის ვალუტის შექმნის მამტიკიცებელი დოკუმენტები, სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მტკიცებას და რაიონის სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ბანკსა და ფირმის ოფისში არსებული ქვითრების გაყალბება არ არის დადასტურებული, ვინაიდან ეს ნათლად ჩანს ABS ბანკის თანამშრომელთა ახსნა-განმარტებებში (დანართი 36-39) და რეესტრებში (დანართი 47-54) იხ.აქტი გვ.48-52.

4. ჯარიმა იურიდიულ პირებთან ნაღდი ანგარიშსწორებისათვის—758 240 ლარი.

აქტის თანახმად, ფირმაში უგულველყოფილია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 22.06. №394 დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულება „საქართველოს რესპუბლიკაში მმართველობის ორგანოებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სალაროს მეურნეობის გაძლოლის შესახებ 4.10 მუხლის მოთხოვნა, რომლის მიხედვითა იურიდიული პირი დაჯარიმდება წარმოებული ანგარიშსწორების 25%-ით თუ გამოკლინდება იურიდიულ პირებს შორის ნაღდი ფულით ანგარიშსწორების ფაქტები. მოსარჩელეს ასეთი სახით მიღებული და გაცემული თანხების რაოდენობა ლარზე გადაანგარიშებით შეადგინა 3 032 962 ლარი, რომლის 25% —758 240 ლარი ექვემდებარება ბიუჯეტში ამოღებას (იხ.აქტი გვ.30-31, დანართი №55). მოსარჩელე არ უარყოფს იურიდიულ პირებს შორის ნაღდი ანგარიშსწორების ფაქტს, თუმცა თელის, „ბაინდირს“ არ დაურღვევია მოქმედი კანონმდებლობა, მოსარჩელის არგუმენტაცია სასამართლომ სრულებით გაიზიარა, რასაც სააპელაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება შემდეგ გარემოებათა გამო: სახელმწიფო მეთაურის 1993 წლის 29 ნოემბრის №240 ბრძანებულების „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ფულად-საკრედიტო რეგულირების ზოგიერთი საგანგებო ღონისძიების შესახებ“. მე-4 პუნქტით (და არა №260 ბრძანებულების მე-45-ე, როგორც არაზუსტად თარიღის გარეშე უთითებს რაიონის სასამართლო) დროებით, 1994 წლის 1 მარტამდე აიკრძალა იურიდიულ პირებს შორის ნაღდი ფულით ანგარიშსწორება“, მითითებულ პუნქტს სახელმწიფო მეთაურის 1993 წლის 14 დეკემბრის №260 ბრძანებულებით დაემატა სიტყვები „გარდა ნაეთობპროდუქტებზე“ და პარლამენტის შენიღბის აღდგენით სამუშაოებზე

ანგარიშსწორებისას“. მინისტრთა კაბინეტის 1994 წ. 22.06. №394 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 1.3. პუნქტით „ანგარიშსწორება“ იურიდიულ პირებს შორის ხორციელდება უნაღლო წესით საბანკო დაწესებულებათა მეშვეობით“. პრეზიდენტის 1996წ. 14.10. №667 ბრძანებულებით თანდართული ნუსხის თანახმად ძალადაკარგულად ჩაითვალა მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის დადგენილებები, მათ შორის №394. კონსტიტუციის 108-ე მუხლის მე-2 ნაწილის (უნდა იყოს 106 მუხლის) შესაბამისად, №394 დადგენილება ძალადაკარგულად ჩაითვალა 1996 წლის 14 ოქტომბრიდან.

არაზუსტია და კანონმდებლობას არ შეესაბამება სასამართლოს მსჯელობა შემდეგზე, რომ „საქართველოს ეროვნული ბანკის 1996 წლის 20.07. №52 ბრძანებით შემუშავებული იქნა საწარმო-დაწესებულებებში სალაროს მეურნეობის შესახებ წესი, რასაც წინ უსწრებდა პრეზიდენტის №627 ბრძანებულება, რომლითაც მოხსნილი იქნა სანქცია-საურავეები, რომ აღნიშნულმა წესმა „ამოაგლო მოქმედებიდან“ №394 დადგენილების 4.10.პუნქტი“, განვითარებული ლოგიკით სასამართლომ დაასკვნა, რომ „ამის გამო ნებადართული შეიქმნა იურიდიულ პირებს შორის ნაღდი ანგარიშსწორებითი ურთიერთობები“ (იხ.ს.ფ. 183), იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაში სისტემატიურად და კონკრეტულად, ამ შემთხვევაშიც არაკვალიფიციურად და არაზუსტად უთითებს გამოყენებული ნორმატიული აქტების მიღების თარიღებს, მათ დასახელებებს, რის საფუძველზე გამოაქვს შესაბამისი აბსურდული დასკვნებიც. კერძოდ, სებ-ის №52 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა დებულება „საწარმოებში ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სალაროს მეურნეობის გაძლოლის შესახებ“ მიღებული იქნა არა 1996 წლის 20 ივლისს არამედ 1996 წლის 20 დეკემბერს. დებულებით დადგენილი სალაროს მეურნეობის გაძლოლის შესახებ წესი ვერცერთ შემთხვევაში ვერ „ამოაგდებდა მოქმედებიდან“ მინისტრთა კაბინეტის №394 დადგენილების 4.10. პუნქტს, იმ ელემენტარული ვითარების გამო, რომ სებ-ის №52 ბრძანების გამოცემის მომენტიდან ანუ 1996 წლის 20 დეკემბრისათვის—მინისტრთა კაბინეტის №394 დადგენილება პრეზიდენტის 1996 წლის 14 ოქტომბრის №667 ბრძანებულებით, ანუ 2 თვითა და 6 დღით ადრე ძალადაკარგულად იქნა ჩათვლილი. (ცალკე თემაა ზოგადად სებ-ის ბრძანებას რამდენად ძალუძს „მოქმედებიდან ამოაგლოს“ მინისტრთა კაბინეტის დადგენილება), რაც სრულებით არ

ნიშნავს იმას, რომ მინისტრთა კაბინეტის №394 დადგენილება მიღებიდან ძალადაკარგულად გამოცხადებამდე პერიოდში არ მოქმედებდა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ 1996 წლის 23 აპრილის აქტით მოსარჩელისათვის დაკისრებული თანხა 758 240 ლარი დარიცხულია მოქმედი კანონმდებლობის სრული დატევით.

5. ფიზიკურ პირებზე გაცემული თანხიდან საშემოსავლო გადასახადის დაუკავებლობისათვის -45 604 ლარი.

აღნიშნული თანხა „ბაინდირს“ დაეკისრა 1993 წლის 24 დეკემბრის კანონის „ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ III თავის დებულებათა შესაბამისად, IV თავის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით საწარმოები ვალდებული არიან ფიზიკურ პირებზე თანხის გაცემისას მოახდინონ საშემოსავლო გადასახადის დაკავება და ბიუჯეტში ჩარიცხვა. 1995 წლის დეკემბერში ამ სახით გაცემული თანხის ოდენობამ ლარზე გადაანგარიშებით შეადგინა 147111 ლარი, რომელზეც არ არის დაკავებული და შესაბამისად, ბიუჯეტში ჩარიცხული 29 422 ლარი, აღნიშნულს ამავე კანონის 22-ე მუხლის მიხედვით დაერიცხა ჯარიმა 10%-ის ოდენობით და „საგადასახადო სისტემის“ საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით საურავი ყოველ ვალდებულებულ დღეზე 0,5%-ის ოდენობით. (იხ.აქტი, გვ.31,დანართი №56) მოსარჩელემ სცნო 29 422 ლარის დაკისრების კანონიერება (იხს.ფ. 33), ხოლო ჯარიმა-საურავები 16 182 ლარი მიიჩნია რომ პრეზიდენტის №627 ბრძანებულებით უნდა მოიხსნას, რაც უნდა ვივარაუდოთ რომ გაზიარებული იქნა სასამართლოს მიერ, ვინაიდან აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას (იხ.ს.ფ. 184) სასამართლო 29 422 ლარის თაობაზე არაფერს ამბობს, ხოლო ჯარიმა-საურავები პრეზიდენტის №627 ბრძანებულების თანახმად „ექვემდებარება“ მოხსნას“. სააპელაციო სასამართლო ასევე ვარაუდობს, რომ მოსარჩელის მიერ ცნობილი 29 422 ლარი შევიდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მოსარჩელეზე დაკისრებულ გაურკვეველ „ბიუჯეტში კუთვნილი გადასახადიდან 76 439 ლარში“.

„ბაინდირის მიერ გაცემული 14 711 ლარიდან 54 000 აშშ დოლარი გაცემული იქნა მოქ. კილურაძეზე ბინის იჯარის სახით. სასამართლო კი გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ „მოსარჩელეს დარჩეს უფლება მოქ. კარლო კილურაძესთან დამოუკიდებელი დავისა შექნილი ნაგებობის ნაწილში“. საქმეში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულება, რომ ფირმა „ბაინდირს“ მოქალაქე კილურაძისაგან შექნილი აქვს ნაგებობა, ამის თაობაზე არც საარჩელი შეიტყვის რაიმეს და არც სხდომის ოქმშია

მითითებული, რომ მოსარჩელე ითხოვს კილურადის მიმართ რაიმეს. სასამართლო არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა საკითხზე. რომელზეც სასარჩელო მოთხოვნა არ არსებობდა. სააპელაციო სასამართლოში მთავარ სხდომაზე მოსარჩელემ არ დაადასტურა კილურადისაგან ნაგებობის შექმნის აქტი (იხ. ს.ფ. სხდომის ოქმი, 88 ტ. II).

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ გარდა მოსარჩელის მიერ ცნობილი 29422 ლარისა, კანონიერია ასევე ჯარიმა-საურავების დაკისრება. პრეზიდენტის №627 ბრძანებულების საფუძველზე მათი ჩამოწერის დაუშვებლობა სააპელაციო სასამართლომ ზემოთ დაასაბუთა (იხ. გვ. 9-121 ს.ფ. 185-186/).

6. საზღვარზე ნაღდი თანხის დეკლარირების გარეშე გატანისათვის - 810 499 აშშ დოლარი.

აქტის თანახმად, ფირმის მიერ თურქეთში სათაო ორგანიზაციაზე ანგარიშსწორებისათვის, ადგილზე სხვადასხვა პიროვნებებზე გაცემულია მითითებული თანხა, რომლის თურქეთში გადატანა დასტურდება ფირმის მთავარი ბუღალტრის სულიმან იურდურევენის მიერ, მისი განმარტებით თანხები გაცემულია ტრაპიზონის „ბაინდირის“ თანამშრომლებზე. ბალანსის შედგენის დროს ეს თანხა „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობას ჩამოეწერა, რაც ადასტურებს რომ თანხა მისულია დანიშნულების ადგილზე. ვინაიდან ვერ იქნა წარმოდგენილი თანხის საზღვარზე გატანის შესახებ დეკლარირების საბუთი, სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 6 იანვრის №1 ბრძანებულების „მოქალაქეთა მიერ საქართველოს რესპუბლიკის საზღვარზე ნაღდი ვალუტის გატანის დროებითი წესების შესახებ“ პ.7-ის თანახმად, 810 499 აშშ დოლარი - 1019608 ლარი ექვემდებარება ბიუჯეტში ამოღებას. /იხ. აქტი ფვ. 32 დანართები №57-69/

სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება /იხ. ს.ფ. 11/ რომ აღნიშნული ბრძანებულების მე-7 პუნქტი ეხება იმ მოქალაქეებს, რომელთაც საზღვარზე აღმოაჩნდათ თანხა, რომელზეც არ არის საკომისიო გადასახადი, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია რომ აღნიშნული თანხა სხვადასხვა ფიზიკურ პირზე იქნა გაცემული მოსარჩელის მიერ, რის შემდეგაც პასუხისმგებლობა გადავიდა თანხის განმკარგავ პირებზე, რომ საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებანი მოსარჩელისაგან საზღვარზე ნაღდი თანხის დეკლარირების გარეშე ფაქტის სამტკიცებლად.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ აღნიშნულზე სასამართლო დასკვნები მცდარია და გაზიარებული უნდა იქნეს სააპელაციო საჩივრის

პრიციები შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ არ გამოიკვლია და არ შეამოწმა თუ ვისი თანხები გადაქონდათ ფიზიკურ პირებს, ვინ იყვნენ ეს ფიზიკურა პირები და რა დანიშნულებით სად მიემართებოდა თანხა.

„ბაინდირის“ ღირეკტორის ბდევეჯის და მთავარი ბულალტრის ს.იურდურევენის მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებელიდან ირკვევა, რომ ბათუმის წარმომადგენლობა „ბაინდირი“ დაარსებიდან მიღებულ საქონელზე ანგარიშსწორებას აწარმოებდა საბანკო გადარიცხვებით ABC ბანკის მეშვეობით, მას შემდეგ რაც ბანკმა ვერ შეძლო თანხების გადარიცხვა, აწარმოებდნენ ნაღდ ანგარიშსწორებას იძულებით, რადგან არ გააჩნდათ ანგარიშსწორების სხვა საშუალება, საოთა ორგანიზაციასთან თურქეთში /იხ.ს.ფ. 57-58/, რომ ეს თანხები გაცემული იქნა „ბაინდირი“ ტრაპიზონის თანამშრომლებზე, დასტურდება სალაროს გასავლის ორდერებით (დანართი №59.69) და ს. იურდურევენის განმარტებით, სადაც ის ასახელებს პირებს: ახმედ მალქიჯეს, ევო ჩუბუქჯუს, ასმედ ჯურგუილს, რომლებმაც ეს თანხა ჩააბარეს „ბაინდირს“ ტრაპიზონსა და ანკარაში, რასაც ამოწმებდნენ ამ ფირმებთან შედარებითი ბალანსის მეშვეობით. კონკრეტულ შემთხვევაში არ შეიძლება ფიზიკურ პირებზე გადავიდეს პასუხისმგებლობა, კინაიდან ბუნებრივია ფირმა საზღვარზე ვალუტას ვერ გადაიტანდა, ფირმის ვალუტა გადაქონდათ ფირმის თანამშრომლებს ფირმისავე საჭიროებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, რასაც თავად აღიარებენ რომ ბანკის ოპერაციების შეჩერების გამო იძულებული იყვნენ ნაღდი ანგარიშსწორება ეწარმოებინათ. რამდენადაც, სალაროს გასავლის ორდერებში არ არის მითითებული საზღვარზე გადატანისას საკომისიო მოსაკრებელი, ზოლო თანხის გადატანის შესახებ დეკლარირების თაობაზე მტკიცებულება არ არსებობს, ამდენად პასუხისმგებლობა „ბაინდირს“ ეკისრება.

სასამართლო კოლეგია იზიარებს აპელანტის მტკიცებას რომ უცხოური ვალუტის საზღვარზე დეკლარირების და საკასო მოსაკრებლების გადახდის გარეშე გადატანის ფაქტის დადგენისას, სასესეა სახელმწიფო მეთაურის 1995წ. 06.01. №1 ბრძანებულების მე-7 პუნქტის დარღვევა, მიუხედავად მისი გამოვლენის დროისა. მით უმეტეს რომ იმ ბრძანებულების მიღების მიზანს სწორედ საქართველოს შიდა საეკონომიკო ბაზრის დაცვა წარმოადგენდა.

ამდენად, აქტი 810 499 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში კანონიერი.

7. საგზაო ფონდში თანხის გადაუხდელობისათვის – 70 129 ლარი.

1995 წლის 2 სექტემბრის კანონის „საქართველოს რესპუბლიკაში საგზაო ფონდის შესახებ“ თანახმად, ფირმა ვალდებული იყო მოეხდინა საგზაო ფონდიდან ანგარიშსწორება 1995 წლის შედეგების მიხედვით 21 453 ლარის ოდენობით, რაზეც ფინანსური სანქციის სახით დაერიცხა 48676 ლარი. სასამართლომ მიიჩნია რომ მოსარჩელეს აღნიშნულზე სანქცია უნდა მიეხსნეს 48671 ლარის ოდენობით პრეზიდენტის №627 ბრზანებულების თანახმად, თუმცა არ უმსჯელია პირად თანხაზე 21 453 ლარზე და ამ საკითხზე სასამართლოს დასკვნა არ არსებობს. თუ გაეითვალისწინებთ იმ ფაქტს რომ მოსარჩელე ფაქტობრივად აღიარებს 21 453 ლარის დაკისრების კანონიერებას /იხ.ს.ფ. 33-34/ შიძლება ვივარაუდოთ რომ ეს სასამართლოს მიერ გაზიარებული იქნა. პრეზიდენტის №627 ბრძანებულების არ გავრცელების თაობაზე სააპელაციო სასამართლომ ზემოთ იმსჯელა (იხ.აქვე გვ. 12-13). ზემოაღნიშნულის გამო აქტი ამ ნაწილშიც კანონიერია და მოსარჩელეს უნდა გადახდეს დაკისრებული თანხა 70 129 ლარი სრულად.

სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე აჭარის ა/რ საგადასახადო დეპარტამენტს და ბათუმის საგადასახადო ინსპექციას შემოწმების შედეგად 1996 წლის 23 აპრილის აქტის თანახმად დარიცხული გადასახადები 9 122 122 ლარი კანონმდებლობის შესაბამისად და დაკისრებული სარჩელი მისი ბათილად ცნობის მოთხოვნით, უსაფუძვლოა.

სააპელაციო სასამართლომ გამოიკვლია რა სასამართლო ხანდაზმულობის ვადების დაცვის საკითხი, გაანალიზა სათანადო მტკიცებულებები, თვლის რომ რაიონის სასამართლოს მსჯელობა ამ კუთხით არასწორია და იურიდიულად დაუსაბუთებელი ვინაიდან: 1996 წლის 23 აპრილის აქტი ფირმა „ბაინდირის“ მიერ გასაჩივრებული იქნა აჭარის ა/რ საგადასახადო ინსპექციაში, 1996 წლის 29 მაისის №94 წერილით აჭარის ა/რ საგადასახადო ინსპექციამ ფირმა „ბაინდირ ინშაატ ტურიზმ ტიჯარეთ ვე სანაი“ ბათუმის წარმომადგენლობის დირექტორ ბ.დევეჯის 1996 წლის 2 მაისის საჩივრის არგუმენტები აქტის უკანონობის თაობაზე არ გაიზიარა და მიუთითა, რომ ფირმა ვალდებულია ბიუჯეტში ჩარიცხოს 9 122 122 ლარი (იხ.ს.ფ. 12-21 ტ.1) მოსარჩელეს ზემდგომ საგადასახადო ორგანოსათვის არ მიუმართავს საჩივრით, მიუხედავად იმისა რომ მოსარჩელის წარმომადგენელმა მთავარ სხდომაზე წარმოადგინა ფირმის საჩივრის ასლი რესპუბლიკის

საგადასახადო ინსპექციის უფროსის დ.სალარიძის სახელზე, (იხ.ს.ფ. 118-119) საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა არ დაადასტურეს საჩივრის წარდგენის ფაქტი, და ასეთის შემთხვევაში გამოიციხეს მასზე პასუხის გაუცემლობა. მოსარჩელეს პასუხი (ან დადებითი ან უარყოფითი) აღნიშნულ საჩივარზე მიღებული არა აქვს საგადასახადო ინსპექციიდან. მოსარჩელეს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება საგადასახადო ინსპექციაში მათი საჩივრის შეტანის ან საკანცელარიო ურუნაღში გატარების თაობაზე, ამდენად, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრების ფაქტი დადასტურებულად არ მიაჩნია. შესაბამისად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის, კონკრეტულ შემთხვევაში, დენა ათივლება 1996 წლის 29 მაისისდან. საქართველოს 1993 წლის 21 დეკემბრის კანონის „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ მე-18 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილია რომ ბიუჯეტში ზედმეტად ან არასწორად ჩარიცხული გადასახადებისა და სხვა გადასახადების თანხების დაბრუნებაზე სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა საწარმოებისათვის ერთი წელია, ხოლო ფიზიკური პირებისათვის –სამი წელი ამ თანხების ჩარიცხვის დღიდან. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელეს მხრიდან აქტით დაკისრებული გადასახადები ბიუჯეტში არ ჩარიცხულა, საგადასახადო სამსახურის მიერ დაყადაღებული ბენზინის რეალიზაციიდან ამოღებული თანხები ბიუჯეტში ჩარიცხული იქნა, როგორც ეს აჭარის საგადასახადო დეპარტამენტის მიერ მთავარ სხდომაზე წარმოდგენილი ცნობით ირკვევა 1996 წლის ივნისში 1 733 854 ლარი; ივლისის თვეში 1 030 245 ლარი; აგვისტოში –382 053 ლარი; სულ 3 146 152 ლარი. ფირმა „ბაინდირ ინშაატ ტურიზმ ტიჯარეთ ვე სანაია“-ს წარმომადგენელმა მთაწმინდის რაიონის სასამართლოს სარჩელით მიმართა 1998 წლის 23 აპრილს (იხ.ს.ფ. 3 ტ.1), „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ 1993 წლის 21.12. კანონის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე 1996 წლის ივნის-ივლისში ჩარიცხულ თანხაზე სულ 2 774 099 ლარზე სარჩელის წარდგენის ვადა ამოიწურა 1997 წლის ივნის-ივლისის შესაბამისი ჩარიცხვების თარიღების (თვე, რიცხვი) მიხედვით. (იხ.ცნობა ჩარიცხვის თაობაზე ს.ფ. 112 ტ.11), ამდენად, ამ თანხებზე სარჩელი ხანდაზმულია. 1997 წლის საგადასახადო კოდექსით, რომელიც ამოქმედდა 1997 წლის 8 აგვისტოს, ძალადაკარგულად ჩაითვალა „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ 1993 წლის 21.12. კანონი. საგადასახადო კოდექსის 237-ე მუხლით განისაზღვრა სასარჩელო ხანდაზმულობის

ვადები, რომლის მე-2 პუნქტით გადასახადის გადახდელი უწყლებამოსილია საგადასახადო პერიოდის დამთავრებიდან 6 წლის განმავლობაში მოითხოვოს გადახდილი გადასახადის დაბრუნება ან ჩათვლა. აღნიშნულის საფუძველზე 1996 წლის აგვისტოს თვეში ჩარიცხულ თანხებზე ვრცელდება ახალი საგადასახადო კოდექსი და 382 053 ლარზე სარჩელი ხანდაზმული არ არის.

სააპელაციო სასამართლომ იმსჯელა რა სააპელაციო საჩივრის ერო-ერო მოტივზე, მოსარჩელის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთის საქმეში არ არსებობის თაობაზე. შესაბამისად, სარჩელის განხილვის უკანონობის შესახებ, მოუსმინა მოსარჩელის წარმომადგენელს, რომლის განმარტებით რაიონის სასამართლოში წარდგენილი იქნა უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი და თუკი იგი საქმეში არ არსებობს, მაშასადამე დაკარგულია, რაზეც პასუხისმგებლობა სასამართლოს ეკისრება. მიუხედავად იმისა რომ საქმე გადანომრილია, სააპელაციო სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის საბუთის არსებობა-არარსებობის მიზეზების მოკვლევა. სასამართლო კოლეგიის მოთხოვნით წარმოდგენილი იქნა მოსარჩელის მიერ 1997 წელს გაცემული წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთის ასლი ქ-ნ გ.გაბაიძეზე/ი.ხ.ს.ფ. 115-116 ტ.11/.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების შეფასების და საქმის სასამართლო განხილვით მივიდა იმ დასკვნამდე რომ აჭარის ა/რ საგადასახადო დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება. სარჩელი არ დაკმაყოფილდეს, მოსარჩელეს დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის გადახდა 5000 ლარის ოდენობით.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა სამოქალაქო კოდექსის 38-ე, 39-ე, 53-ე, 372-ე, 386-ე, 391-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით

გ ა დ ა წ ყ ე ი ტ ა :

1. აჭარის ა/რ საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.



3. ფირმა „ბაინდირ ინშაატ ტურიზმ ტიჯარეთ ვე სანაია“-ს სარჩელი არ დაქმყოფილდეს.

4. ფირმა „ბაინდირს“ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის გაფასვა: სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 5000 ლარის ოდენობით, AHC ბანკში არსებული ანგარიშებიდან: სალარო №467001 და საგადასახადო ანგარიში №070001 და ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი №1 ხაზინა კოდი 220101107 ანგარიში 115141102 საერთო სასაპარტოლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი.

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში, ძღებარე ქ.თბილისში, ძმები ზუბალაშვილების ქ.№32, გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტთან და ერთი თვის ვადაში თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით.

თავმჯდომარე:

მოსამართლეები:

P.S- აქტიორთა მოსაზრება-ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ საქმე არსებითად განიხილა მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე და მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება, დაეკმაყოფილა საგადასახადო დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი და საბაჟო რეჟიმის დარღვევისათვის მოსარჩელეს დაეკისრა დარიცხული თანხის 9 122 122 ლარი გადასდა. მოსარჩელემ აღნიშნული გადაწყვეტილება კასაციის წესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. იხილეთ უზენაეს სასამართლოს 2000 წლის 9 ოქტომბრის განჩინება.

დავა საბაჟო რეჟიმის დარღვევისათვის

სარჩელის ფასი 9122122

„ბაინდირ ინშაატ ტურიზმ ტიჯარეთმა“

სარჩელი შეიტანა ქ.თბილისის მთავრის რაიონის სასამართლოში, რამოდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ. აჭარის ა.რ. საგადასახადო დეპარტამენტისა და ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ შემოწმების აქტით დარიცხული თანხების ბათილად ცნობის თაობაზე

საქმე №2/140

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა  
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ  
10 მაისი 1999წ. ქ.თბილისი

ქ.თბილისის მთავრობის რაიონის სასამართლო

თავმჯდომარე

მსაჯულები

მდივანი

განიხილა ღია სასამართლო სხდომაზე საქმე „ბაინდირ ინშაატ ტუჯაერთი“-ს წარმომადგენლის სარჩელის გამო საქართველოს საგადასახადო ინსპექციასთან, საქართველოს საპატრიარქოსთან, აჭარის საბაჟო დეპარტამენტთან, ბათუმის საგადასახადო ინსპექციასთან, მესამე პირი აფხაზეთის ლტოლვილთა და ინვალიდთა ასოციაციასთან დაკისრებული თანხის გადახდაზე 1996 წლის 23 აპრილის აქტის ბათილად ცნობაზე და 9.122.122 ლარის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ.

სასამართლომ გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

თურქეთის რესპუბლიკის „ბაინდირ ინშაატ ტურიზმ ეე სანაი ა.ს.“-ს ბათუმის წარმომადგენლობა „ბაინდირი“ რეგისტრირებულია 1995 წლის 21 სექტემბერს. მან სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხებზე ჩატარებული შემოწმების შედეგების ბათილად ცნობა, როგორც უკანონო და ფაქტიურ გარემოებებთან წინააღმდეგობაში მყოფის.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით და დანართი ტომებიდან ირკვევა, რომ „ბაინდირში“ შემოწმება მიმდინარეობდა 2 ეტაპად. პირველი ეტაპი მოიცავდა ფირმის რეგისტრაციიდან პერიოდს, რაც დაიწყო 1996 წლის 19 იანვარს და დამთავრდა იმავე წლის 23 აპრილს, აქტის მიხედვით. დამატებით შემოწმებას საფუძვლად ელო აჭარის არ. სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის №25 ბრძანება და ქ.ბათუმის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის №33 მოწმობა.

პირველადი შემოწმების მიხედვით მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა 4.048.977 აშშ დოლარი და 811 804 ლარი, მათ შორის გადასახადებმა სანქციების გარეშე შეადგინა

491034 ლარი, ხოლო ფინანსურმა სანქციებმა კი -4.048.977 აშშ დოლარი და 320.770 ლარი.

№25 ბრძანებისა და №33 მოწმობის საფუძველზე წარმოებულ დამატებითი შემოწმების შედეგად ფინანსური სანქციები გაიზარდა 3.018. ლარითა და 4.859.476 აშშ დოლარით.

საბოლოო ჯამში მოსარჩელეს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა 9.122.122 ლარი.

დადგენილია, რომ ორი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების საფუძველში იღო საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და აჭარის ხელმძღვანელობის მიერ გატარებული რეფორმები, რაც ემსახურებოდა საქართველოს ეკონომიკის აღორძინებას.

დადგენილია, რომ „ბაინდირმა“ ქბათუმის სასლავა-სავაჭრო პორტში 5-ჯერ შემოიტანა 90-91 მარკის ბენზინი, რომლის რაოდენობაა 265.96365 კგ. დადგენილია, რომ მოსარჩელესა და ბათუმის საშუაელო-კომერციულ საწარმოსთან 1995 წლის 29 ნოემბერს, 12 დეკემბერს, დაიღო ხელშეკრულებები ბენზინის /ნეფტოპროდუქტების/ გადმოტვირთვა-შენახვის შესახებ.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელეთა მიერ შემოტანილი ნავთობპროდუქტების შემოტანა და რეალიზაცია საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული არ ყოფილა და ამდენად, საკითხი რეგულირდებოდა საქართველოს საბაჟო კოდექსის 24-ე მუხლის მოთხოვნათა საფუძველზე, აღნიშნულ პროდუქტიაზე საბაჟო ახორციელებდა კონტროლს და სხვა ოპერაციებთან ერთად აწარმოებდა საქონლისა და სხვა საგნების ინვენტარიზაციას, რაც დასტურდება საქონლის აღრიცხვისა და მოძრაობაზე „ინფორმისერვისის“ დეკლარანტის ზონარეაქტივირებული ჟურნალის მონაცემებით. გარდა ამისა, საკითხი რეგულირდებოდა საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტის №48 ბრძანებით „დროებით შენახვის საწყობის შესახებ“, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის №47 დებულებით-„საბაჟო საწყობის შესახებ“, რასაც ადასტურებს ქბათუმის საბაჟოს უფროსი გ.შევარდნაძის №1-16-157 წერილი.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ ყველა დეკლარაციის გრაფა „ტიპ დეკლარაცია“ შევსებულია „საბაჟო საწყობების შესახებ“ დებულების №4 დანართის შესაბამისად, რა დროსაც გაკეთებული აღნიშვნები ადასტურებს, რომ საქონელი მოთავსებულია საბაჟო საწყობში. ყველა დეკლარაციის ბოლოში „დ“ გრაფაში დასმულია საბაჟო საწყობის საბაჟო რეჟიმში ტვირთის

ქილბისათვის აუცილებელი დამლა-„აყვანილია კონტროლზე“, რაც ხელმოწერილია საბაჟოს თანამდებობის პირის მიერ. დამოწმებულია მისივე პირადი ნომრითანი ბეჭდით. დეკლარაცია №4741, გრაფა „ე“, დეკლარაცია №081-გრაფა „ე“, დეკლარაცია №176-177 გრაფა „ე“, სადაც მითითებულია „სკლად ზრანენია“ და „ტამოუენით სკლად“ დათარიღებულია და დამოწმებულია თანამდებობის პირების პირად ნომრითანი ბეჭდით, რაც ნიშნავს, რომ საბაჟომ აღნიშნული ტვირთივი ჩიილო საბაჟოს საწყობის საბაჟო რეჟიმზე საბაჟო კონტროლის ქვეშ, /იხ.საბაჟო დეკლარაციები, დანართები: 3,4,5,6,7,8/ „ბაინდირის“ ტვირთების დეკლარაციების საკითხი რომ 1995 წლის ოქტომბრის ოვეშივე იყო შეთანხმებული საბაჟოს ხელმძღვანელობასთან და რომ შეთანხმებოვე იქნა შერჩეული „საბაჟო საწყობის“ რეჟიმის ტვირთის გაფორმება, მტკიცდება დეკლარანტ ლომბიდის განცხადებით.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელეს, როგორც საქონლის შემომტანს, დადგენილი წესით საქონლის საბაჟოზე საზღვარზე შემოტანიდან სამი საათის გასვლის შემდეგ, არ განუცხადებია და არ განუსაზღვრავს რეჟიმის შესახებ. მან წარუდგინა და საბაჟო ორგანოების წარმომადგენლებს ნავთობგადამამუშავებელ ქარხანასთან დადებული 1995 წლის 25 აგვისტოს ხელშეკრულება და საშუამავლო-კომერციულ საწარმოსთან 1995 წლის 29 ნოემბერს და 12 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება რეჟიმის განცხადების გარეშე. ტვირთივი ავტომატურად გადავიდა დროებითი სასაწყობო შენახვის რეჟიმზე, რასაც საფუძვლად ედო თვით საბაჟოს წინასწარ დათვალერებული და პროდუქციის შესანახავად მოსასერხებლად ცნობილი, ტექნიკური პირობებისა და კონტროლის განხორციელების რეალური შესაძლებლობის გათვალისწინებით მოწონებული ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა თავისი კაპიტალურად შემოღობილი და დაცული ტერიტორიით, ცისტერნა-საცავებით, ტექნიკურად გამართულობით, რაც შეთავაზებული იქნა მოსარჩელისათვის როგორც შენახვის რეჟიმი, ხოლო ეს კი ნიშნავს, რომ აღნიშნული საწყობი დაარსა თვით საბაჟო ორგანომ და „საბაჟო საწყობის შესახებ“ დებულების 2.1 პუნქტის შესაბამისად, ლიცენზირება არ მოითხოვება, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანასა და კომერციულ საშუამავლო საწარმოში საბაჟო საწყობის საბაჟო რეჟიმის მოქმედება აღიარებულია და დადასტურებულია საქმეზე წარმოდგენილი მასალებით /იხ.მასალები გვ.№4/. სასაწყობო შენობა პასუხობს „საბაჟო საწყობის მოწყობისა და აღჭურვილობისადაში“ მოთხოვნების 4.1 პუნქტს, რადგან რეზერვუარები

განკუთვნილია სპეციალურად ნავთობპროდუქტებისათვის, არსებობს სახანძრო სამსახური, განათება, ღაცვა, ტელეფონი, საწყობი არ წამოადგენს შენობის ან ნაგებობის ნაწილს, ე.ი. სახეზეა „დებულების 4.2 პუნქტის მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი პირობები. საქმის მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ საბაჟოს წარედგინოს საწყობის მფლობელისათვის რაიმე მოთხოვნები ან პრეტენზიები საწყობის აღწურვილობის გამო.

სასამართლო ვერ მიიღებს სარჩელის უარსაყოფად ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის 17.04.96 წლის №150 და კომერციული საშუამავლო საწარმოს 17.04.96 წლის №26 წერილებს, აღნიშნულ ფაქტიურ გარემოებათა გამო. საქმის მასალების მტკიცებულება, რომ ტვირთები საბაჟოს მიერაა აყვანილი საბაჟოს საწყობის რეჟიმზე. საბაჟოს მიერ საქონლის კონკრეტულ საწყობში საბაჟო საწყობის რეჟიმით შესანახად საბაჟო კონტროლზე აყვანით თვით საბაჟომ ცნო მის მიერ შერჩეული საწყობი მის მიერვე დაარსებულად /იხ.დეკლარაციის გრაფა „დ“. დამლითა და პირადნომრიანი ბეჭდით/.

ზემოდ აღნიშნულიდან გამომდინარე, დადგენილია, რომ ქბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანასა და საშუამავლო კომერციულ საწარმოში მოქმედებდა საბაჟო, საწყობის რეჟიმი და სწორედ ამ რეჟიმით მოათავსა მოსარჩელემ აღნიშნულ საბაჟო საწყობში თავისი პროდუქცია 1995 წლის 20 სექტემბრიდან 1996 წლის 26 იანვრამდე.

დადგენილია, რომ საქონელი მოთავსებული იქნა საბაჟო საწყობის საბაჟო რეჟიმში და არა თავისუფალ მიმოქცევაში. დადგენილია, რომ საქონელი გაიყიდა საბაჟო საწყობის საბაჟო რეჟიმიდან და გაიშვა თავისუფალ მიმოქცევაში, რაზედაც გაუორმებული იქნა საიმპორტო-სატვირთო საბაჟოდ დეკლარაციები, რომლის გრაფაში „მიმრები იმპორტიორი“ მითითებულია შემქენი სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც ინსტრუქციის 2.4 პუნქტის თანახმად თავადვე ითვლებიან 10%-იანი ნატურალური გადასახადის გადამხდელებად და არა ბაინდირი, რომლისგანაც შეიძინეს ნავთობპროდუქტები /დანართი 2 აქტისა/.

დადგენილია, რომ მოსარჩელის საბაჟო ორგანოს ნებართვის გარეშე საბაჟო საწყობიდან საბაჟო საქონელი არ გაუტანიათ /იხ.მასალები/ ამდენად მის მიმართ დებულების 8.5 პუნქტის სანქციები არ ვრცელდება. რადგან დებულების 8.2, 8.3, 8.6 პუნქტებით გათვალისწინებული „საბაჟო გადასახადის გადახდის პასუხისმგებლობა“ ეხება არა საბაჟო

საწყობის საბაჟო რეჟიმიდან საქონლის სხვა საბაჟო რეჟიმში მოქცევისას ამ რეჟიმით გათვალისწინებული საბაჟო გადასახადის გადახდას, არამედ საბაჟო გადასახადების გადახდას თვით საბაჟო საწყობის საბაჟო რეჟიმზე მყოფ საქონელზე.

თანახმად საბაჟო კოდექსის 64-70 მუხლისა, სასაწყობო რეჟიმით შემოსული ტვირთი რეკვიზიტების სათანადო გაფორმებით იმყოფებოდა საბაჟოს კონტროლზე და გადასახადს არ იხდის /96.08 დეკლარაციის 44 პ. /დავას არ უნდა იწვევდეს, საბაჟო დეკლარაციის მე-9 გრაფაში მითითებული პირი ფინანსური ურთიერთობების დამარეგულირებელია და არა გადამსდელი.

დადგენილია, რომ საქონელი ინახებოდა საბაჟო კონტროლის ქვეშ, რაც სათად საბაჟომ შეურჩია. საბაჟო კოდექსის 70-ე მუხლის II ნაწილით მარეგულირებელია საბაჟო საწყობში მოთავსებულ პროდუქციაზე, მის თავისუფალ მიმოქცევაში გასვლამდე, მფლობელი-მესაკუთრის შეცვლის საკითხი, რაც განხორციელდ კიდევ მოსარჩელის სინამდვილეში, როცა სასაწყობო რეჟიმზე მდგარი ნავთობ-პროდუქცია შეიძინა სხვადასხვა ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირმა. დადგენილია, რომ მხოლოდ შეძენის შემდეგ მოხდა პროდუქციის თავისუფალ მიმოქცევაში გატანა. დადგენილია, რომ 10%-იანი ნატურალური გადასახადი და საბაჟო მოსაკრებლები გადახდილი აქვთ ფირმებს: „აუსიონ“, „ნაკადული“, „მერანი-94“, „ჯეკა“ და სამხედრო ნაწილს, რაც დასტურდება საბაჟო-სატვირთო დეკლარაციებით. ამდენად „საბაჟო საწყობის შესახებ“ დებულების 1.1 და 2.1 პუნქტების შესაბამისად „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობას არ ეკისრება 10%-იანი ნატურალური გადასახადის გადახდა, რადგან საქონელი ინახებოდა საბაჟო კონტროლის ქვეშ და ასეთის მიმართ ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებები არ გამოიყენება. მით უმეტეს როცა საქმის მასალებით მტკიცდება, რომ საბაჟოს საწყობის დამაარსებელი თვით საბაჟო ორგანოა კონკრეტული დავის საქმეზე. აქ გამინაკლისს წარმოადგენს საქართველოს საპატრიარქოს საგარეო ეკონომიკური განყოფილება, რომელიც 1995 წლის 5 აპრილის კანონის „საქართველოს საპატრიარქოს სახელმწიფო ბიუჯეტთან გადასახადებისაგან განთავისუფლების შესახებ მეორე მუხლით განთავისუფლებულია ნატურალური გადასახადებისაგან, კონკრეტულ შემთხვევაში 8.700.841 კგ-ზე არ ვრცელდება ნატურით გადასახადი ის საპატრიარქოს საკუთრებაა და ეს დამოწმებულია ბათუმის კომერციულ-საშუამავლო

საწარმოს ხელმძღვანელის 10/III-96წ. ხელმოწერით /იხ.დეკლარაცია №ა-264, პ.326 1996 წლის 14 და 27 თებერვლის მდგომარეობა.

დადგენილია, რომ საპატრიარქო მისი კუთვნილი 7000წმ<sup>2</sup> კვ.ბენზინის რეალიზაცია ვერ მოახდინა სახ.საგადასახადო ინსპექციის წერილის გამო, რამაც შექმნა დამაბრკოლებელი გარემოებები და ამდენად უკანონოდ იქნა ჩაშვებული პროდუქციის რეალიზაცია. რისთვისაც პაუზისმგებლობა ეკისრება წერილის ავტორს. დადგენილია, რომ საბაჟო დეკლარაციის 36-ე გრაფაში პრეფერენციები“ აღნიშნულია გადასახადისაგან განთავისუფლების ხუთიშნა კოდი, სადაც 0-0,2% გულისხმობს გადასახადებს 15თავისუფალია საბაჟო გადასახადისაგან, ხოლო 34 თავისუფალია „დეკ“-ს გადასახადისაგან. საყურადღებოა, რომ აღნიშნული წესით ხდებოდა ტვირთის საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლება.

დადგენილია, რომ მოსარჩელეს გემით შემოტანილი აქვს 26.596.365 კგ. ბენზინი სქართველოს საბაჟო კოდექსის 54, 65, 68, 69 და 70 მუხლების მოთხოვნათა სრული დაცვით. საზღვაო სავაჭრო პორტში, რა დროსაც საქონელი აყვანილი იქნა სასაწყობო რეჟიმზე საბაჟო კონტროლის ქვეშ სათანადო რეკვიზიტების გაფორმებით, დეკლარაციის 44-ე პუნქტის ბათუმის სასუამავლო-კომერციულ საწარმოსთან დადებული ხელშეკრულების ნომრის, საქონლის წონისა და ღირებულების მითითების და რაც მთავარია, არსად არ არის მითითებული იმის შესახებ, რომ ტვირთი უკვე გასულია თავისუფალ მიმოქცევაში. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია, რომ მოსარჩელემ ბენზინი ჩაიბარა ნაპირზე გადმოტვირთვის შემდეგ, რასაც საფუძვლად ედო ფირმა „გეომარის და ბათუმის საშუამავლო-კომერციული საწარმოს წარმომადგენელთა ერთობლივი აქტი. გამოძინარე აქედან მოსარჩელემ ჩაიბარა რა აქტში მითითებული რაოდენობა, პასუხისმგებელია მხოლოდ ამ რაოდენობაზე.

სასამართლოს მიაჩნია, რომ 1996 წლის 23 აპრილს აქტის პოზიცია მოსარჩელეზე 2.070.084 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდის თაობაზე უსაფუძვლოა, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა საფუძვლიანია /იხ.23.04.96წ. აქტის გვ.4-5-7-8-32/.

მოსარჩელე მოითხოვს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკისრებული 81094 აშშ დოლარის /1.017.608 ლარი/ დაკისრების უკანონოდ ცნობას.

23.04.96 აქტის 32-ე გვერდზე მოიხველიება სახელმწიფოს მეთაურის 6.01.95წ. №1 ბრძანებულების მე-7 პუნქტი, რომლის მოთხოვნები აქტში საკუთარი ინტერპრეტაციითაა მოტანილი და არ

ქაიხიძის მოსარჩელის ქმედებას, რადგან აღნიშნული ბრძანებულების მე-7 პუნქტი ეხება იმ მოქალაქეებს, რომლებითაც საზღვარზე აღმოაჩნდათ თანხა, რომლებზედაც გადახდალი არ არის საკომისიო გადასახადი.

დადგენილია, რომ აღნიშნული მთლიანი თანხის სსკადასხვა ოდენობის თანხები მოსარჩელისაგან გაიცა სხვადასხვა ფიზიკურ პირებზე და გამოწერილია სალაროს გასაყლის ორდერები. /იხ.აქტი დანართი 59-68/, რა დროსაც პასუხისმგებლობა გადაეცა აღნიშნული თანხის განმკარგავ ფიზიკურ პირებზე. ამდენად სასამართლო იზიარებს მოსარჩელის პოზიციას აქტის ავტორთან 23.07.93წ. „მუშაკთა დაინტერესების შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის მოთხოვნათა მიღწევის მიზნით სახელმწიფო მეთაურის 06.01.95წ. ბრძანებულების მე-7 პუნქტის არასათანადოდ დადებისა და მოსარჩელის ქმედებასთან მიუსადაგებლობის ნაწილში /იხ.დანართი №2/ საქმის მასალებში არ მოიპოვება მტკიცებულებანი მოსარჩელისაგან საზღვარზე ნაღდი თანხის დეკლარირების გარეშე გადატანის ფაქტის სამტკიცებლად. გარდა ამისა, სასამართლოს მიაჩნია, რომ სავადასახადო ინსპექცია გასცდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს, როცა შეეცადა წინასწარ განზრახული ბრალეულობა ემტკიცებინა მოსარჩელისა. სასამართლოს მიაჩნია, რომ 23.04.96წ. აქტის 33-ე გვერდის მე-6 პოზიცია ბანდირისაოვის ბიუჯეტის სასარგებლოდ 810.499 აშშ დოლარის /1.019.608 ლარის/ გადახდის დაკისრების შესახებ არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან და მტკიცებულებებიდან და ასეთ მოსარჩელეზე ვერ გავრცელდება.

სასამართლო ვერ გაიზიარებს 1996 წლის 23 აპრილის აქტის პოზიციას არაეროვნულ ვალუტაში, ანგარიშსწორების ნაწილში, რითაც თითქოს მან დაარღვია სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 16 სექტემბრის №363 ბრძანებულება, რადგან საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულია, რო აღნიშნული საკიტხი აჭარის უშიშროების კომიტეტის კვლევა-ძიების საგანი გახლდათ და შეკრებილი მასალებით დარღვევის ფაქტი არ დადასტურდა.

დადგენილია, რომ კონვერტირების შედეგად მიღებული ვალუტა გადიოდა საბანკო ანგარიშზე. საყურადღებოა, რომ აქტის ავტორები ერასა და იმავე საკითხზე მძიშველიებენ სხვადასხვა ნორმატიულ აქტებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ №363 ბრძანებულების პარალელურად გამოყენებულია საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 21 დეკემბრის კანონის სავადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისადაც უკანონოდ მიღებული მოეღი ამონაღები ბიუჯეტის სასარგებლოდ



აშორებას ექვემდებარება. აღნიშნული ნორმა კი არ ვრცელდება იმ ფიზიკურ პირზე და საწარმოთა ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც კანონით აკრძალულ საქმიანობას ეწევიან, რასაც მოსარჩელის სინამდვილეში ადგილი არ ჰქონია, რადგან მისი საქმიანობა ლეგალიზებულია, სამეწარმეო საქმიანობა რეგისტრირებულია და თავსდება კანონის მოთხოვნებში (იხ. რეგისტრაცია, საგამოძიებო მასალებში მოწმეთა ჩვენებები). აქტის ავტორებმა იხელმძღვანელეს საქართველოს ადმინისტრაციულ დარღვევათა კოდექსის 153<sup>1</sup> მუხლის მოთხოვნებით (20 და 50 % დაჯარიმებისა და მიღებული მოელი ამონალების კონფისკაციის საკითხი), მაგრამ ამავე კოდექსის 233-ე მუხლის მოთხოვნით გათვალისწინებული წესი დაცული არ ყოფილა, რაც იმაში გამოიხატება, რომ არ მომხდარა ფინანსთა სამინისტროს მიერ ბეჭდური წესით დამზადებულთა წინასწარ მის მიერვე დანომრილ ბლანკზე მკაცრი აღრიცხვა, ოქმი უნდა შედგენილიყო სამ ეგზემპლარად და რაც მთავარია იმავე კოდექსის 208, 241 და 261 მუხლების მოთხოვნათა საფუძველზე, მასალები უნდა გადაგზავნილიყო ქვემდებარეობისამებრ სასამართლოში, რასაც ადგილი არ ჰქონია. დადგენილია, რომ „ბაინდირის“ შემოწმების პერიოდი მოიცავს 1995 წლის 21 სექტემბრიდან 1996 წლის 1 აპრილამდე პერიოდს (23.04.1996წ. აქტი).

საქართველოს პრეზიდენტის 23.09.1996 წლის №627 ბრძანებულებით 1996 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიუჯეტში ვადაგადაცილებულ დავალიანებათა ჩამოწერისა და რესტრუქტურისაციის შესახებ“-მე-4 პუნქტის თანახმად ბაინდერს უნდა ჩამოწეროდა ფინანსური სანქციების მიყენების შედეგად (1996 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სანქცია, საურავი, ჯარიმა) ვადაგადაცილებული დავალიანებები, რაც 4.048.977 აშშ დოლარზე არ გავრცელებულა და საკითხი საერთოდ არ გამხდარა მსჯელობის საგანი, ამ მხრივ (4.048.977 აშშ დოლარი მიღებულია ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბრის თვისათვის განსაზღვრული ჯარიმით—4050977 დოლარით, რასაც გამოაკლდა 25 სექტემბრისათვის საწესდებო ფონდში შეტანილი თანხა), სასამართლოს მიაჩნია რომ ეს განპირობებული იყო ანგარიშსწორების სავალდებულო საღარო სისტემის ძალაში შესვლით 1995 წლის 2 ოქტომბრიდან, რაც მაქსიმალურად იქნა გამოყენებული მოსარჩელის წინააღმდეგ, (იხ.ტ. 5 23.04.96წ. აქტი 23.24 გ.).

სასამართლოს მიაჩნია, რომ არასწორია დღგ-ს ბიუჯეტში შეუტანლობის პრეტენზია მოსარჩელის მიმართ პურის ფქვილის

ნაწილში. დადგენილია და ამას აქტივ ადასტურებს, რომ 896,2 ტონა ფქვილი მიღებულია 10.10.95წ. შევიცარიიდან და მისი სადეკლარაციო ღირებულება შეადგენს 232184 აშშ დოლარს /301839 ლარი/. აქტის მიხედვით აღნიშნული ფქვილის რეალიზაციიდან მოგება განისაზღვრება 27716 ლარით, საიდანაც დღგ-მ შეადგინა /16.67%/ ბიუჯეტის სასარგებლოდ 4.620 ლარი. საქმის მასალებით კი დადასტურებულია, რომ ფქვილის შემოტანისას „ბაინდირის“ საბაჟოზე გადახდილი აქვს დღგ 30134 ლარი, საიდანაც არასწორად მოხსნილმა დღგ-ს თანხამ ჯარიმის სახით შეადგინა 39281 ლარი, რა დროსაც შემცირებული დღგ-ს ე.ი. 25584 ლარს დაემატა 105-იანი სანქცია-ჯარიმა და საურავი 0,55 ყოველ ვადაგადაცილებულ დღგ-ზე, თუმცა აქტში მითებული არ იყო ვადაგადაცილებულ დღგ-ზე რაოდენობა, რამაც საბოლოო ჯამში შეადგინა გადასახდელი თანხა 64.445 ლარის ოდენობით. პრეზიდენტის №627 ბრძანებულების შესაბამისად შემცირებული დღგ 25.564 ლარი უნდა დაკისრებოდა „ბაინდირს“, რაც არ განხორციელებულა. სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელეს უნდა დაეკისროს 25.564 ლარის ნაცვლად 64.445 ლარი. საგადასახადო ინსპექციის მიერ საგანგებოდ იქნა იგნორირებული პრეზიდენტის №162 ბრძანების „საურავების გაყინვის შესახებ“ მოთხოვნები მოსარჩელის ინტერესების საწინააღმდეგო.

სასამართლო ვერ გაიზიარებს 23.04.96 წლის აქტის პრეტენზიებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 22 ივნისის №394 დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულების 4.10 მუხლის მოთხოვნათა დარღვევის შესახებ მოსარჩელის მიერ და ამ დარღვევათა გამოვლენის შემთხვევაში ე.ი. იურიდიულ პირებს შორის ნაღდი ფულის ანგარიშსწორების გამოვლენისას წარმოებული ანგარიშსწორების თანხის 25% ჯარიმის დაკისრების ნაწილში, რადგან აღნიშნული №394 დადგენილებამდე საქართველოს სახელმწიფო მეთაურის №260 ბრძანებულების მ-4 პუნქტის შესაბამისად 1994 წლის 1 მარტამდე დროებით აიკრძალა იურიდიულ პირთა შორის ნაღდი ფულზე ანგარიშსწორება და ეს არ გავრცელებულა ნავთობპროდუქტებზე (იხ. 23.04.96წ. აქტის მე-4 პუნქტისა). 25%-იანი ჯარიმა გამოთვლილია მიღებული და გაცემული 3.032.962 ლარიდან, რამაც შეადგინა 758.240 ლარი. დადგენილია, რომ შემოწმების მთლიან პერიოდში „ბაინდირის“ ბათუმის წარმომადგენლობა დაობდა საგადასახადო ინსპექციის ზემდგომ ინსტანციებში, პროკურატურასა და უშიშროების კომიტეტში. ამ პერიოდში კი საქართველოს ეროვნული ბანკის 20.07.96 წლის №52 ბრძანებით შემუშავებული იქნა საწარმოო

დაწესებულებებში სალაროს მეურნეობის შესახებ წესი. რასაც წინ უსწრებდა პრეზიდენტის №627 ბრძანებულება, რომლითაც მოხსნილი იქნა სანქცია-საურავები. აღნიშნულმა წესმა ამოავლო მოქმედებიდან №394 დადგენილების მე-4. 10 პუნქტი, რის გამოც ნებადართული შეიქმნა იურიდიულ და ფიზიკურ პირთა შორის ნაღდი ანგარიშსწორებითი ურთიერთობები. პრეზიდენტის 23.09.95წ. №627 ბრძანებულების თანახმად მთელი წინა პერიოდის სანქციები მიჩნეული იქნა ანტიკონსტიტუციურად, ეს პერიოდი კი მოსარჩელის სინამდვილეში გახლავთ 1995 წლის 21 სექტემბრიდან 1996 წლის 1 აპრილამდე პერიოდი, ე.ი. წინა პერიოდში №627 ბრძანებულებისა, ამდენად „ბაინდირს“ უნდა ჩამოეწეროს 758.240 დოლარი.

სასამართლო ვერ გაიზიარებს 1996 წლის 23 აპრილის აქტის პოზიციას საწარმოების ვალდებულებების შესახებ ფიზიკურ პირებზე თანხების გაცემისას საშემოსავლო გადასახადების დაკავებისა და ბიუჯეტში ჩარიცხვის თაობაზე, რადგან დადგენილია, რომ „ბაინდირის“ მიერ 1995 წლის დეკემბერში გაცემული იქნა 147.111 ლარი (აქტის დანართი 56, აქტის გვერდი 31), საიდანაც ოფისისათვის გადაირიცხა 49.179 ლარი, 15 დეკემბერი 1995 წ. იმავე დღეს კი თანამშრომელთა საცხოვრებელი ფართის იჯარისათვის—30.000ლარი, ხოლო კარლო კიდურაძეზე ბინის იჯარა გაიცა 54.000 აშშ დოლარი, რომელთა ჯამიც შეადგენს 147.111 ლარს.

აღნიშნული თანხის 10% ჯარიმამ შეადგინა 2.942 ლარი, ხოლო საურავმა 13.240 ლარი, სულ: 16.182 ლარი, რაც №627 ბრძანებულების თანახმად ექვემდებარება მოხსნას.

მოსარჩელეს უნდა დარჩეს უფლება მოქ.კარლო კიდურაძესთან დამოუკიდებელი დავისა შეძენილი ნაგებობის ნაწილში, ასევე უნდა მოეხსნას მოსარჩელეს საგზაო საავტომობილო გზებით სარგებლობისათვის სანქცია-ჯარიმები 2 სექტემბრის 1995 წლის „საქართველოს რესპუბლიკაში საგზაო ფონდის შესახებ“ კანონის დარღვევისათვის, რამაც შეადგინა 48.671 ლარი საქართველოს პრეზიდენტის №627 ბრძანებულების თანახმად.

დადგენილია, რომ ქ.ბათუმის საგადასახადო ინსპექციამ შავი ზღვის აუქციონის ბანკში მოახდინა მიმდინარე და სავალუტო ანგარიშსწორების დაფადალება, რითაც შეჩერებული იქნა ფულადი სახსრების ოპერაციები (გადარიცხვა, გაცემა). სასამართლოს მიაჩნია, რომ საგადასახადო ინსპექცია გასცდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს, რადგან საქმის მასალებში არ მოიპოვება რაიმე მტკიცებულებები მოსარჩელის მიმართ

წაყენებული მოთხოვნებისა, წარმოედგინათ საბუღალტრო დოკუმენტაცია და მათგან ასეთ წინადადებაზე უარის თქმისა (იხ.საგადასახადო სამსახურის შესახებ კანონის მ-8 მ. მე-5 პუნქტი), დადგენილია, რომ ჯარიმის სახით დარიცხულ 4.048.977 აშშ დოლარში შეყვანილია 547.840 აშშ დოლარის საბანკო გარანტია. მიუხედავად სასამართლოს მოთხოვნისა, ვერ იქნა მიღწეული მტკიცებულებათა ან თუნდაც რაიმე პასუხის მიღება ქ.ბათუმის აბს კომერციული ბანკიდან 814.153 აშშ დოლარის ადგილსამყოფელის შესახებ, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი იქნა ბანკის მმართველის მიერ ხელმოწერილი 1996 წლის 24 იანვრის წერილი (ითარგმნა თარჯიმნის მეშვეობით, საიდანაც ჩანს, რომ „ბაინდირის“ საკუთრება (814.153 აშშ დოლარი) და მის ანგარიშზე არსებული თანხის დაგვიანებისათვის ბანკი ყოველ გადაცილებულ თვეზე 1996 წლის 16 იანვრიდან კისრულობდა 0,5%-ის გადახდას. მოსარჩელის განცხადებით პირობა არ შესრულებულა. წარმოდგენილი იქნა აგრეთვე, აბს კომერციულ ბანკზე 1997 წლის 3 ივნისის მიმართვა, რომლითაც „ბაინდირი“ ითხოვდა მის ანგარიშზე დარჩენილი 1547.340 აშშ დოლარი გაეცემულიყო მათ წარმომადგენლობაზე. მოსარჩელეს არც პასუხი მიუღია და არც რაიმე საბანკო ოპერაციები არ ჩატარებულა. მოსარჩელის განცხადებით ბანკმა განუცხადა, რომ თანხა წაიღო საგადასახადო ინსპექციამ, ხოლო საგადასახადო ინსპექციის განცხადებით მათ ეს თანხა არ გაუტანიათ. ამდენად დღეისათვის ცნობილი არ არის სადავო 547.840 აშშ დოლარის ადგილსამყოფელი, ამიტომ სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული თანხის დავის ნაწილი უნდა დარჩეს ღიად და მოსარჩელეს დაეტოვოს უფლება დამოუკიდებელი დავის საგნად აქციოს იგი. იხ.მიმოწერები 24.1.96წ; 3.6.97წ.

მიუხედავად სასამართლოს მრავალგზის გაფროხილებისას (უწყებები, წერილები, დეპეშები) აჭარის წარმომადგენლები, საქმეში მოპასუხეებად ჩამოყალიბებული საბაჟო და საგადასახადო ინსპექცია პროცესზე არ გამოცხადებულნი. ისინი სხვადასხვა ინსტანციებს მიმართავენ სსსკ 123 მუხლის მოთხოვნათა საფუძველზე საქმის ქ.ბათუმში ქვედებარეობისამებრ გადაგზავნის მიზნით, მიუხედავად სასამართლოს არაერთგზის წერილობითი განმარტებებისა სსს 127 მუხლზე მითითებებით, (იხ.საქმის მასალები). საყურადღებოა, რომ სასამართლომ მათი სატელეფონო ზარის გამო 1999 წლის 4 მაისს შეწყვიტა საქმის მოსმენა და დამატებით, ტელეგრამების მეშვეობით შეატყობინა პროცესის გაგრძელების თარიღი, საათი და მოითხოვა სასამართლოში მათი

გამოცხადება, გამოუცხადებლობის შემოხვევაში კანონი გათვალისწინებული შედეგებით. მიუხედავად აღნიშნულისა, ამა წლის 10 მაისს ე.ი. საქმის განხილვის გაგრძელების დღეს, ქბათუმის სახელმწიფო ინსპექციისა და საბაჟოს წარმომადგენლობა პროცესზე არ გამოცხადებულა. საყურადღებოა, რომ 1998 წლის ოქტომბერში სასამართლომ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა საქმის მასალების გასაცნობად მისაკემი აუცილებელი დროის ნაწილში, რის გამოც საქმის მოსმენა გადაიდო 1999 წლის იანვრისათვის. საქმე გაჭინურდა მათი მიზეზით. სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია საქმის განხილვა მათი დასწრების გარეშე, შესაბამისად სსსკ 164 მუხლის მოთხოვნისა, მით უმეტეს, რომ სასამართლოს მიერ დაცული იქნა სსსკ 114-117 მუხლების მოთხოვნები და თელის, რომ მათი წინასწარი განზრახვით სხდომაზე სხდომაზე გამოუცხადებლობა არ ჩაითვლება საქმის განხილვის დამაბრკოლებელ გარემოებად. გარდა ამისა, საქმეზე წარმოდგენილი ტომები და დამოუკიდებელი დამატებითი მტკიცებულებები სსსკ 11. 51-53 მუხლების მოთხოვნათა საფუძველზე, საქმის არსებითი და სრულყოფილი განხილვის შესაძლებლობას იძლევა. საყურადღებოა, რომ წინამდებარე პროცესით საბაჟომ და ქბათუმის საგადასახადო ინსპექციამ საქმის მასალების გაცნობისათვის მოცემული დროის გასვლის შემდეგ რწმუნებულება გასცეს საქმის განხილვისას წარმომადგენლობაზე. ეს კი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ მათ სასამართლოსაგან ყველა შესაძლებლობა მიეცა პროცესზე დასწრებისა, მაგრამ გაუპარტლებელი მიზეზებით ისინი არ გამოცხადდნენ.

პროცესზე არ გამოცხადდა საქართველოს საპატრიარქოც, მიუხედავად მრავალჯერ შესთხოვნიებისა /იხ.საქმე/.

გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის წარმომადგენელი, მაგრამ იმ მიზნით, რომ მათ საკითხი არ ეხებათ, მიატოვა პროცესი. /იხ.სხდომის ოქმი/.

საქართველოს საბაჟომ /აბულაძე, აბესაყაშვილი/, სარჩელი არ ცნო და მოითხოვა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო უარი ეთქვას მოსარჩელეს.

სასამართლო თელის, რომ მოსარჩელეს დაცული აქვს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები. საქმეზე წარმოდგენილი დოკუმენტებით დამტკიცებულია, რომ მხარეთა შორის მოლაპარაკებები საკითხის სასამართლოს გარეშე მოგვარებისათვის მიმდინარეობდა 1997 წლის აპრილის თვის ბოლომდე. უფრო მეტი: მოსარჩელის სათაუო ფირმასა და ბანკ აბს-ს შორის ბოლო მოლაპარაკება დათარიღებულია 1997 წლის

3 იენისით /იხ.მტკიცებულებები საქმეში/ საკონსულო ცნობები, თურქეთის რესპ.პრეზიდენტის, საქართველოში თურქეთის ელჩის, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილები/, ამდენად მოსარჩელის მიერ დაკუთვნილი საქართველოს სსსკ 129 მუხლის მოთხოვნები /იხ. განჩინება საქმის წარმოებაში მიღების შესახებ/.

საქმეზე წარმოდგენილი იქნა მოსარჩელის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადასახადისაგან განთავისუფლების თხოვნით /იხ.№13.9.8/325/ რაც სასამართლომ მიიღო, გარდა ამისა, სასამართლომ მოსარჩელე გაანთავისუფლა ბაჟის წინასწარი გადასახადისაგან სარჩელის საბოლოო გადაწყვეტამდე. ამდენად, სასამართლო თელის რომ წინასწარ ბაჟის გადაუხდელობა ვერ იქნება საქმის განხილვის შუამფერხებელი გარემოება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ 197-200 მუხლებით

#### დ ა ა დ გ ი ნ ა :

სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, დაეკისროს მოსარჩელეს

შემცირებული დღგ-ს სახით 25.564 ლარისა და ბიუჯეტში კუთვნილი გადასახადიდან 76.439 ლარი, სულ 92 003 ლარი.

92.003 ლარის დაკისრების ნაწილში 23 აპრილი 1996 წლის აქტი ცნობილი იქნეს კანონიერად. დანარჩენ 9.030.119 ლარის ნაწილში 23 აპრილის 1996 წ. აქტი ცნობილი იქნეს ბათილად.

მოსარჩელებზე ბიუჯეტის სასარგებლოდ ფინანსური სანქციების სახით დაკისრებულ 9.122.122 ლარს უნდა გამოაკლდეს კანონიერად დაკისრებული 92.003 ლარი და საბოლოოდ მოსარჩელე უნდა განთავისუფლდეს 9.030 119 /ცხრა მილიონ ოცდაათი ათას ასცხრამეტი/ ლარის გადასახადისაგან, როგორც უკნონოდ დაკისრებულისაგან და განთავისუფლდეს იგი აღნიშნული 9.030.119 ლარის ჩარიცხვის ვალდებულებისაგან.

ღიად დარჩეს დატოვებული მოქ.კ.კიდურაძესთან 54.000 აშშ დოლარის და ქ.ბათუმის კომერციულ ბანკთან აბს-თან 547.840 აშშ დოლარის დავის საკითხი და დარჩეს უფლება ქვემდებარებისამებრ დამოუკიდებელი დავისა.

ასევე ღიად დარჩეს ქ.ბათუმის საგადასახადო ინსპექციის დაყადაღებული და კონფისკაციაქმნილი 8.700.841 კგ. ბენზინის ე.ი.

8700 ტონა ბენზინის დავის საკითხი და დაეგროვოს უფლება მოსარჩელეს დამოუკიდებელი სარჩელით დააყენოს საკიოხი შესაბამისი ქვემდებარე სასამართლოში.

გადაწყვეტილება კასაციურია 14 დღე.

მოსამართლე

მსაჯულები:

PS ავტორთა მოსაჩრება-მოსარჩელემ ხელოვნურად შექმნა რამოდენიმე მოპასუხე, რომ სარჩელი შეეტანათ ქობილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოში და მიუხედავად მოპასუხეთა არა-ერთი შუამდგომლობისა, საქმის განსჯადობის მიხედვით გადაგზავნის თაობაზე, მოსამართლემ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, საქმე მიკერძოებით განიხილა და მიიღო არასწორი გადაწყვეტილება, რომელიც აპელაციის წესით გასანივრებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის მიერ.

გავეცნოთ ქობილისის საოლქო სასამართლოს  
სააპელაციო პალატის 2000 წლის 13 აპრილის  
გადაწყვეტილებიდან ამონაწერს.

დავა უცხოური ინვესტიციებით შექმნილი  
საწარმოს რეგისტრაციისა და საბაჟო რეჟიმის დარღვევის  
თაობაზე

საქართველოში უცხოური კაპიტალის მოზიდვის, დაბანდების და კაპიტალბრუნვის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით, საქართველოს პარლამენტის მიერ 1995 წლის 30 ივნისს №777-III მიღებული იქნა „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ კანონი, რომელიც „მეწარმეთა შესახებ“ კანონთან და სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად გარკვეული პრივილეგირებულ სამართლებრივ რეჟიმსა და გარანტიებს ქმნიდა. ამავდროულად აღნიშნული კანონის კარი 5

„უცხოური ინვესტიციებით საწარმოთა შექმნა, მათი რეგისტრაცია და საქმიანობა“ გარკვეულ მოთხოვნებს აყენებდა, რომელთა შესრულება აუცილებლობა იყო.

კერძოდ, მუსლი 14. ინვესტიციის განხორციელების უფლება.

14.1 უცხოური ინვესტიციის საქართველოს რესპუბლიკაში განხორციელებისათვის, რომლის ოდენობა ან ღირებულება არის 100.000 (ასი ათასი) აშშ დოლარზე მეტი, საჭიროა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საინვესტიციო სააგენტოს მიერ გაცემული ლიცენზია.

მუსლი 21. დამატებითი ხელშეწყობის პირობები.

21.1 უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოები იხდიან საქართველოს რესპუბლიკის მთავარი კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, ამ მუხლში მოცემული შეღავათების გათვალისწინებით.

21.2 ამ მუხლით გათვალისწინებული შეღავათები ვრცელდება მხოლოდ უცხოელ ინვესტორზე და/ან უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოზე. სადაც უცხოელი ინვესტორის წილი შეადგენს საწესდებო კაპიტალის არანაკლებ 20%-ს და 100 ათას აშშ დოლარს, მუსლი 21.12 უცხოური ინვესტიციის ლიცენზიის ძალაში შესვლიდან 2 წლის მანძილზე უცხოური ინვესტიციით შექმნილი საწარმო თავისუფლდება საწარმოს ქონების გადასახადისაგან და 21.6 მუხლით მოგების გადასახადისაგან. ასევე დაბეგვრის შეღავათები ვრცელდება 21.14, 21.85, 21.16, 21.17, 21.18 და სხვა მუხლებით.

გარკვეულ შემთხვევებში აკეთებს კანონის 21.19 მუხლი „უცხოური ინვესტიციით შექმნილი საწარმო არ თავისუფლდება იმპორტზე ტარიფების, გადასახადების და მათთან გათანაბრებული მოსაკრებლებისაგან, რომლებიც შეიძლება დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკაში იმ ნებისმიერი პროდუქტების, მანქანა-დანადგარების, ან მასალების იმპორტისათვის, რომლებიც შემოტანილია საქართველოს რესპუბლიკაში სხვებზე მისასყიდად, გარდა იმ შემთხვევებისა თუ ამ პროდუქციას ან მასალას უცხოური ინვესტიციით შექმნილი საწარმო არსებითად უცვლის სახეს ან ტრანსფორმირდება, ისინი სხვა პროდუქციად საწარმოს საქართველოს რესპუბლიკაში საქმიანობის შედეგად“.

უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოთა დავები ძირითადად წარმოიშობოდა ზემოაღნიშნული კანონის 14 და 21 მუხლების, ასევე მეწარმეთა კანონის რეგისტრაციის შესახებ მუხლების მოთხოვნათა შეუსრულებლობის გამო.



ზემოაღნიშნული დარღვევის საილუსტრაციოდ გაუქმნის  
სასამართლო პრაქტიკიდან.

შპს „ყაზბეგ-კასტელი“, საკასაციო საჩივარი რეგიონალური  
საბაჟოსა და საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მიმართ  
სასამართლო დავასთან დაკავშირებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
ადმინისტრაციული და სხვა ძატვეორიის  
საქმეთა პალატის

გ ა ლ ა წ ყ ე ე ტ ი ლ ე ბ ა

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

საქმე №3გ-ად-15 30 ნომბერი, 1999წ.

ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა  
ძატვეორიის საქმეთა პალატამ

თავმჯდომარე

მოსამართლებები:

კასატორის – შპს „ყაზბეგ-კასტელი“-ს წარმომადგენლების,  
მოწინააღმდეგე მხარის – თბილისის რეგიონალური საბაჟოს  
წარმომადგენლების:

მესამე პირის – დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე  
–საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის  
წარმომადგენლის მონაწილეობით.

განიხილა შპს „ყაზბეგ-კასტელის“ წარმომადგენლების საკასაციო  
საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული  
სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 1999 წლის 8  
სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, რომლითაც შპს  
„ყაზბეგ-კასტელს“ თბილისის რეგიონალური საბაჟოს სასარგებლოდ  
დაეკისრა საბაჟო გადასახდელების დაეალიანების 3 621 805 (სამი  
მილიონ ექვსასოცდაერთი ათას რვაასხუთი) აშშ დოლარის  
ექვივალენტი და 3 716 (სამი ათას შვიდასოექვსმეტი)ლარის გადახდა.

საკასაციო პალატამ, მოისმინა რა უზენაესი სასამართლოს  
მოსამართლის მია ვაჩაძის მოხსენება.

შპს „ყაზბეგი-კასტელი“ წარმოადგენს შპს „ყაზბეგისა“ და შპს „გომბორი“

ბ.ჯ.ი.-ს“ უფლებამონაცვლეს.

შპს „ყაზბეგი“ რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში ქობილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს 1995 წლის 20 ივლისის დადგენილებით (რეგისტრაციის №2/4-42). მისი საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 34 600 აშს დოლარს (44980000 კუპონს).

შპს „გომბორი ბ.ჯ.ი.“ რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში ქობილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1997 წლის 6 ივნისის დადგენილებით (რეგისტრაციის №4/4-1159). მისი საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 5 000 ლარს.

შპს „ყაზბეგთან“ შპს „გომბორი ბ.ჯ.ი.-ს“ შერწყმის შედეგად (1999 წლის 19 თებერვლის შერწყმის შესახებ ხელშეკრულება) შეიქმნა შპს „ყაზბეგი-კასტელი“, რომელიც რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში ქობილისის დიდუბის რაიონის 1999 წლის 5 მარტის დადგენილებით (რეგისტრაციის №2/4-42). მისი საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 20 250 000 ლარს. (ამჟამად, შეადგენს -34 020 000 ლარს).

საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის №347-ე ბრძანების საფუძველზე 1999 წლის 7 ივნისს შემოწმდა შპს „ყაზბეგი-კასტელში“ სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების კანონიერება და შედგა აქტი.

შემოწმების აქტით სსვა დარღვევებთან ერთად შპს „ყაზბეგი-კასტელში“ გამოვლინდა „უცხოური ინვესტიციების“ შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 30 ივნისის კანონის 21-ე მუხლით მინიჭებული შეღავათებით უკანონოდ სარგებლობის ფაქტები. კერძოდ, შპს „ყაზბეგში“ უცხოელი ინვესტორის შპს „ბესატის“ (რუსეთის ფედერაცია“ მიერ 1996 წლის 4 ოქტომბრის სელშეკრულების საფუძველზე განხორციელდა ინვესტიცია 100985 აშშ დოლარის ოდენობით, რის შედეგად 1996 წლის 28 ოქტომბერს შპს „ყაზბეგზე“ საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს მიერ გაიცა უცხოური ინვესტიციის ლიცენზია 3127. ამ კანონის 21.2 მუხლით გათვალისწინებული შეღავათები „ვრცელდებოდა მხოლოდ უცხოელ ინვესტორზე და ან უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოზე,

სადაც უცხოელი ინვესტორის წილი შეადგენდა საწესდებო კაპიტალის არანაკლებ 20% და ასე ათას აშშ დოლარს“, №127-ე ლიცენზია კი მხოლოდ ერთ პირობას, შპს „ბესტის“ მიერ განხორციელებულ 100 985 აშშ დოლარის ინვესტიციას შეეხებოდა, რადგან შპს „ბესტის“ შპს „ყაზბეგის“ საწესდებო კაპიტალში წილს არ ფლობდა.

შემოწმების აქტით, ასევე, დაირღვა კანონის 21.17. და 21.19 მუხლების მოთხოვნები. შპს „ყაზბეგის“ სახელზე უცხოეთიდან შემოსული სესხადასხვა დასახელების ნედლეული, მაკომპლექტებული ნაკეთობანი, სათადარიგო ნაწილები, სატრანსპორტო საშუალებები წლების განმავლობაში საბაჟო გადასახდელებით არ იბეგრებოდა.

უფრო მეტიც, 1998 წლის განმავლობაში შპს „ყაზბეგის“ სახელზე დაუბეგრავად შემოსული საქონელი (18636 623 ლარის ღირებულების) ფაქტიურად მიიღო შპს „გომბორი ბ.ჯ.ი.-მ“ და ასახა საბუღალტრო ანგარიშებში, რაც განიხილება, როგორც შპს „ყაზბეგის“ შეღავათებით შპს „გომბორი ბ.ჯ.ი.-ს“ უკანონოდ სარგებლობა.

საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტმა შემოწმების აქტის შესაბამისად, საკითხის შემდგომი შესწავლისა და რეაგირებისათვის მიმართა საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტსა და თბილისის რეგიონალურ საბაჟოს.

თბილისის რეგიონალურმა საბაჟომ, ამასთან არსებული მასალებისა და საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის 1999 წლის 7 ივნისის შპს „ყაზბეგი-კასტელის“ შემოწმების აქტის საფუძველზე სარჩელი აღძრა თბილისის საოლქო სასამართლოს აღმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ და მოითხოვა შპს „ყაზბეგი-კასტელზე“ საბაჟო გადასახადელების დავალიანების 3 621 805 აშშ დოლარის ექვივალენტისა და 3716 ლარის დაკისრება. ამასთან, მიუთითა, რომ თბილისის რეგიონალური საბაჟო და საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტი, 1996-1999 წლებში, შეცდომით, უსაფუძვლოდ ავრცელებდა საბაჟო შეღავათებს შპს „ყაზბეგის“, შემდგომ კი „ყაზბეგი-კასტელის“ მიმართ, რაც გამოწვეული იყო მათ მიერ საინვესტიციო კანონმდებლობის არასწორი გაგებით.

შპს „ყაზბეგი-კასტელმა“ შესაგებელში არ ცნო სასარჩელო მოთხოვნა და განმარტა, რომ შპს „ყაზბეგი-კასტელი“ წარმოადგენს შპს „ყაზბეგის“ უფლებამონაცვლეს, რომელიც თავის მხრივ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სარგებლობს საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს მიერ 1996 წლის

28 ოქტომბერს ვაცემული №127-ე ლიცენზიით. ამასთან, შპს „ყაზბეგი“ წარმოადგენს უცხოურა ინვესტიციებით შექმნილ საწარმოს, რადგან წილის დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე მისმა პარტნიორებმა: გოფაქიმ და ევიორგობიანმა 1996 წლის 29 ოქტომბერს თავისი წილის ნაწილი საწესდებო კაპიტალში, 20% დაუთმეს უცხოელ ინვესტორს შპს „ბესატს“. შესაბამისად, გაიზარდა შპს „ყაზბეგის“ საწესდებო კაპიტალი და შეადგინა 500 000 აშშ ხელშეკრულება ინვესტიციის განხორციელების შესახებ. ინვესტიციის ოდენობა 101 000 აშშ დოლარით ვანისაზღვრა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინვესტიცია ხელმოწერიდან ორი თვის განმავლობაში უნდა განხორციელებულიყო. ხელშეკრულება 101 000 აშშ დოლარის ინვესტიციის შპს „ყაზბეგის“ საწესდებო კაპიტალში ჩადებას არ ითვალისწინებდა.

მეორე, საქართველოს ვაჭრობისა და სავაერო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრომ 1996 წლის 28 ოქტომბერს გასცა უცხოური ინვესტიციის ლიცენზია №127. ინვესტიციის ობიექტად მითითებული იყო შპს „ყაზბეგი“. მართალია, ლიცენზია განსაზღვრავდა, რომ უცხოური ინვესტიცია სარგებლობდა „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 21-ე მუხლით მინიჭებული შეღავათებით, მაგრამ ამასთან მიუთითებდა, რომ უცხოელ ინვესტორს წილი საწესდებო კაპიტალში არ გააჩნდა.

მესამე, უცხოური ინვესტიციის ლიცენზია ძალაშია ინვესტიციის განხორციელების დასრულებამდე, ჩვენს შემთხვევაში, 1996 წლის 4 დეკემბრამდე (კანონის 18.2 მუხლი, ხელშეკრულების 4.2. პუნქტი). ამდენად, აღნიშნული ლიცენზიით შპს „ყაზბეგს“ შეიძლება ესარგებლა მხოლოდ 1996 წლის 4 დეკემბრამდე, უცხოური ინვესტიციების კანონის 21.16. მუხლით დადგენილი შეღავათებით და არა მთლიანად 21-ე მუხლით. ყველა სხვა შემთხვევაში შეღავათებით სარგებლობა მიჩნეული უნდა ყოფილიყო, როგორც კანონდარღვევა, რადგან შპს „ყაზბეგი“ კანონის 21.2 მუხლის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა და მასზე ვერც ამ კანონის 21.17 და 21.19 მუხლის შეღავათები ვერ გავრცელდებოდა.

მეოთხე, შპს „ყაზბეგი“ 1996-1999 წლებში უსაფუძვლოდ სარგებლობდა იმპორტირებული საქონლის დაბეგვრასთან დაკავშირებული შეღავათებით, რის გამოც შპს „ყაზბეგის“ ბიუჯეტისადმი საბაჟო გადასახდელების სახით წარმოქმნილმა დავალიანებამ ამ პერიოდში 3 621 805 აშშ დოლარის ექვივალენტი და 3 716 ლარი შეადგინა. აღნიშნული დოლარი, რაც ქობილისის ღიდუბის რაიონის სასამართლომ

1996 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებით ცკლილებების სახელად შეიტანა სამეწარმეო რეესტრში.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ 1999 წლის 12 აგვისტოს განჩინებით, საქმეში, თბილისის რეგიონალური საბაჟოს მხარეს, მკაბე პირად, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნას გარეშე, ჩააბა საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტი. შპს „ყაზბეგი-კასტელის“ შესაგებლის პასუხად, თბილისის რეგიონალურმა საბაჟომ და საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტმა ექვექვემ დააყენეს შპს „ყაზბეგის“, როგორც უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს არსებობა, გაამახვილეს რა ყურადღება იმ ვარაუდებზე, რომ შპს „ყაზბეგის“ პარტნიორად შპს „ბესატი“ საგადასახადო ინსპექციამ არსებულ რეგისტრაციისა და დაბეგრის საბუთებში არ ფიგურირებდა. შპს „ყაზბეგი“, მისი დაფუძნებიდან დღემდე, გადასახადებში შეღავათებით, როგორც უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო, არ სარგებლობდა და იბეგრებოდა საერთო წესით. შპს „ყაზბეგში“ საგადასახადო შემოსემა ჩატარებულია ოთხჯერ, შემოსემების აქტებში მისი საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 34 600 აშშ დოლარს, გარდა ბოლო შემოსემებისა, სადაც შპს „ყაზბეგი-კასტელის“ საწესდებო კაპიტალი განსაზღვრული იყო 20 250 000 ლარის ოდენობით. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ 1999 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა და შპს „ყაზბეგი-კასტელს“ თბილისის რეგიონალური საბაჟოს სასარგებლოდ დააკისრა საბაჟო გადასახდელების დავალიანების 3 621 805 აშშ დოლარის ექვივალენტისა და 3 716 ათასი ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო კოლეგიამ შემდეგ გარემოებებზე მიუთითა:

პირველი, შპს „ყაზბეგსა“ და რუსეთის ფედერაციის შპს „ბესატს“ შორის 1996 წლის 4 ოქტომბერს დაიდო თანხის ოდენობა შპს „ყაზბეგი-კასტელს“ სადაოდ არ გაუსდია, იგი მიუთითებდა, რომ საზოგადოებაზე კანონიერად ვრცელდებოდა შეღავათები და საბაჟო გადასახდელების დავალიანება შპს „ყაზბეგი-კასტელს“ არ შეიძლება დაკისრებოდა.

მეხუთე, საქმეში მოიპოვება ურთიერთგამომრიცხავი დოკუმენტები, რომლებიც ექვექვემ აყენებენ ქ.თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 30 ოქტომბრის დადგენილებით სამეწარმეო

რეესტრში განხორციელებული ცვლილებების რეგისტრაციის ნამდვილობას. კერძოდ, საქმეში მოიპოვება 1996 წლის 15 ოქტომბრის შპს „ყაზბეგას“ პარტნიორთა კრების ოქმი, რომელშიც პარტნიორებად მოხსენიებული არიან არჩილ ჯელაძე და ემა გოგიძე, რომლებიც მხოლოდ 1997 წლის 14 ივლისის ამავე სასამართლოს დადგენილებით გახდნენ შპს „ყაზბეგის“ პარტნიორები.

საყურადღებოა ის გარემოება, რო საგადასახადო ინსპექციისათვის 1996 წლის 30 ოქტომბრის ცვლილებები ცნობილი არ ყოფილა. შპს „ყაზბეგს“, როგორც უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოს, „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 30 ივნისის კანონის 21-ე მუხლით მინიჭებული შეღავათებით არც მოგებისა და არც ქონების გადასახადებში არასოდეს უსარგებლია და არც პრეტენზია განუცხადებია.

კასატორის – შპს „ყაზბეგი-კასტელის“ წარმომადგენლები, ადვოკატი როინ მიგრიაული და იურისტი ნელი გაბეხაძე, საკასაციო საჩივრით ითხოვენ თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 1999 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმებას შემდეგი საფუძველებით:

პირველი, თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება უცხოური ინვესტიციის ლიცენზიის (შემდგომში „ლიცენზიის“) ცნებისა და სამართლებრივი შინაარსის არასწორ განმარტებას. როგორც ლიცენზიის ცნებიდან, ისე მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ უცხოური ინვესტიციის ლიცენზია წარმოადგენს მხოლოდ იმ აუცილებელ დოკუმენტს, რომელიც უფლებას აძლევს უცხოელ ინვესტორს, მის საფუძველზე მომავალში განახორციელოს უცხოური ინვესტიცია კანონით განსაზღვრულ საქმიანობასა და სფეროებში. თბილისის საოლქო სასამართლომ, არასწორად განმარტა რა უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონი, ლიცენზია დაუკავშირდა უცხოელი ინვესტორის მიერ საქართველოს საწარმოს საწესდებო კაპიტალში წილის სავალდებულო ფლობას. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ლიცენზიის ფორმალურ მომენტზეც, რაც კანონის არც ერთი ნორმიდან არ გამომდინარეობს. ამდენად, კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორად განმარტა უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონი იმ ნაწილში, როდესაც უაცილებლად მიიჩნია განხორციელებული ინვესტიციის თავიდანვე საწესდებო კაპიტალში ასახვა და შესაბამისად, ლიცენზიის დოკუმენტში ამის აუცილებელი ჩითიობა.

მეორე, უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული შეღავათები დაკავშირებულია უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს სტატუსთან. თბილისის საოლქო სასამართლომ შპს „ყაზბეგი“ უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოდ არ მიიჩნია, მაშინ, როცა 1996 წლის 30 ოქტომბრის ქტიბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს დადგენილებით შპს „ყაზბეგი“ სრულად აკმაყოფილებდა უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს მოთხოვნებს: მასში უცხოელი ინვესტორის (შპს „ბესატის“) მიერ განხორციელებული იყო 100 000 აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია და უცხოელ ინვესტორს (შპს „ბესატის“) მის საწესდებო კაპიტალში გააჩნდა წილის 20%. სასამართლომ მიერ სწორად არ იქნა შეფასებული შპს „ყაზბეგში“ საწესდებო კაპიტალის გაზრდისა და შპს „ბესატის“ მიერ 20% წილის მოპოვებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები. ამასთან, სასამართლომ არასწორად განმარტა მეწარმეთა შესახებ კანონის 46.3 და 46.7 მუხლები.

მესამე, თბილისის საოლქო სასამართლომ არასწორად განმარტა, როცა ლიცენზიის არსებობა შეღავათებით სარგებლობის უფლებას დაუკავშირა. №127 ლიცენზია შპს „ყაზბეგზე“ გაიცა 1996 წლის 28 ოქტომბერს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ამ დღიდან შპს „ყაზბეგი“ კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობდა. მან ეს უფლება მხოლოდ 1996 წლის 30 ოქტომბრიდან მოიპოვა, როცა სრულად დააკმაყოფილა უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონის 21.2. მუხლით გათვალისწინებული პირობები და შეიძინა უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს სტატუსი. ამდენად, კასატორი ივლის, რომ მასზე შეღავათები კანონიერად ვრცელდებოდა.

მოწინააღმდეგე მხარე, თბილისის რეგიონალური საბაჟო არ ცნობს საკასაციო საჩივარს და მიუთითებს, რომ საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს მიერ 1996 წლის 28 ოქტომბერს შპს „ყაზბეგზე“ გაცემული №127-ე ლიცენზია წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების განხორციელების უფლებას 100 985 აშშ დოლარზე, რომელზეც საბაჟო გადასასდევლების ნაწილში ვრცელდება „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ კანონის 21-ე მუხლის მხოლოდ მე-16 პუნქტით გათვალისწინებული შეღავათები. ამასთან, შევებებულ საკასაციო საჩივარში, თბილისის რეგიონალური საბაჟო შპს „ყაზბეგს“ (შემდგომ შპს „ყაზბეგი-კასტელს“) უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოდ არ განიხილავს და მოითხოვს ქტიბილისის:

ნოტარიუსის შოთა კაკაურიძის მიერ სანოტარო რეესტრში 1996 წლის 15 და 29 ოქტომბერს (3№1-2231, 1-2232, 1-2302) შესრულებული სანოტარო ჩანაწერების, ასევე სამეწარმეო რეესტრში შპს „ყაზბეგის“ ცვლილებების რეგისტრაციის შესახებ ქ.თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 30 ოქტომბრის დადგენილების ბათილად ცნობას შემდეგი მოტივებით:

პირველი, სამეწარმეო რეესტრში 1996 წლის 30 ოქტომბრით დათარიღებული შპს „ყაზბეგის“ ცვლილებები ქ.თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ რეგისტრირებულია კანონმდებლობის უხეში დარღვევით, კერძოდ, შპს „ყაზბეგის“ პარტნიორთა კრების ოქმი 32 დათარიღებულია 1996 წლის 15 ოქტომბრით. გასარკვევია, როგორ აღმოჩნდნენ ამ ოქმში საზოგადოების პარტნიორებად ჯელაძე და ემა კობიძე, როცა შპს „ყაზბეგის“ პარტნიორები ისინი გახდნენ ქ.თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს 1997 წლის 14 ივლისის დადგენილებით. ოქმის მეორე გვერდზე აღნიშნულია, რომ საზოგადოებაში პარტნიორად შემოდის შპს „ბესატი“, რომელსაც საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს მიერ მინიჭებული აქვს უცხოური ინვესტიციის ლიცენზია №127. აღნიშნული ლიცენზია გაიცა 1996 წლის 28 ოქტომბერს. საკითხავია, როგორ ფიგურირებს 1996 წლის 15 ოქტომბრის პარტნიორთა კრების ოქმი 1996 წლის 28 ოქტომბერს გაცემული №127 ლიცენზია.

მეორე, 1996 წლის 29 ოქტომბრით დათარიღებულ წილის დათმობის ხელშეკრულებაში, რომელიც გაფორმდა ერთის მხრივ, შპს „ყაზბეგის“ პარტნიორებსა და მეორეს მხრივ, შპს „ბესატი“ შორის, მითითებული არ არის საწესდებო კაპიტალის ოდენობა, გადასწორებულია რეესტრის ნომერი და ნოტარიუსის მიერ დადასტურებულია მხოლოდ შპს „ყაზბეგის“ პარტნიორების გ.თოფაძისა და ე.გიორგობიანის ხელმოწერა, ხელშეკრულება სათანადო წესით დამოწმებული არ არის.

მესამე, ქ.თბილისის ნოტარიუსის შოთა კაკაურიძის „მარტივი სანოტარო მოქმედებების“ სარეგისტრაციო ჟურნალში 1996 წლის 15 ოქტომბერს №1-2231 და №1-2232 „დამოწმებულია“ შპს „ყაზბეგის“ გახცხადება და კრების ოქმი №4(?). მომდევნო გვერდზე იგივე ნომრებით დამოწმებულია სხვა ფაქტები. ამავე ჟურნალში 1996 წლის 29 ოქტომბერს №1-2302 „დამოწმებულია“ წილის დათმობის ხელშეკრულება, მომდევნო გვერდზე იგივე ნომრით დამოწმებულია სხვა



ფაქტი. ამასთან, სანოტარო რეესტრში შპს „ბესატის“ პრეზიდენტის ბელიჩენკოს მონაცემები და არც ხელმოწერა არ არის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, შემოწმა გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თელის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ამასთან უნდა შეიცვალოს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 1999 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება შეგებებული საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ნაწილში შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ სწორად გამოიყენა „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 30 ივნისის კანონის მე-14-1, მე-16.1, მე-18.2, მე-18.3, მე-19, 21.2-ე, 21.16-ე, 21.17-ე და 21.19-ე მუხლები. სასამართლომ სწორად განმარტა, რომ იმ დროს მოქმედი საინვესტიციო კანონმდებლობა ითვალისწინებდა, როგორც უცხოური ინვესტიციების ერთჯერადად განხორციელებულ შესაძლებლობას (მაგალითად, ხელშეკრულების საფუძველზე), ისე უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოების დაფუძნებას. ამასთან, ამ უკანასკნელზე დამატებითი ხელშეწყობის განსაკუთრებული პირობები ვრცელდებოდა, რადგან დაკავშირებული იყო საქართველოში უცხოური კაპიტალის ხანგრძლივ მოზიდვასთან.

საკასაციო პალატა იზიარებს სასამართლო კოლეგიის დასაბუთებას და დადგენილად მიიჩნევს, რომ საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტრომ 1999 წლის 28 ოქტომბერს შპს „ყაზბეგზე“ გასცა უცხოური ინვესტიციის №127-ე ლიცენზია საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური ინვესტიციების განსახორციელებლად. აღნიშნული ლიცენზიის გაცემას საფუძველად დაედო შპს „ყაზბეგსა“ და „ბესატს“ შორის 1999 წლის 4 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულება ინვესტიციების განხორციელების შესახებ. ასევე, შპს „ყაზბეგზე“ სს „ექსიმბანკში“ №001070627/001 სავალუტო ანგარიშზე 1996 წლის 24 ოქტომბერს შპს „ბესატისაგან“ გამორიცხული 100 985 აშშ დოლარის ინვესტიცია, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. №127-ე ლიცენზიაში ვარკვევით იყო მითითებული, რომ შპს „ბესატი“ შპს „ყაზბეგში“ საწესდებო კაპიტალის წილს არ ფლობდა, თუმცა არ იყო

დაზუსტებული „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული შეღავათების რიგში პუნქტები ვერცელდებოდა შპს „ყაზბეგზე“, რაც საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სამინისტროს მის მიერ გაცემულ ლიცენზიაში უნდა აღენიშნა.

სასამართლო ვერ გაიზიარებს თბილისის რეგიონალური საბაჟოსა და საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის მოსაზრებას, რომ მათ მიერ წლების განმავლობაში (1996-1999წ.წ) „შეცდომით“ ხდებოდა შპს „ყაზბეგზე“ შეღავათების გავრცელება საბაჟო გადასახდელელებში და ამ ორგანოთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ №127 ლიცენზიაში გარკვევით იყო მითითებული, რომ შპს „ბესატი“ შპს „ყაზბეგში“ საწესდებო კაპიტალის წილს არ ფლობდა და მასზე ვერც „უცხოური ინვესტიციების განხორციელების შესახებ“ კანონის 21-ე მუხლით გავრცელებული ყველა შეღავათი გავრცელდებოდა.

საკასაციო პალატა, ასევე დადგენილად მიიჩნევს, რომ შპს „ყაზბეგი“ (შემდგომ „ყაზბეგი-კასტელი“) უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოს არ წარმოადგენდა, ვინაიდან ქ.თბილისის ნოტარიუსის შოთა კაკაურიძის მიერ 1996 წლის 15 და 29 ოქტომბერს განხორციელებული სანოტარო ჩანაწერები შპს „ყაზბეგის“ 1996 წლის 15 ოქტომბრის პარტნიორთა კრების №4 (?) ოქმის, განცხადებისა და წილის დათმობის ხელშეკრულების დადასტურების შესახებ, ისევე, როგორც ქ.თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება შპს „ყაზბეგში“ ცვლილებების რეგისტრაციის შესახებ ნამდვილი არ არის შემდეგ გარემოებათა გამო:

პირველი, „მარტივი სანოტარო მოქმედებების“ სარეგისტრაციო ჟურნალში ნოტარიუს შოთა კაკაურიძის მიერ 66-ე და 88-ე გვერდებზე ჩამატებულია სანოტარო მოქმედებების ნომრები: 1-2231, 1-2232, 1-2302, რითაც გაყალბებულია სანოტარო ჩანაწერები.

მეორე, ქ.თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოში არსებულ შპს „ყაზბეგის“ (შემდგომ „ყაზბეგი-კასტელის“) სადამფუძნებლო დოკუმენტებში, 1997-1999 წლებში (შპს „გომბორი ბ.ჯ.ი.“-თან შერწყმამდე), შპს „ბესატი“ პარტნიორად მოხსენიებული არ არის, რადგან საზოგადოების პარტნიორს არ წარმოადგენდა.

მესამე, 1996 წლის 30 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებებისათვის შპს „ყაზბეგის“ მიერ „გადახდილი“ მოსაკრებელი არც ქ.თბილისის დიდუბის რაიონის საფინანსო განყოფილებას და არც

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანგარიშზე არ შესულა, ე.ი. ფაქტიურად შპს „ყაზბეგს“ იგი ამ პერიოდში არ გადაუხდია.

მეოთხე. შპს „ყაზბეგის“ პარტნიორთა კრების ოქმში, რომელიც დათარიღებულია 1996 წლის 15 ოქტომბრით, არ შეიძლება საზოგადოების პარტნიორებად დასახელებულიყვნენ არჩილ ჯელაძე და ემა კობიძე, ვინაიდან ისინი შპს „ყაზბეგის“ პარტნიორები გახდნენ მხოლოდ 1997 წლის 14 იელისს. ასევე, არ შეიძლება მითითებული ყოფილიყო საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს მიერ შპს „ყაზბეგზე“ 1996 წლის 28 ოქტომბერს გაცემულ №127-ე ლიცენზიაზე, რაც აღნიშნული ოქმის სიყალბეს ადასტურებს.

მეხუთე. 1996 წლის 29 ოქტომბრით დათარიღებულ წილის დათმობის ხელშეკრულებაში, რომელიც გაფორმდა ერთის მხრივ, „ყაზბეგის“ პარტნიორებსა და მეორეს მხრივ, შპს „ბესატს“ შორის, მითითებული არ არის საწესდებო კაპიტალის ოდენობა, ასევე, სანოტარო რეესტრში არ არის შეტანილი შპს „ბესატის“ პრეზიდენტის ბელიჩენკოს არც პასპორტის მონაცემები და არც ხელმოწერა.

მეექვსე. საუდიტორო ფირმა „თ.უ. ბეგა აუდიტის“ გენერალური დირექტორის თ.ძირიანაშვილის საექსპერტო დასკვნაში, რომელიც შედგენილია 1996 წლის 10 ოქტომბერს, აღნიშნულია, რომ შპს „ყაზბეგის“ საწესდებო კაპიტალი შეადგენს 500 000 აშშ დოლარს, რომელიც შეესბუღლია უცხოელი პარტნიორის ფულადი შემონატანი ინვესტიციით 100985 აშშ დოლარით და სხვა ქონებით, მაშინ, როცა, სს „ექსიმბანკის“ მიერ გაცემული ცნობით, 100985 აშშ დოლარის ინვესტიცია შპს „ყაზბეგის“ საეალუტო ანგარიშზე ჩაირიცხა 1996 წლის 24 ოქტომბერს, 14 დღის შემდეგ.

ამდენად, როგორც სანოტარო ჩანაწერები, ისე სასამართლოს დადგენილება ყალბია და ბათილად უნდა ჩაითვალოს.

ამასთან, საკასაციო პალატა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სასამართლომ მართალია სწორად შეაფასა აღნიშნული დოკუმენტები, მაგრამ ისინი ბათილად არ ცნო.

ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის რეგიონალური საბაჟოსა და საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შპს „ყაზბეგზე“ (შემდგომ „ყაზბეგი-კასტელზე“) 1996-1999 წლებში უსაფუძვლოდ ვრცელდებოდა „უცხოური ინვესტიციების შესახებ“

კანონის 21-ე მუხლის მე-17 და მე-19 პუნქტებით გათვალისწინებული შეღავათები, რითაც შპს „ყაზბეგი-კასტელს“ ბიუჯეტისადმი წარმოემვა საბაჟო გადასასდღელების დაეალიანება 3 621 805 აშშ დოლარის ექვივალენტისა და 3716 ლარის ოდენობით.

ამდენად, კასატორის შპს „ყაზბეგი-კასტელის“ წარმომადგენლების, საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 1999 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება უნდა შეიცვალოს მოწინააღმდეგე მხარის, თბილისის რეგიონალური საბაჟოს შეგებებული საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ნაწილში.

იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე, 410-ე და 411-ე მუხლებით, საკასაციო პალატამ

### გ ა ლ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. უარი ეთქვას შპს „ყაზბეგი-კასტელს“ საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო.

2. ძალაში დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 1999 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილება შპს „ყაზბეგი-კასტელისათვის“ ბიუჯეტისადმი თბილისის რეგიონალური საბაჟოს სასარგებლოდ საბაჟო გადასასდღელების დაეალიანების 3 621 805 აშშ დოლარის ექვივალენტისა და 3 716 ლარის დაკისრების ნაწილში.

3. დაკმაყოფილდეს თბილისის რეგიონალური საბაჟოს შეგებებული საკასაციო საჩივარი.

თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიცვალოს იმ ნაწილში, რომ ბათილად იქნეს ცნობილი ქთბილისის ნოტარიუსის შოთა კაკაურიძის მიერ შესრულებული 1996 წლის 15 ოქტომბრის №№ 1-2231, 1-2232 და 29 ოქტომბრის №1-2302 სანოტარო ჩანაწერები შპს „ყაზბეგის“ 1996 წლის 15 ოქტომბრის პარტნიორთა კრების ოქმის, განცხადებისა და წილის დათმობის ხელშეკრულების დადასტურების შესახებ.

ბათილად იქნეს ცნობილი სამეწარმეო რეესტრში ქთბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 30 ოქტომბრის დაადგენილება შპს „ყაზბეგის“ ცვლილებების რეგისტრაციის შესახებ“.

4. სასამართლოს მიერ გამოვლენილ დარღვევებზე ეცნობოს საქართველოს პროკურატურას, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ნოტარიუსთა პალატას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე

მოსამართლეები:

PS ავტორთა მისაზრება—საქართველოს უზენაესი სასამართლოს

გამომცემის ჯგუფმა მოიკვლია დამატებითი მტკიცებულებები საწარმოს რეგისტრაციის დროს დაშვებულ კანონდარღვევებზე, ასევე ინვესტიციების შესახებ კანონის მოთხოვნების დარღვევებზე, საქმე საფუძვლიანად განიხილა და მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება.

დავა საწარმოს რეგისტრაციისა (ინვესტიციების შესახებ კანონის შესაბამისად) და

საბაჟო რეჟიმის დარღვევის თაობაზე

საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის სარჩელი შპს „ყაზბეგი-კასტელი“-ს საქმესთან დაკავშირებით

საქმე №03ა/27 ფორმა №

გადაწყვეტილება

საქართველოს სახელით

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

8 სექტემბერი 1999წ. ქ.თბილისი

თბილისი საოლქო სასამართლოს  
ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო  
საქმეთა კოლეგიამ  
თაქედომარე  
სასამართლოს შემადგენლობა იღვევაშვილი, მგლოველი  
მღვიანი ლ.ქემოკლიძე

მოსარჩელე ორგანიზაციის წარმომადგენლების: საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თბილისის რეგიონალური საბაჟოს იურიდიული განყოფილების, თბილისის რეგიონალური საბაჟოს „თბილისის აეროპორტის“ საფინანსო საგადასახადო და სტატისტიკის განყოფილების, საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს, თბილისის რეგიონალური საბაჟოს საბაჟო ტექნოლოგიისა და კოდიფიკაციის განყოფილების, მოპასუხე ორგანიზაციის შპს „ყაზბეგი-კასტელის“ წარმომადგენლების: საადვოკატო ბიურო „მიგრიაული და პატარაიას“, შპს „ყაზბეგი-კასტელის“ იურისკონსულტის, ამავე საზოგადოების ფინანსური მენეჯერის. შპს „თჯბეგა აუდიტის“ წარმომადგენლების მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მოსარჩელის მხარის წარმომადგენლის საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის სასამართლოებში საჩივრების განხილვის სამმართველოს უფროსის მოადგილის და საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის საგადასახადო სპეციალურ დეპარტამენტსა და მოპასუხის აპარატის უფროსის მონაწილეობით განიხილა საქმის მასალები მოსარჩელე ორგანიზაციის საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თბილისის რეგიონალური საბაჟოს სარჩელისა გამო, მოპასუხე ორგანიზაციის შპს „ყაზბეგი-კასტელისა“ და მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მოსარჩელის მხარეზე საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მიმართ მოპასუხე ორგანიზაციისათვის შპს „ყაზბეგი-კასტელისათვის“ ბიუჯეტისადმი საბაჟო გადასახადების დეალიანების 3.621.805 (სამი მილიონ ექვსასოცდერთი ათას რვაას ხუთი) აშშ დოლარის ექვივალენტის ლარებში დაკისრებასა და მოპასუხისათვის 3.716 (სამი ათას შვიდასთექვსმეტი) ლარის დაკისრების თაობაზე.

სასამართლო სხდომაზე საქმეში არსებული დოკუმენტების შესწავლით და საქმის განხილვაში მონაწილე პირთა ზეპირი ახსნა-განმარტებების საფუძველზე სასამართლომ დადგინილად ცნო შემდეგი.

თბილისის საოლქო სასამართლოს 1999 წლის 14 ივლისს სასარჩელო განცხადებით მიმართა მოსარჩელე ორგანიზაციამ საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თბილისის რევიონალურმა საბაჟომ, მოპასუხე ორგანიზაციის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ყაზბეგი-კასტელი“ (შემდგომში შპს „ყაზბეგი-კასტელი“) მიმართ მოსარჩელე ითხოვს მოპასუხისათვის ბიუჯეტისადმი საბაჟო გადასახადების სახით წარმოქმნილი დავალიანების 3.621.805 (სამი მილიონ ექვსასოცდერთი ათას რვაას ხუთი) აშშ დოლარის ექვივალენტის ღირებულება და 3.716 (სამი ათას შვიდასოუქვსმეტი) ლარის დაკისრებას, ამასთან საქმის არსებითად განხილვამდე მოპასუხის ქონებასა და საბანკო ანგარიშების დაყადაღებას. (ს.ფ.1-2)

თბილისის საოლქო სასამართლოს აღმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 16.07.99წ. განჩინებით სასარჩელო განცხადების უმოდროდ დატოვების შესახებ, სასამართლომ მიიჩნია, რომ განცხადება შეიცავს ხარვეზებს და მათი აღმოფხვრისათვის განისაზღვრა მოსარჩელეს ვადა. 19.07.99წ. მოსარჩელემ კვლავ მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს. ამჯერად საქმის წარმოებაში მიღებას დამატკობლებელი გარემოებები იყო აღმოფხვრილი (იყო წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტები) და იმავე დღეს მიღებული განჩინებით სასარჩელო განცხადება წარმოებაში იყო მიღებული, ამასთან იმავე დღეს მიღებული განჩინებით (19.07.99წ) დაკმაყოფილდა მოსარჩელე ორგანიზაციის შუამდგომლობა და მოპასუხე ორგანიზაციის შპს „ყაზბეგი-კასტელის“ ქონებას, აგრეთვე საბანკო დაწესებულებებში არსებული ანგარიშსწორების და სავალუტო ანგარიშებს სასამართლომ ყადაღა დაადო. (ს.ფ. 59-66; 71-73;)

საქმის განხილვის მოსამზადებელ სტადიაზე სასამართლომ საკუთარი ინიციატივით 12.08.99წ. განჩინებით სასამართლო განხლეაში მესამე პირად ჩართო დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტი მოსარჩელის მხარეზე. (ს.ფ. 117-118).

მოპასუხე ორგანიზაციის მიერ 30.07.99წ. იყო წარმოდგენილი შესაგებელი (შეპასუხება), რომელიც ეყრდობა შემდეგ ძირითად დებულებებს: შპს „ყაზბეგი-კასტელი“ მთლიანად არ სცნობს სასარჩელო მოთხოვნებს მათი უსაფუძვლობის გამო, შპს „ყაზბეგი-კასტელი“ წარმოადგენს შპს „ყაზბეგის“ უფლებამონაცვლეს, რომელიც თავის მხრივ (ანუ შპს „ყაზბეგი“) სარგებლობდა მოქმედი კანონმდებლობის

შესაბამისად საქართველოს ეაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს მიერ 28.10.96წ. გაცემული №127 ლიცენზიით; შპს „ყაზბეგის“ პარტნიორებმა თავისი წილის ნაწილი საწესდებო კაპიტალში 29.10.96წ. დაუთმეს უცხოურ ინვესტორს შპს „ბესატი“. თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლომ 30.10.96წ. მოახდინა შპს „ყაზბეგის“ დამფუძნებელ საბუთებში ცვლილებების რეგისტრაცია. ს.ფ. 77-81

თბილისის რეგიონალურმა საბაჟომ შეისწავლა რა მოპასუხე ორგანიზაციის შეპასუხება (შესაგებელი) თავისი 06.08.99წ. №11-1950 წერილობითი პასუხი მიმართვით სასამართლოსადმი, არ დაეთანხმა მოპასუხე ორგანიზაციის მტკიცებულებებს და კვლავინდებურად მხარი დაუჭირა თავისივე სასარჩელო განცხადების მოთხოვნებს. მოსარჩელე ეყრდნობოდა შემდეგ ძირითად დებულებებს. მოსარჩელე მიიჩნევს რომ 23.10.96წ. უცხოური ინვესტიციის ლიცენზია იქნა გაცემული შპს „ყაზბეგს“ და რუსეთის ფედერაციის შპს (რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობა იცნობს შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობის ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმასთან იცნობს შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმასაც) „ბესატი“ შორის დადებული 04.10.96წ. ხელშეკრულების ინვესტიციების განხორციელების შესახებ რეალიზაციის მიზნით. შპს „ბესატიმ“ განახორციელა ინვესტიცია 100.985 (ასი ათას ცხრაასოთხმოცდასუთი) აშშ დოლარის ფარგლებში; ინვესტიცია არ ყოფილა შეტანილი შპს „ყაზბეგის“ საწესდებო კაპიტალში და არ ყოფილა დაკავშირებული იურიდიული პირის შექმნასთან. ს.ფ. 88-92

შპს „ყაზბეგი-კასტელმა“ 11.08.99წ. კვლავ მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს თავისი შესაგებლით (შეპასუხება) რომლითაც სადავოდ გახდა მოსარჩელის შეფასება 28.10.96წ. უცხოური ინვესტიციის ლიცენზიის თაობაზე.

ს.ფ. 97-100

თბილისის საოლქო სასამართლოს 24.-8.99წ. მიმართა თავისი 20.08.99წ. №11-01-1929 წერილობითი ფორმით საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ, წერილში გამაზვილებულია ყურადღება შემდეგ გარემოებებზე. შპს „ყაზბეგი“ დაფუძნდა და გატარდა რეგისტრაციაში 20.07.95წ. მისი საწესდებო კაპიტალი დღიდან დაფუძნებისა შეადგენდა 34.600 (ოცდაათოთხმეტი ათას ექვსას) აშშ დოლარს, შპს „ბესატი“ სადამფუძნებლო საბუთებში არ ფიგურირებდა; 05.03.99წ. გაერთიანდნენ შპს „ყაზბეგი“ და შპს „გომბორი -ბ.ჯ.ი.“ და დაფუძნდა შპს „ყაზბეგი-



კასტელი“. ახლად დაფუძნებული საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 20.250.000 (ოცი მილიონ ორასორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით. დამფუძნებელი სამი იურიდიული პირიდან ერთ-ერთი მითითებულია შპს „ბესატი“; შპს „ბესატი“ დაბეგერის საბუთებში არსად არ ფიგურირებს. შპს „ყაზბეგი“ არსად არ მიუთითებდა საგადასახადო დოკუმენტაციაში, რომ არის უცხოური ინვესტიციების ნაწილზე შექმნილი იურიდიული პირი; შპს „ყაზბეგი“ დღიდან დაფუძნებასა საგადასახადო შემოწმება ჩატარდა ოთხჯერ: 05.08.96წ. 28.01.98წ. 25.12.98წ. 07.06.99წ. გარდა ბოლო შემოწმებისა ანუ 07.06.99წ. ყველა შემოწმების შემაჯემებელ აქტებში მითითებულია შპს „ყაზბეგის“ საწესდებო კაპიტალი შეადგენს 34 600 (ოცდათოთხმეტი ათას ექვსასი) აშშ ექვივალენტის ეროვნულ ვალუტაში. ს.ფ. 125-126

გაირკვა, რომ თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლო 20.07.95წ. დადგენილებით რეგისტრაციაში გატარდა შპს „ყაზბეგი“ (რეგისტრაციის №2/4-42), რომლის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 34.600 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში.

თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 06.06.97წ. დადგენილებით რეგისტრაციაში გატარდა შპს „გომბორი ბ.ჯ.ი.“ (რეგისტრაციის №4/4-1159), რომლის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 5 000 (ხუთი ათას) ლარს.

თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს 05.03.99წ. დადგენილებით რეგისტრაციაში გატარდა შპს „ყაზბეგი-კასტელი“ (სარეგისტრაციო №2/4-42), რომელიც წარმოადგენს შპს „ყაზბეგის“ უფლებამონაცვლება და შპს „გომბორი ბ.ჯ.ი.“ უფლებამონაცვლება ამ უკანასკნელი საზოგადოების წილის ფარგლებში.

საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის 18.04.99წ. №347 ბრძანების საფუძველზე შემოწმებულმა ჯგუფმა ჩაატარა შპს „ყაზბეგი-კასტელში“ სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხებზე საგადასახადო შემოწმება. შემოწმება შეეხო 1998 წლის 1 დეკემბრიდან 1999 წლის 1 აპრილამდე განვიღო საანგარიშო პერიოდს. შემოწმების შედეგებზე აქტი, რომელიც დათარიღებულია 07.06.99წ. და რომ ანალოგიური იმავე დღეს ჩატარდა შპს „ყაზბეგი-კასტელის“ წარმომადგენლებს. ს.ფ. 12-41

საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის 07.06.99წ. შემოწმების აქტის ერთ-ერთი მონაკვეთი ეხება იმ ნაკლოვანებების აღწერას, რაც დაკავშირებულია უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონით დადგენილი შეღავათებით

სარგებლობასთან. აქტი შეიცავს დათქმასაც იძის თაობაზე, რომ დარღვეულია საბაჟო რეჟიმი და საკითხის შემდგომი შესწავლისა და რეაგირებასაოვის ეცნობოს საბაჟო დეპარტამენტს. ამ მიმართებით აქტში მითითებულია ორ ძირითად დარღვევაზე: ა) დარღვეულია 1995 წლის შესახებ 21-ე მუსლით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობის უწყლება, ვინაიდან მითითებული შეღავათები ვრცელდება მხოლოდ უცხოელ ინვესტორზე და ან უცხოურ ინვესტიციებზე შექმნილ საწარმოზე, სადაც იცხოვლი ინვესტორის წილი შეადგენს საწესდებო კაპიტალის არანაკლებ 20%-ს და 100 ათას აშშ დოლარს, ხოლო №127 ლიცენზიით კი ასეთი შეღავათები გავრცელებულია მხოლოდ ერთ პიროვნებაზე, კერძოდ შპს „ბესატის“ მიერ განხორციელებულ 100 985 აშშ დოლარის ინვესტიციაზე, ვინაიდან საწესდებო კაპიტალში შპს „ბესატის“ წილი არ ჩაუღია (ს.ფ. 37) შპს „ყაზბეგს“ კუთვნილი ტვირთი (საქონელი) მიიღო შპს „გომბორი ბ.ჯ.ი.“-ს შესაბამისად დაარღვია საქართველოს კანონის მოთხოვნა უცხოური ინვესტიციების შესახებ და საბაჟო რეჟიმი ქვეყნის სივრცეში შემოწმებელთა მტკიცებით უცხოოიდან გამოგზავნილი ტვირთი თავიდანვე წარმოადგენდა შპს „გომბორი ბ.ჯ.ი.“-ს საკუთრებას, ხოლო შპს „ყაზბეგის“ სახელზე მითითებული ტვირთის გამოგზავნა განიხილება, როგორც შპს „ყაზბეგის“ შეღავათებით შპს „გომბორი ბ.ჯ.ი.“-ს მიერ უმართებულოდ სარგებლობა. (ს.ფ. 38)

შპს „ყაზბეგი-კასტელმა“ თავისი 15.06.99წ. მიმართა საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტს თავისი შენიშვნებით საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის 07.06.99წ. აქტის მიმართ. მითითებულ შენიშვნებში, რომელთა ნაწილიც ეხება უცხოური ინვესტიციების შესახებ დადგენილი კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით უმართებულო სარგებლობას, განმცხადებელი ან შპს „ყაზბეგი-კასტელი“ მიუთითებს, რომ უცხოეთიდან შემოსული ნედლეული, ნაკეთობანი, სათადარიგო ნაწილები იყო შპს „ყაზბეგის“ საჭიროებისათვის, წარმოადგენდა მითითებული საზოგადოების საკუთრებას და შემოსავალშიც იყო აღებული შპს „ყაზბეგის“ მიერ შპს „ყაზბეგსა“ და შპს „გომბორი ბ.ჯ.ი.“-ს შორის საქონლის მიწოდებას ადგილი არ ჰქონია და მათ შორის არსებობს სათანადო ხელშეკრულება, რომელიც ცხადყოფს, რომ კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ს.ფ. 136-137

სასამართლო ამხვილებს მხარეთა ყურადღებას, რომ შპს „ყაზბეგი-კასტელის“ 15.06.99წ. შენიშვნებში 07.06.99წ. აქტის მიმართ საერთოდ

არაფერია ნათქვამი №127-ე ლიცენზიის გააოყენების თაობაზე, აგრეთვე იმაზე, რომ შპს „ბესატის“ განხორციელებული კქონდა რეალურად ინვესტიცია შპს „ყაზბეგის“ საწესდებო კაპიტალში.

საქართველოს საგადასადალო სახელმწიფო დეპარტამენტის 07.06.99წ. საკითხის შემდგომი შესწავლისა და რეაგირებისათვის აცნობა საბაჟო დეპარტამენტს. საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტში თბილისის რეგიონალურ საბაჟოსთან ერთად შეისწავლა შპს „ყაზბეგისა“ (და შესაბამისად შპს „ყაზბეგი-კასტელს“) უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონით დადგენილი შეღავათებით სარგებლობის საკითხი. საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტსა და თბილისის რეგიონალურ საბაჟოზე არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე დადგინდა, რომ თბილისის რეგიონალური საბაჟო და საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტი უსაფუძვლოდ აერცილებდნენ საბაჟო შეღავათებს შპს „ყაზბეგის“ მიმართ 1996-1998 წლებში, რითაც დააქალეს ბიუჯეტს საბაჟო გადასახადი, საბაჟო დღგ, აქციზი და საბაჟო მოსაკრებელი, რაც საერთო ჯამში შეადგენს სასარჩელო მოსიხონას. აღნიშნული დავალიანების წარმოქმნა (დაგროვება) განპირობებულია საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტისა და თბილისის რეგიონალური საბაჟოს შეცდომით, რომელიც მდგომარეობდა მოქმედი საინვესტიციო კანონმდებლობის თავიდან არასწორი ინტერპრეტაციით, რაც გულისხმობდა უსაფუძვლო შეღავათების გავრცელებას შპს „ყაზბეგისათვის“.

*სასამართლო კოლეგია მიიჩნევს რომ სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს სრულად შემდეგი გარემოებათა გამო.*

პირველი. შპს „ყაზბეგსა“ და რუსეთის ფედერაციის შპს „ბესატის“ შორის 1996 წლის 4 ოქტომბერს დაიდო ხელშეკრულება ინვესტიციების განხორციელების შესახებ. ინვესტორი, ანუ შპს „ბესატის“ კისრულობდა ვალდებულებას დაებანდებინა ფულადი სახსრები შპს „ყაზბეგზე“ საბრუნავ საშუალებებში, რაც გამოყენებული იქნებოდა ლუდისა და სხვა კვების პროდუქტების წარმოებასა და გადამამუშავებისას აგრეთვე შპს „ყაზბეგის“ ობიექტებსა და წარმოების ტექნიკური მოდერნიზაციისათვის (ხელშეკრულების 1.1. პუნქტი) ინვესტიციითა და ღირებულების ოდენობა განისაზღვრა 101.000 (ასერთი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით (ხელშეკრულების 2.1. პუნქტი). ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა (ანუ საინვესტიციო თანხა) უნდა ყოფილიყო გადარიცხული შპს „ყაზბეგის“ სავალეტო ანგარიშზე სააქციო საზოგადოება „ექსპორტ-იმპორტ“ ბანკში (ხელშეკრულების 4.1. პუნქტი)

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინვესტიცია უნდა ყოფილიყო განხორციელებული 04.10.96წ. ხელშეკრულების ხელმოწერიდან ორი თვის განმავლობაში (ხელშეკრულების 4.2. პუნქტი). (ს.ფ. 9)

სასამართლო ამახილებს მხარეთა ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ საინვესტიციო თანხა, ანუ 101.000 (ასერტი ათასი) აშშ დოლარი არ ყოფილა გამიზნული შპს „ყაზბეგის“ საწესდებო კაპიტალის შესავსებად.

მეორე, საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრომ 1996 წლის 28 ოქტომბერს უცხოელი ინვესტორის შპს „ბესატის“ სარჩულზე გაიცა უცხოური ინვესტიციის ლიცენზია №127. ინვესტორის ობიექტად მითითებულია შპს „ყაზბეგი“. უცხოური ინვესტიციის სახეობად გათვალისწინებულია ლიცენზიით თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა. ლიცენზია განსაზღვრავდა, რომ უცხოური ინვესტიცია სარგებლობს „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ კანონის 21-ე მუხლით მინიჭებული შეღავათებით. ლიცენზია ადგენდა, რომ უცხოური ინვესტიციის ღირებულება შეადგენდა 100 985 აშშ დოლარს. უცხოელი ინვესტორის წილის ოდენობას საწესდებო კაპიტალში 28.1.96წ. №127-ე ლიცენზია არ ითვალისწინებდა. ლიცენზიაში მოცემული გრაფა არ არის შევსებული და შესაბამისი ხაზის გასმა ლიცენზიის შევსებისას მეტყველებს იმაზე, რომ ინვესტორს არ უნდა ჩაედოთ შპს „ყაზბეგის“ საწესდებო კაპიტალში ინვესტირებული თანხა (ს.ფ. 11). თვით შპს „ყაზბეგი-კასტელის“ წარმომადგენელმაც (ბატონმა როინ მიგრიაულმა) დაადასტურა სასამართლო სსდომაზე, რომ 28.10.96წ. №127 უცხოური ლიცენზიის მიღებისას არ იყო გათვალისწინებული 100.985 (ასი ათას ცხრაას ოთხმოცდახუთი) აშშ დოლარის შპს „ყაზბეგის“ საწესდებო კაპიტალის შევსება.

მესამე, საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს უცხოური ინვესტიციის ლიცენზია 3127 იყო გაცემული 1995 წლის 30 ივნისის კანონის უცხოური ინვესტიციების შესახებ საფუძველზე. კანონმდებელი ადგენდა, რომ უცხოური ინვესტიციის საქართველოში განხორციელებისათვის, რომლის ოდენობა ან ღირებულება არის 100.000 (ასი ათასი) აშშ დოლარზე მეტი, უნდა განხორციელებულიყო საქართველოს იმჟამად მოქმედი მინისტრთა კაბინეტის საინვესტიციო სააგენტოს მიერ გაცემული ლიცენზიით. (კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტით) ამ კანონით კანსაზღვრულ ვადაში ან მისი განხორციელება მიღებული ლიცენზიისა

და მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით (კანონის 18.2 და 18.3 პუნქტები).

კანონის უცხოური ინვესტიციების შესახებ მე-5 კარი დაომობილი კქონდა უცხოური ინვესტიციებით საწარმოთა შექმნისა, მათი რეგისტრაციასა საქმიანობის მოწესრიგებას. მითითებულ კარში მოქცეული 21-ე მუხლი, რომელიც თავის მხრივ 19 პუნქტისაგან შედგებოდა განსაზღვრავდა სუბიექტთა დამატებითი ხელშეწყობის პირობებს. მითითებული კანონის 21.2 ნორმა განსაზღვრავდა, რომ შეღავათები, რომლებსაც ითვალისწინებდა 21-ე მუხლი ვრცელდებოდა მხოლოდ უცხოელ ინვესტორზე და ან უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებზე, სადაც უცხოელი ინვესტორის წილი შეადგენდა საწესდებო კაპიტალის არანაკლებ 20%-ს და 100 ათას აშშ დოლარს, სასამართლო განუმარტავს მხარეებს, რომ მითითებული ნორმა ვრცელდებოდა მხოლოდ უცხოელ ინვესტორზე, აგრეთვე უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებზე, სადაც დატული უნდა ყოფილიყო ერთდროულად ორი პირობა) უცხოელ ინვესტორს უნდა შეეტანა საწესდებო კაპიტალში 20% და ინვესტორის ოდენობა უნდა ყოფილიყო არანაკლებ 100 ათასი აშშ დოლარი.

უცხოური ინვესტიციის მიერ სასამართლოში შემოტანილი ქონება საწარმოს საწესდებო კაპიტალში წილობრივი შენატანის სახით, თავისუფლდებოდა გადასახადებისაგან და მათთან გათანაბრებული მოსაკრებლებისაგან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (მითითებული კანონის 21.15. პუნქტი). ამავე კანონის 21.16. პუნქტი პირდაპირ განსაზღვრულია, რომ სამეურნეო ხელშეკრულებების (კონტრაქტების) საფუძველზე, საქართველოში ინვესტირების მიზნით შემოტანილი ქონება თავისუფლდება გადასახადებისაგან და მათთან გათანაბრებული მოსაკრებლებისაგან იმ ვადით, რომელიც გათვალისწინებულია ინვესტირებისათვის შესაბამისი ხელშეკრულებებით (კონტრაქტებით). ამ მიმართებით სასამართლო განუმარტავს მხარეებს, რომ 28.10.96წ. უცხოური ინვესტიციის №127-ე ლიცენზიის გაცემის საფუძველს წარმოადგენდა შპს „ყაზბეგსა“ და შპს „ბესატის“ შორის დადებული 04.10.96წ. ხელშეკრულება ინვესტიციების განხორციელების შესახებ.

უცხოური ინვესტიციის ლიცენზია №127 იყო გაცემული კანონიერი საფუძველით და უზრუნველყოფდა კანონის უცხოური ინვესტიციების შესახებ დადგენილი 21.16. პუნქტით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობის უფლებას შპს „ყაზბეგისათვის“. ანუ შპს „ყაზბეგი“ იყო

უფლებამოსილი და ისარგებლა კიდევ) კანონით მინიჭებული შეღავათებით 1996 წლის 4 ოქტომბრიდან 1996 წლის 4 დეკემბრამდე 100.985 აშშ დოლარის ფარგლებში (აღნიშნული თანხა არ შედის სასარჩელო თანხაში). ყველა სსკა შემთხვევაში შეღავათებით სარგებლობა უნდა იყოს მიჩნეული კანონდარდვევად აქედან გამომდინარე სათანადო შედეგებით.

კანონის უცხოური ინვესტიციების შესახებ 21-ე მუხლი მოიცავს სხვადასხვა შეღავათებს. ამასთან დაუშვებელია, რომ სუბიექტი, რომელიც სარგებლობს მითითებული კანონის 21-ე მუხლის ერთ-ერთი პუნქტის შეღავათით, მასზე გავავრცელოთ 21-ე მუხლის სხვა პუნქტების შეღავათებიც. მქვიანკურად იმ ვარაუდით, რომ სუბიექტის სახელზე ერთხელ უკვე იყო გაცემული უცხოური ინვესტიციის ლიცენზია.

მეოთხე, 1996 წლის 12 ნოემბერს იყო მიღებული საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ. აღნიშნული კანონი ამოქმედდა 1996 წლის 6 დეკემბრიდან, ანუ მისი გამოქვეყნებიდან (იხ.გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა 1996 წლის 6 დეკემბერი). კანონის საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ ამოქმედებისთანავე დაკარგა იურიდიული ძალა 1995 წლის 30 ივნისის კანონმა უცხოური ინვესტიციების შესახებ. ახალმა კანონმა აღარ გაითვალისწინა ლიცენზიების გაცემის პრაქტიკა და თანაბარი პირობები შეუქმნა როგორც რეზიდენტ ისე არარეზიდენტ მენარმეებს. ამასთან კანონით საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ დადგინდა, რომ უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებს, რომლებმაც ამ კანონით ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აიღეს უცხოური ინვესტიციის ლიცენზია, მისი გაცემის დღიდან 5 წლის განმავლობაში უნარჩუნდებათ „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ 1995 წლის 30 ივნისის საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათები საქმიანობის იმ სფეროში, რომელზეც გაცემულია უცხოური ინვესტიციების ლიცენზია.

სასამართლო განუმარტავს მხარეებს, რომ 28.10.96წ. უცხოური ინვესტიციის ლიცენზიით №127 არ ყოფილა გათვალისწინებული უცხოელი ინვესტორის სახსრების ინვესტირება შპს „ყაზბეგის“ საწესდებო კაპიტალში. შესაბამისად შპს „ყაზბეგზე“ და შემდგომ შპს „ყაზბეგი-კასტელ“ზე არაკანონიერად ვრცელდებოდა კანონის საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ მე-13 მუხლის მოთხოვნები, ვინაიდან შპს „ყაზბეგს“ არ აქონია აღებული კანონით დადგენილი წესით (უცხოური ინვესტიციების შესახებ 1995

წლის 30 ივნისის კანონის შესაბამისად) უცხოური ინვესტიციის ლიცენზია იმის თაობაზე, რომ შპს „ყაზბევი“ შექმნილია უცხოური ინვესტიციებით (ან შემდგომ მოხდა უცხოური ინვესტიციების დაბანდება შპს „ყაზბევის“ საწესდებო კაპიტალში). შესაბამისად 1996 წლიდან 1998 წლის ჩათვლით შპს „ყაზბევი“ 100.985 (ასი ათას ცხრაას ოთხმოცდახუთი) აშშ დოლარის ინვესტიციების ფარგლებს კარდა უსაფუძვლოდ სარგებლობდა საბაჟო შეღავათებით.

მეხუთე, შპს „ყაზბევი“ იმპორტირებული საქონლის დაბეგვრასთან დაკავშირებით 1996-1998 წლებში უსაფუძვლოდ სარგებლობდა შეღავათებით. საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტისა და თბილისის რეგიონალური საბაჟოს შპს „ყაზბევის“ ბიუჯეტისადმი საბაჟო გადასახდელების სახით წარმოქმნილი დავალიანებამ მითითებულ პერიოდში (ანუ 1996-1998 წლებში) შეადგინა 3.621.805 აშშ დოლარი ექვივალენტი და 3.716 ლარი. აღნიშნული თანხა მოქალაქე ორგანიზაციის, ანუ შპს „ყაზბევი-კასტელის“ წარმომადგენელს სადავოდ არ მუდიათ. მონაწილე ორგანიზაციის წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ საზოგადოება კანონიერად სარგებლობდა შეღავათებით მოსარჩელე ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებული თანხის გაანგარიშებისას.

სასამართლოს მითითებით მოსარჩელემ გაშიფრა სასარჩელო თანხის სტრუქტურა, მოსარჩელე ორგანიზაციის წარმომადგენელთა განმარტებით საბიუჯეტო თანხიდან 1.558.789.42 აშშ დოლარი წარმოადგენს საბაჟო გადასახადს, დანარჩენი თანხა შეადგენს დღგ-ს, აქციზურ გადასახადს, საბაჟო მოსაკრებელს, რაც საერთო ჯამში იძლევა 3.621.805 (სამი მილიონ ექვსას ოცდაერთი ათას რვაას ხუთ) აშშ დოლარს ლარებში გადაანგარიშებულს. (ანუ ლარის ექვივალენტის ტოლფას თანხას) და 3.716 (სამი ათას შვიდას თექვსმეტ ლარს) ლარს. საქმეში მოიპოვება მოსარჩელე ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი სრული და ზუსტი გაანგარიშება თუ რა თანხა დაერიცხა რეალურად შპს „ყაზბევის“ (და შესაბამისად შპს „ყაზბევი-კასტელის“ და რა თანხა უნდა ყოფილიყო დარიცხული (იხ.ს.ფ. 42-58), მაგრამ როგორც აღინიშნა, მოქალაქეს მოსარჩელე ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი გაანგარიშება სადავოდ არ გაუხდია.

მეექვსე, საქმეში მოიპოვება ურთიერთგამომრიცხავი დოკუმენტები იმის თაობაზე, თუ როდის და როგორ ხდებოდა შპს „ყაზბევის“ საწესდებო კაპიტალის და 1995 წლის 20 ივლისიდან ანუ შპს „ყაზბევის“ რეგისტრაციიდან 1998 წლის 5 მარტამდე, როდესაც მოხდა

შპს „ყაზბეგისა“ და შპს „კომბორი ბ.ჯ.ი.“-ს შერწყმა და მათი გაერთიანების საფუძველზე შპს „ყაზბეგი-კასტელის“ ჩამოყალიბება.

შპს „ყაზბეგი კასტელის“ წარმომადგენელთა მტკიცებულებით შპს „ყაზბეგმა“ 1996 წლის 29 ოქტომბერს, უფრო ზუსტად შპს „ყაზბეგის“ პარტნიორებმა გაითვალისწინა და ეგიორგობიანმა, წილის დათმობის ხელშეკრულების საფუძველზე დაუთმეს თავისი წილის ნაწილი შპს „ბესსატს“, მთლიანად 20%-ის ოდენობით. მითითებული ცვლილება თავის მხრივ აისახა დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ სამეწარმეო რეესტრში 30.10.96წ. შესაბამისად მოპასუხე ორგანიზაციის მტკიცებით 30.10.96 წლიდან შპს „ყაზბეგი“ უნდა იყოს მიჩნეული უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოდ. (ს.ფ. 80-81) თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს ინსპექციის 17.08.99წ. №2/4-42 მიმართვიდან შპს „ყაზბეგი-კასტელს“ რწმუნებულ ადვოკატისადმი ირკვევა, რომ 1997 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შპს „ბესსატი“ რიცხავდა შპს „ყაზბეგის“ პარტნიორად და მისი წილი განისაზღვრება 20%-ით. ს.ფ. 155-156

მითითებული მტკიცებულებები საჭიროებენ კონკრეტულ შეფასებას შემდეგ გარემოებათა გამო: ა) თბილისის საოლქო სასამართლომ თავისი 20/08 99წ. №35 გზავნილით გამოითხოვა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლიდან შპს „ყაზბეგი-კასტელს“ სადამფუძნებლო საბუთებში შეტანილი ცვლილებების ასლები რეესტრიდან და არა სრულად მთელი საქმის მასალები; ბ) საქმეში მოიპოვება შპს „ყაზბეგის“ პარტნიორთა კრების ოქმი №2, რომელიც უნდა იყოს დათარიღებული მოპასუხის წარმომადგენელთა განმარტებით 1996 წლის 15 ოქტომბრით (ოქმში თვის რიცხვი მითითებული არ არის. იხ.ს.ფ. 82-85).

მითითებული ოქმით დაფიქსირდა, რომ შპს „ყაზბეგის“ ორმა დამფუძნებელმა პარტნიორმა ფიზიკურმა პირმა თავისი წილის ნაწილი დაუთმეს რუსეთის ფედერაციის შპს „ბესსატის“. ამავე ოქმით დადგინდა, რომ შპს „ბესსატი“ მიღებული იქნა საზოგადოების პარტნიორად. ამავე ოქმით გადაწყდა, რომ გაიზარდოს საზოგადოების საწესდებო კაპიტალი და განისაზღვროს 500.000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტზე ეროვნულ ვალუტაში, საზოგადოების წილს დათმობის ხელშეკრულება ორ ფიზიკურ პირსა და შპს „ბესსატის“ შორის გაფორმდა. უფრო მოგვიანებით 1999 წლის 29 ოქტომბერს. სასამართლო ამასვე იღებს მხარეთა ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ შპს „ყაზბეგის“ 1996 წლის ოქტომბრის ოქმით საზოგადოების წევრად ჰიღოს შპს „ბესსატის“ თანხმობის გარეშე.



შპს „ბესატის“ კაპიტალი ცნობილი გახდა მხოლოდ 1999 წლის ივნისის შემოწმებისას. შპს „ყაზბეგში“ დღიდან დაფუძნებისა საგადასახადო შემოწმება ჩატარებულია ოთხჯერ, ამასთან მხოლოდ ბოლო 1999 წლის 7 ივნისის აქტშია მითითებული, რომ შპს „ყაზბეგი-კასტელის“ საწესდებო კაპიტალი შეადგენს 20.250.000 (ოცი მილიონ ორას ორმოცდაათი ათას) ლარს. ყველა წინა შემოწმებებში იყო მითითებული, რომ საზოგადოებას საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 34.600 (ოცდაათოთხმეტი ათას ექვსას) აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში; დ) შპს „ყაზბეგი-კასტელის“ 15.06.99წ. შენიშვნებში საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის 07.06.99წ. აქტის მიმართ არაფერია ნათქვამი შპს „ბესატის“ და მოლიანად ამ მიმართებით საზოგადოების უფლებრივ მდგომარეობაზე.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 244-ე, 247-ე, 250-ე, 255-ე მუხლებით

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. მოსარჩელე ორგანიზაციის საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თბილისის რეგიონალური საბაჟო მოსარჩელეთა მოთხოვნა მოპასუხე ორგანიზაციის შპს „ყაზბეგი-კასტელისა“ და მესამე პირის, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მოსარჩელის მხარეზე, საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მიმართ დაკმაყოფილდეს სრულად.

ა) მოპასუხე ორგანიზაციას შპს „ყაზბეგი-კასტელს“ გადახდეს მოსარჩელე ორგანიზაციის საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თბილისის რეგიონალური საბაჟო სასარგებლოდ ბიუჯეტისადმი საბაჟო გადასახადის დაუალიანება 3.621.805 (სამი მილიონ ექვსასოცდაერთი ათას რვაასხუთი)აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში გადახდის დღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით.

ბ) მოპასუხე ორგანიზაციას შპს „ყაზბეგი-კასტელს“ გადახდეს მოსარჩელე ორგანიზაციის საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თბილისის რეგიონალური საბაჟო სასარგებლოდ 3.716 (სამი ათას შვიდასთექვსმეტი) ლარი გადახდევინება მოხდეს შპს „ყაზბეგი-კასტელის“ შემდეგ საბანკო ანგარიშებიდან:

(1) სააქციო კომერციული ბანკის „ინტელექტბანკი“  
ანგარიშსწორების ანგარიში 509070809, სავალუტო ანგარიში  
380170899

(2) სააქციო კომერციული ბანკის „ინტელექტბანკის“  
№1 ფილიალი

ანგარიშსწორების ანგარიში 200 467 014

სავალუტო ანგარიში 070 711

(3) სააქციო კომერციული ბანკის „აბსოლუტბანკის“

ანგარიშსწორების ანგარიში 02824

სავალუტო ანგარიში 02824

(4) სააქციო კომერციული ბანკის „TBC–ბანკის“

ანგარიშსწორების ანგარიში 13467461

სავალუტო ანგარიში 32 070 253

(5) სააქციო კომერციული ბანკის „ექსიმბანკის“

ანგარიშსწორების ანგარიში 000 467 299

მოქალაქე ორგანიზაციის შპს „ყაზბეგი-კასტელისათვის“  
გადასახდელად დაკისრებული ფულადი სახსრები ჩაირიცხოს  
საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თბილისის  
რეგიონალური საბაჟო სადგომო ბანკის ანგარიშზე №0001442  
საქართველოს ეროვნულ ბანკში გადარიცხვის გზით გაიციეს  
სააღსრულებო ფურცელი.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ყაზბეგი-კასტელის“  
გადახდეს საბაჟო დაწესებულებებში გახსნილი ანგარიშსწორების  
ანგარიშებიდან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟი  
5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

სახელმწიფო ბაჟი ჩაირიცხოს საერთო სასამართლოების  
მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ანგარიშზე  
ეროვნული ბანკი №115 141 102 კოდი 220101107 1 სახაზინო  
სამსახური. გაიციეს სააღსრულებო ფურცელი.

სააღსრულებო ფურცელი აღსასრულებლად გადაეგზავნოს  
საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მსხვილ  
გადამხდელთა ინსპექციას.

3. დარჩეს ძალაში თბილისის საოლქო სასამართლოს 1999 წლის  
19 ივლისისა და ამავე სასამართლოს 1999 წლის 27 ივლისის  
განჩინებები, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ შპს  
„ყაზბეგი-კასტელის“ მიერ ბიუჯეტისა და საბაჟო გადასახადის  
დავალიანების დასაფარავად.

5. მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარეების მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში თბილისის საოლქო სასამართლოში საკასაციო საჩივრის შეტანით ერთი თვის ვადაში მხარეთათვის გადაწყვეტილების ასლების გადაცემის მომინტიდან.

**თავმჯდომარე**

PS აყტიორთა მოსაზრება— ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს კოლეგიამ სარჩელი საფუძვლიანად განიხილა. სამეწარმეო, საინვესტიციო, საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად და მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება, რომლითაც საბაჟო

და საგადასახადო დეპარტამენტების მოთხოვნები დაკმაყოფილდა. მიღებული გადაწყვეტილება მოქმედებს შპს „ვაზბეგ-კასტელმა“ გაასაჩივრა კასაციის წესით. იხილეთ საქართველოს უზენაეს სასამართლოს 1999 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმე №3გ/ად-15.

**დავა მეწარმეთა რეგისტრაციისა და სავადასახადო აღრიცხვის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე**

დავა ეხება სს „ინტელექტბანკი“-ს მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 233-ე მუხლის „საბანკო ანგარიშები“-ს მოთხოვნათა შეუსრულებლობას.

კერძოდ: ბანკები და საბანკო ოპერაციების ცალკეულ სახეობათა შემსრულებელი სხვა ორგანიზაციები ვალდებული არიან:

ა. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს გაუხსნან საანგარიშსწორებო ანგარიშები იმ დოკუმენტების წარდგენის შემდეგ, რომელიც ადასტურებს საგადასახადო ორგანოების მიერ გადაიხდელისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებას, აცნობონ საგადასახადო ორგანოს გადამხდელისათვის აღნიშნული ანგარიშების გახსნის შესახებ და არ აწარმოონ ოპერაციები

ამ ანგარიშის მიხედვით საბანკო დოკუმენტაციებში გადასახადის გადაჩხედილის საიდენტიფიკაციო ნომრის მითითების გარეშე“.

ს.ს „ინტელექტბანკმა“ არ შეასრულა ზემოაღნიშნული ნორმა.

ეკრძოდ, არ აცნობა საგადასახადო ორგანოს ანგარიშის გახსნის შესახებ, რითაც ხელი შეუწყო გადამხდელს, რომ საგადასახადო ორგანოს არ სცოდნოდა შემოსული თანხების შესახებ, რათა თავი აერიდებინა გადასახადების ბიუჯეტში დროულად გადახდისათვის. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევისათვის სს „ინტელექტბანკს“ ბიუჯეტში გადასახდელად 509 725 ლარი დაერიცხა.

ს.ს „ინტელექტბანკის“ საკასაციო საჩივრის განხილვა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის  
საქმეთა პალატის

გ ა ნ ი ნ ე ბ ა

ამონაწერი

საქმე №3გ/ად-102-კ 25 ოქტომბერი 2000წ.  
ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საკასაციო პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე:

მოსამართლეები

მდივანი

კასატორის – ს.ს „ინტელექტბანკის“ წარმომადგენლების

მოწინააღმდეგი მხარის – საქართველოს საგადასახადო

შემოსავლების

სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის

წარმომადგენლების და მსხვილ გადამხდელთა

ინსპექციის წარმომადგენლის

მესამე პირის – დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე –

ქვემო

ქართლის საოლქო პროკურატურის საგამომიებო

განყოფილების მონაწილეობით

ვანიხილა ს.ს. „ინტელექტბანკის“ საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და სავადასახადო საქმეთა კოლეგიის 08.05.2000წ. გადაწყვეტილებაზე.

სასამართლომ გა მ თ ა რ კ ე ი ა :

ქვემო ქართლის ოლქის პროკურორის თხოვნით საქართველოს მსხვილ გადამხდელთა ინსპექციიდან გამოყოფილი იქნა საგადასახადო ინსპექტორი და ერთობლივად შემოწმდა ს.ს. „ინტელექტბანკში“ ს.ს. „რუსთავის ქიმკომბინატის“ საბანკო ანგარიშების გახსნისას და გასაელის ოპერაციების წარმოებისას საგადასახადო კანონრღებლობის დაცვის მდგომარეობა, რის საფუძველზეც შედგა შესაბამისი აქტი (აღნიშნული სადავო აქტი არ არის დათარიღებული). შემოწმების შედეგად მიჩნეულ იქნა, რომ ს.ს. „ინტელექტბანკს“ დარღვეული აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 233-ე მუხლის „ა“ ქვეუბნექტის მოთხოვნები და ამავე კოდექსის 255-ე მუხლის „ა“ ქვეუბნექტის თანახმად ბანკმა ჯარიმის სახით უნდა გადაიხადოს სახელმწიფო ბიუჯეტში 509.729.05 ლარი. შედგენილი აქტის თანახმად ს.ს. „რუსთავის ქიმკომბინატს“ ს.ს. „ინტელექტბანკმა“ გაუხსნა ანგარიშსწორების ანგარიში და სავალუტო ანგარიში 23.09.97 წ. სოლო გასაელის ოპერაციები ჩატარდა 30.10.97 წ.

25.11.99 წ. ს.ს. „ინტელექტბანკმა“ მიმართა თავისი №1109 წერილით საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის უფროსს. წერილიდან ირკვევა, რომ ს.ს. „რუსთავის ქიმკომბინატმა“ 19.03.97 წ. ბანკს წარუდგინა საანგარიშსწორებო და სავალუტო ანგარიშის გასახსნელად აუცილებელი დოკუმენტების დასტა. ანგარიშსწორების გახსნის თაობაზე ეცნობა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას წერილით. 1999 წლის უთარილო სადავო აქტში აღნიშნული თარიღი 29.09.98 წ. ანგარიშის გახსნის შესახებ ეყრდნობა ბანკის მიერ გაგზავნილ შემდგომ შეტყობინებას, რომელიც ხელმოწერედ გაიგზავნა. იმის გამო, რომ ს.ს. „რუსთავის კომბინატს“ შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა ს.ს. „აზოტი“.

საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის 10.01.2000 წ. №5 ბრძანების საფუძველზე ჩატარდა საჯარიმო თანხის დარიცხვის კანონიერების ადგილზე შესწავლა, რის შედეგადაც შედგენილი იქნა 24.02.2000 წ. აქტი, რომელშიც შემოწმების სხვა შედეგებთან ერთად აისახა ს.ს. „რუსთავის ქიმკომბინატის“ შემოწმების შედეგებიც. იმის დასტურად, რომ ს.ს. „ინტელექტბანკმა“

წამდვილად აცნობა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას ს.ს. "რუსთავის ქიმკომბინატისათვის" ანგარიშის გახსნის თაობაზე, ს.ს. "ინტელექტბანკი" ეყრდნობა 19.03.97 წ. დათარიღებულ № 127 საფოსტო ქვითარს, რომელიც ბანკის წარმომადგენელთა აზრით ადასტურებს ს.ს. "აზოტის" ანგარიშების გახსნის შესახებ ინფორმაციის წარდგენას მსხვილ გადამხდელთა ინსპექციისათვის. აქტიდან ირკვევა, რომ შპს "საქართველოს ფოსტის" ფილიალის "თბილისის ფოსტამატის" 10.02.2000 წ. წერილის მიხედვით ქვითარზე დასმული კალენდარული შტამპელის ანასახი ეკუთვნის №62-ე საფოსტო განყოფილებას, თუმცა ამ განყოფილებაში 19.03.97წ. მომუშავე სამი თანამშრომლიდან ორი დღეისათვის არ თვლის აღნიშნულ ქვითარს თავიანთ გაფორმებულად, ხოლო მესამე თანამშრომელი გარდაიცვალა.

15.03.2000 წ. საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის №04-2-6/63/209 წერილით (განკარგულებით), რომლის აღრესატებიც არიან ს.ს. "ინტელექტბანკი" და მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია, ირკვევა, რომ საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის შემოწმების მასალებით დადასტურდა ს.ს. "ინტელექტბანკის" მიერ ს.ს. "რუსთავის ქიმკომბინატისათვის" ანგარიშების გახსნის შესახებ შეტყობინების საგადასახადო ორგანოში წარუდგენლობა. დეპარტამენტმა მიუთითა, რომ საჯარიმო სანქცია 509.729.05 ლარის ოდენობით სწორად არის დარიცხული.

24.03.2000 წ. მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ საქართველოს ეროვნულ ბანკში ს.ს. "ინტელექტბანკის" საკორესპონდენტო ანგარიშზე წარადგინა №312 საინკასო დავალება (განკარგულება) 509.729.05 ლარის უაქცეპტოდ ჩამოწერის თაობაზე.

ს.ს. "ინტელექტბანკმა" სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს, რომლითაც მოითხოვა: 1) მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 24.03.2000 წ. №312 საინკასო დავალების (განკარგულების) ბათილად ცნობა; 2) მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის უფროსი ინსპექტორისა და ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამომძიებო პროკურორის მიერ 1999 წელს შედგენილი უთარილო აქტის ბათილად ცნობა; 3) საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის 24.02.2000 წ. აქტის იმ ნაწილში ბათილად ცნობა, რომელიც ეხება ს.ს. "რუსთავის ქიმკომბინატისათვის" (ს.ს. "აზოტისათვის") ს.ს. "ინტელექტბანკში" ანგარიშების გახსნის შესახებ შეტყობინების საგადასახადო ორგანოში წარუდგენლობას; 4) საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის 15.03.2000 წ. №04-2-

6/63/209 წერილის (განკარგულების) ბათილად ცნობა; 5) სასამართლო ხარჯების ანაზღაურება, მათ შორის სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება და იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების მოპასუხებისათვის სოლიდარულად დაკისრება, რაც სადავო თანხის 4%-ს შეადგენს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ 08.05.2000 წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა ნაწილობრივ. სასამართლო დაეყრდნო ს.ს. "აზოტის" საფინანსო განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 29.12.99 წ. ცნობას, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის 05.05.2000 წ. წერილს და არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ბანკმა ს.ს. "რუსთავის ქიმკომბინატს" ერთდროულად გაუხსნა საანგარიშსწორებო და სავალუტო ანგარიშები 19.03.97 წ. სასამართლომ არ გაიზიარა აგრეთვე მოსარჩელის მტკიცება იმის თაობაზე, რომ 19.03.97 წ. ს.ს. "ინტელექტბანკმა" გაუგზავნა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას მთავარი ბუხპალტერის ხელმოწერით დაზღვეული №127 წერილი ს.ს. "რუსთავის ქიმკომბინატისათვის" ეროვნულ ვალუტაში საანგარიშსწორებო ანგარიშისა და სავალუტო ანგარიშების გახსნის თაობაზე.

საგადასახადო კოდექსის 233-ე მუხლის და 255-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტზე დაყრდნობით, სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელეზე დაკისრებული ჯარიმა შეფარდებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სასამართლოს აზრით არ არსებობს საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის 15.03.2000 წ. №04-2-6/63/209 წერილის (განკარგულების) ბათილად ცნობის საფუძველი.

ვინაიდან მოსარჩელეზე დარიცხული თანხა წარმოადგენს საჯარიმო ფინანსურ სანქციას, რომელიც გასაჩივრდა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში, საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტში და სასამართლოში, სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ ჯარიმისა და საურაეების სადავო თანხები, საგადასახადო კოდექსის 243-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ამოიღება სასამართლოს გადაწყვეტილების და არა საინკასო დავალების საფუძველზე. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 24.03.2000 წ. №312 საინკასო დავალება წარდგენილი იყო კანონის დარღვევით და ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

სასამართლომ მიუთითა აგრეთვე, რომ მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის უფროსი ინსპექტორისა და ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამომძიებო პროკურორის მიერ 1999 წელს

შეღვენილი აქტი (რომელსაც შეღვენის თარიღი მითითებული არა აქვს) და საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის საგადასახადო საჩივრების და აქლაციების სამმართველოს უფროსის მოადგილისა და ამავე დეპარტამენტის სამმართველოში საგადასახადო საჩივრების განხილვის სამმართველოს უფროსი იურისტის მიერ შეღვენილი 24.02.2000 წ. აქტი, რომლის ნაწილობრივ ბათილად ცნობას ითხოვდა მოსარჩელე, თავიანთი ბუნებით არ წარმოადგენენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რის გამოც მოსარჩელეს უარი ეთქვა მათ ბათილად ცნობაზე, თუმცა სასამართლოს აზრით აღნიშნული დოკუმენტები ობიექტურ ინფორმაციას შეიცავენ. მოსარჩელეს უარი ეთქვა აგრეთვე სასამართლო ხარჯების მოპასუხეებზე სოლიდარულად დაკისრებაზე. საბოლოოდ, თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო კოლეგიის მიერ ბათილად იქნა ცნობილი მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 24.03.2000 წ. №312 საინკასო დაეალება (განკარგულება), ს.ს. "ინტელექტბანკის" სასარჩელო მოთხოვნის სხვა ნაწილში დაკმაყოფილებას ეთქვა უარი.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 08.05.2000 წ. გადაწყვეტილებაზე ს.ს. "ინტელექტბანკის" მიერ შეტანილ იქნა საკასაციო საჩივარი, რომლითაც კასატორი სა მოქალაქე საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ", "გ" ქვეპუნქტებზე და 364-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტზე მითითებით ითხოვს გადაწყვეტილების იმ ნაწილის გაუქმებას და ხელახალი განხილვისათვის დაბრუნებას, რომლითაც უარი ითქვა სასარჩელო მოთხოვნის დანარჩენი ნაწილის დაკმაყოფილებაზე. კასატორის აზრით გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი. კასატორი აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 17.2 მუხლის მოთხოვნის მიუხედავად სასამართლომ მტკიცების ტვირთი უსაფუძვლოდ გადააკისრა მოსარჩელეს. კასატორის აზრით სასამართლომ უსაფუძვლოდ უარყო ბეჭდით დამოწმებული საფოსტო ქვითარი. გადაწყვეტილების უკანონობის დასტურად საკასაციო საჩივარს თან ახლავს ს.ს. "აზოტის" საფინანსო განყოფილების უფროსის სახელზე 21.05.2000 წ. ახსნა-განმარტება, რომლითაც საქმეში დაცული 29.12.99 წ. ცნობის ავტორი აღიარებს დაშვებულ უზუსტობას. 19.03.97 წ. ანგარიშის გახსნის ფაქტი, კასატორის აზრით, დასტურდება აგრეთვე 02.04.97 წ.



დამოწმებული ს.ს. "ინტელექტბანკის" ბარათით. ანგარიშსწორების ანგარიშის გახსნის რეგისტრაციის ურნალით, სადაც ს.ს. "რუსთავის ქიმიკობინატივის" ანგარიშის გახსნის თარიღად მინიშნებულია 19.03.97 წ. საკასაციო საჩივარს თან დაერთო ვასაველის ურნალის ქსეროასლი, რომელიც შეიცავს ჩანაწერს მსხვილ გადამხდელთა ინსპექციისათვის 19.03.97 წ. დაზღვეული წერილის ვაგზავნის შესახებ. კასატორი განმარტავს, რომ ურნალი საოლქო სასამართლოში საქჩის განხილვისას ვერ იქნა წარმოდგენილი იმის გამო, რომ პროცესი დასრულდა დაახლოებით 20 საათზე, სამუშაო საათების დამთავრების გამო ურნალის წარმოდგენა არ მოხერხდა. ურნალები ნოტარიუსის მიერ არის დალუქული. გახსნილი ანგარიშიდან ს.ს. "აზოტის" მიერ განხორციელებული ვასაველის ოპერაციების არასწორად გაანგარიშების დასტურად საჩივარს დაერთო შეღარების აქტი.

საკასაციო საჩივრის ავტორის აზრით, ანგარიშის გახსნის თარიღის არასწორი დადგენის შედეგად გამოყენებული იქნა კანონი, რომლის გამოყენების საფუძველი არ არსებობდა, ინსპექციისათვის შეტყობინების ვაგზავნის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, უნდა გამოყენებულიყო 21.12.93 წ. მე-12 მუხლის პირველი ნაწილის "ა" მუხლი. შესაბამისად გამოყენებული უნდა ყოფილიყო 21.12.93 წ. კანონის მე-12 მუხლის "ბ" ქვეპუნქტით და არა საგადასახადო კოდექსის 225-ე მუხლით გათვალისწინებული სანქცია. კასატორის აზრით, სასამართლოს მიერ გამოყენებული მე-12 მუხლის "ე" ქვეპუნქტის დისპოზიცია სხვა ურთიერთობების მარეგულირებელია და არ აქვს შემხებლობა დავის საგანთან.

კასატორის აზრით, საკასაციო საჩივრისადმი დართული საბუთები ნათლად ადასტურებენ ანგარიშის 19.03.97 წ. გახსნის და შესაბამისად ადმინისტრაციული აქტის საქმის გარემოებების გამოკვლევის გარეშე გამოცემის ფაქტს, რის გამოც კასატორის აზრით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოს სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაშიც კი, პროცესის ხარვეზი უნდა აანაზღაუროს ადმინისტრაციულმა ორგანომ.

მოწინააღმდეგე მხარემ, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპერტამენტმა საკასაციო საჩივარი არ სცნო და მიუთითა, რომ ს.ს. "ინტელექტბანკის" მიერ წარმოდგენილი კვიტანცია არ წარმოადგენს წერილის დაზღვევის დამადასტურებელ დოკუმენტს, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას წერილი არ მიუღია.

ანგარიშის გახსნის შესახებ შეტყობინების სავადასახადო ორგანოში წარუდგინდობით დარღვეულ იქნა "სავადასახადო სისტემის საუბუბლები შესახებ" 21.12.93 წ. კანონის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტი და სავადასახადო კოდექსის 233-ე მუხლი, საკასაციო საჩივარს უსაფუძვლოდ მიიჩნევს აგრეთვე მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის წარმომადგენელი.

მესამე პირმა, ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის წარმომადგენელმა, საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოდ მიიჩნია და მრუთითა წარმოდგენილი ჟურნალების ფალსიფიცირების შესაძლებლობაზე. წარმოდგენილი ქვითარი არის არა დაზღვეული ფოსტის, არამედ შეკვეთილი წერილის ქვითარი. ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ ს.ს. "ინტელექტბანკმა" სავადასახადო ორგანოებისათვის წარდგენილ შეტყობინებაში დაასახელა ანგარიშის გახსნის მესამე იარაღი-29.09.98 წ.

საკასაციო პალატა საქმის მასალების და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად თვლის, რომ ს.ს. "ინტელექტბანკის" საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო საქმის განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ს.ს. "ინტელექტბანკის" მიერ წარმოდგენილი მასალები ჩაითვლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დამატებით და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიად, ამდენად სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის. ს.ს. "რუსთავის ქიმკომბინატისათვის" ანგარიშსწორების ანგარიშის 1999 წლის 19 მარტის გახსნის დასტურად ს.ს. "ინტელექტბანკის" მიერ წარმოდგენილ იქნა სარეგისტრაციო ჟურნალები. საოლქო სასამართლოს საქმის განხილვის ოქმის თანახმად ს.ს. "ინტელექტბანკის" წარმომადგენლებს დაევაღათ კორექსონდენციის და ანგარიშის გახსნის რეგისტრაციის ჟურნალის წარმოდგენა, რომელიც სასამართლოსთვის არ იქნა წარმოდგენილი. ჟურნალები არ იქნა წარმოდგენილი აგრეთვე ბანკის შემმოწმებლებისათვის (ს.ფ. 129, 132-133). ამის თაობაზე ხაზგასმით აღინიშნა აგრეთვე თვით საოლქო სასამართლოს 08.05.2000 წ. ვადაწყვეტილებაშიც (ს.ფ. 150). სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის მომდევნო დღეს-09.05.2000 წ. დალუქული და ნოტარიულად დამოწმებული ჟურნალების მონაცემებს პალატა სარწმუნოდ ვერ მიიჩნევს, აღნიშნული მტკიცებულებები მხარეს

შეედლო წარმოდგინა კერ კოლეჟი პარკული ინსტიტუციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

კასატორის მიერ ს.ს. "რუსთავის ქიმიური კომბინატისათვის" 03.19.97 წ. ანგარიშის გახსნა არ დასტურდება აგრეთვე ხელმოწერის და ბეჭდის ნიშნების ბარათით. კასატორის მიერ წარმოდგენილი იქნა აღნიშნული დოკუმენტის მხოლოდ მეორე გვერდის ასლი, ხალო სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი ბარათის დედაენის პარკული გვერდის გაცნობისას გამოვლინდა, რომ ხელმოწერის ნიმუშის მაღობზე ნებართვის თარიღი (1997 წ. 18 აპრილი) ამკარად გადასწორებულია. ამასთანავე, კასატორის მტკიცებით ანგარიში ს.ს. "რუსთავის ქიმიკომბინატისათვის" ბანკში გახსნილი იქნა 1997 წ. 19 მარტს. იმავე დღეს მსხვილ გადაძხველთა ინსპექციის გაეგზავნა ინფორმაცია ანგარიშის დახსნის თაობაზე. პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან ხელმოწერის და ბეჭდის ტვიფრის ნიმუშების ბარათი "საქართველოს რესპუბლიკის საბანკო დაწესებულებებში საანგარიშსწორეთო, საკორესპონდენტო, საგალუტო, მიმდინარე, საბიუჯეტო და დროებითი ანგარიშების გახსნის შესახებ" 26.02.93 წ. №5 ინსტრუქციის მე-3 პუნქტის თანახმად, წარმოდგენს ანგარიშის გახსნისათვის საბანკო დაწესებულებაში წარსადგენ ერთ-ერთ აუცილებელ დოკუმენტს, შეუძლებელი იყო ხელმოწერის ნიმუშის მიღებადღე (18.04.97 წ.) მსხვილ გადაძხველთა ინსპექციისათვის ანგარიშის გახსნის შესახებ ინფორმაციის გაგზავნა (19.03.97 წ.).

პალატა არ იზიარებს აგრეთვე კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, საოლქო სასამართლომ მტკიცების ტვირთი უსაუფულოდ დააკისრა მოსარჩელეს. კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გაუქმების შესახებ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამასთანავე, საგადასახადო კოდექსის 257-ე მუხლის თანახმად, გასაჩივრების პროცესში საგადასახადო დარიცხვის მცდარობის მტკიცების ტვირთი ეკისრება გადასახადის გამძხველს ხოლო მე-4 მუხლის თანახმად, საგადასახადო კანონმდებლობას, სხვა ნორმატიულ აქტებთან შედარებით, პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მიერ წარმოდგენილ ახსნა-განმარტების ტექსტს, რომლის მიხედვით 29.12.99 წ. გაცემული ცნობის ავტორი აღნიშნავს, რომ ცნობაში მითითებულ იქნა არა

უშუალოდ ანგარიშსწორების გახსნის თარიღი, არამედ აქტიური ბრუნვის დაწყების თარიღი, რადგანაც საქმის მასალების მიხედვით გასავალი ოპერაციები დაიწყო არა 23.09.97 წ. არამედ 30.10.97 წ. სასამართლო ვერ გაიზიარებს აგრეთვე კასატორის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ს.ს. "ინტელექტბანკმა" მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას გაუგზავნა დაზღვეული №127 წერილი ს.ს. "რუსთავის ქიმიკომბინატისათვის" საანგარიშსწორებო ანგარიშისა და სავალუტო ანგარიშის გახსნის თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, ამასთანავე კასატორის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ამ მიმართების დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. პალატა კასატორის უკრადლებას ამასეილებს იმაზე, რომ "საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის საქმიანობის სრულყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 22 თებერვლის №44 განკარგულების შესრულების მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკის და სახელმწიფო ინსპექციის მიერ შემუშავებულ იქნა საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების ანგარიშსწორების ანგარიშისა და სხვა ანგარიშების გახსნის შესახებ საგადასახადო ინსპექციისათვის შეტყობინების ფორმა. საქართველოს ეროვნული ბანკის 06.04.94 წ. №16008 წერილის თანახმად აღნიშნული ფორმის დაცვა სავალდებულო იყო ყველა საბანკო დაწესებულებისათვის. ამდენად, ანგარიშის გახსნის შესახებ შეტყობინება უნდა გაგზავნილიყო არა მთავარი ბუხჰალტერის ხელმოწერილი წერილით, არამედ სპეციალური ფორმით, რომელსაც ხელს აწერენ ხელმძღვანელი და მთავარი ბუხჰალტერი, შეტყობინება ბეჭდით უნდა დადასტურებულყო. ამასთანავე, მოპასუხე და თანამოპასუხე ორგანიზაციითა წარმომადგენლობის განმარტებებით დადასტურებულია, რომ მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში ს.ს. "ინტელექტბანკიდან" წერილი ს.ს. "რუსთავის ქიმიკომბინატისათვის" ანგარიშის გახსნის შესახებ არ მიუღიათ, საქმეში არსებული საფოსტო ქვითარზე დასმული მჭამქელის ანასაზი ფოსტამტის უფროსის წერილის თანახმად ეკუთვნის №62 საფოსტო განყოფილებას, 19.03.97 წ. 62-ე საფოსტო განყოფილებაში შეკვეთილი გზავნილების მიღების უფლების მქონე 3 თანამშრომლიდან 2 არ ადასტურებს მათ მიერ ქვითრის გაფორმებას (ერთი გარდაცვლილია).

საკასაციო პალატა ეთანხმება საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეჯის დასკვნას იმის თაობაზე, რომ საგადასახადო კოლეჯის ამოქმედებამ აღნიშნული ურთიერთობები წესრიგდებოდა "საგადასახადო სისტემის სოფუძვლების შესახებ" 21.12.93 წ. კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის "ა", "კ", აგრეთვე ამავე მუხლის მე-2 პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით. ვინაიდან გასაველის ოპერაციები შესრულდა საგადასახადო კოლეჯის ამოქმედების შემდეგ, ს.ს. "ინტელექტბანკის" მიმართ მართებულად იქნა შეყარებული მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ფინანსური სანქცია. საგადასახადო კოლეჯის 255-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმის გამოყენებისათვის, ამ ნორმას არსიდან გამომდინარე, არ კმარა ანგარიშის გახსნის შესახებ შეუტყობინებლობის ფაქტი, სახეზე უნდა იყოს აგრეთვე აღნიშნული ანგარიშიდან გასაველის ოპერაციების შესრულება.

პალატა არ ეთანხმება კასატორის მოსაზრებას გასაველის ოპერაციების და საჯარიმო, თანხის არაანგარიშების შესახებ და კასატორის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ საგადასახადო კოლეჯის 255-ე მუხლით გათვალისწინებულია ჯარიმა ფინანსური სანქციის სახით ბანკებსა და ცალკეულ სახეობათა საბანკო ოპერაციების განმასორციელებელი ორგანიზაციების მიმართ, რომლებსაც არ ასრულებენ 233-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე შესრულებული გასაველის ოპერაციების თანხის 10 პროცენტის ოდენობით. ამასთანავე, 255-ე მუხლი ითვალისწინებს ჯარიმას ყოველგვარი გასაველის ოპერაციების განხორციელებისათვის, მიუხედავად იმისა სახეზეა დასაბეგრი თუ დაუბეგრავი გასაველი, წმინდა აქტიური გასაველის ოპერაცია (2989667,65), თუ არააქტიური გასაველის, ერთი ანგარიშიდან მეორეზე გადატანის ოპერაცია (2095296,26). ამდენად, შესამოწმებელ პერიოდში ს.ს. "ინტელექტბანკში" გახსნილი სალარო და (№400467200) სავალუტო (№201070786) ანგარიშებიდან შესრულებულია გასაველის ოპერაცია სულ 5084963,91 ლარის ოდენობით. ს.ს. "აზოტის" და ს.ს. "ინტელექტბანკის" შორის 25.02.200 წ. შედგენილი შედარების აქტის მონაცემები ემთხვევა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 24.10.200 წ. ცნობას, რომელსაც ხელმოწერით ადასტურებენ აგრეთვე ს.ს. "აზოტის" წარმომადგენლები. აღნიშნულიდან გამომდინარე ბრუნვის და შესაბამისად საჯარიმო თანხების ოდენობა სწორადაა განსაზღვრული.

უარი უნდა ეთქვას აგრეთვე კასატორის მოთხოვნას მოწმეების დაკითხვის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის ოპონირებად, საკასაციო სასამართლო მსჯელობს მხოლოდ იმ ახსნა-ანმარტების მიმართ, რომელიც ასახულია საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ან საქმის მასალებში. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები აკადემიურად სასამართლოსათვის, თუ წარმოდგენილი არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. სწორედ ამ ევალსაზრისით იყო მიღებული წარმოებაში ს.ს."ინტელექტბანკის" საკასაციო საჩივარი, რაც ცხადია არ აკისრებს კასაციურ წარმოებას საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის ვალდებულებას.

საკასაციო პალატა ეთანხმება საოლქო სასამართლოს დასკვნას იმის შესახებ, რომ არ არსებობს საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის 15.03.2000 წ. №04-2-6\63\209 წერილის (განკარგულების) ბათილად ცნობის საფუძველი, ს.ს."ინტელექტბანკზე" დაკისრებული ჯარიმა შეფარდებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქმის განხილვის შედეგად არ დადასტურდა ადმინისტრაციული აქტის საქმის გარემოებათა გამოკვლევის გარეშე გამოცემის ფაქტი, ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტმა ადგილზე შესწავლით განიხილა მსხვილ გადაწყველთა ინსპექციისა და ქვემო ქართლის ოლქის პროკურატურის აკომპლემენტო განყოფილების თანამშრომლების მიერ შედგენილი შეძროშების აქტით ჯარიმის სახით 509729.05 ლარის დარიცხვის კანონიერება. ამდენად არ უნდა დაკმაყოფილდეს კასატორის მოთხოვნა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციულ ორგანოზე, საქმის გარემოებათა აათანადო გამოკვლევის გარეშე აქტის გამოცემის გამო, პროცესის ხარჯების დაკისრების შესახებ მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში კი. გარდა ამისა, მოპასუხე და თანამოპასუხე ორგანიზაციები "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" კანონის მე-5 მუხლის 'ლ' და 'უ' ქვეპუნქტების მიხედვით გათავისუფლებული არიან საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. საკასაციო მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის გამო ვერ დაკმაყოფილდება აგრეთვე მოთხოვნა პროცესის ხარჯების, კერძოდ ურიდიულ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

ზეროაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ობილიის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და

საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ სრულყოფილად გამოიკვლია საქმის გარემოებები, კოლეგიის გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა, სახეზე არ არის სამოქალაქო საქროცესო კოდექსის 393-ე მუხლის გათვალისწინებული შემთხვევები, რის გამოც არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების, საქმის ხელახლა განსახილველად საოლქო სასამართლოში დაბრუნების საყუძველი.

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საქროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით. საქართველოს სამოქალაქო საქროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

## და ა დ გ ი ნ ა

1. ს.ს. "ინტელექტბანკის" საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს ძალაში დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 08.05.2000 წ გადაწყვეტილება.

2. ს.ს. "ინტელექტბანკს" დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის გადახდა ხუთი ათასი ლარის ოდენობით.

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე

მოსამართლეები:

PS ავტორთა მოსაზრება—უზენაესმა სასამართლომ მიღებული განჩინებით ძალაში დატოვა ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს 2000წ. 8 მაისის სამართლიანი გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელეს დაეკისრა ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხული 509729 ლარის გადახდა. რომლის აღსრულება უნდა მოეხდინა მსხვილ გაამხდელთა ინსპექციას.

დავები მეწარმეთა რეგისტრაციისა და საგადასახადო აღრიცხვის მოთხოვნათა დარღვევის თაობაზე

## გადაწყვეტილება

### საქართველოს სახელმწიფო

8 მაისი 2000 წ. ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს  
ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო  
საქმეთა კოლეგიამ

თავმჯდომარე  
მღივიანი

მოსარჩელე ორგანიზაციის სააქციო საზოგადოება „ინტელექტბანკის“  
გენერალური დირექტორის მოადგილის ამავე საბანკო დაწესებულების  
კრედიტების მომსახურების განყოფილების უფროსის, ამავე საბანკო  
დაწესებულების იურიდიული განყოფილების იურისტის (რწმუნებულობა  
20.04.2000წ.)

მოპასუხე ორგანიზაციის საქართველოს საგადასახადო შემოსავლების  
სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის საჩივრების და  
პროტესტების დეპარტამენტის, ამავე დეპარტამენტის საჩივრებისა და  
აპელაციების განხილვის სამმართველოს წარმომადგენლის.

მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე,  
მოპასუხეების მხარეზე ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის  
საგამოძიებო განყოფილების უფროსის მონაწილეობით განიხილა საქმის  
მასალები მოსარჩელის სააქციო საზოგადოება „ინტელექტბანკი“-ს  
სარჩელის გამო მოპასუხე ორგანიზაციის საქართველოს საგადასახადო  
შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტისა,  
თანამოპასუხე ორგანიზაციის საქართველოს საგადასახადო შემოსავლების  
სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა  
ინსპექციისა და მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის  
გარეშე მოპასუხეების მხარეზე, ქვემო ქართლის საოლქო  
პროკურატურის მიმართ.

მოსარჩელე ითხოვს: ა) მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 2000  
წლის 24 მარტის №312 საინკასო დავალება (განკარგულების) ბათილად  
ქნობას; ბ) მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის უფროსი ინსპექტორისა  
და ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებლო



პროკურორის მიერ შედგენილი 1999 წლის აქტის (თარიღი მითითებული არა აქვს) უკანონოდ, ანუ ბათილად ცნობას; 3) საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის საგადასახადო საჩივრების და აპელაციების სამმართველოს უფროსის მოადგილისა და ამავე დეპარტამენტის სასამართლოებში საგადასახადო საჩივრების განხილვის სამმართველოს უფროსი იურისტის მიერ შედგენილი 2000 წლის 24 თებერვლის აქტის იმ ნაწილში ბათილად ცნობას, რაც ეხება სააქციო საზოგადოება „ქიმკომბინატისათვის“ (ამჟამად ს.ს „აზოტი“) „ინტელექტბანკში“ ანგარიშების გახსნის შესახებ შეტყობინების საგადასახადო ორგანოში წარუდგენლობისათვის; გ) საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის (ამჟამად საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი) 2000 წლის 15 მარტის №04-2-6/63 წერილის (განკარგულების) ბათილად ცნობას; დ) ს.ს „ინტელექტბანკისათვის“ სასამართლო ხარჯების ანაზღაურებას, მათ შორის გადახდილი სახბაჟის დაბრუნებას და იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის მოპასუხეთათვის სოლიდურად დაკისრებას, რაც შეადგენს სადავო თანხის 4%-ს.

სასამართლო სხდომაზე საქმეში არსებული დოკუმენტების შესწავლით და საქმის განხილვაში მონაწილე პირთა ზეპირი ახსნა-განმარტებების საფუძველზე სასამართლომ დადგინდა ცნო შემდეგი.

თბილისის საოლქო სასამართლოს 22.03.2000წ. სასარჩელო განცხადებით მომართა ს.ს „ინტელექტბანკმა“ მოპასუხის, საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის (ამჟამად საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი) და თანამოპასუხე ორგანიზაციის მსხვილ გადაამხდელთა ინსპექციის (ამჟამად მისი სრული სახელწოდებაა საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადაამხდელთა ინსპექცია) მიმართ.

მოსარჩელე ითხოვდა: მსხვილ გადაამხდელთა ინსპექციის 2000 წლის 24 თებერვლის აქტისა და საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის 2000 წლის 15 მარტის №04-2-6/63/209 წერილის (განკარგულების) უკანონოდ, ანუ ბათილად ცნობას და სადავო აქტების მოქმედების შენარჩუნებას. აგრეთვე იურისტის ხარჯების ანაზღაურებას. ს.ფ. 1-4.

23.03.2000წ. ს.ს „ინტელექტბანკმა“ მომართა წერილობითი შუამდგომლობით თბილისის საოლქო სასამართლოს და მოითხოვდა

საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის 1999 წლის (აქტს თარიღი არა აქვს) აქტის, ამავე უწყების 2000 წლის 24 თებერვლის აქტისა და 2000 წლის 15 მარტის №04-2-6/63/209 წერილების მოქმედების შეჩერებას. ს.ფ. 28

24.03.2000წ. სს „ინტელექტანკმა“ კვლავ მომართა თბილისის საოლქო სასამართლოს დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით. განმცხადებელი იტყობინებოდა, რომ მოსარჩელის მიერ სასამართლოში 22.03.2000წ. წარდგენილი სასარჩელო განცხადებაში პირველ გვერდზე 2000 წლის 24 თებერვლის აქტის ნაცვლად მითითებული უნდა იყოს 1999 წლის აქტი (რომელსაც თარიღი არ გააჩნია), განმცხადებელი ითხოვდა აგრეთვე მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 24.03.2000წ. №312 საინკასო დავალება (განკარგულებას) შეჩერებას, ზოლო საქმის არსებითად განხილვისას სადავო საინკასო დავალება (განკარგულების) ბათილად ცნობას. ს.ფ. 29-30

შესაბამისად დაზუსტებულად და დაკონკრეტებული სახით, რაც შემდგომში დაადასტურა მოსარჩელემაც, მოსარჩელე ითხოვდა: მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 2000 წლის 24 მარტის №312 საინკასო დავალება (განკარგულებას) ბათილად ცნობას; მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის უფროსი ინსპექტორისა და ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამომიებლო პროკურორის მიერ შედგენილი 1999 წლის აქტის (თარიღი მითითებული არ აქვს) უკანონოდ, ანუ ბათილად ცნობას; საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის საგადასახადო საჩივრების და აპელაციების სამმართველოს უფროსის მოადგილისა და ამავე დეპარტამენტის სასამართლოებში საგადასახადო საჩივრების განხილვის სამმართველოს უფროსი იურისტის მიერ შედგენილი 2000 წლის 24 თებერვლის აქტის იმ ნაწილში ბათილად ცნობას, რაც ეხება ს.ს. „ქიმკომბინატისათვის“ (ს.ს. „აზოტისათვის“) „ინტელექტანკში“ ანგარიშების გახსნის შესახებ შეტყობინების საგადასახადო ორგანოში წარუდგენლობისათვის; საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის 2000 წლის 15 მარტის №04-2-6/63/204 წერილი (განკარგულებას) ბათილად ცნობას, აგრეთვე სასამართლო ხარჯების ანაზღაურებას, მათ შორის სახბაჟის დაბრუნებას იურიდიული მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის მოპასუხეებისათვის სოლიდარულად დაკისრებას, რაც შეადგენს სადავო თანხის 4%-ს.

24.03.2000წ. სასამართლო კოლეგიამ მიიღო განჩინება ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ, რომლითაც შეჩერდა საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს

საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 24.03.2000წ. №312 საინკასო დაელება. (განკარგულება). ს.ფ. 32-33

12.04.2000წ. თბილისის საოლქო სასამართლოს თავისი №04-3-10/93 შესაგებლით მომართა მოპასუხემ საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა, მოპასუხე განმარტაედა, რო საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ 27.09.99წ. №327 ბრძანების საფუძველზე ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურასთან ერთად შეამოწმა საგადასახადო კანონმდებლობის დაცვა სს „ინტელექტბანკში“ და შეამოწმა სს „ქიმკომბინატის“ ანგარიშები. სადაც აღმოჩნდა დარღვევა ბანკის მიერ საგადასახადო კოდექსის 233-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სს „ქიმკომბინატის“ ანგარიშის გახსნის შესახებ არ ეცნობა საგადასახადო ინსპექციას, რითაც დაირღვა საბანკო დაწესებულების ვალდებულება, რასაც ითვალისწინებდა საქართველოს 21.12.93წ. კანონის საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ მე-12 მუხლი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 233-ე მუხლი, საბანკო დაწესებულების მიერ იყო დარღვეული კანონის საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ „ქვეპუნქტის და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება გადასახადების გამოანგარიშებისა და გადახდასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების წარდგენის შესახებ. შესაბამისად 1999 წლის (აქტს თარიღი არ გააჩნია) აქტით სს „ინტელექტბანკს“ საესებით სწორად დაუანგარიშეს ჯარიმა 509,729,5 (ხუთას ცხრა ათას შვიდას ოცდაცხრა) ლარისა და 50 თეთრის ოდენობით. ს.ფ. 73-75

საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ (შემდგომში მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია) 13.04.2000წ. მომართა თბილისის საოლქო სასამართლოს თავისი №11-971 შესაგებლით. თანამოპასუხის შესაგებელი ეყრნობა იმ ძირითად დებულებას, რომ სს „ქიმკომბინატის“ (ამჟამად სს „აზოტი“) ანგარიშების გახსნის შესახებ შეტყობინება წარმოადგენს ამ საწარმოს კუთვნილი გადასახადების სრულად გამოანგარიშებასა და გადახდასთან დაკავშირებულ დოკუმენტს, ხოლო სს „ინტელექტბანკის“ მიერ მოცემული ინფორმაციის შეტყობინებას საგადასახადო ორგანოში წარუდგენლობაზე არ შესრულდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 233-ე მუხლის მოთხოვნები,

შესაბამისად მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის და ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის წარმომადგენლის მონაწილეობით 1999 წლის (უთარილო) აქტით გამოანგარიშებული ჯარიმა 509.729,5 ლარის ოდენობით სწორად არის დარიცხული და შეესაბამება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 255-ე, მუხლის მოთხოვნებს. ს.ფ. 76-78

საქმის არსებითად განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაიწყო 21.04.2000წ და იმავე სხდომაზე მოპასუხემ მოითხოვა ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საქმეში ჩაბმა მოპასუხის სტატუსით, მოსარჩელემ უარი განაცხადა მითითებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, სასამართლო კოლეგიამ თავისი 21.04.2000წ. განჩინებით დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში ჩაბმის შესახებ ჩააბა საქმის განხილვაში მესამე პირის სტატუსით ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა. ს.ფ. 91-93

08.05.2000წ. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურამ მომართა თბილისის საოლქო სასამართლოს თავისი 05.05.2000წ. №გ-58-2000 წერილობითი განცხადებით. მითითებული დოკუმენტის შესწავლით ირკვევა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 233-ე, მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად ბანკი ვალდებულია აცნობოს საგადასახადო ორგანოს გადამხდელისათვის, ე.ი. ორგანიზაციისათვის ან პირისათვის ანგარიშების გახსნის შესახებ და არ აწარმოოს გასავლის ოპერაციები სათანადოდ დამოწმებული და ხელმოწერილი შეტყობინების შესაბამის საგადასახადო ინსპექციაში წარდგენის გარეშე, რომლის სპეციალური ფორმა შემუშავებულია ერთობლივად საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მიერ 1994 წლის მარტის თვეში. აღნიშნულ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 06.04.94წ. №16008 წერილი თანახმად მითითებული მოთხოვნა სავალდებულო იყო შესასრულებლად ყველა ბანკისათვის. საგადასახადო კოდექსის 255-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად მითითებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკი ჯარიმდება ორგანიზაციისათვის ნაწარმოები გასავლის თანხის 10%-ის ოდენობაზე, რაც ექვემდებარებოდა სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვას.

ქვემო ქართლის ოლქის პროკურატურის თხოვნით საქართველოს მსხვილ გადამხდელთა ინსპექციიდან გამოყოფილი იქნა საგადასახადო ინსპექტორი და ერთობლივად შემოწმდა ქ.თბილისში არსებული „ინტელექტბანკში“ რუსთავის ს.ს. „ქიმკომბინატის“ საბანკო ანგარიშების გახსნისას და გასავლის ოპერაციების წარმოებისას საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობა, რის საფუძველზეც 1999 წლის

27 ოქტომბერს შედგა შესაბამისი აქტი (იგულისხმება 1999 წლის უთარილო სადავო აქტი,) ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა მიიჩნევს, რომ თბილისის ს.ს „ინტელექტბანკს“ დარღვეული აქვს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 233-ე მუხლის „ა“ პუნქტის მოთხოვნები და ამავე კოდექსის 255-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად მან უნდა გადაიხადოს ჯარიმის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში 509.729, 05 ლარი. ს.ფ. 98-100

გაირკვა, რომ ქვემო ქართლის ოლქის პროკურატურის თხოვნით მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ პროკურატურის თანამშრომლებთან ერთად შეამოწმა ს.ს „ქიმკომბინატის“ საბანკო ანგარიშების გხსნისას და გასაველის ოპერაციების წარმოებისას საგადასახადო კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობა. შემოწმების შედეგად იყო შედგენილი 1999 წლის აქტი, რომელზედაც თარიღი მითითებული არ არის. აქტი ხელმოწერილია მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის უფროსი ინსპექტორის ირინე ქათამაძისა და ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამომძიებლო პროკურორის ზაზა ქორიძის მიერ. სადავო აქტიდან ირკვევა, რომ ს.ს „ქიმკომბინატს“ ს.ს „ინტელექტბანკმა“ გაუსხნა ანგარიშსწორების ანგარიში და სავალუტო ანგარიში 23.09.97წ. ხოლო გასაველის ოპერაციები ჩატარდა 30.10.97 წლიდან (ს.ფ. 8-10;99). აქტში მითითებულია აგრეთვე, რომ საგადასახადო კოდექსის 233-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად ბანკი ვალდებული იყო ეცნობებინა საგადასახადო ორგანოს გადამხდელთათვის ანგარიშის გახსნის შესახებ და არ ეწარმოებინა გასაველის ოპერაციები სათანადოდ დამოწმებული და ხელმოწერილი შეტყობინების გარეშე, რომლის ფორმა იყო ერთობლივად შემუშავებული საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მიერ 1994 წლის მარტის თვეში (ს.ფ. 8) იმის თაობაზე, რომ ს.ს „ქიმკომბინატს“ კქონდა გახსნილი ს.ს „ინტელექტბანკში“ ანგარიშსწორების და სავალუტო ანგარიში, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას მიღებული აქვს მხოლოდ 02.03.99წ. სადაც მითითებულია ანგარიშის გახსნის თარიღი 29.09.98წ.

ს.ს „ინტელექტბანკის“ ხელმძღვანელობამ აქტის შემდგენლებს წარუდგინა წერილი და არა სათანადო ფორმით შევსებული შეტყობინება, რომელიც ბანკის მესაკუთრის განმარტებით იყო გაგზავნილი 19.03.97წ. (დაწერილებით იხ. დაზღვეული წერილის ტექსტი და საფოსტო ქვითარი №127 ს.ფ. 19,103,104), მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მიმართ გააზავნილ შეტყობინებაში არ

ყოფილა მითითებული ს.ს „ქიმკომბინატისათვის“ საანგარიშსწორებო ანგარიშის და სავალუტო ანგარიშის გახსნის თარიღი. შემმოწმებლებმა დაარიცხეს ს.ს „ინტელექტბანკს“ საგადასახადო კოდექსის 255-ე მუხლის ა“ პუნქტის თანახმად ჯარიმა ს.ს „ქიმკომბინატის“ გასავლის თანხის 10%-ის ოდენობით. ვინაიდან ს.ს „ინტელექტბანკს“ სულ ჩატარებული ჰქონდა გასავლის ოპერაციები ს.ს „ქიმკომბინატისათვის“ 509 729 5,3 ლარის ოდენობით, აქედან 276 344 5,54 ლარებში და 175 477 4,35 აშშ დოლარებში, მითითებული თანხების 10% ეროვნულ ვალუტაში ლარებში შეადგენს 509.729,5 ლარის, რაც აქტის შემდგენელთა გადაწყვეტილებით უნდა ჩარიცხულიყო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის სათანადო ანგარიშზე. ს.ფ. 9

ს.ს „ინტელექტბანკმა“ თავისი 27.10.99წ. №1066 წერილით მიმართა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას. სააქციო საზოგადოებამ აუწყა წერილის ადრესატს თავისი მოსაზრებები 1999 წლის უთარილო აქტის თაობაზე, რომელიც იყო შედგენილი მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის უფროსი ინსპექტორისა და ქვემო ქართლის პროკურატურის საგამომძიებლო პროკურორის მიერ. სააქციო საზოგადოება „ინტელექტბანკის“ წერილიდან ირკვევა, რომ სადავო აქტში მითითებული მონაცემები ს.ს „ქიმკომბინატისათვის“ ანგარიშების გახსნის თაობაზე არაზუსტად არის მითითებული თარიღი 29.09.98წ. პირველი ოპერაცია ასლადგახსნილი ანგარიშების გამოყენებით ჩატარდა 30.10.97წ. წერილის ავტორთა აზრით აქტში არასწორად იყო განმარტებული საგადასახადო კოდექსის 233-ე მუხლის „ა“ პუნქტი. სააქციო საზოგადოებას მიაჩნია, რომ ბანკს არ უნდა ეწარმოებინა გასავლის ოპერაციები სათანადოდ დამოწმებული და ხელმოწერილი შეტყობინების გარეშე.

სააქციო საზოგადოებამ ხელმეორედ მხოლოდ იმ მიზნით აცნობა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას ს.ს „ქიმკომბინატისათვის“ ანგარიშების გახსნის თაობაზე, რომ ბანკის კლიენტს შეეცვალა სახელწოდება და ნაცვლდ ს.ს „ქიმკომბინატისა“ საზოგადოებას ეწოდა ს.ს „აზოტი“.

ს.ს „ქიმკომბინატს“ ს.ს „ინტელექტბანკში“ წერილის ავტორთა განმცხადებელს ანგარიშსწორების ანგარიში და სავალუტო ანგარიში გაუხსნა 19.03.97წ. და არა 20.09.98წ., რასაც 1999 წლის უთარილო სადავო აქტშია მითითებული. ს.ფ. 11-12

25.11.99წ. ს.ს „ინტელექტბანკმა“ მიმართა თავისი №1109 წერილით საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის უფროსს. წერილიდან ირკვევა, რომ ს.ს „კომკომბინატმა“ 19.03.97წ. ბანკს წარუდგინა საანგარიშსწორებო და სავალუტო ანგარიშების გახსნისკენ აღუთქვამი მთელი დოკუმენტების დასტა. ანგარიშების გახსნის თაობაზე ეცნობა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას დაზღვეული წერილით. 1999 წლის უთარილო სადავო აქტში აღნიშნული თარიღი 29.09.98წ. ანგარიშის გახსნის შესახებ ეყრდნობა ბანკის მიერ გაგზავნილ შემდგომ შეტყობინებას, რომელიც ხელმოწერედ გაიგზავნა იმ მიზეზით, რომ ს.ს „კომკომბინატს“ შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა ს.ს „აზოტი“.

წერილში მითითებულია, აგრეთვე რომ სადავო აქტში არასწორად არის განმარტებული საგადასახადო კოდექსის 233-ე მუხლის „ა“ პუნქტი, ბანკმა ჯეროვნად, დაზღვეული წერილის გაგზავნით შეატყობინა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას ანგარიშების გახსნის თაობაზე, ამასთან ანგარიშები გაიხსნა 19.03.97წ.

ს.ფ 14,15

საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის 10.01.2000წლის №5 ბრძანების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის საჩივრებისა და აპელაციების განხილვის სამმართველოს უფროსის მოადგილემ და სასამართლოებში საგადასახადო საჩივრების განხილვის სამმართველოს უფროსმა იურისტმა მოახდინეს ს.ს „ინტელექტბანკში“ მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მიერ ჯარიმის სახით 503.729 ლარის ღარიცხვის კანონიერების ადგილზე შესწავლა. შემოწმებულები ეცნობოდნენ სხვა მასალებს და შემოწმების შედეგების გათვალისწინებით შეადგინეს 24.02.2000წ. აქტი, რომელშიც შემოწმების სხვა შედეგებთან ერთად აისახა ს.ს „კომკომბინატის“ შემოწმების შემდეგაც.

იმის დამადასტურებლად, რომ ს.ს „ინტელექტბანკმა“ ნამდვილად აცნობა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას ს.ს „კომკომბინატისათვის“ ანგარიშების გახსნის თაობაზე, ს.ს „ინტელექტბანკი“ ეყრდნობა 19.03.97წ. დათარიღებული №127 საფოსტო ქვითარს შეკვეთილი წერილის გაგზავნის შესახებ, რომელიც ბანკის წარმომადგენელთა მტკიცებით ადასტურებს ს.ს „აზოტის“ ანგარიშების გახსნის შესახებ ინფორმაციის წარდგენას მსხვილ გადამხდელთა ინსპექციისათვის 24.03.2000 წლის მითითებული აქტიდან ირკვევა, რომ „საქართველოს ფოსტის“ ფილიალის „თბილისის ფოსტამტის“ 10.02.2000წ. წერილის

მიხედვით ქვითარზე დასმული კალენდარული შტამპელის ანასახი ეკუთვნის №62-ე საფოსტო განყოფილებას, თუმცა ამ განყოფილებაში 19.03.97წ. მარტს მომუშავე სამი თანამშრომლიდან ორი დღეისათვის არ თვლის აღნიშნულ ქვითარს თავიანთ გაფორმებულად (მესამე თანამშრომელი გარდაცვლილია). ს.ფ. 69

15.03.2000წ. საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის №04-2-6/63/209 წერილის (განკარგულების) საფუძველზე, რომლის აღრესატებიც არიან ს.ს „ინტელექტბანკი“ და მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია ირკვევა, რომ საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის შემოწმების მასალებით დადასტურდა ს.ს „ინტელექტბანკის“ მიერ ს.ს „ქიმიკომბინატისატვის“ ანგარიშების გახსნის შესახებ შეტყობინების საგადასახადო ორგანოში წარუდგენლობა. შესაბამისად იყო დარღვეული საქართველოს კანონის საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ (1993 წლის 21 დეკემბრის კანონი) მე-12 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება გადასახადების გამოანგარიშებასა და გადახდასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების წარდგენის შესახებ. საჯარიმო სანქცია 509,729,5 ლარის ოდენობით სწორად არის დარიცხული კანონის საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო სადავო თანხა ექვემდებარება ბიუჯეტში ამოღებას მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ს.ფ. 26.27

21.03.2000წ. მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ თავისი №11-06/82-684 წერილით მიმართა ს.ს „ინტელექტბანკს“ წერილის შინაარსით დგინდება, რომ საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის 15.03.2000წ. №01-2-6/63/209 წერილი (განკარგულების) შესაბამისად ს.ს „ინტელექტბანკიდან ბიუჯეტში ამოღებას ექვემდებარება ჯარიმის სახით დარიცხული 509.729,5 ათ.ლარი. მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია აფრთხილებდა წერილის აღრესატს, რომ ხუთი დღის ვადაში თანხის ნებაყოფლობით ბიუჯეტში არგადარიცხვის შემთხვევაში საქართველოს საგადასახადო კოდექსის 265-ე მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია წარადგენდა საინკასო დავალებას. ს.ფ. 24

24.03.2000წ. მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ საქართველოს ეროვნულ ბანკში ს.ს „ინტელექტბანკის“ საკორესპონდენტო ანგარიშზე წარადგინა №312 საინკასო დავალება (განკარგულება) 509.730 ლარის ჩამოწერის თაობაზე.



სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო.

პირველი, რუსთავის ს.ს „აზოტის“ საფინანსო განყოფილების უფროსის მოკალობის შემსრულებლის მიერ 29.12.94წ. გაცემული ცნობით დგინდება რომ ს.ს „ქიმკომბინატს“ თბილისის ს.ს „ინტელექტბანკში“ გაეხსნა ანგარიშსწორების ანგარიში 29.07.97წ. (ს.ფ. 97) იგივეს ადასტურებს ჩატარებული გამოკვლევების შედეგად ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა თავის 05.05.2000წ. №გ-58-2000 წარმოდგენილს თბილისის საოლქო სასამართლოს სახელზე (უფრო ზუსტად მიუთითებენ თარიღს 23.09.99წ.) ს.ფ. 99) აღნიშნული მიზეზით სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ ბანკმა ს.ს „ქიმკომბინატს“ გაუხსნა ერთდროულად საანგარიშსწორებო და სავალუტო ანგარიშები 19.03.97წ. პირველი ოპერაცია ახლად გახსნილ საბანკო ანგარიშებიდან ჩატარდა 10.10.97წ. (რასაც არ უარყოფს მოსარჩელე ორგანიზაცია იხ. ს.ფ. 11).

სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ 1997 წლის 19 მარტს (ანუ საბანკო ანგარიშსწორების გახსნის დღეს) ს.ს „ინტელექტბანკმა“ გაუგზავნა მსხვილ გადახდელთა ინსპექციას მთავარი ბუღალტრის ხელმოწერით დაზღვეული №127 წერილი „ქიმკომბინატისათვის“ ეროვნულ ვალუტაში საანგარიშსწორებო ანგარიშისა და სავალუტო ანგარიშების გახსნის თაობაზე (ს.ფ. 19, 103, 104) შემდეგ გარემოებათა გამო: ა) ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის გამოკვლევას, აგრეთვე მოპასუხე და თანამოპასუხე ორგანიზაციათა წარმომადგენელთა განმარტებებით დადასტურებულია, რომ მსხვილ გადახდელთა ინსპექციაში „ინტელექტბანკიდან“ ხსენებული დაზღვეული 3127 წერილი 1997 წლის მარტში და მის შემდგომ პერიოდში არ არის მიღებული; ბ) ასეთი დაზღვეული წერილი არც თბილისის №52 ფოსტიდან არის გაგზავნილი, გაგზავნილია მხოლოდ დაზღვეული წერილი №27, რომელიც შეეხება თანხებს გადატანის ანგარიშიდან ანგარიშზე სხვა ორგანიზაციასთან დაკავშირებით; გ) საქმეში არსებული საფოსტო ქვითარზე დასმული შტემპელის ანასახი ეკუთვნის თბილისის №62-ე განყოფილებას, თუმცა იქ მომუშავე 1997 წლის მარტის თვიდან დღემდე სამი მუშაკიდან ორი დღესაც იქ აგრძელებს მუშაობას (ერთი მუშაკი გარდაცვლილია.) მომუშავე პირები არ მიიჩნევენ ქვითარს თავიანთ გაფორმებულად; დ) მოსარჩელემ ვერ წარმოადგინა სხვა მტკიცებულება, რაც

დადასტურებდა რომ მოსარჩელემ ნამდვილად გაუვზაუნა მსხვილ გადაძხვლვითა ინსპექციას დაზღვეული წერილი შეტყობინება ს.ს „ქიქომბინატისათვის“ საბანკო ანგარიშების გახსნის თაობაზე (მაგალითად საბანკო ჟურნალი გახსნილი კორესპონდენციის აღრიცხვიანობის შესახებ. ასეთი მტკიცებულება არ წარედგინათ არც შემოწმებლებს).

მეორე, 1999წ. სადავო (უთარილი) აქტის შედგენის მომენტისათვის ს.ს „ინტელექტბანკს“ 30.10.97 წლიდან სულ ჩატარებული ჰქონდა ს.ს „ქიქომბინატის“ საანგარიშსწორებო და სავალუტო ანგარიშებიდან გასავლის ოპერაციები 5097295,3 ლარის ოდენობით, აქედან 2763445,54 საანგარიშსწორებო ანგარიშიდან და 1754774,35 აშშ დოლარებში (სავალუტო ანგარიშიდან). მითითებული თანხის 10%-ის ოდენობა შეადგენს 509729,5 ლარს.

მესამე, საქართველოს საგადასახადო კოდექსი ამოქმედდა 1997 წლის 24 ივლისიდან, მითითებული აქტის მიღებამდე სადავო უროიერთობები რეგულირდებოდა კანონის საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 233-ე-ე მუხლის „ა“ პუნქტი ავალდებულებს ბანკებს გაუხსნან საანგარიშსწორებო ანგარიშები იმ დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, რომელიც ადასტურებს საგადასახადო ორგანოების მიერ გადაძხვლისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებას, აცნობოს საგადასახადო ორგანოს გადაძხვლისათვის აღნიშნული ანგარიშების გახსნის შესახებ და არ აწარმოოს ოპერაციები ამ ანგარიშის მიხედვით საბანკო დოკუმენტებში გადასახადის გადაძხვლის საიდენტიფიკაციო ნომრის მითითების გარეშე. ხოლო იმავე კოდექსის 255-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი განსაზღვრავს საბანკო დაწესებულების პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში, თუ ბანკმა არ შეასრულა საგადასახადო კოდექსის 233-ე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების მოთხოვნები. კერძოდ საგადასახადო კოდექსის 255-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ ბანკის მიმართ, რომელიც არ ასრულებს საგადასახადო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს გამოიყენება ჯარიმა ფინანსური სანქციის სახით ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებზე შესრულებული გასავლის ოპერაციების თანხის 10%-ის ოდენობით. შესაბამისად ს.ს „ინტელექტბანკის“ ს.ს „ქიქომბინატისათვის“ ანგარიშების გახსნის თაობაზე სწორად არის

კვალიფიცირებული, რომელიც საგადასახადო საქართველოდარღვევა (საგადასახადო ორგანოში ინფორმაციის წარუდგენლობა და გასაკლის ოპერაციების ჩატარება) და სს „ინტელექტბანკის“ სახელზე დაკისრებული ჯარიმა (საჯარიმო სანქცია) შეფარდებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამ მტკიცებულებათა გათვალისწინებით არ არსებობს საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის 2002 წლის 15 მარტის №04-2-6/63/209 წერილი (განკარგულება) ბათილად ცნობის საფუძველი.

მესამე, სს „ინტელექტბანკის“ სახელზე დარიცხული თანხა თავისი ბუნებით არის საჯარიმო ფინანსური სანქცია. ამასთან სს „ინტელექტბანკმა“ სადავოდ გახადა საჯარიმო ფინანსური სანქცია. მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის გადაწყვეტილება თანხის დაკისრების თაობაზე გასაჩივრდა როგორც მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის ხელმძღვანელობის, ასევე საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტისა და სასამართლოს წინაშე. შესაბამისად მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ არაკანონიერად წარადგინა 2000 წლის 24 მარტის №312 საინკასო დავალება, რითაც დაარღვია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 243-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები, რომელიც აღგენს, რომ გადასახადის დარიცხულ თანხასთან დაკავშირებით ზემდგომ საგადასახადო ორგანოში გასაჩივრების ან სასამართლოში აპელაციის შემთხვევაში გადახდევინება ხდება საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესის მიხედვით, ამასთან ჯარიმასა და საურაეის სადავო თანხები ამოიღება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

აღსანიშნავია, რომ პროცესის მონაწილე მოპასუხის და თანამოპასუხის წარმომადგენლებმაც აღიარეს, რომ მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 2000 წლის 24 მარტის №312 საინკასო დავალება (განკარგულება) იყო წარდგენილი კანონის დარღვევით.

აღნიშნულის გამო სადავო საინკასო დავალება (განკარგულება) არაკანონიერია და ექვემდებარება ბათილად ცნობას.

მეოთხე, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის უფროსი ინსპექტორისა და ექვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამომიბელო პროკურორის მიერ შედგენილი 1999 წლის აქტი (რომელსაც შედგენის თარიღი მითითებული არა აქვს), აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის საგადასახადო საჩივრების და აპელაციების სამმართველოს უფროსის მოადგილისა და ამავე დეპარტამენტის სასამართლოებში საგადასახადო საჩივრების განხილვის

სამმართველოს უფროსი იურისტის მიერ შედგენილი 2000 წლის 24 თებერვლის აქტი, (რომლის ნაწილობრივ ბათილად ცნობას ითხოვს ზოსარჩელე) არ წარმოადგენს თავისი ბუნებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ანუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ სამართლებრივ აქტს, (ასეთ აქტს ხელს უნდა აწერდეს ორგანოს უწყების ხელმძღვანელი პირველი თანამდებობის პირი ან მისი მოადგილე კომპეტენციის ფარგლებში). ამ მიზეზით მოსარჩელეს უნდა ეთქვას უარი მის მოთხოვნაზე მითითებული აქტების ბათილად ცნობაზე იმ შემთხვევაშიც კი თუ დადგინდებოდა, რომ აქტები მანკიერია თავისი შინაარსით, ან ფორმით. მითითებულ აქტებთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს, რომ ისინი თავისი შინაარსით ობიექტური ინფორმაციის პატარებლები არიან.

მეხუთე, სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს უნდა ეთქვას უარი მისი მოთხოვნის იმ ნაწილში დაკმაყოფილებაზე, რაც გულისხმობს სასამართლოს ხარჯების მოპასუხებისთვის სოლიდურად დაცვაზე. აღნიშნულის მიზეზები შემდეგია: ა) მოპასუხე და თანამოპასუხე ორგანიზაციები საქართველოს კანონის სახელმწიფო ბაჟის შესახებ მე-5 მუხლის საფუძველზე სარგებლობენ შეღავათებით სახელმწიფო ბაჟთან დაკავშირებით (მე-5 მუხლის „ლ“ პუნქტი.) მაგრამ ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა (ერთი მოთხოვნის გარდა) არც სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს სახბაჟი მოსარჩელეს.

კერ დაკმაყოფილდება მოსარჩელეს მოთხოვნაც საძიებო თანხის 4%-ის ოდენობით მოპასუხე და თანამოპასუხე ორგანიზაციებისათვის დაკისრების თაობაზე იურიდიული მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, უარის მიზეზია სასარჩელო მოთხოვნის დაუკმაყოფილება.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 244-ე, 247-ე, 249-ე, 255-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, 32-ე მუხლების პირველი პუნქტით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მოსარჩელე ორგანიზაციის სააქციო საზოგადოება „ინტელექტბანკის“ სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე ორგანიზაციის საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტით თანამოპასუხე ორგანიზაციის საქართველოს შემოსავლებას სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადასმდელთა ინსპექციისა და მესამე პირის მოპასუხეების მხარეზე, დამოუკიდებელი მოთხოვნის გარეშე ქვემო კართლის საოლქო პროკურატურის მხარით დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

1. ბათილად იქნეს ცნობილი მსხვილ გადასმდელთა ინსპექციის 2000 წლის 24 მარტის №312 საინკასო დავალება (განკარგულება).

2. მოსარჩელეს სააქციო საზოგადოება „ინტელექტბანკს“ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების სხვა ნაწილში ეოქვას უარი.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №32), ქ.თბილისის საოლქო სასამართლოში საკასაციო საჩივრის შეტანით (თბილისი, გრიგოლ რობაქიძის 7<sup>ა</sup>) ერთი თვის ვადაში გადაწყვეტილების გამოცხადების (ანუ სასამართლოს აქტით გასაჩივრების შესაძლებლობის განმარტების) მომენტიდან.

თავმჯდომარე

მოსამართლეები:

PS ავტორთა მოსაზრება-საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული

სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ სარჩელი საფუძვლიანად შეისწავლა. გამაზვილდა ყურადღება მხარეების ქმედებით ჩადენილ კანონდარღვევებზე და მიიღო სამართლიანი გადაწყვეტილება, რომლითაც სს „ინტელექტბანკს“ შემოწმების აქტის ბათილობაზე უარი ეთქვა.

მიღებული გადაწყვეტილება სს „ინტელექტბანკმა“ კასაციის წესით გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. იხილეთ უზენაეს სასამართლოს 2000

## თავი II

### დავა მოგების გადასახადით დაბეგვრის თარგაზე

ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასულამ მოითხოვა საგადასახადო სისტემის სრულყოფა, საგადასახადო და სამეწარმეო კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა, რაც ხშირ შემთხვევაში საგრძნობლად ჩამორჩებოდა დროის მოთხოვნებს. ასევე მიღებული ნორმატიული აქტები წინააღმდეგობაში მოდიოდა ქვეყნის ძირითად კანონთან, არ ხდებოდა ნორმატიული აქტების დროულად გამოქვეყნება და გარკვეული უწესრიგობა იქმნებოდა გადასახადების გადამხდელებსა და საგადასახადო ორგანოების სამართლებრივ ურთიერთობებში, რაც შედეგობრივად იწვევდა საგადასახადო-სამეწარმეო დავებს.

გავეცნოთ მასალებს სასამართლო პრაქტიკიდან.

მოსარჩელე ს.ს „დიდუბის წისქვილქარხანა“  
საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის  
საკასაციო საჩივარი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა  
პალატის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ამონაწერი

საქმე №3გ/ად-16-კ 20 დეკემბერი, 1999 წელი  
ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა  
კატეგორიის საქმეთა პალატამ

## თავმჯდომარე

## მოსამართლეები

## მდივანი

კასატორის-საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლების, მოწინააღმდეგე მხარის – ს.ს. „დიდუბის წისქვილქარხნის“ წარმომადგენლების მონაწილეობით განიხილა კასატორის – საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 1999 წლის 17 სექტემბრის განჩინებისა და თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმების, ასევე საიჯარო ქირით შემცირებული მოგების გადასახადის – 434 272 ლარის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრების თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ მოისმინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მოხსენება და საქმის განხილვაში მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებანი, აგრეთვე შეისწავლა წარმოდგენილი მტკიცებულებანი და დადგენილად ცნო შემდეგი:

1996 წლის 12 აგვისტოს თბილისის წისქვილ-ქარხნის შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილ დროებით ამხანაგობასა (შემდგომში ს.ს. დიდუბის წისქვილქარხანა) და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც თბილისის წისქვილქარხნის ბალანსზე რიცხული ქონება იჯარა-გამოსყიდვის უფლებით 10 წლით გადაეცა ამხანაგობას (ს.ფ.99-101). ხელშეკრულების 2.1. მუხლის მიხედვით, საიჯარო ქირა წელიწადში შეადგენდა იჯარით აღებული ქონების 10%-283423 აშშ დოლარის ექვივალენტს, მაგრამ 2.4 მუხლის თანახმად, საიჯარო ქირა არ წარმოადგენდა იჯარით აღებული ქონების გამოსასყიდ თანხას, ჩაირიცხებოდა მეიჯარის – საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ანგარიშზე და დადგენილი წესით გამოიყენებოდა მეიჯარის მიერ. ამიტომ 2.5 მუხლის შესაბამისად, იჯარით აღებული ქონების გამოსასყიდი თანხის დაფარვა მოიჯარეს – ამხანაგობას უნდა ეწარმოებინა ყოველწლიურად იჯარით აღებული

ქონების ღირებულების 5%-ის ოდენობით, რაც ჩაირიცხებოდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზე. ხელშეკრულების ამავე მუხლის მიხედვით საიჯარო ქირა და ქონების გამოსასყიდი თანხა მოიჯარეს უნდა გადაეხადა საკუთარი და მასთან გათანაბრებული თანხებით.

1997 წლის პირველ ოქტომბრამდე მოიჯარის მიერ გადახდილი საიჯარო ქირის თანხები თავს იყრიდნენ მეიჯარე სამინისტროს ე.წ. „სპეცანგარიშებზე, სოლო 1997 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ, სპეცანგარიშები გაუქმდა და საიჯარო თანხა უშუალოდ მიემართებოდა სახელმწიფო ბიუჯეტში. ამიტომ ორმაგი დაბეგვრის აცილების მიზნით, „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 21 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვითა და საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის რესპუბლიკის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 1997 წლის 27 იანვრის №02-19/3 ნებართვის (ს.ფ.10) საფუძველზე ამხანაგობამ, რომელიც გარდაიქმნა ს.ს „დიდუბის წისკილქარხანად“, მოგების გადასახადის თანხა შეამცირა საიჯარო გადახდის თანხით, რამაც 1996 წელს შეადგინა 140 000 ლარი, ხოლო 1997 წელს - 294 272 ლარი, სულ 434 272 ლარი, რაზეც რესპუბლიკის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას შენიშვნები არ ჰქონია და მხოლოდ ნებართვის გაცემიდან 10 თვის შემდეგ, 1997 წლის 7 ოქტომბერს, პირველდ წაუყენა სააქციო საზოგადოებას პრეტენზია მოგების გადასახადის საიჯარო ქირით შემცირების თაობაზე იმ საფუძველით, რომ საიჯარო ქირის თანხა წარმოადგენდა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ბიუჯეტგარეშე ფორმირების წყაროს და თანხა არსებული წესების შესაბამისად არ მიემართებოდა რესპუბლიკის ბიუჯეტში (ს.ფ. 15), რაც საქართველოს სგაგასახადო სამსახურმა 1997 წლის 29 დეკემბრის №03-2-16 მითითებით დაადასტურა (ს.ფ. 17). მაგრამ, ამავე საგადასახადო სამსახურმა 1998 წლის 15 იანვრის №03-4-11 წერილით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1997 წლის 10 დეკემბრის №07-1-07/271/3667 განმარტების საფუძველზე, მართებულად ჩათვალა მოგების გადასახადის თანხის საიჯარო გადასახადით შემცირება იმ მოტივით, რომ საიჯარო გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში მონაწილეობას იღებდა (ს.ფ. 13 და 18). 1998 წლის 5 აგვისტოს №04-2-6/83/2852/297 წერილით კი საქართველოს საგადასახადო ინსპექციამ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსათვის



საიჯარო ქირით მოგების გადასახადის შემცირება უკანონოდ ჩათვალა, რადგან მოიჯარე-დიდუბის წისქვილქარხანა იყო სააქციო საზოგადოება და არა საიჯარო საწარმო, ამდენად, ის ვერ აკმაყოფილებდა „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) 4-5-6 გადასახადის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს (სფ 19). მოიჯარემ სს „დიდუბის წისქვილქარხანამ“ აღნიშნულ დავაზე სარჩელი აღძრა თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოში, რომლის 1999 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სარჩელი და საიჯარო ქირის ოდენობით მოგების თანხის შემცირება სასამართლომ კანონიერად ჩათვალა.

თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ აპელაციის წესით გაასაჩივრა თბილისის საოლქო სასამართლოს აღმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატაში, რომელმაც 1999 წლის 17 სექტემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა და მთაწმინდის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა ძალაში შემდეგი საფუძვლებით:

1. საიჯარო ურთიერთობა კერძო-სამართლებრივი ურთიერთობაა, ხოლო საგადასახადო კანონი არეგულირებს საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებს, ამიტომ საიჯარო გადასახადი, როგორც სახელმწიფო გადასახადის სახე თეორიულადაც არ შეიძლება შემოღებული ყოფილიყო და „საიჯარო გადასახადში“ იგულისხმება იჯარის ქირა-საფასური;

2. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს 1994 წლის კანონს არ გაუუქმებია „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი, რადგან კანონი ნორმის სახით ამგვარ დათქმას არ ითვალისწინებს, აგრეთვე „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ კანონის მიხედვით გადასახადის შეცვლა-გაუქმება ხორციელდება კონკრეტული გადასახადის შესახებ კანონში სათანადო ცვლილება-დამატების შეტანის გზით, რაც არ მომხდარა;

3. 1999 წლის კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ არ ითვალისწინებდა საიჯარო საწარმოს როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. ასეთი საწარმოები 1991 წლიდან საქართველოში აღარ არსებობენ, ამიტომ მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის ტერმინი „საიჯარო საწარმო“ არ შეიძლება მიჩნეული იქნეს საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განმსაზღვრელად. არამედ იგი ქონებაზე საკუთრებით ურთიერთობის აღმნიშვნელია;

4. სასამართლომ უსაფუძვლოდ ჩათვალა აპელანტის მტკიცება იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო ქონების იჯარისათვის ს.ს „დიდუბის წისქვილქარხნის“ მიერ გადახდილი თანხები არ შეიტანებოდნენ სახელმწიფო ბიუჯეტში, როგორც ეს დადგენილი იყო „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით, არამედ ირიცხება მეიჯარე სამინისტროს სპეცანგარიშებზე. სასამართლოს აზრით კანონის ნორმა განსაზღვრავს სახელმწიფოს სახელით ქონების იჯარით გამკეში სახელმწიფო ორგანოს ვალდებულებას ბიუჯეტში გადარიცხოს იჯარის ქირა. იჯარით ქონების ამღები საწარმო კი მოკლებულია საიჯარო ხელშეკრულების შესაბამისად სახელმწიფოსათვის გადახდილ თანხებზე კონტროლის შესაძლებლობას.

აპელანტმა-საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნული განჩინება და თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებასთან ერთად მოთხოვა მისი გაუქმება და საიჯარო ქირით შემცირებული მოგების გადასახადის თანხის -434 272 ლარის მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრება შემდეგი მოტივიებით:

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს განმარტებას „საიჯარო ქირისა“ და „საიჯარო გადასახადის იდენტურობის თაობაზე. მისთვის ასევე მიუღებელია „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ტერმინის „საიჯარო საწარმოს“ შესახებ კოლევგის ინტერპრეტაცია. კასატორის განმარტებით, კანონის აღნიშნული ნორმა გადმოღებული იქნა რუსეთის ფედერაციის საგადასახადო კანონმდებლობიდან, საქართველოს სამეწარმეო კანონმდებლობა კი „საიჯარო საწარმოს“, როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას არ ითვალისწინებდა, ამიტომ აღნიშნული ნორმა პრაქტიკულად არ მოქმედებდა და არცერთ იურიდიულ პირზე ამგვარი შეღავათი არ გავრცელებულა. მოწინააღმდეგე მხარე-„დიდუბის წისქვილქარხანა“ 1996 წელს შეიქმნა სააქციო საზოგადოების ფორმით და სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროსთან გააფორმა იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა საიჯარო ქირის მოცულობა და გადახდის წყარო, კერძოდ: ხელშეკრულების 2.5 მუხლის მიხედვით „საიჯარო ქირა და ქონების გამოსასყიდი თანხა მეიჯარემ უნდა

გადაიხადოს საკუთარი და მასთან გათანაბრებული სხვა სახსრებით“ და არა საბიუჯეტო გადასახადების ხარჯზე. კასატორის აზრით, ასევე არამართლზომიერია მტკიცებულებად მიღება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1997 წლის 10 დეკემბრის 7-1-07/273/3667 წერილისა ბიუჯეტის ფორმირებაში საიჯარო გადასახადის მონაწილეობის გამო, მოგების გადასახადის საიჯარო ქირით შემცირების თაობაზე, ვინაიდან აღნიშნული წერილი გაცემული იქნა შეცდომით, საკითხისა და სათანადო დოკუმენტაციის შეუსწავლელად.

მოწინააღმდეგე მხარის – ს.ს „დიდუბის წისკვილქარხნის“ წარმომადგენლის აზრით საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. რადგან მთაწმინდის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება და თბილისის საოლქო სასამართლოს განჩინება კანონიერია და ითხოვს მათ ძალაში დატოვებას შემდეგ გარემოთა გამო:

ს.ს „დიდუბის წისკვილქარხნის“ მიერ „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადის საიჯარო ქირით შემცირება მართლზომიერია, ვინაიდან იგი წარმოადგენს საიჯარო საწარმოს ანუ სახელმწიფოსაგან წარმოების ძირითადი საშუალების იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილ საწარმოს. კანონში მითითებული ცნება „საიჯარო საწარმო“ განსაზღვრავს იურიდიული პირის წარმოების საშუალებებისადმი ქონებრივ დამოკიდებულებას, რაც შეეხება ორგანიზაციულ – სამართლებრივ ფორმას, ასეთი სახის საწარმოები საქართველოში არ არსებობდნენ, ვინაიდან კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა მათ, ხოლო ქონების იჯარით აღების შედეგად შექმნილი საიჯარო საწარმოები მრავლად იყო, რადგან სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ერთ – ერთ სახეს სწორედ იჯარა – გამოსყიდვა წარმოადგენდა. ამიტომ სახელმწიფო ქონების განკერძოებისათვის და კერძო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისათვის, კანონმდებლობა საიჯარო საწარმოებზე ითვალისწინებდა ასეთ შედეგათებს, რითაც წისკვილქარხანამ კანონიერად ისარგებლა. მოწინააღმდეგე მხარე მთლიანად ეთანხმება „საიჯარო გადასახადზე“ საოლქო სასამართლოს ინტერპრეტაციას. მისი აზრით, „დიდუბის წისკვილქარხნის“, როგორც საიჯარო საწარმოს მიერ, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსათვის გადახდილი საიჯარო გადასახადის (ქირით) 434 272 ლარით მოგების გადასახადის შემცირება მართლზომიერია, რაც დაადასტურა თავად კასატორმა 1997 წ. 27 იანვრის № 02-19/3 და 1998 წ. 15 იანვრის № 03-4-11

წერილებით, ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 1997 წლის 10 დეკემბრის № 07-1-07/271/3667 წერილით.

*მზარეთა ახსნა-განმარტების მოსმენისა და საქმის მასალების შესწავლის შედეგად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება და თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის განჩინება უნდა გაუქმდეს ახალი გადაწყვეტილების მიღებით, ვინაიდან დაყის განხილვის დროს სასამართლოებმა არ გამოიყენეს კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინათ და არასწორად განმარტეს კანონი, კერძოდ:*

თბილისის წისქვილქარხნის შრომითი კოლექტივსა და დროებით ამხანაგობასა და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს შორის 1996 წლის 12 აგვისტოს გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების ერთ-ერთი საფუძველი საქართველოს რესპუბლიკის 1994 წლის 24 მაისის კანონი „იჯარის შესახებ“, რომლის მე-9 მუხლის თანახმად: „იჯარით აღებულ ქონებით სარგებლობისათვის მოიჯარე იხდის სარგებლობის ქირას, საიჯარო ქირის გადახდა არ ათავისუფლებს მოიჯარეს კანონით გათვალისწინებული გადასახადებისაგან, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით და საიჯარო ხელშეკრულებით“. თბილისის წისქვილქარხნისთან დადებულ საიჯარო ხელშეკრულებაში საგადასახადო შეღავათები გათვალისწინებული არ არის, ხოლო ხელშეკრულების 2.5. მუხლის მიხედვით საიჯარო ქირა და ქონების გამოსასყიდი მოიჯარეს უნდას გადაეხადა საკუთარი სახსრებით და არა საბიუჯეტო გადასახადების ხარჯზე.

რაც შეეხება „იჯარის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ საგადასახადო შეღავათებს, ასეთი შეღავათი დადგენილია „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 21 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით, რომლის თანახმად: „სახელმწიფო საწარმოებისა და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების ბაზაზე შექმნილი საიჯარო საწარმოებისათვის. დადგენილი განაკვეთების გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხა მცირდება საიჯარო გადასახადის თანხით (მის შემადგენლობაში შემავალი საამორტიზაციო ანარიცხების გამოკლებით) რომელიც ექვემდებარება ბიუჯეტში შეტანას არსებული წესების შესაბამისად“.

ეს საგადასახადო შეღავათი ვრცელდებოდა სახელმწიფო საწარმოებსა და მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების ბაზაზე შექმნილ საწარმოებზე ანუ იმ საწარმოებზე, რომლებიც 1989 წლის 23 ნოემბრის „ს.ს.რ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების იჯარის კანონმდებლობის საფუძვლების“ მე-16 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო საწარმოს ან გაერთიანების სტრუქტურული ერთეულის შრომითი კოლექტივის მიერ დაფუძნდნენ დამოუკიდებელ იურიდიულ პირად, დადგენილი წესით საწარმოს ქონების იჯარით აღების და ადგილმდებარეობის მიხედვით სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში სახელმწიფო რეგისტრაციის შედეგად და წარმოადგენდნენ იჯარით აღებული სახელმწიფო საწარმოს უფლებამონაცვლეს. საიჯარო საწარმო ქონების იჯარით აღების გარდა უფლებამოსილი იყო მთლიანად ან ნაწილობრივ გამოესყიდა აღებული ქონება და მე-10 მუხლის თანახმად, სახელმწიფოსაგან იჯარით აღებული ქონების გამოსყიდვის შემდეგ, შეიძლება გარდაქმნილიყო სააქციო ან სხვა ტიპის საზოგადოებად.

ამდენად „საიჯარო საწარმო“ კერძო მეწარმობების განვითარებისა და საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების სტადიაზე წარმოადგენდა ახლადშექმნილი იურიდიული პირის სტატუსს. ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას და არა იურიდიული პირის წარმოების საშუალებებისადმი ქონებრივი ურთიერთობის განმსაზღვრელს. მართალია, „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს 1991 წლის კანონით იურიდიული პირის ასეთი სტატუსი გათვალისწინებული არ იყო, მაგრამ მე-11 მუხლის 11 სახის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმასთან ერთად ითვალისწინებდა სხვა ტიპის ისეთი იურიდიული პირების, მათ შორის საიჯარო საწარმოების, არსებობა-ფუნქციონირებასაც, რომელთა შექმნა არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოში იმჟამად მოქმედ კანონმდებლობას. მაგრამ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს 1994 წლის კანონმა მკაცრად განსაზღვრა საქართველოში მოქმედი იურიდიული პირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და საწარმოებს 1997 წლის 1 იანვრამდე მიეცათ ვადა ახალი კანონის შესაბამისად სასამართლოში ხელახალი რეგისტრაციისათვის. ამიტომ 1997 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გაშვებული იყო 1989 წლის „იჯარის კანონმდებლობის საფუძვლების“ შესაბამისად შექმნილი საიჯარო საწარმოების არსებობა და „საწარმოთა მოგების (შემოსავლის)

გადასახადის შესახებ“ 1993 წლის კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით.

გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათებიც სწორედ ასეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საიჯარო საწარმოებზე ერცელდებოდა, საქართველოში პრივატიზაციის პროცესის ხელშეწყობისა და კერძო მეწარმეობის განვითარების სტიმულირების მიზნით.

1996 წლის 12 აგვისტოს საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების მომენტში კი თბილისის წისქვილქარხნის შრომითი კოლექტივი არსებობდა დროებითი ამხანაგობის სახით და იმავე 1996 წლის 26 აგვისტოს თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს № 2/5-52 გადაწყვეტილებით რეგისტრაციაში გატარდა სააქციო საზოგადოების ფორმით. საქმეში წარმოდგენილი მასალებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით დადგინდა, რომ 1996 წლამდე თბილისის წისქვილქარხანა იყო სახელმწიფო საწარმო, საიჯარო საწარმო არასდროს ყოფილა და 1996 წლის აგვისტოში სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბდა. წისქვილქარხანა საიჯარო საწარმოდ ვერც შეიქმნებოდა, რადგან იმ დროისათვის მოქმედი ახალი „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ასეთ ორგანიზაციულ – სამართლებრივ ფორმას უკვე აღარ ითვალისწინებდა. აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის № 288 დადგენილება „სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფო გაერთიანებების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ“ პირდაპირ მიუთითებდა სახელმწიფო საწარმოების სააქციო საზოგადოებებად და არა საიჯარო საწარმობად, ჩამოყალიბებების აუცილებლობაზე.

ამრიგად, თბილისის წისქვილქარხნის შრომითი კოლექტივი, შემდგომში ს.ს. „დიდუბის წისქვილქარხანა“, თავიდანვე სააქციო საზოგადოების ფორმით შეიქმნა და ვინაიდან საიჯარო საწარმო არასდროს ყოფილა, „საწარმოთა მოგების (შემოსულის) გადასახადის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათების სუბიექტიც არ არის. ამიტომ საიჯარო საწარმოებისათვის დადგენილი საგადასახადო შეღავათები მასზე არ ერცელდება, რაც საიჯარო ხელშეკრულების 2.5 მუხლშიც სრულად აისახა და 1996 – 97 წლების მოგების გადასახადის თანხის საიჯარო ჯირის ოდენობით შემცირება უკანონა.

ზემოაღნიშნულის გამო, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება და

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 1999 წლის 17 სექტემბრის განჩინება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ს.ს. „დიდუბის წისქვილქარხანას“ უნდა დაეკისროს საიჯარო ქირით შემცირებული მოგების გადასახადის თანხის 434 272 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდა.

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე, 389-ე, 409-ე 411-ე და 413-ე მუხლებით

## გ ა დ ა წ ყ ე ი ტ ა

1. დაკმაყოფილდეს საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის საკასაციო სარჩივარი;

2. გაუქმდეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 1999 წლის 17 სექტემბრის განჩინება და თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება;

3. დაეკისროს ს.ს. „დიდუბის წისქვილქარხანას“ საიჯარო ქირით შემცირებული მოგების გადასახადის თანხის 434 272 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდა;

4. დაეკისროს ს.ს. „დიდუბის წისქვილქარხანას“ საკასაციო სარჩივარზე სახელმწიფო ბაჟის 5000 ლარის გადახდა;

5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება;

თავმჯდომარე

მოსამართლეები:

PS.....ავტორთა მოსაზრება—საკასაციო პალატამ, საფუძვლიანად შეისწავლა სადავო საკითხი, გაითვალისწინა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ დაშვებული უზუსტობები და მიღებული იქნა სამართლიანი გადაწყვეტილება, რომლითაც ს.ს „წისქვილქარხანა“-ს დაეკისრა ბიუჯეტის სასარგებლოდ 434272 ლარის გადახდა.

დავა მოგების გადასახადის დაბეგვრის თაობაზე

მოსარჩელე ს.ს „დიდუბის წისკვილქარხანა“  
საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო  
დეპარტამენტის  
სააპელაციო საჩივარი

საქმე 2/719

გ ა ნ ი ნ ე ბ ა  
ს ა ო ლ ქ ო ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო

17 სექტემბერი 1999 წ. ქ. თბილისი

თბილისის საოლქო ადმინისტრაციული სასამართლოსა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ განიხილა

საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებაზე ს.ს. დიდუბის „წისკვილქარხნის“ სარჩელისა გამო მოპასუხე საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მიმართ III პირის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით ბიუჯეტში გადახდილი თანხების შემდგომში ჩათვლის შესახებ.

ს.ს. „დიდუბის წისკვილქარხანამ“ სარჩელით მიმართა თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს და მოითხოვა სახელმწიფო ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხების მომავალ პერიოდში გადასახადებში ჩათვლა იმ საფუძველით, რომ 1996 წლის ოქტომბრიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს და ამავე სამინისტროს თბილისის წისკვილქარხნის შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილ დროებით ამხანაგობას შორის დაიდო საიჯარო ხელშეკრულება გამოსყიდვის პირობით, ხოლო 1997 წლის 1 ოქტომბრამდე „მეიჯარე“ სამინისტროებში, მეიჯარეს ქირის თანხები თავს იყრიდნენ ე.წ. სპეცანგარიშებზე და ამ ანგარიშებზე აკუმულირებული თანხებით მცირდებოდა მათი საბიუჯეტო დაფინანსების მოცულობები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მხრიდან, ხოლო 1997 წლის 1 ოქტომბრიდან ანგარიშები გაუქმებულ იქნა და საიჯარო თანხები მიემართება უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტში. ორმაგი გადახდისაგან თავის აცილების მიზნით, მოსარჩელემ შეამცირა



გამოანგარიშებული მოგების გადასახადი საიჯარო გადასახადის თანხით, ვინაიდან მათ მართებულად მიიჩნევა ეხელმძღვანელოდ საწარმოო მოგების გადასახადის შესახებ საქართველოს 1993 წლის 21 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, რადგანაც სრულიად აკმაყოფილებდნენ კანონის მოთხოვნებს. ს.ს. დიდუბის „წისქვილქარხანამ“ გადასახადი შეამცირა სულ 434272 ლარით, რაც სათანადოდ ასახა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში წარდგენილ დეკლარაციაში რის მიმართაც მაშინ მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას შენიშვნები არ ჰქონია, ხოლო 08.01.98 წლის №1109-19/2 წერილით აცნობა საწარმოს, რომ „სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსათვის გადახდილი საიჯარო თანხა არ გამოაკლდება მოგების გადასახადის თანხას, რადგან იგი არ შეიტანება ბიუჯეტში და წარმოადგენს აღნიშნული სამინისტროს ბიუჯეტგარეშე სახსრების ფორმირების წყაროს“ და შესაბამისად ინსპექციამ საწარმოს ბიუჯეტში ღამატებით გადასახდელად დააკისრა 350 781 ლარი.

მოპასუხე საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტისა არ ცნო სარჩელი იმ მოსაზრებით რომ ს.ს. დიდუბის წისქვილქარხანა: 1996 წლიდან რეგისტრირებულია მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში, ხოლო მის მიერ იჯარით აღებული ქონების ექსპლოატაციისათვის გადასახადის თანხა წარმოადგენს ორ სუბიექტს შორის- სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს და ს.ს. „დიდუბის წისქვილქარხანას“ შორის შეთანხმებულ გადასახდელი თანხის ძოკულობას, რომ აღნიშნული თანხა არ წარმოადგენს საგადასახადო კანონმდებლობით დაწესებულ ბიუჯეტის ადგილობრივი და ცენტრალური გადასახადების სახეს, ამიტომ ამ თანხით ბიუჯეტში შესატანი მოგების გადასახადის შემცირება დაუშვებელია. აგრეთვე, მოპასუხეს მიაჩნია რომ მოსარჩელე საწარმო თავისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით წარმოადგენს სააქციო საზოგადოებას და არა საიჯარო საწარმოს.

ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ს.ს. „დიდუბის წისქვილქარხნის“ სარჩელი. სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა რომ საქართველოს კანონმდებლობა „საიჯარო საწარმოს“ ცნობს არა როგორც საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. არამედ როგორც საკუთრებით ურთიერთობებით განმსაზღვრელ ცნებას. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია რომ ს.ს. „დიდუბის ქარხანა“ წარმოადგენდა საიჯარო საწარმოს და იგი მოქმედებდა შესაბამისი ნორმატიული აქტების საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის

8 იანვრის №20 დადგენილების და ქონების მართვის სამინისტროს 1996 წლის აგვისტოს №1-3/423 ბრძანების საფუძველზე და შესაბამისად აღგენდა ანგარიშსწორებებს საგადასახადო სამსახურებთან.

საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა გადაწყვეტილება თბილისის საოლქო სასამართლოში და მოითხოვა მისი გაუქმება, როგორც უკანონო და უსაფუძვლო შემდეგი საფუძვლით რომ სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით უარყო 1995 წლის „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 2.1. მუხლი, რომელიც აწესრიგებს საქართველოში მეწარმეების ორგანიზაციულ-სამართლებრივ და ს.ს.„დიდუბის წისქვილქარხანა“ მიეკუთვნა არ არსებულ სამართლებრივი ფორმის საწარმოს და ამდენად, დაუშვებლად მიაჩნიათ მის მიმართ გამოყენებული იქნას „საწარმოთა მოგების გადასახადის შესახებ“ 1993 წლის 21 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლის მე-3 პ. განსაზღვრული წესი, აქელანტი თვლის რომ აღნიშნული პუნქტი ფაქტობრივად საქართველოში არ მუშაობდა, რადგან „მეწარმეთა შესახებ“ კანონმა ასეთი სამართლებრივი ფორმა უარყო, აქედან გამომდინარე საგადასახადო კანონმდებლობის ეს მუხლი არ გამოიყენება. აქელანტი მიუღებლად თვლის ფინანსთა სამინისტროს 1997 წლის 10 დეკემბრის №07-1-01/271/3667 წერილის საიჯარო გადასახადის თანხით ბიუჯეტის კუთვნილი მოგების გადასახადის თანხის შემტირების თაობაზე. აქელანტი ითხოვს სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების გამოტანას აღნიშნულ საქმეზე.

მოწინააღმდეგე მხარემ ს.ს. „დიდუბის წისქვილქარხანამ“ თავის შეპასუხებაში არ ცნო სააპელაციო საჩივარი და მიაჩნია რომ ს.ს. „დიდუბის წისქვილქარხანა საიჯარო საწარმო იყო არა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, არამედ საკუთრების ფორმის მიხედვით, რომ საწარმოს საიჯარო გადასახადი მიემართებოდა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სპეც ანგარიშზე და ამ თანხებით მცირდებოდა ამ სამინისტროს საბიუჯეტო დაფინანსების მოცულობა. აგრეთვე თვლის რომ „საიჯარო გადასახადი“ და „საიჯარო ქირა“ იდენტური ცნებებია, რომ საიჯარო საწარმოს მიერ გადახდილი საიჯარო ქირა არ წარმოადგენს იჯარით აღებული ქონების გამოსასყიდ თანხას და იგი გამოიყენება მეიჯარის მიერ დადგენილი წესით და უსაფუძვლოდ მიაჩნია საიჯარო ქირის მიმართულების შესახებ საწარმოსადმი პრეტენზიის წარდგენა.

სასამართლო კოლეგიამ საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის და საქმის სასამართლო განხილვისა და დგენილად მიიჩნია შემდეგი.

1996 წლის 12 აგვისტოს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსა და ამავე სამინისტროს თბილისის წისქვილქარხნის კოლექტივის მიერ შექმნილ დროებით ამხანაგობას შორის დაიდო საიჯარო ხელშეკრულება გამოსყიდვის პირობით (იხ. ს. ფ.99-101). ს.ს. „დიდუბის წისქვილქარხანამ“ იხელმძღვანელა რა „საწარმოთა მოგების (შემოსავლი) გადასახადის შესახებ“ საქართველოს 1993 წლის 21 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, გამოანგარიშებული მოგების გადასახადი შეამცირა საიჯარო გადასახადის თანხით, რამაც 1996 წელს შეადგინა 140 000 ლარი, ხოლო 1997 წელს 294272 ლარი, სულ 434272 ლარი, რაც სათანადოდ ასახულ იქნა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში საწარმოს მიერ წარდგენილ დეკლარაციის სპეციალურ სტრიქონზე. „მოგების გადასახადიდან გამოსარიცხი საიჯარო გადასახადის თანხა (საამორტიზაციო ანარიცხების გამოკლებით), რაც ექვემდებარება ბიუჯეტში შეტანას, მაგრამ არა უმეტეს მოგების გადასახადის თანხისა“. საწარმო თავის გაანგარიშებებში ეყრდნობოდა, როგორც მითითებული კანონონის მოთხოვნას, ასევე საქართველოს მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის უფროსის ვ. დავითურის წერილს 27. 01. 97 №02-19/3, სადაც აღნიშნულია რომ „მოგების გადასახადის თანხა მცირდება საიჯარო გადასახადის თანხით“. (იხ.ს.ფ.10) ხოლო 08.01.98 წ. №1109-19/2 წერილით მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ აცნობა საწარმოს რომ „სამინისტროსთვის გადახდილი საიჯარო ქირის თანხა არ გამოაკლდება მოგების გადასახადის თანხას, რადგან იგი არ შეიტანება ბიუჯეტში და წარმოადგენს მეიჯარე სამინისტროს ბიუჯეტგარეშე სახსრების ფორმირების წყაროს“. აღნიშნულიდან გამომდინარე ინსპექციამ ბიუჯეტში დამატებით გადასახდელით საწარმოს დააკისრა 350 781 ლარი.

სასამართლო კოლეგიამ გაანალიზა და შეაფასა რა საქმის მასალები, ვერ გაიზიარებს საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სადაო პერიოდისათვის მოქმედებს საქართველოს 1993- წლის 21 დეკემბრის კანონის „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ“ მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი არ ამოქმედებულა და პრაქტიკაში არ გამოიყენებოდა იმის გამო რომ მიღებული კანონი საიჯარო ურთიერთობების საფუძვლების შესახებ

პროექტიც გამოქვეყნებული იყო ზრესაში (იხ.ს.ფ. 199-124) და რომლითაც შემოღებული უნდა ყოფილიყო საიჯარო გადასახადი, როგორც გადასახადის ერთ-ერთი სახე, რადგან ასეთი კანონით არ დადგენილა, 1993 წლის 21.12 კანონის საღაო ნორმა არ ამოქმედებულა. სასამართლო კოლეგია თვლის რომ აპელანტის ეს მტკიცება მცდარია, კინაიდან საიჯარო ურთიერთობა მიუხედავად მასში მონაწილე მხარეებისა, თავისი არსით არის კერძო სამართლებრივი ურთიერთობა, ხოლო საგადასახადო კანონმდებლობა არეგულირებს საიჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებს. ამიტომ სასამართლოს აზრით, საიჯარო გადასახადი, როგორც სახელმწიფო გადასახადის სახე, თეორიულადაც კი არ შეიძლება შემოღებული ყოფილიყო და ამჯერად, კანონის ფორმაში ნახმარი ტერმინი „საიჯარო გადასახადი“ არ შეიძლებოდა დაკავშირებული ყოფილიყო ასეთი სახის გადასახადის შემოღებასთან. სასამართლო კოლეგიის შეფასებით, აქ იგულისხმება ის საფასური, რომელსაც იხდიდნენ საწარმოები სახელმწიფო ქონების იჯარისათვის.

სასამართლო კოლეგია ასევე ვერ გაიზიარებს აპელანტის მტკიცებას შემდეგზე, რომ საქართველოს 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონმა, „მეწარმეთა შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 1995 წლის მარტიდან, გააუქმა კანონის „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ“ მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი, ვინაიდან სამეწარმეო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს „საიჯარო საწარმოს“ როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივ უორმას, ამასთან ეს კანონი უფრო გვიან არის მიღებული. სასამართლოს მიაჩნია რომ საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ ამოქმედებას არ შეეძლო გაუქმებინა საგადასახადო კანონმდებლობის ნორმა, რადგანაც ჯერ ერთი, ამის თაობაზე „მეწარმეთა შესახებ“ კანონში არავითარი დათქმა არ არის ჩადებული ნორმის სახით და აგრეთვე, იმ დროისთვის მოქმედი კანონის „საგადასახადო სიტემების საფუძვლის შესახებ“ მე-6 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით „გადასახადის დაბეგვრის რეჟიმის შეცვლა ხორციელდება კონკრეტული გადასახადის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანით, რაც კანონის „საწარმოთა მოგების (შემოსავლების) გადასახადის შესახებ“ მოქმედების პერიოდში არ განხორციელებულა და აღნიშნული ნორმა არ გაუქმებულა.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია რომ ვინაიდან იმ დროისათვის მოქმედი 1991 წლის 25.07. კანონი „სამეწარმეო საქმიანობის საფუყყლების შესახებ“ არ ითვალისწინებდა „საიჯარო საწარმოს“,

როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, ხოლო აპელანტიის მტკიცებით ასეთი ფორმის საწარმოები 1991 წლიდან საქართველოში არ არსებობდნენ, „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტში გამოყენებული ტერმინი „საიჯარო საწარმო“ არ შეიძლება მიჩნეულ იქნას იმ საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განმსაზღვრელად. რომელზეც უნდა გაერცვლებულიყო კანონის სადაო ნორმა.

ასევე უსაფუძვლოა აპელანტიის მტკიცება იმის თაობაზე, რომ „დიდუბის წისქვილქარხნის“ მიერ სახელმწიფო ქონების იჯარისაოვის გადახდილი თანხები არ შეიტანებოდნენ სახელმწიფო ბიუჯეტში, როგორც ეს დადგენილი იყო კანონის „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ“ მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით. არამედ მეიჯარე სამინისტროთა სპეცანგარიშებზე. სასამართლო კოლეგია თვლის რომ მითითებული კანონის ნორმა განსაზღვრავს არა სახელმწიფო საწარმოს და მათი სტრუქტურული ქვიდანაყოფების ბაზაზე შექმნილ საიჯარო საწარმოს, არამედ იმ სახელმწიფო ორგანოსაც, რომელმაც სახელმწიფოს სახელით იჯარით გასცა სახელმწიფო ქონება. კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო, ვინაიდან სახელმწიფო ქონების იჯარით ამღები საწარმო მოკლებულია იმის შესაძლებლობას, რომ გააკონტროლოს სად ირიცხება მის მიერ საიჯარო ხელშეკრულების შესაბამისად სახელმწიფოსათვის გადახდილი თანხები. სასამართლოს ამასთან: დადასტურებულად მიაჩნია ის გარემოება რომ ს.ს. „დიდუბის წისქვილქარხანა“ საიჯარო ქირის თანხებს ურიცხავდა სოფლის მეურნეობის ადა სურსათის სამინისტროს (იხ. ს.ფ. 78) ამას ადასტურებს საბუთებში წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირის 1997 წლის 10 დეკემბრის №07-1-07/271/3667 წერილი, რომლითაც საქართველოს მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას განუპარტავს სადაო საკითს (იხ.ს.ფ.13) და აღნიშნავს რომ „ვინაიდან აღნიშნული თანხა მიმართული იყო ბიუჯეტში და შესაბამისად მონაწილეობა მიიღო ბიუჯეტის ფორმირებაში ს.ს. „დიდუბის წისქვილქარხნისათვის“ გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხა შემტყრებულ უნდა იქნეს საიჯარო გადასახადის თანხით. სასამართლო კოლეგია ვერ \* გაიზიარებს სასამართლო სხდომაზე ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის ახსნა-განმარტებას იმის თაობაზე, რომ აღნიშნული წერილი სამინისტროს მიერ გაცემული იქნა შეცდომით და რომ იგი არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგანაც მისი მომზადებისას

ჟინანსთა სამინისტროში არ ყოფილა წარდგენილი საქმის კარემოებებისთვის საჭირო დოკუმენტაცია. სასამართლომ ამ ფაქტთან დაკავშირებით წერილობითი განმარტების წარმოსადგენად ჟინანსთა სამინისტროს მისცა საკმარისი დრო, რისთვისაც გადალო საქმის სასამართლო განხილვა, მიუხედავად ამისა, ჟინანსთა სამინისტრომ წერილობითი განმარტება არ წარმოადგინა, ხოლო წარმოსადგენლის ახსნა-განმარტება სასამართლომ მიიჩნია ზერეულად და დაუსაბუთებლად.

აგრეთვე აღსანიშნავია ის გარემოება რომ „საწარმოთა მოგების (შემოსავლების) გადასახადების შესახებ“ 1993 წლის 21 დეკემბრის კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით „მოგების გადასახადის გადამხდელები თავიანთი ადგილმდებარეობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს წარუდგენენ საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს საქართველოს რესპუბლიკის დადგენილი წესითა და ვადებში მოგების გადასახადის თანხის გაანგარიშებებს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის მიერ დამტკიცებული ფორმით კანონის ეს მოთხოვნა რეალიზებულია საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის 1991 წლის 3 იანვრის №1 ინსტრუქციის დანართ №2-ში, რომელიც ეხება „გაანგარიშებას 1997 წელს. ფაქტობრივი მოგების მიხედვით გადასახადის შესახებ, ცხრილის მე-12 ნომრად ჩაწერილია: „მოგების გადასახადიდან გამოსარიცხი საიჯარო გადასახადის თანხა (სამორტიზაციო ანარიცხების გამოკლებით) რაც ექვემდებარება ბიუჯეტში შეტანას მაგრამ არა უმეტეს მოგების გადასახადის თანხისა“ (იხ.ს.ვ.75) ამ ფაქტის დასტურია საქმის მასალებში წარმოდგენილი „ს.„დიდუბის წისქვილქარხნის“ მოგების გადასახადის გაანგარიშებები (იხ.ს.ფ.79-80), რომლის თანახმადაც მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მიერ 1997 წლის მთლიანი შედეგების მიხედვით ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადი შემცირებულ იქნა საიჯარო გადასახადის თანხით –202892 ლარის ოდენობით.

შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააქელაციო სასამართლო ძირითადად ეთანხმება ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებაში გადმოცემულ შეფასებებს და მიაჩნია რომ სასამართლომ დავა გადაწყვიტა კანონის შესაბამისად, და ამდენად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად, ხოლო საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის სააქელაციო საჩივარი არ უნდა დაემაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

საქართველოს კოლეგიამ ისჯომძღვანელა რა საქართველო  
სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 386-ე, 390-ე, 395-ე, დ.  
397-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. არ დაკმაყოფილდეს საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის  
სააპელაციო საჩივარი.

2. უცვლელად დარჩეს ქ. თბილისის შოაწმინდის-რაიონის  
სასამართლოს 1999 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება.

3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესის  
საქართველოს უზენაეს სასამართლოში თბილისის საოლქო  
სასამართლოს მეშვეობით მხარეთათვის განჩინების გადაცემის  
მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე

მოსამართლეები

P.S - ავტორთა მოსაზრება-სააპელაციო პალატამ მნიშვნელოვანი  
გამოკვლევა აწარმოა, მაგრამ ვაითვალისწინეს რა სამეწარმეო  
საქმიანობის ჩამოყალიბებისა და საბაზრო ეკონომიკის ხელშეწყობა,  
საგადასახადო და სამეწარმეო კანონმდებლობის შესაბამის მუხლებს სხვა  
დატვირთვა მისცეს და მიღებული გადაწყვეტილებაც სადაეო აღმოჩნდა,  
რამაც გამოიწვია საგადასახადო დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი.  
იხილეთ უზენაეს სასამართლოს 1999 წლის 20 დეკემბრის  
გადაწყვეტილება საქმე №3გ/ად-16-კ.

მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე

მოსარჩელე სს. „დიდუბის წისქვილქარხანა“  
სასარჩელო განცხადება

ქობილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლო

## გ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ მ ბ ა

### ს ა ქ ა რ თ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი მ ი

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

29 აპრილი 1999 წ. ქ. თბილისში

ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლო

საქმე სააქციო საზოგადოება „დიდუბის წისკვილქარხანა“-მ სარჩელისა (განცხადებისა) გამო

მოპასუხე-საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტი, ბიუჯეტში გადახდილი თანხის შემდგომში ჩათვლის შესახებ.

სასამართლომ გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1996 წლის 12 აგვისტოს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ამავე სამინისტროს თბილისის „დიდუბის წისკვილქარხანას“ შრომითი კოლექტივის მიერ შექმნილ დროებით ამხანაგობას შორის დაიდო საიჯარო ხელშეკრულება გამოსყიდვის პირობით იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მას საფუძველად დაედო შემდეგი სახის ნორმატიული აქტები:

„სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის წესის შესახებ“ პარლამენტის 1994 წლის 20 სექტემბრის №555-1 დადგენილებით დამტკიცებული დებულება. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 8 იანვრის №20 დადგენილება „სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემისას საიჯარო ქირის განსაზღვრისა და გადახდის წესების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო ქონების მმართველ სამინისტროს 1996 წლის 5 აგვისტოს №1-3/243 ბრძანება, რომლითაც წისკვილქარხანას ევალებოდა საიჯარო ხელშეკრულების დადება სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროსთან.

საიჯარო ხელშეკრულების მეორე თავში პ.2.4 მითითებულია რომ „საიჯარო ქირა არ წარმოადგენს იჯარით აღებული ქონების გამოსასყიდ თანხას და იგი გამოიყენება მეიჯარის მიერ დადგენილი წესის მიხედვით“ 1997 წლის 1 ოქტომბრამდე „მეიჯარე“ სამინისტროები, ანუ იმ სამინისტროებში, რომლებიც გამოდიოდნენ „სახელმწიფო მხარედ“.



საიჯარო ხელშეკრულებაში საიჯარო ქირის (საიჯარო ვადასახადის) თანხები თავს იყრიდა ე.წ. „სპეცანგარიშზე და ამ ანგარიშებზე აკუმულირებული თანხები მცირდებოდა მათი საბიუჯეტო დაფინანსების მოცულობებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მხრიდან. 1997 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ ფინანსთა სამინისტროს მხრიდან მითითებებით გაუქმებული იქნა დარეობლივ სამინისტროს სპეც ანგარიშები და საიჯარო თანხები გადადის უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტში.

მოსახელზე თვლიდა, რომ „საწარმოს“ მოგების (შემოსავლის) ვადასახადის შესახებ საქართველოს 1993 წლის 21 დეკემბრის კანონის მოქმედების პერიოდში“ უნდა ეხელმძღვანელათ ამ კანონის მე-9 მუხლის III პუნქტის შესაბამისად, რაც გულისხმობს რომ საიჯარო საწარმოებისათვის დადგენილი განაკვეთის გამოანგარიშებული მოგების ვადასახადის თანხა მცირდება საიჯარო ვადასახადის თანხით, რომელიც ექვემდებარება ბიუჯეტში შეტანას.

მოსარჩელემ აქედან გამომდინარე ორმაგი ვადასახადისაგან თავის აცილების მიზნით შეამცირა საიჯარო ვადასახადი, 1996 წლის 140 000 ლარით, ხოლო 1997 წლის 294-272 ლარით და იგი სათანადოდ აისახა მსხვილ ვადასახადებზე ინსპექციაში საწარმოს მიერ წარდენილი დეკლარაციის სპეციალურ სტრიქონში, მაგრამ მსხვილ ვადასახადებზე ინსპექციამ მიაღწია, რომ სამინისტროებისათვის გადახდილი საიჯარო ქირის თანხა არ გამოაკლდება მოგების ვადასახადის თანხას, რადგან იგი არ შეიტანება ბიუჯეტში და წარმოადგენს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ბიუჯეტგარეშე სახსრების ფორმირების წყაროს და დააკისრა მოსარჩელეს ბიუჯეტში დამატებით ვადასახადებად 350 781 ლარი.

მოსარჩელეს მიაჩნია, რომ მისი მოქმედება კანონიერია და სარჩელით ითხოვს მის მიერ ზედმეტად გადახდილი საიჯარო ქირის თანხას 434 272 ლარის სახელმწიფო ბიუჯეტში მომავალი პერიოდის ვადასახადებში ჩათვლას.

მოპასუხე საქართველოს საგადასახადო ინსპექციის წარმომადგენელი სარჩელს არ ცნობს იმ მოტივით, რომ 1993 წლის 23 დეკემბრის მიღებული კანონის მე-9 მუხლის III პუნქტით, რომლითაც ბიუჯეტთან ანგარიშსწორება საიჯარო საწარმოებისათვის რეგულირდება, არ ეხება მოსარჩლის ქონებას, ვინაიდან კანონი საიჯარო საწარმოს ასეთ ფორმას არ იცნობს და კანონის ეს მუხლი 1992-98 წლებში აქტიურად შემოღებული არ ყოფილა და არ ფუნქციონირებდა.

სასამართლომ შეისწავლა რა საქმეში არსებული მასალები და მოუსმინა მხარეებს მკვიდა იმ დასკვნამდე, რომ სარჩელი საფუძვლიანია და იგი უნდა დაეკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო;

მოსარჩელის მოთხოვნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეცანგარიშზე ჩარიცხული საიჯარო თანხების მოგების გადასახადში ჩათვლის თაობაზე ეყრდნობა ამ მოთხოვნის წარმოშობის პერიოდში არსებულ პირდაპირი მოქმედების მქონე კანონს „საწარმოთა მოგების (შემოსავლის) გადასახადის შესახებ IX მუხლის მე-3 პუნქტს.

ს/ს „დიდუბის წისქვილქარხანამ“ 1997 წლის 21 ივლისს წარადგინა მოგების გადასახადის გაანგარიშება, რომლის თანახმადაც მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ შეამცირა 1997 წლის 25 აპრილის მდგომარეობით მოსარჩელეზე 1997 წლის 5 კვარტლის გაანგარიშებით მოგების გადასახადი 124 540 ლარით, ხოლო იმავე წლის მეორე კვარტლის მდგომარეობით დამატებით 74 544 ლარით (სულ 199 084 ლარით) მთლიანად 1997 წლის შედეგების მიხედვით იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ბიუჯეტის კუთვნილი მოგების გადასახადი შემცირებული იქნა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მიერ საიჯარო გადასახადის თანხა 202 892 ლარით, თუმცა ამის შემდეგ მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ ეჭვის ქვეშ დააყენა თავისი მოქმედების სისწორე და მხარეებს შორის დაიწყო დავა. საქ. ფინანსთა სამინისტროს 1997 წლის 10 დეკემბრის №07-1-07/271/3667 პასუხად დადგენილი იქნა, რომ: „ვინაიდან ს/ს „დიდუბის წისქვილქარხანას“ თანხების ბიუჯეტის კუთვნილი მოგების გადასახადის შემცირების თაობაზე, მიმართული იყო ბიუჯეტში და შესაბამისად მონაწილეობა მიიღო ბიუჯეტის ფორმირებაში, მოსარჩელის გამონგარიშებული მოგების გადასახადის თანხა შემცირებული უნდა იქნეს საიჯარო გადასახადის თანხით“. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქ. ფინანსთა სამინისტროს ამ პასუხის შემდეგ, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ არ შეასრულა ზემდგომი ორგანოს წერილობითი მითითება და იმავე საკითხზე დამატებით მიმართა საქართველოს საგადასახადო ინსპექციას, რომელმაც ასევე მართებულად მიიჩნია ს/ს „დიდუბის წისქვილკომბინატის“ მოქმედება და თავის 1998 წლის 25 იანვრის №03-4-10 წერილით აცნობა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას, რომ: „...აღნიშნული საწარმოსათვის მოგების გადასახადის თანხა შესაბამის პერიოდში შემცირებული უნდა იქნეს საიჯარო გადასახადის თანხით.

მიუხედავად ამისა მოპასუხე მხარემ მაინც არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნები და მხარეთა შორის დავა დღემდე გაგრძელდა. ამჟამად საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტი ამტკიცებს რომ ს/ს „დიდუბის წისქვილკომბინატი“ არ წარმოადგენს „საიჯარო საწარმოს“ ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნულს, რომ საქართველოს კანონმდებლობა „საიჯარო საწარმოს“ სცნობს არა როგორც საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმის არამედ როგორც საკუთრებით ურთიერთობის განმსაზღვრელ ცნებას, რაც დასტურდება პრაქტიკით. ამასთან ერთად სასამართლოს მიაჩნია, რომ მოქმედ კანონში ამა თუ იმ მუხლის ფუნქციონირება არ ფუნქციონირების საკითხის ერთპიროვნული განსაზღვრა სცილდება საქართველოს საგადასახადო ინსპექციის კომპეტენციას.

ამდენად სასამართლოს მიაჩნია, რომ ს/ს „დიდუბის წისქვილკომბინატი“ წარმოადგენდა საიჯარო საწარმოს, იგი მოქმედებდა ნორმატიული აქტების საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 8 იანვრის №20 დადგენილების საფუძველზე. „სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემისას საიჯარო ქირის განსაზღვრისას და გადასახადის წესის შესახებ“, ქონების მართვის სამინისტროს 1996 წლის 5 აგვისტოს 31-3/423 ბრძანებით რომლითაც მოპასუხეს დაევალი საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსთან და ამ ნორმატიული აქტების საფუძველზე აღგენდა მოპასუხე ანგარიშსწორებებს რესპუბლიკის საგადასახადო სამსახურთან, რის გამოც საიჯარო ქირის თანხა 434 272 ლარი უნდა ჩაეთვალოს სახელმწიფო ბიუჯეტში შემდგომი გადასახადელი თანხის ანგარიშით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ იხელმძღვანელა რა სსსკ 197-200 მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა :

დაკმაყოფილდეს ს/ს „დიდუბის წისქვილქარხანას“ სარჩელი, მოპასუხე საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტთან და წინასწარ საიჯარო ქირის თანხა 434 272 (ოთხას ოცდაათობზეტი ათას ორას სამოცდათორმეტი) ლარი ჩაეთვალოს შემდგომში ბიუჯეტში შესატანი თანხის გათვალისწინებით. გადაწყვეტილება კასაციურია 14 დღე.

მოსამართლე

PS -ავტორთა მოსახრება-პირველი ინსტანციის სასამართლომ საფუძვლიანად არ შეისწავლა საქმე, რის გამოც საქმის არსებითი განხილვა არასრულყოფილად ჩატარდა და შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების სამართლიანი საფუძველიც შეიქმნა. იხილეთ საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარზე ქთბილისის საოლქო სასამართლოს 1999 წლის 17 სექტემბრის განჩინება. საქმე 2/179.

დავა მოგების გადასახადით დაბეგერის თაობაზე

უცხოურ ვალუტასთან, ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული შემოსავლის დაბეგვრა

1996 წლის 13 დეკემბრის „მეწარმეთა შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონიდან გამომდინარე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1997 წლის 14 ივლისის №175 ბრძანებით ცვლილებები შევიდა საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმაში და მისი გამოყენების ინსტრუქციაში. აღნიშნული ინსტრუქცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული იყო 1992 წლის 21 დეკემბერს №3130 ბრძანებით. აღნიშნული ნორმა, ასევე დარეგულირებული იყო საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულებით „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების შესახებ“. ინსტრუქციის შესაბამისად მოგებისა და ზარალის ერთ-ერთი შემადგენელი მუხლია „გაუთვალისწინებელი შემოსავლები და ზარალები“, რომელშიც უნდა აისახოს ის შემოსავლები და ზარალები, რომელიც არ არის დაკავშირებული საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობასთან. აღნიშნულს კი განეკუთვნება უცხოურ ვალუტასთან, ეროვნული ვალუტის (ფულის) კურსის ცვლილებით გამოწვეული დადებითი სხვაობის ასახვა, რასაც გადამხდელი არ დაეთანხმა და სადავო გახდა.

გავეცნით დაეხს სასამართლო პრაქტიკიდან.

მოვების გადასახადით დაბეგერის თაობაზე  
საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია  
შპს „იშედი- L-ის“ საკასაციო საჩივარი

## სასამართლოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

ამონაწერი

№3გ/ად-133-კ 25 ოქტომბერი, 2000 წელი  
ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სსსკ  
კატეგორიის საქმეთა პალატამ

თავმჯდომარე

მოადგილეები

მდივანი

განიხილა საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია  
შპს „იშედი L international“-ის საკასაციო საჩივარი  
თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 26 ივნისის  
გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე.

მოწინააღმდეგე მხარის—საქართველოს ფინანსთა სამინისტროს  
მოწინააღმდეგე მხარის- საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო  
დეპარტამენტის მონაწილეობით.

საკასაციო პალატამ მოისმინა უზენაესი სასამართლოს  
მოსამართლის მოხსენება და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის 1999 წლის 15 აგვისტოს შემოწმების აქტით შპს „იმედი L international“-ის ბიუჯეტის სასარგებლო მოგების გადასახადის სულ 21 773 ლარის გადახდა დაეკისრა. ძირითადად თანხა შეადგენდა 8 982 ლარს, ჯარაჟი (50%) - 4 491 ლარს, საურავი 2 452 ლარს, სააგანსო გადასახადი წინა წლის მოგების მიხედვით 5 390 ლარს და საურავი სააგანსოს გადაუხდელო პისათვის - 485 ლარს. აღნიშნული თანხის დარიცხვის საფუძველად გასდა ის გარემოება რომ სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული საწესდებო კაპიტალისა და საველუტო ანგარიშზე ურძიძროდ არსებული საველუტო თანხების კურსთაშორის დადებითი სხვაობა, საგადასახადო დეპარტამენტის მოსაზრებით. უნდა მოთავსებულიყო №80-ე საბუღალტრო ანგარიშზე „მოგება და ზარალი“ და, როგორც გაუთვალისწინებელი შემოსევალი, დაბეგრილიყო მოგების გადასახადით. საგადასახადო დეპარტამენტმა ასეთ დაბეგვრას საფუძველად დაუდო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1997 წლის 14 ივლისის №175 ბრძანება „საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმაში და მისი გამოყენების ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, რომლის თანახმადაც მე-80 ანგარიშზე „მოგება და ზარალი“ სამეურნეო წლის განმავლობაში უნდა აისახოს: „კურსებს შორის დადებითი სხვაობა საველუტო ანგარიშებზე, ასევე უცხოურ ვალუტაში ოპერაციებზე-ფულადი საშუალებების ანგარიშებთან ან შესაბამისი ანგარიშსწორებების ანგარიშებთან კორესპონდენციით“.

მოსარჩელემ - შპს „იმედი L international“-ის სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აღნიშნული ბრძანების მე-80 ანგარიშის „მოგება და ზარალი-ს“ სადავო წინადადების ბათილად ცნობა მოითხოვა. მოსარჩელემ სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტის სადავო ნაწილი ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, კერძოდ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 8 მარტის №136-ე დადგენილებას „უცხოურ ვალუტასთან საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ფულის კურსის ცვლილებებით გამოწვეულ კურსებს შორის სხვაობის ასახვის შესახებ“, საქართველოს კანონს „მეწარმეთა შესახებ“ და საქართველოს

პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებულ დებულებას "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ".

მოსარჩელემ მოგების გადასახადის დაკისრების ნაწილში საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის 1999 წლის 15 აგვისტოს შემოწმების აქტის ბათილად ცნობაც მოითხოვა. მოსარჩელის აზრით, ასეთი გადასახადის დარიცხვა არ გამოიმდინარეობს საგადასახადო კანონმდებლობიდან, კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-3, მე-4 მე-7, მე-8, 37-ე, და 45-ე მუხლებიდან.

მოპასუხემ - საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ფინანსთა სამინისტროს 1997 წლის 14 ივლისის №175-ე ბრძანება მიღებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ 1996 წლის 13 დეკემბრის კანონის შესაბამისად. ამ კანონში მოცემული საწარმოს მოგებისა და ზარალის ანგარიშის ერთ-ერთი შემადგენელი მუხლია „გაუთვალისწინებელი შემოსავლები და ხარჯები“, რომელშიც „უნდა აისახოს ის შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობასთან“. მოპასუხის აზრით, სწორედ ამ კატეგორიის შემოსავლებს განეკუთვნება სავალუტო ანგარიშზე კურსებს შორის დადებითი სხვაობით წარმოშობილი სახსრები. ამასთან, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 8 მარტის №136 დადგენილება, რომლის მიხედვითაც კურსებს შორის დადებითი სხვაობა აისახებოდა 83-ე ანგარიშზე, ეწინააღმდეგება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის №1 დანართი მე-7 და მე-8 მუხლებს და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად გამოყენებულ უნდა იქნეს „მეწარმეთა შესახებ“ კანონი. მოპასუხე თავის მოსაზრებებს აფუძნებს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების 68-ე მუხლზე საბუღალტრო აღრიცხვის №21 საერთაშორისო სტანდარტების №15-ე პუნქტზე და მიიჩნევს, რომ სავალუტო ანგარიშებზე კურსთა შორის სხვაობა არის სამეურნეო ოპერაცია და იგი აღიარებული უნდა იქნეს შემოსავლის ან ხარჯის სახით.

მოპასუხემ - საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტმა სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ კურსებს შორის დადებითი სხვაობის შედეგად მიღებული შემოსავალი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად სწორად დაიბეგრა

მოგების გადასახადით. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70-ე ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების შესახებ“ დებულების №64-ე მუხლის შესაბამისად „კურსებს შორის უარყოფითი სხვაობა უცხოურ ვალუტაში ოპერაციების მიხედვით მიეკუთვნება საწარმოს ფინანსურ შედეგებს“, რაც მოასუსნის აზრით მიუთითებს იმაზე, რომ კურსებს შორის დადებითი სხვაობაც შესაბამისად განეკუთვნება ფინანსურ შედეგებს და იბეგრება საგადასახადო კანონმდებლობით.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „იმედი L international“-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1997 წლის 14 ივლისის №175-ე ბრძანების „საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმაში და მისი გამოყენების ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტარის შესახებ“ ანგარიში 80-ის „მოგება და ზარალის წინადადება“... კურსთა შორის დადებითი სხვაობა სავალუტო ანგარიშებზე, ასევე უზნოურ ვალუტაში ოპერაციებზე – ფულადი საშუალებების ანგარიშებთან ან შესაბამისი ანგარიშსწორებების ანგარიშებთან კორესპონდენციით“ ბათილად ცნობის ნაცვლად გამოცხადდა ძალადაკარგულად, ხოლო საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის 1999 წლის 15 აგვისტოს შემოწმების აქტი მოგების გადასახადის დაკისრების ნაწილში ცნობილ იქნა ბათილად. ამასთან, სასამართლომ გაიზიარა რა მოსარჩელის მოსაზრება, მიიჩნია, რომ „მოგება შეიძლება იყოს მხოლოდ პირის ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი, რომელიც გამოვლინდება საანგარიშო პერიოდში ყველა სამეურნეო ოპერაციის ბუღალტრული აღრიცხვით. პირის სადებოზიტო ანგარიშზე განთავსებული თანხების და სავალუტო ანგარიშზე უმოძრაოდ არსებული სავალუტო თანხების შეფასებით მიღებული საკურსო სხვაობა არ არის ამ პირის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავალი და შესაბამისად არ არის მოგება. შესაბამისად, კურსებს შორის დადებითი სხვაობის საწარმოს ფინანსურ შედეგზე მიკუთვნება ეწინააღმდეგება ნორმატიულ აქტს, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებას“.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრის საფუძველზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2000 წლის 24



აპრილის განჩინებით გასაჩივრებულ ნაწილში გააუქმა თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს დაებრუნა. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „უზნაობის საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტს საკასაციო საჩივარი არ შეუქვანია, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ციხე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრის ფარგლებში განიხილავს“.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის სხვა შემადგენლობამ 2000 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით მოლიანად უთხრა უარი – მოსარჩელეს შსს „იმედი ინტერნაციონალი-ს“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე, როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1997 წლის 14 ივლისის №175 ბრძანების ანგარიში 80-ის „მოკება და ზარილი“-ს სადავო წინადადების, ისე საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის 1999 წლის 15 აგვისტოს შემოწმების აქტის ბათილად ცნობის ნაწილში.

კასატორმა – შპს „იმედი ინტერნაციონალი“-მა საკასაციო საჩივართ მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა. ამასთან, კასატორმა მიუთითა, რომ თბილისის საოლქო ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგია გასცდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 24 აპრილის განჩინებას და იმსჯელა კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის შემოწმების აქტის ბათილობის ნაწილში.

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს და სხვა კატეგორიის საქმეთა საკასაციო ძალაში გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა, წარმოადგინა საკასაციო საჩივრის საფუძელაზნობა და მიაჩნდა, რომ თავდაპირველი საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ ვარემოებათა გამო:*

თბილისის საოლქო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ იმსჯელა კანონიერ ძალაში

შესული გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომელიც შეეხოდა საგადასახადო ორგანოს მიერ დარიცხული მოგების გადასახადის ბათილობას და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 62-ე 397-ე და 421 მუხლების მოთხოვნათა დარღვევით უკანონოდ ვააუქმა იგი.

საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ შპს „იმედი ინტერნაციონალ“-ის სარჩელი ორი მოპასუხის: ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს საგადასახადო დახელმწიფო დეპარტამენტისადმი იყო მიმართული. ამასთან, მოსარჩელე ორ სასარჩელიო მოთხოვნას; შპს „იმედი ინტერნაციონალ“-ზე დარიცხული მოგების გადასახადის ნაწილში საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის 1999 წლის 15 აგვისტოს შემოწმების აქტისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1997 წლის 14 ივლისის №175-ე ბრძანების ანგარიში 80-ის „მოგება და ზარალის“ წინადადების „კურსთა შორის დადებითი სხვაობა სავალუტო ანგარიშებზე, ასევე უცხოურ ვალუტაში ოპერაციებზე – ფულადი საშუალებების ანგარიშებთან ან შესაბამის ანგარიშსწორებების ანგარიშებთან კორესპონდენციით“ ბათილობას აყენებდა.

თავდაპირველი სარჩელი თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში მხოლოდ ერთი მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გასაჩივრდა. ხოლო მეორე მოპასუხეს – საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტს საკასაციო საჩივარი არ შეუტანია, რის გამოც საკასაციო პალატის აზრით, ამ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა და თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის სხვა შემადგენლობას საქმის სუბსტანტური განხილვისას მასზე აღარ უნდა ემსჯელა, მითუმეტეს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა ამის შესახებ 2000 წლის 24 აპრილის განჩინებაში მიუთითებდა.

რაც შეეხება კასატორს – შპს „იმედი ინტერნაციონალი“-ს თავდაპირველ მოთხოვნას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2000 წლის 14 ივლისის №175-ე ბრძანების ანგარიში 80-ის „მოგება და ზარალი“-ს საღვეო წინადადების ბათილად ცნობის თაობაზე, საკასაციო

პალატა თვლის, რომ თავდაპირველი საკასაციო საჩივარი ამ ხაზით ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

ძიწინააღმდეგე მხარის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლის განმარტებიდან და საქმის მასალებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ სადავო წინადადება ო.ი ნაწილისგან შედგება: პირველი - სამეურნეო წლის განმავლობაში მე-ჩ(ე ანგარიშზე „მოგება და ზარალი“ უნდა აისახოს „კურსთა შორის დადებითი სხვაობა სავალუტო ანგარიშებზე“, რაც ნიშნავს სავალუტო ანგარიშებზე უმოდრადო მყოფი სახსრების მათ შორის საწესდებო კაპიტალის კურსთა შორის დადებითი სხვაობის ასახვას მე-80 ანგარიშზე. მეორე - სამეურნეო წლის განმავლობაში მე-80 ანგარიშზე: „მოგება და ზარალი“ უნდა აისახოს „ასევე კურსთა შორის დადებითი სხვაობა უცხოურ ვალუტაში ოპერაციებზე“. რაც ნიშნავს უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე და კურსთა შორის დადებითი სხვაობის ასახვას მე-80 ანგარიშზე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო წინადადების პირველი ნაწილი წინააღმდეგობაშია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის №-1 დანართის მე-7 და მე-8 მუხლებთან, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70-ე განკარგულებით (და არა ბრძანებულებით) დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების- 61; 62-ე და 68-ე მუხლებთან და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან (ბასს 21), განსაკუთრებით 1-ლ, მე-3, მე-13 და მე-15 მუხლებთან. ყველა მათგანი ერთმნიშვნელოვნად მოითხოვს უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაში გადაანგარიშებას, კერძოდ, უცხოური ვალუტით წარმოებულ ოპერაციებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობების ასახვას შემოსავლების ან ხარჯების ანგარიშზე (მოგება ან ზარალი), მაგრამ არავითარ შემთხვევაში ეს წესი არ ეხება სავალუტო ანგარიშებზე უმოდრადო მყოფი სახსრების, მათ შორის უცვლელად არსებული საწესდებო კაპიტალის კურსთა შორის სხვაობის ასახვას შემოსავლების ან ხარჯების (მოგების ან ზარალის) ანგარიშზე.

ბასს 21 თანახმად უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული შედეგები ყოველთვის დაკავშირებულია ან უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებთან ან უცხოური ქვედანაყოფის ფინანსურ ანგარიშგებასთან. პრეზიდენტის განკარგულებაც ეხება მხოლოდ კურსებს შორის სხვაობას უცხოურ ვალუტაში ოპერაციებზე

და: არა კურსთა შორის სხვაობას საჯალუტო ანგარიშებზე უმოდროდ არსებულ სახსრებზე ყოველგვარი ოპერაციის გარეშე.

ამასთან, სადავო წინადადების მეორე ნაწილი, საკასაციო პალატის აზრით, სრულად შეესაბამება ზემოთ დასახელებული საერთაშორისო და საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

საკასაციო პალატა მხარეთა ყურადღებას მიაპყრობს ამ გარემოებას, რომ ბასს 21-ის 41-ე მუხლის თანახმად, უცხოურა ვალუტით წარმოებული ოპერაციებიდან მიღებულმა მოგებამ ან ზარალმა და საანგარიშგებო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წარმოშობილმა საკურსო სხვაობებმა შეიძლება გავლენა მოახდინონ საგადასახადო დაბეჯერის შედეგებზე, რასაც განსაზღვრავს ბასს 12 „შემოსავლებიდან გადასახადებამდე“ და იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას.

საკასაციო პალატამ მსჯედვლობაში მიიღო შპს „იმედი ინტერნაციონალ“-ის საბოლოო მოთხოვნა, რომლითაც კასატორმა ნაწილში უარი თქვა სადავო წინადადების მეორე ნაწილის ბათილობაზე და სადავო წინადადების პირველი ნაწილის – კურსთა შორის სხვაობა საჯალუტო ანგარიშებზე, ასევე“ ძალადაკარგულად ცნობა მოითხოვა და თვლის რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საქმეების კოდექსის 1-ლი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლებით საკასაციო პალატამ.

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1 კასატორ – შპს „იმედი ინტერნაციონალ“-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. დადგენილად იქნეს ცნობილი, რომ საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის 1999 წლის 15 აგვისტოს შემოწმების აქტის ბათილად ცნობის ნაწილში თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

შპს „იმედი ინტერნაციონალ“-ის თავდაპირველი სარჩელ-საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1997 წლის 14 ივლისის №175-ბრძანების ანგარიში 80-ის „მოგება და ზარალი“ სადავო წინადადები ბათილად ცნობის ნაწილში ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1997 წლის 14 ივლისის №175-ე ბრძანების „საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმაში და მისი გამოყენების ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ ანგარიში 80-ის „მოგება და ზარალის“ სადავო წინადადების პირველ ნაწილი „კურსთა შორის სხვაობა სავალუტო ანგარიშებზე, ასევე“ გამოუცხადდეს ძალადაკარგულად, ხოლო მეორე ნაწილი „კურსთა შორის სხვაობა უცხოურ ვალუტაში ოპერაციებზე“ დარჩეს უცვლელად და კანონით დადგენილი წესითა და ვადაში გამოქვეყნდეს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში.

5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალოს ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და კანონით დადგენილი წესითა და ვადაში გამოაქვეყნოს სავალუტო ანგარიშებზე კურსთა შორის სხვაობის საბალანსო ანგარიშებში ასახვის ახალი წესი საერთაშორისო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ გადაწყვეტილების შესაბამისად.

6. კასატორს - შპს „იმედი ინტერნაციონალ“-ის მიერ გადახდილი სასულმწიფო პაეი 30 ლარის ოდენობით კასატორის სასარგებლოდ დაეკისროს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებ-საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე

მოსამართლეები

PS- ავტორთა მოსაზრება-უზენაესი სასამართლოს პალატ-მოსარჩელის (კასატორი) მიმართ გარკვეულ დათმობებზე წავიდა და მიღებული გადაწყვეტილების მე-3 პუნქტით, დადგენილად ცნო: საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის 1999 წლის 15 აგვისტოს შეტოვნების აქტის ბათილად ცნობის ნაწილში. თბილისის საოლქ-სასამართლოს აღმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება და ი;

ჩათვალა კანონიერ ძალაში შესულად, რასაც ვერ დავეთანხმებით, ვინაიდან აღნიშნული ნაწილი გასაჩივრებული იყო და მხარის მოთხოვნიდან გამომდინარე საქმის არსებითი განხილვა ორი ინსტანციით მიმდინარეობდა და ის კანონიერ ძალაში ვერ შევიდოდა.

**დავა მოგების გადასახადით დაბეგურის თაობაზე**

საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია შპს „იმედი“-ის  
სარჩელი

საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის  
1999 წლის 15 აგვისტოს შემოწმების

აქტი სავალუტო-კურსთა შორის დადებითი სხვაობით მიღებული  
შემოსაულების, მოგების გადასახადით დაბეგურის ბათილად ცნობის  
თაობაზე.

ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ხელახალი განხილვა

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

საქმე №03\*/66-2000წ.

26 ივნისი 2000 წელი ქ. თბილისი

ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და შპს „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ წარმომადგენლობის: 1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, 2. საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის მონაწილეობით განიხილა რა ადმინისტრაციული საქმე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ სარჩელზე მოპასუხეების საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მიმართ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1997 წლის 14 ივლისის №175 ბრძანების „საწარმოთა საფინანსო სამეურნეო საქმიანობის საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშთა გეგმაში და მისი გამოყენების ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ ანგარიში 80 „მოგება და ზარალი“-ს წინადადებების „კურსებს

შორის დადებითი სხვაობა სავალუტო ანგარიშებზე, აგრეთვე უცხოურ ვალუტაში ოპერაციების მიხედვით ფულადი საშუალებების ანგარიშებთან ან შესაბამის ანგარიშსწორებას ანგარიშებთან კორესპონდენციით“ ნაწილში ბათილად ცნობის და საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის კომისიის 1999 წლის 15 აგვისტოს აქტში მოგების გადასახადის ძირითადი თანხის 8982 ლარის დარიცხვის ნაწილში ბათილად ცნობის თაობაზე.

### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

მოსარჩელე შპს „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ წარმომადგენელმა თავდაპირველად აღნიშნა, რომ საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის 1999 წლის 28 ივლისის №524 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული შემოწმების შედეგად მას დაეკისრა მოგების გადასახადის გადახდა ძირითადი თანხის 8982 ლარის, ჯარიმა (50%)-4491 ლარის, საურავი-2452 ლარის, სააენსო გადასახადი წინა წლის მოგების მიხედვით -5390 ლარის, საურავი სააენსო გადაუხდელობისათვის -485 ლარის ოდენობით, სულ 21773 ლარი აღნიშნული გადასახადის დარიცხვის საფუძველი გახდა ის გარემოება, რომ სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული თანხების (საწესდებო კაპიტალი) და სავალუტო ანგარიშზე უმოდროდ არსებული სავალუტო თანხების აყვასებით მიღებული კურსთაშორის დადებითი სხვაობა საგადასახადო ორგანოების მოსაზრებით ჩაითვალა, როგორც ერთობლივი შემოსავალი და დასაბეგრი მოგება. აღნიშნული დაბეგვრა მოსარჩელემ მიიჩნია უკანონოდ და საჩივრით მიმართა საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტს. საგადასახადო დეპარტამენტმა უარყო დარიცხვის უკანონობა და კურსთა შორის დადებითი სხვაობა მიაკუთვნა ფინანსურ შედეგებს, დაბეგვრა მიაჩნია კანონიერად თავისი მოსაზრების სამართლებრივ საფუძველზე სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტმა მიიჩნია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1997 წლის 14 ივლისის №175 ბრძანება, რომლითაც ცვლილებები და დამატებები შევიდა-საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრულ აღრიცხვის ანგარიშთა გეგმასა და მის გამოყენების ინსტრუქციაში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1992 წლის 21 დეკემბრის №3130 ბრძანებით, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება. მოსარჩელემ მოითხოვა

ათილად იქნას ცნობილი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1997 წლის 14 ივლისის №175 ბრძანება. „საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმაში და მისი ამოყენების ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ ანგარიში 80 „მოგება და ზარალი“-ს წინადადებების „კურსებს შორის დადებითი სხვაობა სავალუტო ანგარიშზე აგრეთვე უცხოურ ვალუტაში ოპერაციების მიხედვით ფულადი საშუალებების ანგარიშებთან ან შესაბამის ანგარიშსწორების ანგარიშებთან კორესპონდენციის აქტივში, როგორც დებულება რომელიც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, კერძოდ 1994 წლის 8 მარტის №136 საქართველოს ზინისტრთა კაბინეტის დადგენილების „უცხოურ ვალუტასთან საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ფულის კურსის ცვლილებით გამოწვეული კურსებს შორის სხვაობის ასახვის შესახებ“, საქართველოს კანონს „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 5 თებერვლის ბრძანებით დამტკიცებულ დებულებას „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების შესახებ.

მოსარჩელემ თავდაპირველად ბათილად ცნობა მოითხოვა საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის კომისიის 1999 წლის 15 აგვისტოს აქტისათ, რომლითაც მას დაერიცხა მოგების გადასახადის გადახდა. გადასახადის დარიცხვა მოსარჩელეს აზრით არ ამორღინარეობს საგადასახადო კანონმდებლობიდან და კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-3, მე-4, მე-7, მე-8, 37-ე და 45-ე მუხლებიდან. მოგების გადასახადის დარიცხვისას საგადასახადო ორჯანომ ნაცვლად საგადასახადო კანონმდებლობისა, ისარგებლა მხოლოდ საბუღალტრო კანონმდებლობით.

მოპასუხებმ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, სარჩელი არ სცნო შემდეგ გარემოებათა გამო:

ფინანსთა მინისტრის 1997 წლის 14 ივლისის №175 ბრძანება ძილებულია 1996 წლის 13 დეკემბრის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონის შესაბამის ამ კანონში მოცემული საწარმოს მოგებისა და ზარალის ანგარიშის სტრუქტურის ერთ-ერთი შემადგენელი მუხლია „გაუთვალისწინებელი შემოსავლები და ხარჯები“, რომელშიც „უნდა აისახოს ის შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული საწარმოს ჩვეულებრივ საქმიანობასთან“ მოპასუხეს ზიანია. რომ თავისი არსით სწორედ ამ კატეგორიის შემოსავლებს ანეკუთვნება სავალუტო ანგარიშზე კურსებს შორის დადებითი



სხვაობით წარმოშობილი საიხრებო. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 8 მარტის №136 დადგენილება „უცნობურ ვალუტასთან საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ფულის კურსის ცვლილებით გამოწვეული კურსებს შორის სხვაობის ასახვის შესახებ“, რომლის მიხედვითაც კურსებს შორის დადებითი სხვაობა აღსაწებოდა 83 ანგარიშზე, ეწინააღმდეგება „იქწარმოა შესახებ“, კანონის №1 დანართის მე-7 და მე-8 მუხლებს, ხოლო „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „თუ სახელმწიფო ორგანიზაციის თანამდებობის პირი ნორმატიული აქტის გამოყენებასთან დაკავშირებით დაადგენს, რომ სხვა და სხვა ნორმატიულ აქტების ნორმები ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, იგი ვალდებულია გამოიყენოს ის ნორმატიული აქტი, რომელსაც აქვს უპირატესი ძალა“.

მოპასუხის აზრით საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1997 წლის №175 ბრძანება არ ეწინააღმდეგება საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საქართველოში ბულალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 68-ე მუხლს, რადგან დებოზიტურ ან მიმდინარე ანგარიშზე უცხოური ვალუტის განთავსებით მიღებული კურსთაშორისი დადებითი სალო წარმოადგენს ბალანსის მუხლების შეფასებას, ხოლო ამავე მუხლის შესაბამისად „სამურნეო წლის მოგება-ზარალი წარმოადგენს საწარმოს საბოლოო ფინანსურ შედეგს, რომელიც გამოვლინდება საანგარიშო პერიოდში ყველა სამეურნეო ოპერაციის ბულალტრულ აღრიცხვაში ასახვის გზით და ბალანსის მუხლების შეფასებით“.

მოპასუხე მიიჩნევს, რომ სავალუტო ანგარიშზე კურსებს შორის დადებითი სხვაობა განეკუთვნება ერთობლივ შემოსავალს, რადგან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 37-ე მუხლის მიხედვით „რეზიდენტი გადასახადის გადამხდელის ერთობლივი შემოსავალი შედგება მის მიერ საქართველოსა და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავლისაგან“ ამავე კოდექსის 45-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საწარმოს დაბეგვრის ობიექტია მოგება, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსის მიხედვით გათვალისწინებულ გამოკეითვების თანხებს შორის, ხოლო მეექვსე თავით განსაზღვრული გამოკეითვები, ლარის დეველუაციის შედეგად ლარებში გადაყვანილი წილობრივი ვალის გაზრდიდან მიღებული თანხების გამოკეითვას არ ითვალისწინებს.

გარდა აღნიშნულისა, მოპასუხე თავისი პოზიციის საილუსტრაციოდ მოიშველიებს საბუღალტრო აღრიცხვის 321 საერთაშორისო სტანდარტების მე-15 პუნქტს, რომლის შესაბამისად უცხოურ ვალუტასთან ვალუტის კურსთა შორის სხვაობა არის სამეურნეო ოპერაცია და იგი აღიარებული უნდა იქნეს შემოსავლის ან ხარჯვის სახით.

მოპასუხე-საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დებრტამენტმა სარჩელი არ ცნო შემდეგი გარემოებათა გამო: „მეწარმეთა შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 13 დეკემბრის დადგენილების „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონთან შესაბამისობაში მოიყვანა საწარმოებში ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და 1997 წლის 14 ივლისს გამოსცა ბრძანება №175 „საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმაში და მისი გამოყენების ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აღნიშნული ბრძანებით კურსებს შორის დამატებითი სხვაობა განეკუთვნება სამეურნეო წლის საწარმოს საქმიანობის საბოლოო ფინანსურ შედეგებს, რაც აღირიცხება „მოგება და ზარალის“ №80 საბუღალტრო ანგარიშზე. აღნიშნულიდან გამომდინარე მოპასუხე მიიჩნევს, რომ კურსებს შორის დადებითი სხვაობის შედეგად მიღებული შემოსავალი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად სწორად დაიბეგრა მოგების გადასახადით საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 64-ე მუხლის შესაბამისად „კურსებს შორის უარყოფითი სხვაობა უცხოურ ვალუტაში ოპერაციების მიხედვით მიეკუთვნება საწარმოს ფინანსურ შედეგებს“, რაც მოპასუხის აზრით მიუთითებს იმაზე, რომ კურსებს შორის დადებითი სხვაობა შესაბამისად მიეკუთვნება ფინანსურ შედეგებს. მოპასუხეს მიაჩნია, რომ სადავო შემთხვევაზე არ შეიძლება გაერცხლდეს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის №136 დადგენილება, რომელიც თავისი შინაარსით ღრობით ხასიათისა იყო. მას არ შეიძლება ჰქონდეს უფრო გვიან მიღებულ „მეწარმეთა შესახებ“ კანონზე მეტი იურიდიული ძალა ნორმატიულ აქტებს შორის კოლიზიისას უპირატესობა ენიჭება იერარქიით უფრო მაღალი საფეხურის ნორმატიულ აქტს, ამიტომ

მოპასუხემ ჩათვლია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა არ არის ლოგიკური და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წ. 14 იანვრის გადაწყვეტილებით მოსარჩელე შპს „იშვილი ელ ინტერნეიშინალის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ ნორმატიულ-ადმინისტრაციული აქტი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1997 წ. 14 ივლისის №175 ბრძანების „საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა ბელალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმაში და მისი გამოყენების ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ ანგარიში 80-ის „მოგება და ზარალის“ წინადადებების.....კურსთა შორის დადებითი სხვაობა სავალუტო ანგარიშზე აგრეთვე უცხოურ ვალუტაში ოპერაციების მსხვედრით ფულადი საშუალებების ანგარიშებთან ან შესაბამის ანგარიშსწორების ანგარიშებთან კორესპონდენციით“ ნაწილში ბათილად ცნობის ნაცვლად გამოცხადდა ძალადაკარგულად.

საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის კომისიის 1999 წლის 15 აგვისტოს აქტი მოგების გადასახადის ძირითადი თანხის 8382 ლარის ღარიცხვის ნაწილში ცნობილი იქნა ბათილად მოსარიელეს უნდა დაბრუნებოდა სახელმწიფო ბაჟი 222 ლარი და 50 თეთრი.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2000 წლის 24 აპრილის განჩინებით ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრის საფუძველზე თბილისის საოლქო სასამართლოს კოლეგიის გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელასალი განხილვისათვის დაუბრუნდა საოლქო სასამართლოს.

უზენაეს სასამართლოს 2000 წლის 14 იანვრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის I პუნქტში მითითებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ, მაგრამ საკასაციო საჩივარი ფაქტიურად მთლიანადაა დაკმაყოფილებული. სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტში კი მითითებულია რომ გაუქმებული იქნა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილი, ეს მაშინ როცა ფინანსთა სამინისტრო, საკასაციო საჩივრით ითხოვდა გადაწყვეტილების არა ნაწილობრივ, არამედ მთლიანად გაუქმებას. სწორედ ამიტომ გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილი მოიცავს მთლიან გადაწყვეტილებას საქმის

ხელახალი განხილვისას მთავარ სხდომაზე მოსარჩელე „იშვლი ელის“ წარმომადგენელმა სამართლის ნორმაზე მითითების გარეშე იშუამდგომლა რომ სარჩელი განხილულიყო მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს მიმართ 1997 წლის 14 ივლისის №175 ბრძანების კანონიერებაზე. შუამდგომლობა მოტივირებულია იმით რომ საგადასახადო დეპარტამენტს საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი არ შეუტანია და ამიტომ უზენაესი სასამართლოს პალატის 2000 წ. 24 აპრილის განჩინებით თითქოს ძალაში იყოს დატოვებული თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წ. 14 იანვრის გადაწყვეტილება საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის კომისიის 1999 წ. 15 აგვისტოს აქტის ბათილად ცნობის შესახებ. ეს მაშინ როცა პალატის განჩინების სარეზოლუციო ნაწილში აღნიშნულის შესახებ მითითებული განჩინების მოტივაციის ნაწილში საკასაციო საჩივრის ნაკვალად ასახვა კპოვა მოპასუხე საგადასახადო დეპარტამენტის „შესაგებელმა“ სადაც მითითებულია იმის შესახებ, რომ დეპარტამენტი ეთანხმება. ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, რომ კანონიერია ფინანსთა სამინისტროს გასაჩივრებული ბრძანება და ამ ბრძანების საფუძველზე შედგენილი 1999 წ. 15 აგვისტოს აქტი.

საგადასახადო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მოსარჩლის შუამდგომლობას მხარი არ დაუჭირეს და განმარტეს რომ უზენაესმა სასამართლომ მთლიანად გააუქმა საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება (ს.ფ.161) ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა განმარტა რომ მათ საკასაციო სასამართლოში გადაწყვეტილების მთლიანად გაუქმება მოითხოვს, რაც დაკმაყოფილდა კიდევაც (ს.ფ.161).

მოსარჩლის წარმომადგენელმა მთავარ სხდომაზე ისიც განაცხადა, რომ თუ ფინანსთა მინისტრის № 175-ე ბრძანების ნაწილობრივ გაუქმებაზე მათი სარჩელი დაკმაყოფილდება, მაშინ შეიძლება თანხმობა განაცხადოს საგადასახადო დეპარტამენტის საქმეში მოპასუხედ მონაწილეობის შესახებ. (ს.ფ.162) შუამდგომლობაში მოსარჩლის წარმომადგენელმა მოსამართლის შეკითხვაზე უპასუხა, რომ უზენაესი სასამართლოს პალატის განჩინებიდან არ ჩანს თუ სასარჩელო მოთხოვნის რომელი ნაწილი დაკმაყოფილდა და რომელი არა. რაც „ლოგიკურად ნიშნავს, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმებულია მთლიანად“. (ს.ფ. 171 და მეორე გვ.) იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წ. 14 იანვრის გადაწყვეტილება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს

საკასაციო საჩივრის საფუძველზე გაუქმებულია მთლიანად, რომ ფინანსთა სამინისტროს თავისი დებულების მე - 4 მუხლის „თ“ პუნქტის შესაბამისად უფლება აქონდა სასარჩელო მოთხოვნის ორივე ნაწილში შეეტანა საკასაციო საჩივარი და მოთხოვნა გადაწყვეტილების მთლიანად გაუქმება, რომ უზენაესმა სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად გამოუგზავნა საოლქო სასამართლოს, როგორც ფინანსთა სამინისტროს ბრძანების ისე საგადასახადო დეპარტამენტის მიერ შედგენილი აქტის კანონიერების ნაწილშიც, ამასთან მოსარჩელეს საგადასახადო დეპარტამენტის სადაო აქტის გაუქმების ნაწილში სარჩელზე უარი არ უთქვია მისი შუამდგომლობა საგადასახადო დეპარტამენტის საქმეში მოპასუხედ მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ ფინანსთა სამინისტროს და საგადასახადო დეპარტამენტის წარმომადგენელთა აზრის გათვალისწინებით კოლეგიამ არ გაიზიარა.

საბოლოოდ მოსარჩელე „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ წარმომადგენლებმა მოითხოვეს სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო მოპასუხე ფინანსთა სამინისტროს და საგადასახადო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა კი მოითხოვეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და ფინანსთა მინისტრის 1997 წლის 14 ივლისის № 175 ბრძანებისა და საგადასახადო დეპარტამენტის 1999 წლის 15 აგვისტოს აქტის ძალაში დატოვება.

*კოლეგიამ მოუსმინა სამოტივაციო ნაწილში მხარეებს და შეფასება მისცა რა საქმეში არსებულ მტკიცებულებებს მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ფირმა „იმედი ელ ინტერნეიშენალი“- ს სარჩელს უარი უნდა ეთქვას შემდეგი გარემოებების გამო:*

როგორც საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2002 წ. 24 აპრილის განჩინებაშია აღნიშნული. საქმის ხელახალი განხილვის დროს კოლეგიას უნდა დაედგინა თუ როგორ ახდენდნენ საგადასახადო სამსახურები მოგების დარიცხვას ანალოგიურ შემთხვევებში, ფინანსთა სამინისტროს სადაო ნორმატიული აქტის მიღებამდე კერძოდ გადასახადების დაბეგვრასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირება სადაო ნორმატიული აქტით მოხდა მხოლოდ ამ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში თუ ამას სისტემატიური ხასიათი აქვს, სადაო ნორმატიული აქტიდან 80 ანგარიშის სადაო წინადადების ბათილად ცნობა ხომ არ გამოიწვევს არარეალური ბალანსის შედგენას და ბალანსის შედგენის ფუძემდებლური პრინციპების დარღვევას.

როგორც საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს ლეპარტამენტის 2000 წლის 19 ივნისის № 04-310/175 წერილიდან ირკვევა ფინანსთა სამინისტროს 1997 წ. 14 ივლისის №175 ბრძანების მიღებამდე საგადასახადო ორგანოები მოგების გადასახადის გამოანგარიშებას და დარიცხვას აწარმოებდნენ „საწარმოთა მოგების (შემოსავლის): გადასახადის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1993 წ. 21 დეკემბრის კანონის შესაბამისად, რომლის მიხედვით გადასახადით დაბეგერის ობიექტს წარმოადგენდა საბალანსო გეგმა, რომელიც შეადგენდა პროდუქციის (სამუშაოს, მომსახურების) ძირითადი ფონდების, საწარმოს სხვა ქონების რეალიზაციიდან მიღებული მოგებისა (ზარალის) და არასარეალიზაციო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების ჯამს, ამ ოპერაციებზე გაწეული ხარჯების გამოკლებით.

ბუღალტრულად, საწარმოს საბალანსო მოგების ანუ ფინანსური შედეგების ფორმირებისა და გამოყენების რეგულირების საფუძველს წარმოადგენდა და წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს 1992 წლის 21 დეკემბრის №130 ბრძანებით დამტკიცებული „საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა“, კერძოდ „მოგება ზარალის“ №80 ანგარიში, რომელშიც ასახულა კურსებს შორის, როგორც, დადებითი ასევე უარყოფითი სხვაობა სავალუტო ანგარიშებზე. აქედან დამომდინარე 1997 წლის 14 ივლისის (№175) ნორმალური აქტიდან №80 ანგარიშის სადავო წინადადების ბათილად ცნობა, ანუ საკურსო სხვაობების ერთ-ერთი ნაწილის არ ასახვის შემთხვევაში საქმე გვექნება არარეალურ ბალანსთან რითაც დაირღვევა ბალანსის შედგენის ისეთი ფუძემდებლური პრინციპები, როგორცაა: სისრულე, უტყუარობა, არსებითობა, საიმედოობა ამასთან აღსანიშნავია, რომ მოგების გადასახადის დაბეგერასთან დაკავშირებული საკითხების დარეგულირება (სადავო) ნორმატიულ აქტით არ მომხდარა მხოლოდ ამ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, თემატური ხასიათი. ეს საკითხი, არც ყოფილა ადრე დავის საგანი, რასაც ადასტურებს მსხვილ გადაზღველთა ინსპექციის 2000 წლის 14 ივნისის №11-2778 მუხლიც.(სფ157).

აღსანიშნავია რომ ზემოთ აღნიშნული ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა დღემდე ძალაშია. იგი ძალადაკარგულად ჩაითვლება „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების რეგულირების შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 5 თებერვლის კანონის შესაბამისად მხოლოდ 2001 წლის 1 იანვრიდან.

აქედან გამომდინარე ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული ბრძანება №175 არ წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო ნორმატიულ აქტს. აღნიშნული ბრძანებით, რომელიც გამოცემული იქნა საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 13 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე უფრო სრულყოფილი იქნა ბუღალტრული აღრიცხვა, მოგების გამოანგარიშების წესი და ის წინააღმდეგობაში არ მოდის ასე საგადასახადო კოდექსთან, და არც „მეწარმეთა შესახებ“ კანონთან.

საგადასახადო დეპარტამენტის წარმომადგენელმა მთავარ სხდომაზე განმარტა რომ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის (რომელიც დღეს არ ფუნქციონირებს) 1994 წ. №136 დადგენილება რასაც მოსარჩელე ეყრდნობა, დროებითი ხასიათისა იყო და გამოიყენებოდა ფულის ინფლაციასთან დაკავშირებით. ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა კი მიუთითა რომ მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის №136 დადგენილება იუსტიციის სამინისტროში რეგისტრაციაშიც კი არ არის გატარებული. გარდა ამისა საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ მე-13 მუხლის შაბამისად საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 13 დეკემბრის დადგენილება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, რომლის საფუძველზეც ფინანსთა სამინისტრომ 1997 წლის 14 ივლისის გამოსცა №175 ბრძანება და საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანება საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე იურიდიული ძალის მიხედვით იერარქიულად უფრო მაღლა მდგომი ნორმატიული აქტებია და უფრო ახალია იმავე კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობების განმარტებისათვის აუცილებელია გამოყენებული იქნეს საგადასახადო კოდექსის №45 მუხლი არამედ 37-ე მუხლი. საგადასახადო კოდექსის 45-ე მუხლის გამოყენებლობის სურვილს მოსარჩელე იმით ხსნის, რომ ეს მუხლი ერთობლივი შემოსავლის ცნებას განმარტავს უფრო ფართედ. ერთობლივი შემოსავლის უფრო ფართედ და სრულყოფილად განმარტებით კი ცხადი ხდება სასარჩელო მოთხოვნათა უსაფუძვლობა. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულია რომ ერთობლივ შემოსავალში ჩაითვლება ყველა შემოსავალი, (აქ უთუოდ იგულისხმება კურსთამორის დადებითი სხვაობაც) რომელიც გავლენას ახდენს გადასახადის გადამხდელის მოგებაზე, მათ შორის უსასყიდლოდ მიღებული ქონებისა და ფულადი სახსრების სახით. საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის „ბ“ პუნქტი ეკონომიკური

საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს მიაკუთვნებს სხვა შემოსავლებსაც, ხელფასის გარდა, რომლებიც ზრდიან გადასახადის გადამხდელის მოგებას. იმავე კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად კი საწარმოს დაბეგერის ობიექტია მოგება. იგი განისაზღვრება როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა (37-ე მუხ) და ამ კოდექსის მე-6-ე თავით გათვალისწინებული დაქვითვის თანხებს შორის.

საგადასახადო კოდექსის 37-ე მუხ. მე-3 პუნქტით ერთობლივ შემოსავალს განეკუთვნება-ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ყველა შემოსავალი, მათ შორის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომელიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან. მე-7 მუხლის შესაბამისად ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი მართლზომიერი საქმიანობა, რომელიც წარიმართება მოგების შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 2000 წლის 16 ივნისის №2778 წერილიდან ირკვევა, რომ სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული მოგება და ზარალი მიეკუთვნება საწარმოების საფინანსო შედეგებს, რომ არც ერთ გადამხდელს ამ საკითხზე პრეტენზია არ გამოუთქვამს(ს.ფ. 157)

არ არის სწორი მოსარჩლის მითითება იმის შესახებ რომ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წ. 6 თებერვლის № 70 ბრძანებულების „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების 64 - ე მუხლით საწარმოს ფინანსურ შედეგებს მიკუთვნებულის მხოლოდ კურსებს შორის უარყოფითი სხვაობა და არაფერია ნათქვამი დადებით სხვაობაზე, რომ მიუხედავად ამისა მოპასუხეებმა განაგრეს ამ მუხლის მოქმედება საკანონმდებლო აქტში ჰიდაპირ გაუთვალისწინებელ ურთიერთობაზე და კურსებს შორის დადებითი სხვაობა მიაკუთვნეს ფინანსურ შედეგებს, ეს მაშინ როცა პრეზიდენტის ბრძანებულების 64-ე მუხლში კურსებს შორის უარყოფითი სხვაობის ფინანსური შედეგებისადმი მიკუთვნებაზე აქცენტი იმას კი არ ნიშნავს რომ კურსებს შორის დადებითი სხვაობა არ მიეკუთვნებოდეს ფინანსურ შედეგებს, არამედ ეს გამოწვეულია მხოლოდ იმ მარტივი მიზეზით, რომ 64-ე მუხლი ბრძანებულების XII თავშია, სადაც ლაპარაკია ანგარიშსწორებებზე მოთხოვნებისა და ვალდებულებების მიხედვით და ბუნებრივია ამ თავში უნდა ასახულიყო ფინანსური შედეგებისადმი კურსებს შორის უარყოფითი სხვაობა. რაც შეეხება სამეურნეო წლის მოგებას, რაშიც კურსებს შორის დადებითი სხვაობაც იგულისხმება, იგი იმავე ბრძანებულე' სმ-ე მ. კ. ა.



შესაბამისად მიეკუთვნება საწარმოს საბოლოო ფინანსურ შედეგებს და ეს მუხლი იმავე ბრძანების XIII თავშია მოცემული მხოლოდ იმიტომ რომ ამ თავში შესული მუხლები ძირითადად აწესრიგებენ მოგებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს საქმეში არსებული მტკიცებულებათა ანალიზით მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელის მიერ უსწორი და გაგებული კერსთა შორის დადებითა და უარყოფითი სხვაობის, მოგების, ერთობლივი შემოსავლის, სამეურნეო ოპერაციის, სამეწარმეო და არასამეწარმეო და ეკონომიური საქმიანობის, გაუთვალისწინებელი შემოსავლების, სხვა შემოსავლების, დაბეგვრის ობიექტისა და საკურსო სხვაობის ცნებათა შინაარსი. იგი მოსარჩელე სარჩელის დაკმაყოფილების საურვილით ხელოვნურად – საამისო საფუძვლის გარეშე, მიიხსენებს, რომ თითქოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1997 წლის 14 ივლისის № 175 ბრძანებით მოწესრიგებულია მხოლოდ საწარმოთა საფინანსო – სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის წესები და არასაგადასახადო უროიერთობები. კონკრეტულ შემთხვევაში ფინანსთა სამინისტროს ბრძანებით გადაწყდა მხოლოდ კურსთა შორის დადებითი სხვაობის ბუღალტრულად აღრიცხვის წესი, ხოლო რაც შეეხება დაბეგვრასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს იგი მოწესრიგებულია საგადასახადო კოდექსით. შწორედ ამიტომაც რომ ფინანსთა სამინისტროს სადაო ბრძანება არ ეწინააღმდეგება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნებს, სადაც აღნიშნულია იმის შესახებ რომ აკრძალულია არასაგადასახადო კანონებით ისეთი საკითხების დარეგულირება, რომელიც დაკავშირებულია გადასახადებით დაბეგვრასთან, გარდა იმავე პუნქტში ჩამოთვლილი შემთხვევებისა გამოირკვა, ისიც რომ სახელმწიფო ბაჟი ხელოვნურადაა შემცირებული სარჩელის ფასი საგადასახადო დეპარტამენტის 1999 წ. 15 აგვისტოს აქტის ბათილად ცნობის ნაწილში შეადგენს 218000 ლარს და არა 21773-ს, რგორც ეს სარჩელშია. აქედან ძირითადი თანხაა 8982 ლარი, დანარჩენი კი დამატებით მოთხოვნებს განეკუთვნება. მოსარჩელემ სადაო აქტის ბათილად ცნობა მხოლოდ ძირითადი თანხის ნაწილში მოითხოვა ეს მაშინ როცა ძირითად ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებით დამატებითი-სადა თანხების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ისპობა სწორედ ამიტომ სახელმწიფო ბაჟი მთლიანი თანხიდან უნდა იქნეს გადახდილი და მოსარჩელეს დამატებით უნდა გადახდეს 322 50 ლარი სახელმწიფო ზეუკეტის სასარგებლოდ.

კოლეგიამ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-6, მე-12 მუხლებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 38-ე, 39-ე 243-ე, 247-ე, 248-ე, 249-ე და 257-ე მუხლებით

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1) უარი ეთქვას შპს „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ სარჩელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საგადასახადო დეპარტამენტის მიმართ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 1997 წ. 14 ივლისის №175 ბრძანების „საწარმოთა საფინანსო სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმაში და მისი გამოყენების ინსტრუქციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ 2-4 მუხლში „ანგარიში 80“ „მოგება და ზარალის“ წინადადების „კურსებს შორის დადებითი სხვაობა სავალუტო ანგარიშებზე, აგრეთვე უცხოურ ვალუტაში ოპერაციების მიხედვით ფულადი საშუალებების ანგარიშებთან ან შესაბამის ანგარიშსწორების ანგარიშებთან კორესპონდენციით“ და საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის კომისიის 1999 წ. 15 აგვისტოს აქტის მოგების გადასახადის ძირითადი თანხის 382 ლარის დარიცხვის ნაწილში ბათილად ცნობის შესახებ უსაფუძვლობის გამო.

2) აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ბაჟი 222 ლარი და 50 თეთრი მოსარჩელე „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ გადახდილი აქვს.

3) მოსარჩელე „იმედი ელ ინტერნეიშენალს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დაეკისროს 322,50 ლარის გადახდა.

4) გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში მდებარე ქ. თბილისი ძმები ზუბალაშვილების ქ. №32-ში. თბილისის, საოლქო სასამართლოს მეშვეობით სასამართლო აქტით გასაჩივრების შესაძლებლობის განპარტების მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

სხდომის თავმჯდომარე

წევრები

დროისათვის

მოქმედი საკანონმდებლო აქტებიდან გამოძინარე, არსებითად განიხილა სარჩელი. გაითვალისწინა ის გარემოებაც, რომ თუ კი კურსთა შორის სხვაობით მიღებული ზარალი აისახება საწარმოს საფინანსო შედეგებში, მაშინ შესაბამისად სავალუტო კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგებაც უნდა აისახებოდეს საწარმოს საფინანსო შედეგებში და შესაბამისად იბეგრებოდეს. მიღებული გადაწყვეტილება სამართლიანად მიგვანინია. მაგრამ მიუხედავად ამისა შპს „იმედი-ელ“-მა გადაწყვეტილება კასაციის წესით მაინც გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე №3გ/აღ-133-კ.

### თავი III

## დავები საგადასახადო ორგანოს ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე

საქართველოში საგადასახადო კოდექსის მიღებამ, რომელიც ძალაში შევიდა 1997 წლის 23 ივლისიდან, გარკვეულწილად დაარკველირა საგადასახადო სისტემაში შემავალი გადასახადების აკრეფისა და გადახდასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები, გადასახადის გადამხდელებსა და საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირების არამართლზომიერი ქმედებათა (კოდექსის 243-ე, 256-ე მუხლი გასაჩივრების წესით). თუმცა კოდექსის ზოგიერთი მუხლების არასრულყოფილობამ (მუხლი 238-ე-გადასახადის გადახდის ვადა და 265-ე საგადასახადო ორგანოთა უფლებები) გამოიწვია მისი სხვადასხვა ინტერპრეტაცია, ასევე საკანონმდებლო ნორმატიული აქტების კოლიზიაც, რაც, ხშირ შემთხვევაში საკითხს სადავოდ ხდიდა. აღნიშნულს, ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი გადამხდელი, საგადასახადო ინსპექციის თანამშრომელის ხელშეწყობით და ზოგიერთი სასამართლო ორგანოების „ახლებურად მოაზროვნე“ პირების დახმარებით წარმატებასაც აღწევდნენ და შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოლიდურ თანხებს ითვისებდნენ. თუმცა ასეთი ერთი, თუ ორი საქმე

იყო, უმეტეს შემთხვევაში სასამართლო ორგანოებში კანონის სრული დაცვით იზილაქდნენ დაეებს და სამართლიან გადაწყვეტილებებს ღებულობდნენ. მათ შორის უნდა აღინიშნოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა, ქობილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატა და ქუთაისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა სააპელაციო პალატა.

საგადასახადო ორგანოს ქმედებით მიყენებული ზიანის  
ანაზღაურება  
მასალები სასამართლო პრაქტიკიდან

საგადასახადო სახელმწიფო სამსახურის საზედამხდელო საჩივარი,  
შ.ს „იბერია-იმპექსი“-ს სარჩელზე 1997 წლის 15 აგვისტოს მიღებულ  
გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
პრეზიდიუმის  
დადგენილება  
აქონაწერი**

№46/47 5 ივნისი 1998 წ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმმა მისი  
თავმჯდომარის  
პრეზიდიუმის წევრები:  
მდივანი:

განიხილა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის  
მოადგილის საზედამხდელო პროტესტი საქმეზე, შპს კომპანია  
„იბერია-იმპექსის“ სარჩელის გამო, მოპასუხე საქართველოს  
სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის ქობილისის ჩულურეთის  
რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მიმართ -843 950  
ლარის გადახდეინების შესახებ პრეზიდიუმმა

გ ა მ ო ა რ კ ე ი ა :

საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა: ქობილისის ჩუღურეთის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას შპს კომპანია „იბერია-იმპექსის“ სასარგებლოდ დაეკისრა ზარალისა და მიუღებელი მოგების თანხის - 843-950 ლარის გადახდა.

საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს ზედამხედველობის კოლეგიამ 1997 წლის 5 ნოემბრის განჩინებით გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.

პროტესტი მოითხოვს მოცემულ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებების გაუქმებას და საქმის გადაცემას ხელახლა განსახილველად.

საქმის მასალების განხილვის შედეგად პრეზიდიუმმა ცნო, რომ პროტესტი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ქობილისის ჩუღურეთის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის 1996 წლის 17 სექტემბრის დავალების საფუძველზე შემოწმდა შპს კომპანია „იბერია-იმპექსის“ ბიუჯეტთან ანგარიშსწორების სისწორე. კერძოდ: შპს კომპანია „იბერია-იმპექსის“ სამეურნეო საქმიანობა 1995 წლის 1 ივნისიდან 1997 წლის 1 იანვრამდე, 1997 წლის 17 თებერვალს შედგა კომპანია „იბერია-იმპექსის“ შემოწმების აქტი, რომლის მიხედვით კომპანიას ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა 44 572 ლარი და 6 თეთრი; აქედან კუთვნილი გადასახალი - 37066 ლარი და 34 თეთრი; სანქცია-საურავი 7 505 ლარი და 72 თეთრი.

1997 წლის 21 თებერვალს ქობილისის ჩუღურეთის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციამ შპს კომპანია „იბერია-იმპექსის“ ანგარიშზე წარადგინა №10 და №11 საინკასო დავალებები (განკარგულებები), პირველი - 4966 ლარისა და 82 თეთრზე, ხოლო მეორე - 39 605 ლარზე. ორივე საინკასო დავალებაში მითითებული იყო, რომ თანხები დარიცხული იყო შემოწმების აქტის მიხედვით.

ამრიგად, 1997 წლის 17 თებერვლის შემოწმების აქტის საფუძველზე, მოპასუხებ საინკასო დავალებები წარადგინა აქტის შედგენიდან მეოთხე დღეს, „საგადასახადო სისტემის საფუძველების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მეოთხე პუნქტით გათვალისწინებული 10-დღიანი ვადის დარღვევით.

შპს კომპანია „იბერია-იმპექსისა“ და ფირმა „არჩილ გოგიჩაძეს“ შორის 1997 წლის 1 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მოსარჩელე კონსიგნაციის წესით ყიდულობდა 1050 000 აშშ დოლარის ღირებულების 5000 ტონა ღიზელის საწვავს.

ხელშეკრულების თანახმად, საწვავის მიწოდება უნდა მომხდარიყო ეტაპობრივად. პირველი ეტაპი მოიცავდა 15-25 თებერვალს და საწვავის რაოდენობა განისაზღვრა 2500 ტონით. ამ ხელშეკრულების 4.5 პუნქტის საფუძველზე გამოიღველს ფირმა „არჩილ გოგინაძეს“ უფლება აქვინდა, ხელშეკრულების მოქმედება შეეჩერებინა ნებისმიერ ეტაპზე და მოეთხოვა ჯარიმა—15%-ის ოდენობით, თუ მყიდველის /შპს კომპანია „იბერია-იმპექსის“/ ანგარისსწორების ანგარიშზე საწვავის მიწოდების მომენტისათვის წარდგენილი იქნებოდა საგადასახადო ორგანოების საგადასახადო მოთხოვნა, ან თუ მყიდველის ანგარიშზე მოხვედრილი თანხა სასამართლო ორგანოების მიერ, იძულების წესით, ჩამოწერას დაექვემდებარებოდა.

საქმეზე წარმოდგენილია ინდივიდუალური საწარმო „არჩილ გოგინაძის“ 1997 წლის 14 მაისის №5 წერილი შპს კომპანია „იბერია-იმპექსის“ მიმართ, სადაც იგი მოსარჩელე ორგანიზაციისათვის, ხელშეკრულების 4.5 პუნქტის დარღვევისათვის, მოითხოვს ჯარიმის—სახელშეკრულებო თანხის 15%-ის დაკისრებას, რაც შეადგენს 157 000 აშშ დოლარს.

„საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულია, რომ გადასახადის თანხა დამალული ან შემცირებული დასაბეგრი ობიექტის მიხედვით და ჯარიმები საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის გადამხდლებმა ბიუჯეტში უნდა შეიტანოს 10 დღის ვადაში, სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების მიერ აქტის შედგენის დღიდან. ამდენად, ქობილისის ჩულურეთის რაიონის საგადასახადო ინსპექცია არ იყო უფლებამოსილი, რომ მოსარჩელე ორგანიზაციისათვის 1997 წლის 17 თებერვლის აქტის შედგენიდან ათ დღეზე ადრე წარედგინა საინკასო დავალება ბიუჯეტში გადასარიცხ დავალიანებათა იძულებითი წესით გადახდევინების თაობაზე.

ქობილისის ჩულურეთის რაიონის საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორმა შემოწმების აქტის შედგენიდან საინკასო დავალიანებების 10-დღიან ვადაზე ადრე წარდგენით ჩაიღინეს არამართლზომიერი ქმედება. აქტის შედგენიდან მეოთხე დღეს საინკასო დავალებების წარდგენით შპს კომპანია „იბერია-იმპექსის“ წაერთვა შესაძლებლობა, ბიუჯეტში ნებაყოფლობით გადაერიცხა შემოწმების აქტით დადგენილი თანხა. ამით შპს კომპანია „იბერია-იმპექსის“ მოესპო შესაძლებლობა, რომ რეალურად შეესრულებინა 1997 წლის 1 თებერვალს ფირმა „არჩილ გოგინაძესთან“ დადებული ხელშეკრულება დიზელის საწვავის ყიდვა-გაყიდვის შესახებ.

ამ სელმცარულების შეუსრულებლობამ მოსარჩელე ორგანიზაციას მიაყენა მატერიალური ზარალი, რაც სწორად აქვს გამოანგარიშებული უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოს.

„საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის თანახმად, საგადასახადო სამსახურებისა /ინსპექციების/ და მათი თანამდებობის პირთა მიერ არამართლზომიერი ქმედებით გადასახადის გადამხდელი საოვის მიყენებული ზარალი /მათ შორის ხელიდან გაშვებული სარგებელი ანაზღაურება დადგენილი წესით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის /1994 წლის რედაქციით/ 458-ე მუხლის შესაბამისად, ორგანიზაცია მოვალეა, აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიყენებულია მისი მუშაკის ბრალით, როცა ეს მუშაკი თავისი შრომით /სამსახურებრივ/ მოვალეობას ასრულებდა.

პრეზიდენთა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 342-ე და

და ა ა დ გ ი ნ ა :

არ დაკმაყოფილდეს მოცემულ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტი.

უზენაესი სასამართლოს  
თავმჯდომარე:

საქართველოს უზენაესი სასამართლო

13.05.99წ. №ნგ-258-98 საქართველოს საგადასახადო  
ინსპექციის უფროსს

თქვენი საჩივრის საფუძველზე ზედამხედველობის წესით შევამოწმეთ საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილების, იმავე სასამართლოს ზედამხედველობის კოლეგიის 1997 წლის 5 ნოემბრის დადგენილებისა და საქართველო-

უჩინაოი სასამართლოს პრეზიდიუმის 1998 წლის 5 ივნისის დადგენილების კანონიერება საქმეზე კომპანია „იბერია-იმპექსის“ სარჩელის გამო სახელმწიფო საგადასახადო სამსახურისა და ჩუღურეთის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მიმართ - 843 950 ლარის დაკისრების შესახებ.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ კომპანია „იბერია-იმპექსის“ 1997 წლის 17 თებერვლის შემოწმების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ თბილისის საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული განყოფილების ინსპექტორები, ჩუღურეთის რაიონის საგადასახადო ინსპექციის ინსპექტორები და შპს კომპანია „იბერია-იმპექსის“ დირექტორი, ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა 44 572 ლარის ვალაზდა.

საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კანონმდებლობის დარღვევისათვის გადამხდლებმა ჯარიმის თანხა ბიუჯეტში უნდა შეიტანონ საგადასახადო ორგანოების მიერ აქტის შედგენის დღიდან 10 დღის ვადაში.

ჩუღურეთის რაიონის საგადასახადო ინსპექციამ საინკასო დაეალებით მოსარჩელის გასაელის ნაწილში ანგარიშის ბლოკირება ნაცვლად 1997 წლის 27 თებერვლისა, მოახდინა აქტის შედგენიდან საში დღის შემდეგ, 1997 წლის 21 თებერვალს.

საარბიტრაჟო სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ ამით კომპანია „იბერია-იმპექსის“ მოესპო შესაძლებლობა, რეალურად შეესრულებინა ჟირმა „არჩილ გოგინაძესთან“ 1997 წლის 1 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულება—ღიზელის საწვავის ყიდვა-გაყიდვის შესახებ, რამდენადაც ამ ხელშეკრულების 4.5 პუნქტის შესაბამისად, განყიდველს უფლება აქეს, ხელშეკრულების მოქმედება შეაჩეროს, თუ მყიდველის ანგარისსწორების ანგარიშზე მიწოდების მომენტისათვის წარდგენილია საგადასახადო ორგანოების საგადასახადო მოთხოვნა, ან თანხა სასამართლო ორგანოების მიერ იძულების წესით ექვემდებარება ჩამოწერას. რამდენადაც მოსარჩელის ანგარიში ბლოკირებული იყო, ჟირმას ღიზელის საწვავი არ მიუწოდებია და წარუდგინა პრეტენზია ჯარიმის გადახდის შესახებ, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 15%-ის ოდენობით (170 ათასი დოლარი ეროვნულ ვალუტაში).

საარბიტრაჟო სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ მოპასუხე—ჩუღურეთის რაიონის საგადასახადო ინსპექციამ მოსარჩელის მიმართ ჩაიდინა არამართლზომიერი მოქმედება, რითაც მოსარჩელემ განიცადა



მატერიალური ზარალი, ამიტომ დააკმაყოფილა სარჩელი და მოპასუხეს დააკისრა ზარალისა და მიუღებელი მოგების თანხის გადახდა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო დადგენილებები სწორია და მათი გაპროტესტების კანონიერი საფუძველი არ არსებობს.

უზენაესი სასამართლოს  
თავმჯდომარე

PS ავტორთა მოსაზრება—საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ გაამახვილა ყურადღება 1997 წლის 1 თებერვალს შპს „იბერია იმპექსი“-სა და ინდემწარმეს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაზე, რომელიც შედგენილი იყო ინსპექციის მიერ საინკასო დავალების წარდგენის შემდეგ, გარკვეული განზრახვით, თვალთმაქცურად, რომლის 4,5 პუნქტი შემდგენიარადა ჩამოყალიბებული: „გამყიდველს უფლება აქვს შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება ნებისმიერ ეტაპზე და მოითხოვოს ჯარიმა 15%-ის ოდენობით, თუ მიწოდების მომენტიდან მყიდველის ანგარიშსწორების ანგარიშზე წარდგენილია საგადასახადო ორგანოს საგადასახადო მოთხოვნა, ან მყიდველის ანგარიშს და ქონებას ადევს ყადაღა“. აღნიშნული პუნქტი ცალსახად მიგვანიშნებს, რომ ხელშეკრულება ყალბია და ის შექმნილია სახელმწიფო თანხების მითვისების მიზნით. სასამართლომ არც ის გაითვალისწინა, რომ საგადასახადო ინსპექციის მიერ წარდგენილი საგადასახადო დავალებით ანგარიშიდან თანხები არ ჩამოწერილა, ვინაიდან ანგარიშზე თანხები არ გააჩნდა. სასამართლომ მიკერძოებით მიიღო გადაწყვეტილება, რაც ბიუჯეტიდან თანხების მიღების საფუძველი გახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლო

13.05.99წ. №6გ-258-98

ვაკის სასამართლოს  
ასლი: საქართველოს საგადასახადო  
ინსპექციას

ჩვენი განკარგულება საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილებისა და კოლეგიის 1997 წლის 5 ნოემბრის განჩინების აღსრულების შეჩერების შესახებ, საქმეზე შპს კომპანია „იბერია-იმპექსის“ სარჩელის გამო საქართველოს საგადასახადო სამსახურის მიმართ 843950 ლარის გადახდევინების შესახებ, ჩათვალეთ გაუქმებულად.

უზენაესი სასამართლოს  
თავმჯდომარის მოადგილე

საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო

სააღსრულებო ფურცელი

15.08.97წ. №14/50

უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997წ. 15 აგვისტო  
გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად

გადახდეს ქ.თბილისის ჩულურეთის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კომპანია „იბერია-იმპექსის“ სასარგებლოდ ზარალისა და მიღებული მოგების თანხა 843 950 ) რეაას ორმოცდასამი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარი.

სააღსრულებო ფურცელი საკრედიტო დაწესებულებაში (სასამართლო აღმასრულებელთან) წარსადგენად ძალაშია კანონით დადგენილ ვადაში.

15.08.98წ. -მდე

სასამართლოს წევრი

შპს „იბერია იმპექსი“-ს სარჩელი პირველი ინსტანციით განხილული იქნა იმ დროისათვის მოქმედ საქართველოს უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოში, რომელიც შექმნილი იყო საბჭოთა წყობილების დროს და იხილავდა სამეურნეო დავებს.

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

### ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ს ე ლ ი მ ი

#### ა მ ო ნ ა წ ე რ ი

15. აგვისტო 1997 წ. საქმე №14/50  
ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესმა საარბიტრაჟო სასამართლომ შემდეგი შემადგენლობით:

სასამართლოს წევრი  
მოსარჩელისგან:  
მოპასუხისგან:

ღია სასამართლო სამსჯავრო სხდომაზე საარბიტრაჟო სასამართლომ შენობაში განიხილა შპს „კომპანია იბერია-იმპექსი“ –სარჩელი

1. ქ.თბილისის ჩულურეთის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია

2. საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახური  
843 950 ლარის გადახდევინების შესახებ

გამოარკვია:

მოსარჩელე ორგანიზაცია—შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კომპანია იბერია-იმპექსი“ მოითხოვს მოპასუხისათვის—ქ.თბილისის ჩულურეთის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციისათვის სასარჩელო თანხის იძულებით გადახდევინებას. სასარჩელო თანხაში შედის მოპასუხის უკანონო ქმედებით მოსარჩელის მიერ განცდილი ზარალი და მიუღებელი (სავარაუდო) მოგება.

საგადასახადო ორგანოების პირების პასუხისმგებლობის საკითხი დგება მხოლოდ საგადასახადო ინსპექციის მიერ კლიენტისათვის თანხის ჩამოწერის შემთხვევაში, თუ ასეთი ჩამოწერა უკანონო იყო და

კლიენტმა ამ ჩამოწერით ზარალი განიცადა. ვინაიდან სადაო კონკრეტულ შექთხევეაში მოსარჩელისგან თანხა არ ჩამოწერილა, პასუხისმგებლობა არ შეიძლება დადგეს.

გარდა აღნიშნულისა, მოპასუხე მიიჩნევს, რომ აქტს არავითარი მნიშვნელობა არ აქონდა; მოსარჩელეს მანამდეც აქონდა დავალიანება ბიუჯეტის მიმართ და ინკასოს მოსარჩელისათვის წაყენება აქტის შედგენამდეც შეიძლებოდა; შესაბამისდ სელშეკრულების ჩაშლა ინკასოს 21 თებერვალს წაყენებას არ შეიძლებოდა გამოეწვია.

მოპასუხე ორგანიზაციამ საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს წინაშე სასამართლო სსდომაზე დააყენა შუამდგომლობა ინდივიდუალური საწარმოსა და შპს „იბერია-იმპექსი“-ს მიერ დადებული ხელშეკრულების მართებულობის გადამოწმების შესახებ, რაც საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული, რადგან მოსარჩელესა და ინდივიდუალურ საწარმო „არჩილ გიგინაძეს“ შორის დადებული გარიგების თითოეული ფურცელი დამოწმებულია მხარეთა ხელმოწერითა და ბეჭდებით; აქედან გამომდინარე მოსარჩელე თვითნებურად ვერ შეძლებდა ხელშეკრულების ნაწილის შეცვლას.

საქმეში არსებული მასალების შესწავლითა და ანალიზით, აგრეთვე სასამართლო სსდომაზე მხარეთა წარმომადგენლების ზეპირი განცხადებების საფუძველზე საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს წევრმა გამოვარკვეე შემდეგი:

ქობილისის ჩულურეთის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის 1996 წლის 17 სექტემბრის №07-596 დაეალების საფუძველზე მოხდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კომპანია „იბერია იმპექსის“ ბიუჯეტთან ანგარიშსწორების სისწორის შემოწმება.

შემოწმების აქტის შესაბამისად, რომელიც შეეხო კომპანია „იბერია-იმპექსის“ სამეურნეო საქმიანობას 1995 წლის ივნისიდან 1997 წლის I იანვრამდე პერიოდს, მოსარჩელე ორგანიზაციას ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა 44572 ლარი და 06 თეთრი, მათ შორის კუთვნილი გადასახადი 37066 ლარი და 34 თეთრი, სანქცია-საურავი 7505 ლარი და 72 თეთრი.

1997 წლის 21 თებერვალს მოპასუხემ-ჩულურეთის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციამ -შპს კომპანია „იბერია - იმპექსის“ ანგარიშზე განათავსა №10 და №11 საინკასო დავალებები (განკარგულებები), ერთი 4966 ლარი და 82 თეთრზე, ხოლო მეორე

39605 ლარზე. ორივე განკარგულებაში მითითებული იყო, რომ თანხები დარიცხული იყო შემოწმების აქტის მიხედვით.

ზემოაღნიშნული გარემოებები მიუთითებს მასზე, რომ 1997 წლის 17 თებერვლის შემოწმების აქტის საფუძველზე მოპასუხებ კანონით გათვალისწინებული 10 დღის ვადის დარღვევით აქტის შედგენიდან სამი დღის შემდეგ მოახდინა საინკასო დავალებით მოსარჩელის ანგარიშის ბლოკირება მისი გასაელის ნაწილში.

1997 წლის 1 თებერვალს ინდემწარმესა და შპს „იბერია-იმპექს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად მოსარჩელე კონსიგნაციის წესით ყიდულობდა 5000 ტონა დიზელის საწვავს 1050000 ამერიკული დოლარის ღირებულების. საქონლის მიწოდების 1 ეტაპი გრძელდებოდა 15-25 თებერვალს და რაოდენობა განისაზღვრებოდა 2500 ტონით.

მითითებული ხელშეკრულების 4.5 პუნქტის შესაბამისად „გამყიდველს“ უფლება აქვს შეაჩეროს ხელშეკრულების მოქმედება ნებისმიერ ეტაპზე და მოითხოვოს ჯარიმა 15 პროცენტის ოდენობით თუ მყიდველის ანგარიხსწორების ანგარიშზე მიწოდების მომენტისათვის წარმოდგენილია საგადასახადო ორგანოების საგადასახადო მოთხოვნა ან სასამართლო ორგანოების მიერ იძულების წესით ექვემდებარება მყიდველის ანგარიშზე მოხედრილი თანხა ჩამოწერას და მყიდველის ანგარიშს და ქონებას ადევს ყაღაღა.“

მოსარჩელე ორგანიზაციამ წარმოადგინა ინდივიდუალური საწარმო „არჩილ გოგინაძის“ 1997 წლის 14 მაისის №5 წერილი შპს კომპანია „იბერია-იმპექსის“ მიმართ, სადაც იგი მოითხოვს ხელშეკრულების 4.5 პუნქტის დარღვევისათვის მოსარჩელე ორგანიზაციისაგან ჯარიმას სახელშეკრულებო თანხის 15%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 157.0 ათასი ამერიკული დოლარის შესატყვის თანხას ეროვნულ ვალუტაში, ლარებში.

მოსარჩელე ორგანიზაციის ხელმძღვანელმა საარბიტრაჟო სასამართლო სხდომაზე გააკეთა განცხადება, რომ იგი ცნობს საარბიტრაჟო წერილში მითითებულ თანხას, არ აპირებს აღნიშნულ საკითხზე დაეის სასამართლოში გაგრძელებას და ანგარიშზე თანხის გაჩენისთანავე მოახდენს ინდივიდუალური საწარმო „არჩილ გოგინაძისათვის“ ხელშეკრულების დარღვევის გამო ჯარიმის გადახდას.

საქართველოს უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოში წარმოდგენილი იქნა საქართველოს სახელმწიფო პოლდინგური კომპანია „საქნავთობპროდუქტის“ მიერ 1997 წლის 17 ივნისს გაცემული

№02/697 წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ 1997 წლის 20 თებერვლიდან 15 მარტამდე დიზელის საწვავზე კომპანიის სარეალიზაციო საბითუმო ფასი ცალკეული პარტიების მიხედვით დადგენილი იყო 320 ლარი და 400 ლარი ერთ საწვავზე“.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით მოსარჩელე ორგანიზაციამ მოითხოვა მოპასუხისაგან —ქთბილისის ჩუღურეთის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციისაგან ხელშეკრულების დარღვევის გამო განცდილი ზარალისა და მოსალოდნელი მიუღებელი მოგების გადახდევინება.

საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს წინაშე გადასაწყვეტი იყო საკითხი იყო თუ არა მოპასუხე ორგანიზაციის ბრალი მოსარჩელის მიერ განცილდ ზარალში ან მიუღებელ მოგებაში.

თანხმად „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 22-ე მუხლის I პუნქტისა „საგადასახადო სამსახურის მიერ არასწორად გადახდევინებული გადასახადების თანხები და სხვა სავალდებულო გადასახდელები ექვემდებარება დაბრუნებას, ხოლო საგადასახადო სამსახურების და მათი თანამდებობის პირების მიერ არამართლზომიერი ქმედებით გადასახადის გადამხდელისათვის მიყენებული ზარალი (მათ შორის ხელიდან გაშვებული სარგებელი) ანაზღაურდება დადგენილი წესით“.

საქართველოს რესპუბლიკის კანონის „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის შესახებ“ მე-17 მუხლი ადგენს: „სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციების მიერ არასწორად გადახდევინებული გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახადების თანხები ექვემდებარება დაბრუნებას, ხოლო სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციების და მათი თანამდებობის პირთა მიერ არამართლზომიერი ქმედებით გადამხდელთათვის მიყენებული ზარალი (მათ შორის ხელიდან გაშვებული სარგებელი) ანაზღაურდება დადგენილი წესით.“

ეყრდნობა რა ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ბაზას, უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხის—ჩუღურეთის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის (ინსპექციის თანამდებობის პირების) მიერ ადგილი ქონდა არამართლზომიერ ქმედებას, რასაც შედეგად მოჰყვა მოსარჩელე ორგანიზაციის—შპს კომპანია „იბერია-იმპექსის“ მიერ როგორც გარკვეული ზარალი, რც მდგომარეობს შპს „იბერია-იმპექსსა“ და ინდივიდუალურ საწარმო „არჩილ გოგიჩაძეს“ შორის ხელშეკრულების მოშლასა და ამ

უკანასკნელისათვის სახელშეკრულებო თანხის 15%-ის ჯარიმის სახით გადახდებინებაში, ასევე მიუღებელ მოგებაში, რასაც კომპანია მიიღებდა ღიზელის საწვავის რეალიზაციისას.

საარბიტრაჟო სასამართლომ ვერ გაიზიარა მოპასუხე ორგანიზაციის მოსაზრება მასზედ, რომ მოსარჩელეს საინკასო დავალების (განკარგულების) წარდგენისას ანგარიშზე თანხა არ გააჩნდა და იგი ვერ მიიღებდა ზარალს, რადგან წარმოდგენილი ხელშეკრულება არ აუაღდებულებდა მოსარჩელეს მოეხდინა წინასწარი გადახდა; მოსარჩელე ორგანიზაციას მიღებული პროდუქციის ღირებულება უნდა გადაეხადა კონსიგნაციით იმ წესითა და რიგით, როგორც ხელშეკრულებაში იყენებენ მხარეები შეთანხმებულნი.

რაც შეეხება სახელმწიფო ბაჟის საკითხს, გამომდინარე იქედან, რომ მოპასუხე ორგანიზაცია მოქმედი კანონმდებლობით გათავისუფლებულია სახ.ბაჟის გადახდისგან, ხოლო მოსარჩელის მიერ სახ.ბაჟის წინასწარი გადახდა არ მომხდარა, მოსარჩელეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ბაჟი არ დაუბრუნდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელე ორგანიზაციის მიერ სარჩელში წამოყენებული მოთხოვნა საფუძვლიანია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს. რაც შეეხება მოპასუხე ორგანიზაციის თანამდებობის პირთა მხრიდან არამართლზომიერ ქმედებას გადამხდელის მიმართ, უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების ასლი რეაგირებისათვის გადაეგზავნება საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურს.

ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს კანონით „საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ მე-18 მუხლით, აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 197-ე მუხლით საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს წევრმა

## გ ა დ ა ვ წ ყ ე ი ტ ე

1. სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.

2. გადახდეს ქობილისის ჩულურეთის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კომპანია „იბერია-იმპექსის“ სასარგებლოდ ზარალისა და მიუღებელი მოგების თანხა 843 950 (რვაას ორმოცდასამი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარი.

3. გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანისთანავე და მისი გასაჩივრება ზედამხედველობის წესით დაიშვება გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთი თვის ვადაში.

სასამართლოს წევრი:

PS ავტორთა მოსაზრება—სასამართლომ არსებითად არ შეისწავლა

საქმე. ნორმატიულ აქტებს არასწორი განმარტება მისცა. არ გაითვალისწინა საგადასახადო კოდექსის 235 და 238 მუხლების მოთხოვნები. ეუიქრობო, რომ მიღებული გადაწყვეტილება მართებულად გაასაჩივრდა. გავეცნოთ უზენაეს სასამართლოს 1998 წლის 5 ივნისის დადგენილებას და მითითებებს.

დავა საგადასახადო ორგანოთა ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე

ს.ს. „სათბობტრეიდის“ საკასაციო საჩივარი მანვე ნიეთიერებებით გარემოს გაჭუჭყიანებისათვის გადასახადის გადახდისა და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
ადმინისტრაციული და სსსპ კატეგორიის  
საქმეთა პალატის

გ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

საქმე №3გ/ად-12კ ფორმა №  
9 ნოემბერი 1999წ. ქ.თბილისი



საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე  
მოსამართლეები:

1999 წლის 28 სექტემბერს წარმოებაში მიიღო სს „სათბობტრეიდის“ საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 1999 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე, რომლითაც სს „სათბობტრეიდის“ უარი ეთქვა 47 801 ათასი აშშ დოლარის ექვივალენტური თანხის დაბრუნებაზე ლარებში.

საკასაციო საჩივრის სათანადოდ მომზადების შემდეგ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის შესაბამისად, პალატის მიერ საქმე ზეპირი განხილვის გარეშე მოსასმენად დაინიშნა 1999 წლის 9 ნოემბერს.

სს „სათბობტრეიდის“ დირექტორმა ამავე დღეს, 11 საათზე, წარმოადგინა წერილობითი განცხადება და უარი თქვა საკასაციო საჩივარზე. ამასთან, მოითხოვა მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის უკან დაბრუნება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის გ) ქვეპუნქტის, 372-ე და 399-ე მუხლების შესაბამისად უნდა შეწყდეს სს „სათბობტრეიდის“ საქმის წარმოება და ამავე კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად სს „სათბობტრეიდის“ დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნახევარი 2169,33 ლარი.

ამდენად, ისელებდევანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლით, პალატამ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. შეწყდეს სს „სათბობტრეიდის“ საქმის წარმოება.
2. სს „სათბობტრეიდის“ დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის ნახევარი, 2 169,33 ლარი.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება

თავმჯდომე

მოსამართლეები:

**PS** ავტორთა მოსაზრება—კასატორის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი

შესაბამისი მტკიცებულებები საოლქო სასამართლოს პალატის გადაწყვეტილების არაკანონიერების თაობაზე, რაც უზენაეს სასამართლოსთვის საფუძველი გახდა საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ.

დავა საგადასახადო ორგანოთა ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე

თბილისის საოლქო სასამართლოს ს.ს „სათბობტრეიდის“ სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით ქ.თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1999 წლის 9 მარტის გადაწყვეტილების თაობაზე

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

საქმე №03ბ/7 ფორმა №

**სამართველოს სასემლით**

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

13 აგვისტო 1999 წ. ქ.თბილისი

ქ.თბილისის საოლქო სასამართლომ

ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა პალატამ თავმჯდომარე

მოსამართლეები:

მდივანი

განიხილა ს.ს „სათბობტრეიდის“ სააპელაციო საჩივარი ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1999 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებაზე ს.ს „სათბობტრეიდის“ სარჩელისა გამო, მოპასუხე თბილისის საბურთალოს რაიონის საგადასახადო სამსახურის მიმართ,

მესამე პირის საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის მონაწილეობით.

სასამართლომ გ ა მ ო ა რ კ ე ი ა :

1998 წლის 30 სექტემბერს სს „სათბობტრეიდი“ ქობილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოში აღძრა სარჩელი საბურთალოს რაიონის საგადასახადო ინსპექციასა და მესამე პირის საქართველოს საგადასახადო სამსახურის წინააღმდეგ შემდეგ გარემოებათა გამო: 1996 წლის განმავლობაში სს „სათბობტრეიდი“ იხდიდა გადასახადის გარემოს მანვე ნივთიერებებით დაბინძურებისათვის, რომელიც საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 ოქტომბრის №1010 დადგენილებით იყო დაწესებული. ამავე დადგენილებით განსაზღვრული იყო გადასახადის გადახდებიანების წესი. „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 21 დეკემბრის დადგენილების შესწორე პუნქტის შესაბამისად ეს წესი შენარჩუნებული იქნა შესაბამისი კანონის ძილებაშდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა მოქალაქე ოთარ ზოიძის სარჩელი და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის აღნიშნული დადგენილება არაკონსტიტუციურად ცნო. რის შედეგად ს.ს „სათბობტრეიდი“ გაუჩნდა პრეტენზია საბურთალოს რაიონის საგადასახადო ინსპექციის მიმართ 1996 წლის განმავლობაში არაკონსტიტუციურად ცნობილი დადგენილების საფუძველზე გადახდილი გადასახადის თანხის უკან დაბრუნების თაობაზე.

მოსარჩელის აზრით, კონსტიტუციის ამოქმედებასთან ერთად ამოქმედდა საქართველოს კონსტიტუციის 106-ე მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად „კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ მოქმედებს ის სამართლებრივი აქტი ან აქტის ნაწილი, რომელიც კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება“. გამომდინარე აქედან 1996 წელს, ანუ იმ პერიოდში, როდესაც ს.ს „სათბობტრეიდი“ გარემოზე ზემოქმედებისათვის დაწესებულ გადასახადს იხდიდა, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებას დაკარგული ჰქონდა ძალა და მის შესაბამისად გადასახადის გადახდა ხდებოდა კანონიერი საფუძვლის გარეშე და შესაბამისად ამ პერიოდში გადახდილი გადასახადის თანხა ექვემდებარება უკან დაბრუნებას. სარჩელის შეტანამდე ს.ს „სათბობტრეიდი“ ამ მოთხოვნით მიმართა საბურთალოს რაიონის საგადასახადო ინსპექციას, რაზედაც მიიღო უარი. საგადასახადო ინსპექციამ უარის საფუძველად მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მდივნის წერილზე, რომლითაც საქართველოს

საგადასახადო სამსახურის უფროსს წერს, რომ სადაო ნორმატიული აქტი არაკონსტიტუციურად ცნობილია 1997 წლის 20 თებერვალს. ამივე დღეს გამოქვეყნდა ეს გადაწყვეტილება. სადაო აქტიც ძალადაკარგულად ითვლება ამ დღიდან და 1997 წლის თებერვლამდე გადახდილი გადასახადის თანხები უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისაგან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით ზედმეტად გადასდევინებული თანხის 60200 ლარის დაბრუნებას და ზარალის ანაზღაურებას.

ქ.თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს 1999 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 106-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების მიხედვით კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მიღებული აქტები შეიძლება მოქმედებდნენ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან 2 წლის განმავლობაში.

აპელანტი ს.ს. „სათობტრიედი“ სააპელაციო საჩივარში მოითხოვს საბურთალოს რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილების, როგორც უკანონოს გაუქმებას და მისი სარჩელის დაკმაყოფილებას შემდეგ გარემოებათა გამო:

კონსტიტუციის 106-ე მუხლის მე-2-3 პუნქტი არ ნიშნავს იმას, რომ კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში კონსტიტუცია უშეებდა იმ ნორმატიული აქტების მოქმედებას, რომელიც კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. თუკი დაეუშვებო კონსტიტუციის ამგვარ ინტერპრეტაციას, მაშინ ირღვევა კონსტიტუციის ნ.1. მუხლი: „საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას“. თუ კი ორი წლის განმავლობაში დაშვებული იყო არაკონსტიტუციური აქტების მოქმედება, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ კონსტიტუცია მისი დიდი ნაწილი ძალაში არ შესულა. 106-ე მუხლის მე-2 პუნქტს რომ დაედგინა კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მიღებული აქტების მოქმედება ორი წლის განმავლობაში, საკონსტიტუციო სასამართლო ვერ გააუქმებდა ვერც ერთ არაკონსტიტუციურ ნორმატიულ აქტს კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში. აპელანტს მიიჩნია, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით დადგინდა მთავრობის №1010 დადგენილების არაკონსტიტუციურობა, დადგენილებამ ძალა დაკარგა კონსტიტუციის ძალაში შესვლის დღიდან და ამიტომ გადახდილი

გადასახადის თანხა ექვემდებარება უპირობოდ უკან დაბრუნებას. აპელანტის აზრით, არაკონსტიტუციური აქტის საფუძველზე გადარიცხულ თანხა უნდა დაბრუნდეს მაშინაც, თუ ჩაყოველთაა რიმ აქტმა ძალა დაკარგა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღიდან, კინაიდან თუკი საკონსტიტუციო სასამართლოა მიერ სადაო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა მიმართული იქნა. მხოლოდ მომავლისაკენ და ამას შედეგად არ მოსყვებოდა არაკონსტიტუციური ნორმის მოქმედების პერაოდში დარღვეული უფლების აღდგენა. მაშინ აზრს დაკარგავდა კონსტიტუციური სარჩელის წარდგენა.

მოპასუხემ, საბურთალოს რაიონის საგადასახადო ინსპექციის და მესამე პირმა საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტმა სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოდ მიიჩნიეს. მათ თავიანთი პიზიცი დაასაბუთეს, საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლით: „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან“. მოპასუხეებს არგუმენტად მოჰყავთ აგრეთვე, საკონსტიტუციო სასამართლოს ძღინის ზემოთაღნიშნული წერილი.

*სასამართლომ მოისმინა რა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეისწავლა საქმის მასალები და მტკიცებულებები მივიღა იმ დასკვნაზე, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:*

აპელანტი თავის მოთხოვნას საფუძვლად უდებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებას. ამ დადგენილებით 1. საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 ოქტომბრის №1010 დადგენილება ცნობილი იქნა არაკონსტიტუციურად. 2. ეს დადგენილება ძალადაკარგულად გამოცხადდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას გამოქვეყნების მომენტიდან.

აპელანტი ხელმძღვანელობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ერთი ნაწილით, ხოლო მეორე ნაწილს. არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის ძალის დაკარგვის მომენტიც სადაოდ ხდის.

საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება“, ამიტომ

არ შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ნორმატიული აქტის ძალის დაკარგვის თარიღი შეცვლილი ან დადგენილი იქნეს რომელიმე პირის ან თუნდაც საერთო სასამართლოს მიერ საქართველოს კონსტიტუციის მისეული განმარტების მიბრუნებით.

საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის ორგანო, ვინაიდან საკონსტიტუციო სამართალწარმოება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილი საფუძვლებით და საკითხის გადაწყვეტა ხდება კონსტიტუციის შესაბამისად, სასამართლო თვლის, რომ საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 ოქტომბრის დადგენილების არაკონსტიტუციურობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებდა საქართველოს კონსტიტუციის 106.1 მუხლით და მინც აქტი ძალადაკარგულად ჩაითვალა გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

სასამართლოს მიაჩნია, რადგან საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს კონსტიტუციის ამოქმედებამდე მიღებული აქტების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას, იგულისხმება ისიც, რომ ამგვარი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადებისას გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლი და მის მიერ დადგენილი წესები. იმის აღიარება, რომ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მიღებული აქტი შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში. ნიშნავს იმის აღიარებას, რომ ეს აქტი შეიძლება ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი არა კონსტიტუციურად ძალაში შესვლის დღიდან, არამედ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

სასამართლო ვერ გაიზიარებს აპელანტის მოსაზრებას, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის სფუძველზე გადახდილი გადასახადი ექვემდებარებ უპირობო უკან დაბრუნებას და ამ საკითხზე ორი აზრი შეიძლება არსებობდეს. „საკონსტიტუციო სამართლის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით „კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობა არ ნიშნავს ამ აქტის საფუძველზე ადრე გამოტანილი სასამართლოს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების კაუქმებას, იწვევს მხოლოდ მათი აღსრულების შეჩერებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით“. —ეს ნორმა აბათილებს აპელანტის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ არაკონსტიტუციური აქტის საფუძველზე გადახდილი თანხები დ მიყენებული ზიანი უპირობოდ უნდა

იქნეს დაბრუნებული და ანაზღაურებული. თუ აპელანტის ლოგიკას მივყავით, გარემოს მკვლე ნივთიერებებით დაბინძურების გადასახადის გადახდილი თანხა, თუნდაც ის სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველზე იყოს დაკისრებული, უნდა დაუბრუნდეს გადასახადს: ვადამხდელს, რაც ამკარა წინააღმდეგობაშია „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტთან. როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო „სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ სამკურნეო ღირებულების განხილვის წესი“, ამ აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შედეგად არ გაუქმებულა სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი აქტის მოქმედების პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებები და მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე გადახდილი თანხები დაბრუნებით აღრინდელ მესაკუთრებს.

საკონსტიტუციო სამართლწარმოების შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს მისი სამართლებრივი საფუძვლები და სასამართლოს აზრით, თითოეული ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის სამართლებრივი შედეგი შეიძლება იყო აბსოლუტურად განსხვავებული სხვა აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის სამართლებრივი შედეგებისაგან. ეს დამოკიდებულია კონკრეტული საქმის სპეციფიკაზე, თუ რას მოითხოვს მოსარჩელე სასამართლოსაგან, რა საკითხს ეხება ნორმატიული აქტი, ვინ არის მოსარჩელე და სხვა.

ნორმატიული აქტის არაკონსტიტუციურად გამოცხადების სამართლებრივ შედეგებზე ვერ ვიმსჯელებთ მხოლოდ ცეკავშირის სარჩელთან დაკავშირებით 1999 წლის 23 თებერვლის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, როგორც ამას აპელანტი მოითხოვს. აღნიშნულ საქმეზე თვით მოსარჩელემ მოითხოვა საკონსტიტუციო სასამართლოსაგან დაებრუნებინა მისთვის საკოლმეურნეო ბაზრები. სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა. არაკონსტიტუციურად ცნო აქტი, დაუბრუნა საკოლმეურნეო ბაზრები მოსარჩელეს, თუმცა, ამავე დროს დაუშვა გარკვეული გამოჩაკლისები. რაც ამკარად ეწინააღმდეგება დარღვეული უფლების აღდგენაზე აპელანტის მოსაზრებებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების სამართლებრივ შედეგად საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს

გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტიდან სღაო ნორმატიული აქტი  
სადადაკარგულად გამოცხადდა, რაც ნიშნავს იმას, რომ გადასახადის  
ვადახდევინება შეწყდა 1997 წლის 20 თებერვლიდან. ამ  
გადაწყვეტილებით სხვა სამართლებრივი შედეგი არ დგინდება და მას  
ვერც საერთო სასამართლო დაადგენს.

იმას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნული  
გადაწყვეტილების გამოტანისას სწორედ ამგვარ სამართლებრივ შედეგს  
კულისხმობდა, ამას ადასტურებს საკონსტიტუციო სასამართლოს  
პრეზიუმის 1997 წლის 25 აპრილის №329/22 წერილიც.

სასამართლო ითვალისწინებს, რომ არაკონსტიტუციურად ცნობილი  
საქართველოს მთავრობის №1010 დადგენილებით განსაზღვრული წესები  
საქართველოს პარლამენტის მიერ „საგადასახადო სისტემის  
საფუძვლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე“  
1993 წლის 21 დეკემბერს მიღებული დადგენილებით შენარჩუნებული  
იქნა შესაბამისი კანონის მიღებადღე, რითაც საქართველოს პარლამენტმა  
ფაქტიურდ ცნო საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული  
დადგენილების მართლზომიერება. სასამართლო ითვალისწინებს იმასაც,  
რომ მანვე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის გადასახადი  
დღესაც დადგენილია და დღესაც ხდება მისი გადახდევინება  
საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

სასამართლომ იხელმძღვანელა რა სამოქალაქო საპროცესო  
კოდექსის 86-ე, 390-ე, 27-ე, 243-ე მუხლებით

## დ ა ა დ გ ი ნ ა :

### 1. ს.ს „სათბობტრეიდი“-ს სააპელაციო საჩივარი არ

დაკმაყოფილდეს და უცვლელად იქნეს დატოვებული ქთბილისის  
საბურთალოს რაიონის 1999 წლის 9 მარტის გადაწყვეტილება №2-212  
საქმეზე.

2. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით  
საქართველოს უზენაეს სასამართლოში. თბილისის საოლქო  
სასამართლოს მეშვეობით, განჩინების მხარეთათვის გადაცემის  
მოქმეტიდან ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარე



წევრები:

PS - ავტორთა მოსაზრება—სასამართლო პალატამ საჩივარი არსებითად განიხილა და მიიღო კანონიერი გადაწყვეტილება, რომლითაც აპელანტს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, მიუხედავად სამოტივაციო ნაწილში ჩამოყალიბებული მტკიცებულებებისა. მოსარჩელე არ დაეთანხმა და მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა კასაციის წესით უზენაეს სასამართლოში. გავეცნოთ უზენაესი სასამართლოს 1999 წლის 9 ნოემბრის განჩინებას.

ს.ს. "სათობტრიედის" დაუასთან დაკავშირებით საქართველოს საგადასახადო სამსახურმა მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტებისთვის, იხილეთ განმარტება.

## საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

### გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

5.04.97წ. №329/02 საქართველოს საგადასახადო  
სამსახურის უფროსს

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება №1/3-21-ის თანახმად სადავო ნორმატიულმა აქტებმა—საქართველოს მთავრობის 1992 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება №1010 „მაკენე ნივთიერებებით გარემოს გაჭუჭყიანებისათვის გადასახადის დაწესებისა და გადახდის წესის შესახებ“ და ამავე დადგენილებით დამტკიცებული ღრობითი ღებულება „მაკენე ნივთიერებებით გარემოს გაჭუჭყიანებისათვის გადასახადის დაწესებისა და გადახდის წესის შესახებ“ ძალა დაკარგა ა/წლის 20 თებერვლიდან.

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ თქვენ სამსახურს (ისევე როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს) მიმართავენ ცალკეული მოქალაქეები, რომლებიც მოითხოვენ აღნიშნულ ვადაზე (20.02.97წ.) ამოღებული ეკოლოგიური გადასახადის დაბრუნებას.

გაცნობებთ, რომ შვენე ნივთიერებებით გარემოს გაჭუჭყიანებისათვის გადასახადის ამოღება, გარდა მოძრავი წყაროებიდან ატმოსფეროში მანენ ნივთიერებათა გაფრქვევისათვის მოხმარებული საწვავის თითოეულ ლიტრაზე გადასახადისა, უნდა შეჩერებულიყო მიმდინარე წლის 20 თებერვლიდან, ამ დრომდე ამოღებული აღნიშნული სახის გადასახადი კი დაბრუნებას არ ექვემდებარება.

საქართველოს საკონსტიტუციო  
სასამართლოს მდივანი

ს.ს. "სათბობტრეიდი"-ს სარჩელის განხილვა პირველი ინსტანციით.  
საქმე №2-212-99 ფორმა №1

**ქ.თბილისის საბურთალოს რაიონის  
სასამართლო**

**გადაწყვეტილება**

**საქართველოს სახელით**

**9 მარტი 1999წ.**

თავმჯდომარე  
და მსაჯულები

მოსარჩელე ს.ს. „სათბობტრეიდი“ სარჩელისა გამო, მოპასუხე საბურთალოს რაიონის საგადასახადო სამსახური, შესამე პირი საქართველოს საგადასახადო სამსახურის მიმართ უკანონოდ გადახდევინებული გადასახადის თანხის დაბრუნებისა და ზარალის ანაზღაურების შესახებ.

მოსარჩელე ს.ს. „სათბობტრეიდი“ ქთბილისი ითხოვს მოპასუხე საბურთალოს რაიონის საგადასახადო სამსახურს დაეკისროს 60200 ლარის ანაზღაურებას, იმ ინფლაციით, რაც განიცადა ლარმა შესაბამის პერიოდში. აგრეთვე სასამართლო ხარჯების და სასამართლო გარეშე ხარჯების ანაზღაურებას.

მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნას მხარს უჭერს.

მოქალაქეები საბურთალოს რაიონის საგადასახადო სამსახური და მესამე საქართველოს საგადასახადო სამსახური სარჩელს მხარს არ უჭერს.

სასამართლო თელის, რომ სასარჩელო მოთხოვნა უკანონოა და ის არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო, მოსარჩელე მოითხოვს, მოქალაქემ დააბრუნოს უკანონოდ გადახდილი გადასახადის თანხა 60200 ლარი და ასევე მოითხოვს ზარალის ანაზღაურებას, რაც შედგება შესაბამისი პერიოდის ინფლაციის, ასევე სასამართლოში თავიანთი ინტერესების დაცვის ხარჯების და სასამართლოს ხარჯების მთლიან ანაზღაურებას.

სააქციო საზოგადოება „სათობტრეიდი“ სასარჩელო განცხადებაში აღნიშნავს, რომ აწარმოებს ნეთობპროდუქტებით ვაჭრობას და 1996 წლის განმავლობაში საბურთალოს რაიონის ადგილობრივ ბიუჯეტში, გარემოს დაბინძურებისათვის 1992 წლის 22 ოქტომბერს №1010 დადგენილებით დაწესებული ნორმატივის მიხედვით გადაიხადოს 60200 ლარი და აღნიშნული თანხა ექვემდებარება უკან დაბრუნებას, რადგანაც საკონსტიტუციო სასამართლომ 1997 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილებით 1992 წლის 22 ოქტომბერს №1010 დადგენილება არა კონსტიტუციურად ცნო.

მოსარჩელე თავის სარჩელით არ ეთანხმება აღნიშნული დადგენილების არა კონსტიტუციურად ცნობის შესახებ, საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოკვეყნების დღიდან და მიაჩნია მას, რომ აღნიშნული დადგენილება ძალადაკარგულად ითვლება ე.ი. 1992 წლის 22 ოქტომბრიდან.

მოსარჩელის ასეთი მოთხოვნა სასამართლოს მიერ არ უნდა გაზიარებულ იყოს, რადგანაც საქართველოს „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტში აღნიშნულია რომ ამ კანონის მე-19 მუხლს ა.ე. პუნქტები და მე-20 მუხლით გათვალისწინებული საკითხებზე სარჩელის დაკმაყოფილება იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოკვეყნების მომენტიდან, ხოლო მე-19 მუხლის ა. პუნქტი ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციასთან საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის და აჭარის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხს, ხოლო 31 პუნქტი

საქართველოს კონსტიტუციის მიერ საკითხებთან მიმართებით მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციის საკითხს, რაც შეეხება მოსარჩელის მიერ მინიშნებულ 23 მუხლის ბ. პუნქტს ის აღნიშნულ სარჩელთან არავითარ კავშირში არ არის, რადგანაც ბ. პუნქტი ითვალისწინებს დაეას სახელმწიფო ორგანოებს შორის, გარდა ამისა მოსარჩელე აღნიშნავს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 1997 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების უკანონობა გამოიხატება იმაში, რომ ეს გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოდის თვით კონსტიტუციის 106-ე მუხლის 1-ლ პუნქტთან და მეორეც კონსტიტუციის ამოქმედების დღიდან, მოქმედების ძალას კარგავს 1995 წლის 24 აგვისტოდან.

აღნიშნულის გათვალისწინებით კონსტიტუციის მე-2 და მე-3 პუნქტები გვიდასტურებს, რომ ადრე მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციის ამოქმედების დღიდან 2 წლის განმავლობაში ე.ი. ამ აქტებს არა კონსტიტუციურად ცნობამდე ან რეგისტრაციაში გატარებამდე აქვთ კანონის ძალა. გარდა ამისა ნორმატიული აქტების შესახებ 1995 წლის 29 ოქტომბრის საქართველოს კანონის 57-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 1997 წლის 25 ნოემბრამდე უზრუნველყოფენ ამ კანონის ძალაში შესვლამდე მიღებული ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციისა და კანონებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამდენად, ეს მუხლი განმარტავს, რომ ადრე მიღებულ ნორმატიულ აქტებს ძალა აქვთ 1997 წლის 25 ნოემბრამდე ან ამ აქტის არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

ზემოდ აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ 197-ე მუხლით

დ ა ა დ გ ი ნ ა

სააქციო საზოგადოება „სათობტრეიდის“ სარჩელს მოპასუხე საბურთალოს რაიონის საგადასახადო სამსახურთან მესამე პირი საქართველოს საგადასახადო სამსახურთან უკანონოდ გადახდევინებული გადასახადის თანხის დაკისრებისა და ზარალის ანაზღაურების შესახებ ეთქვას უარი.

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა საკასაციო კოლეგიაში 14 დღის ვადაში საბურთალოს სასამართლოს მეშვეობით.

სხდომის თავმჯდომარე

მსაჯულები:

PS - - - ავტორთა მოსაზრება-სასამართლოს მიერ მიღებული იქნა აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება, მაგრამ მოსარჩელის მიერ, მაინც იქნა აპელაციის წესით გასაჩივრებული.  
გავეცნოთ ქობილისის საოლქო სასამართლოს 1999 წლის 13 აგვისტოს განჩინებას.

## თავი IV

### ღავა უკრაინი ქონების გადაცემის გადასახადით ღაბეპვრის თაიბაზე

სს „გაზის საერთაშორისო კორპორაცია“, რომელიც შეიქმნა 1997 წლის 26/06. დარეგისტრირებულია სასამართლოში და პრეზიდენტის ბრძანებულებით გადაეცა „საქტრანსგაზპრეწეს“ ქონება 1997 წლის 1 აპრილის მდგომარეობით 18 997 880 ლარის 30 წლიანი მართვით და განკარგვით. მიუხედავად იმისა, რომ ქონებას ფაქტიურად მართავდა სს „გაზის საერთაშორისო კორპორაცია“, გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით "აქტი" ქონების მიღება-ჩაბარებაზე გაფორმდა 15.01.99 წელს.

საქართველოს საგადასახადო შემოსევლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ სარჩელზე მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
ადმინისტრაციულ და სსსპ კატეგორიის  
საქმეთა პალატის

ბ ა ნ რ ი ნ ე ბ ა

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

საქმე №33აღ-99-ბ 28 საქტპმპერი. 2000 წელი  
ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
ადმინისტრაციულ და სსსპ კატეგორიის საქმეთა  
პალატამ უმედები შემადგენლობით:

**თავმჯდომარე**

**მოსამართლეები:**

**მდივანი**

კასატორის – საქართველოს საგადასახადო შემოსავლების  
სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის  
წარმომადგენლების

მოწინააღმდეგი მხარის – სს “საქართველოს გაზის  
საერთაშორისო კორპორაციის“  
ინტერესების დამცველის, იურიდიული  
კომპანია “ბიზნესერვისის“ გენერალური  
დირექტორის მონაწილეობით

განიხილა საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს  
საგადასახადო დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი თბილისის საოლქო  
სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო  
საქმეთა კოლეგიის 08.05.2000წ. გადაწყვეტილებაზე, რომლითაც  
სრულად დაკმაყოფილდა სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო  
კორპორაციის“ სასარჩელო განცხადების მოთხოვნა და ბათილად იქნა

ცნობილი საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის (ამჟამად საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის) 29.XII.99წ. №04-2-6/43/1086 წერილი (განკარგულება), მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 14.03.99წ. №555 საინკასო დავალება.

## სასამართლომ გ ა მ ო ა რ კ ე ი ა

საქართველოს პრეზიდენტის 12.08.96წ. №519 ბრძანებულებით, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, არსებული მაგისტრალური გაზსადენების აღდგენისა და ახლით შეცვლის, სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარების, გაზის ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის მიზნით, შეიქმნა საქართველოს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების საერთაშორისო კორპორაცია, რომლის ფორმა, სტრუქტურა, სტატუსი, მონაწილეები და ა.შ. სპეციალური ბრძანებულებით უნდა განსაზღვრულიყო. საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნების ტერიტორიებიდან გაზის ტრანზიტით ორგანიზებულად ტრანსპორტირების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის 20.04.97წ. №206 ბრძანებულებით ჩამოყალიბდა საქართველოს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების საერთაშორისო კორპორაცია სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, საფირმო სახელწოდებით „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია“ (ს.ფ. 50-51). სააქციო საზოგადოება უნდა დაფუძნებულიყო სახაზინო საწარმო „ტრანსგაზმრეწვის“ (ამჟამად სააქციო საზოგადოება „ტრანსგაზმრეწვი“) ქონების ნაწილის გამოყოფის საფუძველზე. დაწესდა, რომ კორპორაციის ყველა აქცია ჩვეულებრივია და მასი მთელი ქონება ეკუთვნის სახელმწიფოს. საზოგადოების საწესდებო კაპიტალში გათვალისწინებულ იქნა სახელმწიფო ქონება ზისი ფლობის, სარგებლობის, მართვის ექსპლოატაციის, რეკონსტრუქციის უფლებით, მათ შორის ყველა სხვა უფლებით, რომელიც საჭიროა კორპორაციისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი გაზის ტრანზიტით ტრანსპორტირებისათვის. უფლებამოსილება კორპორაციას გადაეცა სულ ცოტა საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი გაზის ტრანზიტით ტრანსპორტირებისათვის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით ამ ხელშეკრულების შესაძლო პროლონგაციის გათვალისწინებით ან ოცდაათი წლით გადაცემული ქონება წარმოადგენს არსებულ მაგისტრალურ გაზსადენს ვლადიკავკაზი – საგურამო – წითელი ხიდი

განშტოებებით, საროო სიგრძით 1939.24 კმ; მაგისტრალური გაზსადენების ფუნქციონირებისათვის საჭირო საკომპრესორო და გამანაწილებელ სადგურებს, გაშენებულ მოწყობილობებს, კონდენსატის მკრეხელს და სხვა დანადგარებსა და მოწყობილობებს, მიწას, რომლის გამოყენება საჭიროა ხსენებული ქონების ფლობის, სარგებლობის, მართვის, ექსპლოატაციისა და რეკონსტრუქციის უფლების განხორციელებისათვის.

19.06.97წ. აუდიტორული დასკვნის მიხედვით, სახაზინო საწარმო „საქტრანსგაზმრეწვის“ (ამჟამად სს „საქტრანსგაზმრეწვი“) საბუღალტრო მონაცემებზე დაყრდნობით, ამავე ორგანიზაციიდან გამოყოფილი და სს „საქართველოს გაზის სართამორისო კორპორაციის“ საწესდებო კაპიტალში შეტანილი ძირითადი საშუალებების ღირებულება 1997 წლის 1 აპრილისათვის შეადგენდა 18.997.880 ლარს.

საქართველოს პრეზიდენტის 20.04.97წ. №206 ბრძანებულების მოთხოვნათა შესრულების მიზნით, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ 20.06.97წ. გამოსცა №1-3/390 ბრძანება, რომლითაც დამტკიცდა სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ წესდება, ქონების შეფასების აქტები: „საქტრანსგაზმრეწვის“ ბალანსიდან გამოყოფილი ძირითადი ფონდების ბაზაზე დაფუძნდა სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია“.

თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 26.06.97წ. დადგენილებით რეგისტრაციაში გატარდა სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის წესდება“ (ს.ფ. 28-29). დადგენილების მიხედვით, საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 18 997 880 (თურამეტი მილიონ ცხრაას ომასხმოცდაჩვიდმეტი ათას რვაას ოთხმოც) ლარს. საზოგადოება შეიქმნა განუსაზღვრელი ვადით, საზოგადოების დამფუძნებელია საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, რომელსაც გააჩნია საწესდებო კაპიტალის 100%.

სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციისათვის“ გამოყოფილი ქონება 1999 წლის 1 იანვრის მდგომარეობით იმყოფებოდა სს „საქტრანსგაზმრეწვის“ ბალანსზე (ს.ფ. 58-61). 15.01.99წ. სს „საქტრანსგაზმრეწვისა“ და სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციას“ შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმადაც ჩაბარებული ბალანსიდან ბალანსზე გადასცემდა მიმღებს საწესდებო კაპიტალიდან გამოყოფილ ძირითად საშუალებებს მთლიანი საბალანსო ღირებულებით 86.016.591.24 ლარის და 01.01.99წ. ნარჩენი ღირებულებით 53369482,73 ლარის ოდენობით, რომელიც დამტკიცდა



საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს მიერ და გადაუღდა 01.07.97წ. მდგომარეობით. მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად ჩამბარებული საკუთარი ბრძანებით მოიხსნიდა ბალანსიდან ნუსხაში მოყვანილ ძირითად საშუალებებს, ხოლო ბაძლებს იგივე ვადაში აწყვედა საკუთარ ბალანსზე (ს.ფ. 65-56). საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 07.09.99წ. №1-3/604 ბრძანებით, საქართველოს პრეზიდენტის 20.04.97წ. ბრძანებასთან საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 20.06.97წ. №1-3/390 ბრძანების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, 20.06.97წ. №1-3/390 ბრძანების მე-2 პუნქტს დაემატა შემდეგი წინადადება: „აღნიშნული ძირითადი ფონდები გადაეცეს სს „გაზის საქრთაშორისო კორპორაციას“ უფლოპს. სარგებლობის. მართვის, ექსპლუატაციისა და რეკონსტრუქციის უფლებით 30 წლის ვადით. ბრძანების მე-4 პუნქტით საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულს საერთაშორისო კორპორაციაში დაეეალა შესაბამისი ცვლილებების შეტანა საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში და მოეხდინა რეგისტრაცია სასამართლოში (ს.ფ. 61). აღნიშნული ბრძანების მოთხოვნის შესაბამისად სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ცვლილებები არ შეტანილა.

08.09.99წ. მისხილ გადაძსდელთა ინსპექციამ №11-03/1011-2123 წერილით მიმართა სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციას“, რომლითაც აცნობა მას, რომ 15.01.99წ. მისთვის მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემული უძრავი ქონება წარმოადგენს ახლად დაფუძნებული საზოგადოების საკუთრებას, შესაბამისად აღნიშნული ქონება, საგადასახადო კოდექსის 165-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენს უძრავი ქონების გადაცემისათვის გადასახადით დაბეგერის ობიექტს და ექვემდებარება დაბეგერას არსებული წესის მიხედვით (ს.ფ. 8-9).

სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციაში“ საჩივრით მიმართა საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტსა და მისხილ გადაძსდელთა ინსპექციას, რომელშიც მიუთითა, რომ საკუთრების უფლების გადაცემა არ მომხდარა, სააქციო საზოგადოებისათვის გადაჭრული ქონების შესაკუთრე იყო და დარჩა სახელმწიფო, ამასთანავე, საგადასახადო კოდექსის 165-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დაბეგერის ობიექტად არ ითვლება იპოთეკა და სსკა დოკუმენტი, რომელიც წარმოშობს ვალდებულებას უძრავი ქონების მიმართ ან შეთანხმებას ამ ვალდებულების შესახებ (ს.ფ. 10).

საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტმა განიხილა სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ საჩივარი და თაღისი 29.12.99წ. №04-2-6/443/1086 წერილით (ვანკარგულებით) მიუთითა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ჩადებული ქონება წარმოადგენს ამ უკანასკნელის საკუთრებას და ამდენად, საგადასახადო კოდექსის 165-ე მუხლის თანახმად, ითვლება დაბეგურის ობიექტად. დეპარტამენტის მიერ უარყოფილ იქნა მოსაზრება ქონების უზუფერუქტით, იპოთეკით გადაცემის შესახებ, ვინაიდან არც ერთ სადამფუძნებლო დოკუმენტში არ არის დაფიქსირებული ამის შესახებ. არ იქნა გაზიარებული აგრეთვე მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საწესდებო კაპიტალში უძრავი ქონების შეტანა მოხდენილია საგადასახადო კოდექსის ძალაში შესვლამდე. დეპარტამენტმა მიუთითა, რომ 63218 ათ.ლარის ღირებულების უძრავი ქონება ფაქტობრივად იქნა გადაცემული 15.01.99წ. დადგინდა, რომ მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მიერ სააქციო საზოგადოებაზე გადასახადის დაკისრება 1732,2 ათ. ლარის ოდენობით (მათ შორის ძირითადი გადასახადი 1264,4 ათ.ლარი, საურავი 467,8 ათ.ლარი) კანონიერია და ექვემდებარება ბიუჯეტში ამოღებას. (ს.ფ 6,7). აღნიშნული წერილის აღსრულების მიზნით, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ მომსახურე საბანკო დაწესებულებაში წარადგინა 14.03.2000წ. საინკასო დაჯალება (განკარგულება) №255, რომლის თანახმად მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია, საგადასახადო კოდექსის 265-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოითხოვდა უაქციფტო წესით ბიუჯეტის სასარგებლოდ 2.278.381 ლარის გადახდას.

21.03.2000წ. თბილისის საოლქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციამ“ მოპასუხე ორგანიზაციის, საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის (ამჟამად საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი) მიმართ. სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შედეგად მოსარჩელე საბოლოოდ ითხოვდა საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის (ამჟამად საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის) 29.12.99წ. №04-2-6/443/1086 წერილის (ვანკარგულების) დ 14.03.2000წ. №255 საინკასო დაჯალების ბათილად ცნობას; სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მისი მოქმედების შეჩერებას

(ს.ფ 1-3). 23.03.2000წ. მოსარჩელემ კვლავ მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს დამატებითი განცხადებით, რომლითაც ათბოვლა მსხვილ გადაძხველთა ინსპექციის საქმეში ქოპირსხედ ჩართვას, ვინაიდან ერთ-ერთი მოთხოვნა ეხებოდა მსხვილ გადაძხველთა ინსპექციის მკერძ მიღებული აქტის ბათილად ცნობას (ს.ფ. 16).

28.03.2000წ. სასამართლომ მიიღო განჩინება ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერებას შესახებ, რომლითაც შეჩერდა მსხვილ გადაძხველთა ინსპექციის 14.03.2000წ. №255 საინკასო დავალების (განკარგულების) მოქმედება (ს.ფ. 39-41). თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 08.05.2000წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელის, სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად. ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო ლეპარტამენტის 29.12.99წ. №04-2-6/443/1086 წერილი (განკარგულება), მსხვილ გადაძხველთა ინსპექციის 14.03.2000წ. №255 საინკასო დავალება (განკარგულება).

სასამართლო კოლეგიამ დადგენილად ცნო, რომ 19.06.98წ. აუდიტორული დასკვნით მოსარჩელის საწესდებო კაპიტალში შეტანილი ძირითადი საშუალებების ღირებულებას (01 04,97წ. მდგომარეობით—18997880ლ) და 15.01.99წ. მიღება-ჩაბარების აქტი მიხედვით გადაცემული ქონების ღირებულებას შორის განსხვავების მიუხედავად, ორივე შემთხვევაში იგულისხმება ერთი და იგივე ქონების მასა, მიღება-ჩაბარების აქტში ქონების ღირებულება გაზრდილ იქნა ქონების აფასების კოეფიციენტის გათვალისწინებით.

გადაწყვეტილება სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ ჩამოყალიბების შესახებ მიღებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 20.04.97წ. №206 ბრძანებულებით, მის შესასრულებლად მიღებული სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 20.06.97წ. №1-3/390 ბრძანებით, რის შედეგადაც თბილისის ვაკის რაიონის სასამართლომ მიახდინა საზოგადოების რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში შეტანით, რომლის მიხედვით საზოგადოება შეიქმნა განუსაზღვრელი ვადით და მისი საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 18.997.880 ლარს.

სასამართლო კოლეგიამ მიუთითა თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 26.06.97წ. დადგენილებით განხორციელებული საზოგადოების რეგისტრაციის სისწორის პრეზუმფციაზე და მიიჩნია, რომ მოსარჩელის საწესდებო კაპიტალში ჩადებული ქონება წარმოადგენს

სააქციო საზოგადოების საკუთრებას. ამასთანავე, სასამართლო კოლეგიამ უკრძალვებ: გააჩაჩვილა იმაზე, რომ საგადასახადო კოდექსის 165-ე მუხლის პირველი პუნქტი ქონების დაბეგერისათვის ითვალისწინებს ორ კომპონენტს: უძრავ ქონებას და ამ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაკეპას. სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, უძრავ ნივთზე საკუთრების შექმნის საფუძველია დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ მოსარჩელე გატარდა საჯარო რეგისტრაციაში 26.06.97წ. უძრავი ქონების გადაცემისათვის გადასახადის დამდგენი ნორმები (საგადასახადო კოდექსის 164-169-ე მუხლები) ამოქმედდა 1998 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტზე მითითებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ უძრავი ქონების გადაცემისათვის გადასახადის ნორმებს უკუქცევითი ძალა არა აქვთ.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 09.05.2000წ. გადაწყვეტილებაზე საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი მიერ შეტანილ იქნა საკასაციო საჩივარი. კასატორი ითხოვს საოლქო სასამართლოს 08.05.2000წ. გადაწყვეტილების გაუქმებას შემდეგ გარემოებათა გამო:

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის 51.1 მუხლისა და ს.ს. „საქართველოს კანონის საერთაშორისო კორპორაციის“ წესდების 1.8 პუნქტის თანახმად, სს კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით. კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ უძრავი ქონების შეტანა საწარმოს საწესდებო კაპიტალში განხორციელდა უძრავი ქონების გადაცემისათვის გადასახადის ძალაში მესაღამდე და მიუთითებს, რომ საწესდებო კაპიტალში შესატანად უძრავი ქონება 63218.0 ათასი ლარის ღირებულებით სს „საქართველოს კანონის საერთაშორისო კორპორაციის“ ფაქტობრივად გადაეცა 15.01.99წ. ანუ უძრავი ქონების გადაცემისათვის გადასახადის მოქმედების პერიოდში. კასატორის აზრით, საზოგადოება არ გამხდარა ქონების ჰესაკუთრე თბილისის ვაკის სასამართლოში სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის დღიდან. ასეთი უფლება მან მოიპოვა სს „საერთაშორისო კორპორაციის“ ქონების 15.01.99წ. მიღება-ჩაბარების აქტით გადაცემის შემდეგ.

საკასაციო პალატა, საქმის მასალების შესწავლისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად ავლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ძირითადი საშუალებების გამოყოფის შედეგად წარმოშობილი სს „ვაზის საერთაშორისო კორპორაცია“ საწარმოო რეგისტრაციაში გატარდა ვაკის რაიონის სასამართლოში როგორც ახალი საწარმო, შესატანი საწესდებო კაპიტალში კანონის მოთხოვნის შესაბამისად შეფასდა დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ არაფულადი შესატანის საბალანსო ღირებულებით. დოკუმენტაციის წარდგენა რეგისტრაციისათვის თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოში განხორციელდა სახელმწიფო ქონების განმკარგავე ორგანოს – საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 20.06.97წ. №1-3/390 ბრძანების საფუძველზე. საკასაციო პალატა ითვალისწინებს იმას, რომ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციას აქვს კონსტიტუციური მნიშვნელობა, მისი ძირითადი დანიშნულებაა საჯაროობის გზით მესამე პირებისა და კრედიტორების დაცვა. სამართლებრივი ურთიერთობების სტაბილურობის უზრუნველყოფა, რომელსაც მიზნად ისახავს რეგისტრაციის ინსტიტუტი, შეუძლებელია იმ ვარაუდის გარეშე, რომ რეგისტრირებული ფაქტები სწორია. სამეწარმეო რეესტრი წარმოადგენს საჯარო რეესტრის ნაირსახეობას, რომელშიც აღირიცხება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ფაქტები და მოვლენები. რეესტრის მონაცემების გაუქმებამდე მათ მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია.

უძრავი ქონების გადაცემისათვის გადასახადი დაკავშირებულია საკუთრების უფლების გადაცემასთან. გადასახადის ამოღება საგადასახადო ორგანოს მიერ ქონების გადაცემის მომენტში ხდება იმ შემთხვევაში, თუ წერილობითი დოკუმენტი რეგისტრაციაში არ ტარდება (საგადასახადო კოდექსის 169.2 მუხლი). უძრავი ქონების გადაცემისათვის გადასახადის დაბეგვრის ობიექტია საქართველოში არსებული უძრავი ქონება, რომელზედაც ხდება საკუთრების უფლების გადაცემა. საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, გადასახადი გადახდას ექვემდებარება წერილობითი დოკუმენტის მარეგისტრირებულ ორგანოში რეგისტრაციამდე. მარეგისტრირებელი ორგანო წერილობით დოკუმენტს რეგისტრაციაში ატარებს მხოლოდ გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ. ქონების გადაცემაზე დოკუმენტის დამადასტურებლის სხვა საჭირო დოკუმენტებთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობა

კადასახადის გადახდის შესახებ. ერნაიდან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციას“ საწესდებო კაპიტალში გადაეცა უძრავი ქონება, რომლის გადაცემა ააჭიროებს რეგისტრაციაში გატარებას, გადასახადის ამოღება საგადასახადო ორგანოს მიერ არ ხდება ქონების გადაცემის მომენტში. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ბუნებრივ მონოპოლიათა სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 20.05.96წ. №334 ბრძანებულების დანართში, საქართველოს პრეზიდენტის 20.04.97წ. №206 ბრძანებულების მე-2 პუნქტით შეტანილი ცვლილებების შედეგად, სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ ბუნებრივ მონოპოლიათა სახელმწიფო რეესტრში შეტანა, თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 26.06.97წ. დადგენილებით სააქციო საზოგადოების რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში, არ წარმოადგენს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დოკუმენტის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციას. „ქონების გადაცემისათვის გადასახადის კომპანგარიშებისა და გადასახადის წესის შესახებ“ 29.01.98წ. დამტკიცებული ინსტრუქციის მე-6 მუხლის თანახმად, ამ მუხლის თვალსაზრისით, მარეგისტრირებელი ორგანოა საჯარო რეესტრის ამსახური, ხოლო ამ ამსახურის ჩამოყალიბებამდე ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროები და საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სათანადო სამსახურები. აღნიშნულ ორგანოებში ქონების რეგისტრაციამდე გადასახადისა და მით უფრო ააურავეების თანხების დაკისრება არ შეესაბამება საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი აღნიშნული გადასახადის ადმინისტრირების წესს. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ 14.03.2000წ. №255 აინკასო დავალება წარდგენილ იქნა საურავის გაზრდილი ოდენობის ათვალისწინებით, მაშინ, როდესაც საურავეების სადავო თანხების მოღება, საგადასახადო კოდექსის 243-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხდება სასამართლო გადაწყვეტილების და არა საინკასო დავალების საფუძველზე.

საგადასახადო კოდექსის 116-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დაბეგერისაგან თავისუფლდება უძრავი ქონების გადაცემა იუორგანიზაციის შემთხვევაში. სახელმწიფო ორგანოების დაწყვეტილებით სახაზინო საწარმოს რეორგანიზაცია სააქციო საზოგადოებად დაიშვება „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 2.3 და 14.6 უხლების თანახმად. პირობებში, როდესაც საწარმო თვითონ არ წყვეტს

არსებობას, მაგრამ მას გამოეყოფა ცალკე ერთი ან რამოდენიმე ერთეული, რომელიც დამოუკიდებელი სუბიექტის სახით განაგრძობს საქმიანობას, სახეზეა გამოყოფა. აღნიშნული შეადგენს საწარმოთა გაყოფის ერთ-ერთ ნაირსახეობას, წარმოადგენს საწარმოთა რეორგანიზაციის ფორმას და თავისუფლდება დაბეგერისაგან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 410-ე მუხლებით და

### და ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 08.03.2000წ. გადაწყვეტილება, საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის (ამჟამად საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის) 1999 წლის 29 დეკემბრის №04-2-6/443/1086 წერილის (განკარგულების) და მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 14.03.2000წ. საინკასო დევალიანების №255 ბათილად ცნობის შესახებ.

3. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე

მოსამართლეები:

PS ავტორთა მოსაზრება—საქართველოს უზენაესი სასამართლოს

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა საგადასახადო დეპარტამენტის არგუმენტები, გარკვეულწილად გაითვალისწინა ახალი ფორმით

ჩამოყალიბებული ორგანიზაციის პრიორიტეტი და მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა აბსოლუტური სამართლებრივი საფუძვლები საკასაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა, და ძალაში დატოვა ქ.თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 8 მაისის დადგენილება.

დავა უძრავი ქონების გადაცემისათვის გადასახადით  
დაბეგერის თაობაზე  
სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო  
კორპორაციის“  
სარჩელის განხილვა  
სარჩელის ფასი 2278381 ლარი

საქმე №03ა/60 ფორმა №

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ს ე ლ ი თ**

**ა მ ო ნ ა წ ე რ ი**

8 მაისი 2000წ. ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით

თავმჯდომარე

მოსამართლე:



## მლიენი

მოსარჩელე ორგანიზაციის სააქციო საზოგადოება „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ გენერალური დირექტორის; ამავე საზოგადოების ინტერესების დამცველის მინდობილობაზე, იურიდიული კომპანია „ბიზნესსერვისის“ გენერალური დირექტორის; მოქალაქეებზე ორგანიზაციის საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის საჩივრებისა და პროტესტების დეპარტამენტის უფროსის, ამავე დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, დეპარტამენტის სასამართლოებში საჩივრების განხილვის სამმართველოს უფროსი იურისტის, თანამოქალაქეებზე ორგანიზაციის საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის საჩივრების განხილვისა და იურიდიულ საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილის მონაწილეობით განიხილა საქმის მასალები მოსარჩელე ორგანიზაციის სააქციო საზოგადოება „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ სარჩელისა გამო, მოქალაქეებზე ორგანიზაციის, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტისა და თანამოქალაქეებზე ორგანიზაციის საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მიმართ.

მოსარჩელე ითხოვს: ა) არაკანონიერად ანუ ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის (ამჟამად საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი) 1999 წლის 29 დეკემბრის №04-2-6/443/1086 წერილი (განკარგულება); ბ) არაკანონიერად ანუ ბათილად იქნეს ცნობილი მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის (ამჟამად საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია) 2000 წლის 14 მარტის №255 საინკასო დავალება (განკარგულება).

სასამართლო სხდომაზე საქმეში არსებული დოკუმენტების შესწავლით და საქმის განხილვაში მონაწილე პირთა ზეპირი ახსნა-განმარტებების საფუძველზე სასამართლომ დადგინილად ცნო შემდეგი:

თბილისის საოლქო სასამართლოს 21.03.2000წ. სასარჩელო განცხადებით მომართა სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციაში“ მოქალაქეებზე ორგანიზაციის საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის (ამჟამად საქართველოს საგადასახადო

შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი). მოსარჩელე ითხოვდა: არაკანონიერად ყოფილიყო ცნობილი საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მიერ მოსარჩელისათვის ქონების გადაცემისათვის გადასახადის დავალიანების სახით 2.278.381 (ორი მილიონ ორასსამოცდათვრამეტი ათას სამას ოთხმოცდაერთი) ლარის მოთხოვნა; ბათილად ყოფილიყო ცნობილი მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 2000 წლის 14 მარტის №255 საინკასო დავალება (განკარგულება); სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით შეჩერებულიყო მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 2000 წლის 14 მარტის №255 საინკასო დავალება (განკარგულების) მოქმედება, ამასთან მოსარჩელემ აღძრა სასამართლოს წინაშე სახელმწიფო ბაჟის წინასწარი გადახდის გადავადების მოთხოვნა.  
ს.ფ. 1-3

23.03.2000წ. სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციაში“ კვლავ მომართა თბილისის საოლქო სასამართლოს №310გ/კ დამატებითი განცხადებით. მოსარჩელე ითხოვდა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის საქმეში მოპასუხედ ჩართვას, ვინაიდან ერთ-ერთი მოთხოვნა ეხებოდა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მიერ მიღებული აქტის ბათილად ცნობას. ს.ფ. 16

24.03.2000წ. თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის განჩინებაზე სარჩელის უმოძრაოდ დატოვების შესახებ სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ სარჩელი დარჩა უმოძრაოდ, ვინაიდან მოსარჩელემ არ წარმოადგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან მოსარჩელეს მიეცა ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ს.ფ. 31-32

27.03.2000წ. მოსარჩელემ წარმოადგინა თბილისის საოლქო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ს.ფ. 35) და იმავე დღეს სასამართლომ მიიღო განჩინება ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ, რომლითაც შეჩერდა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 14.03.2000წ. №255 საინკასო დავალების (განკარგულების) მოქმედება. ს.ფ.39-41

საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის 14.04.2000წ. №04-3-10/96 შესაგებლით მოპასუხე ითხოვდა მოსარჩელის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდ გამო. ამასთან შესაგებელი ეყრდნობა შემდეგ ძირითად დებულებებს: ა) სახელმწიფო კომპანია „საქტრანსგაზპროექს“

ბალანსიდან გამოყოფილი ძირითადი ფონდების ბაზაზე დაფუძნდა სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია“. ამასთან ახლად დაფუძნებული საზოგადოების საწესდებო კაპიტალში 63218,0 ათ.ლარის ღირებულების უძრავი ქონების გადაცემა ფაქტიურად დაფიქსირდა არა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 20.06.97წ. №1-3/390 ბრძანების სააქციო საზოგადოება „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ დაფუძნებასთან დაკავშირებით გამოცემის დღიდან, არამედ 1999 წლის 15 იანვარს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე; ბ) ვინაიდან უძრავი ქონების მიღება-ჩაბარება ფაქტიურად (ანუ რეალურად) განხორციელდა 1999 წლის 15 იანვარს ამ დროისათვის ამოქმედდა (1998 წლის 1 იანვრიდან) უძრავი ქონების გადაცემისათვის გადასახადი; გ) სააქციო საზოგადოებას საწესდებო კაპიტალში ჩადებული (გადაცემული) ქონება წარმოადგენს მის საკუთრებას. ამ მიზეზით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 165-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სააქციო საზოგადოებისათვის გადაცემული ქონება ექვემდებარება დაბეგვრას ქონების გადაცემისათვის. ს.ფ. 48-49.

გაირკვა, რომ 20.04.97წ. საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო №206 ბრძანებულება სააქციო საზოგადოება „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის შესახებ“. მითითებული აქტით ჩამოყალიბდა საქართველოს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების საერთაშორისო კორპორაცია სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით სახელწოდებით „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია“. დაწესდა რომ კორპორაციის ყველა აქცია ჩვეულებრივია და მისი მთელი ქონება ეკუთვნის სახელმწიფოს. საზოგადოების საწესდებო კაპიტალში გათვალისწინებული იქნა სახელმწიფო ქონება მისი ფლობის, სარგებლობის, მართვის, ექსპლოატაციის, რეკონსტრუქციის უფლებით, მათ შორის ყველა სხვა უფლებით, რომელიც საჭიროა კორპორაციისათვის საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი გაზის ტრანზიტით ტრანსპორტირებისათვის. უფლებამოსილება კორპორაციას გადაეცა სულ ცოტა საქართველოს ტერიტორიაზე ბუნებრივი გაზის ტრანზიტით ტრანსპორტირებისათვის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით, ამ ხელშეკრულების შესაძლო პროლონგაციის გათვალისწინებით, ან ოცდათი წლით (გადაცემული ქონება წარმოადგენს არსებულ მაგისტრალურ გაზსადენს ელადიკაეაზო-საგურამო-წითელი ხიდი განშტოებებზე, საერთო სიგრძით 1939,24კმ; ყველა არსებული საკომპრესორო და გამანაწილებელი სადგურებითურთ;

მიწა, რომლის გამოყენება საჭიროა ხსენებული ქონების ფლობის, სარგებლობის, მართვის, ექსპლოატაციისა და რეკონსტრუქციის უფლების განხორციელებისათვის).

სააქციო საზოგადოება უნდა დაფუძნებულიყო სახაზინო საწარმო „ტრანსგაზმრეწვის“ (ამჟამად სააქციო საზოგადოება „ტრანსგაზმრეწვი“) ქონების ნაწილის გამოყოფის ბაზაზე. ს.ფ. 50-51

20.06.97წ. საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ მიიღო №1-3/390 ბრძანება „სააქციო საზოგადოება“ „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ დაფუძნებასთან დაკავშირებით“. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცდა: სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ წესდება; ქონების შეფასების აქტები; სახელმწიფო კომპანია „საქტრანსგაზმრეწვის“ ბალანსიდან გამოყოფილი ძირითადი ფონდების ბაზაზე დაფუძნდა სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია“. ს.ფ. 4-5

ქ.თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 26.06.97წ. დადგენილებით რეგისტრაციაში გატარდა სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ წესდება“, სასამართლოს დადგენილებით საზოგადოება შეიქმნა განუსაზღვრელი ვადით (სასამართლოს დადგენილების „ე“ პუნქტი). ამასთან, საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 18997880 (თვრამეტ მილიონ ცხრაას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას რვაას ოთხმოც ლარს) სასამართლოს დადგენილების „ვ“ პუნქტი). ხოლო საზოგადოების დამფუძნებულად მითითებული საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, რომელსაც გააჩნია საწესდებო კაპიტალის 100% (სასამართლოს დადგენილების „ზ“ პუნქტი). ს.ფ. 28-29; 18-27

საქმის მასალებში მოიპოვება დამოუკიდებელი აუდიტორის 19.06.97წ. აუდიტორული დასკვნის ასლი, რომლითაც დადგინდა, რომ სახაზინო საწარმო „საქტრანსგაზმრეწვი“-ს (ამჟამად ს.ს „საქტრანსგაზმრეწვი“) საბუღალტრო მონაცემებზე დაყრდნობით ამავე ორგანიზაციიდან გამოყოფილი და სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ საწესდებო კაპიტალში შეტანილი ძირითადი საშუალებების ღირებულება 1997 წლის 1 აპრილისათვის შეადგენდა 18.997880 ლარს. შესაბამისად აუდიტორი ასკენიდა, რომ სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 18.997.880 (თვრამეტ მილიონ ცხრაას ოთხმოცდაჩვიდმეტ ათას რვაას ოთხმოც) ლარს. ს.ფ. 71

სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციისათვის“ გამოყოფილი ქონება 1999 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით იმყოფებოდა სს „საქტრანსგაზმრეწვი“-ს ბალანსზე. ს.ფ. 58-61

15.01.99წ. ჩამბარებლისა, ანუ სს „საქტრანსგაზმრეწვისა“ და მიმღებს, ანუ სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ შორის გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი. ჩამბარებელი გადასცემდა მიმღებს თავის ბალანსზე რიცხულ ძირითად საშუალებებს თანახმად აქტზე თანდართული ნუსხისა მთლიანი საბალანსო ღირებულებით 86.016.591.24 (ოთხმოცდაექვსი მილიონ თექვსმეტი ათას ხუთას ოთხმოცდათერთმეტი) ლარისა და 24 თეთრის ოდენობით და 01.01.99წლისათვის ნარჩენი ღირებულებით 53.369.482.73 ლარის ოდენობით, რომელიც იყო დამტკიცებული საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს მიერ და გადაფასებული 01.07.97წ. მდგომარეობით. მითითებული მიღება-ჩაბარების აქტით დგინდება, რომ ჩამბარებელი სს „საქტრანსგაზმრეწვი“ საკუთარი ბრძანებით იხსნიდა ბალანსიდან ნუსხაში მოყვანილ ძირითად საშუალებებს, ხოლო მიმღებს იგივე ვადაში აჰყავდა საკუთარ ბალანსზე. ს.ფ. 65-70

საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ 07.09.99წ. მიიღო №1-3/604 ბრძანება სააქციო საზოგადოება „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ დაფუძნებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 20.06.97წ. №1-3/390 და 02.04.99წ. №1-3/161 ბრძანებებში ცვლილებების შეტანის შესახებ“. 07.09.99წ. №1-3/604 ბრძანებით 20.06.97წ. №1-3/390 ბრძანების მე-2 პუნქტს დაემატა შემდეგი წინადადება: „აღნიშნული ძირითადი ფონდები გადაეცა სააქციო საზოგადოება „გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ ფლობის, სარგებლობის, მართვის, ექსპლოატაციისა და რეკონსტრუქციის უფლებით 30 (ოცდაათი) წლის ვადით. საერთაშორისო კორპორაციაში საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულს დაეუალა შეეტანა შესაბამისი ცვლილებები საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტებში და მოეხდინა რეგისტრაცია სასამართლოში (ს.ფ. 64). სასამართლო ამახვილებს მხარეთა ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ სასამართლოში საქმის განხილვის მომენტისათვის სააქციო საზოგადოებას სადამფუძნებლო დოკუმენტებში ცვლილებები შეტანილი ყოფილა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 07.09.99წ. №1-3/604 ბრძანების მოთხოვნის შესაბამისად რეგისტრაცია სასამართლოში არ მომხდარა.

მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ 08.09.99წ. გაუგზავნა მოსამართლეს №11-03/1011-2123 წერილი, რომლითაც აცნობა მოსარჩელეს, რომ სს „საქტრანსგაზმრეწვემა“ გადასცა მოსარჩელეს 15.01.99წ. მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად მაგისტრალური გაზსადენების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული უძრავი ქონება, უძრავი ქონება წარმოადგენს ახლად დაფუნდებულ საზოგადოების საკუთრებას, შესაბამისად აღნიშნული ქონება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 165-ე მუხლის მიხედვით განიხილება, როგორც უძრავი ქონების გადაცემისათვის გადასახადით დაბეგვრის ობიექტად და ექვემდებარება დაბეგვრას არსებული წესის მიხედვით (ს.ფ. 8-9).

სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია“ 14.09.99წ. წერილით მიმართა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციას (ს.ფ. 11) და 14.09.99წ. წერილით მიმართა საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტს, ორივე წერილში მოსარჩელე არ მიიჩნევდა მართებულად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 165-ე მუხლის თანახმად 15.01.99წ. აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტი ჩაითვალოს დასაბეგრ დოკუმენტად და მოსარჩელისათვის უძრავი ქონების გადაცემისათვის 2%-ნი გადასახადის დაკისრებას, გადაცემული ქონების ღირებულებიდან, სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია“ თავის წერილებში ეყრდნობა შემდეგ ძირითად დებულებებს: ვინაიდან სააქციო საზოგადოებისათვის სამართავედ გადაცემული ქონება 100%-ით იყო და დარჩა სახელმწიფოში, ანუ „საკუთრების უფლების გადაცემა“ არ მომხდარა საქართველოს საგადასახადო კოდექსის იმავე 165-ე მუხლის თანახმად, ამასთან საგადასახადო კოდექსის 165-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად დაბეგვრის ობიექტად არ ითვლება იპოთეკა ან სხვა დოკუმენტი, რომელიც წარმოშობს ვალდებულებას უძრავი ქონების მიმართ ან შეთანხმებას ამ ვალდებულების შესახებ“. ს.ფ. 10, 11.

საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტმა 29.12.99წ. გამოსცა №04-2-6/443/1086 წერილი (განკარგულება), რომლის ადრესატებიც იყვნენ სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაცია“ და ამავე დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია. მითითებული წერილი (განკარგულებიდან) ირკვევა, რომ საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტმა განიხილა სააქციო საზოგადოების (ანუ მოსარჩელის) საჩივარი მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მიმართ სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ჩასადებად 63218 ათ.ლარის ღირებულების უძრავი ქონების გადაცემისათვის საწარმოზე 1732,2 ათ.ლარის (მათ შორის ძირითადი

გადასახადი 1264,4 ათ.ლარი, საურავი 467,8 ათ.ლარი) გადასახადის დაკისრების კანონიერების თაობაზე: მითითებული დეპარტამენტი აცნობდა სააქციო საზოგადოებას, რომ სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ჩადებული ქონება წარმოადგენს საზოგადოების საკუთრებას და ამ მიზეზით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 165-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ითვლება დაბეგერის ობიექტად. ამასთან, ქონების საზოგადოებისათვის გადაცემა დეპარტამენტის მიერ ვერ ჩაითვლება ქონების უფლებამოსილების გადაცემად, ვინაიდან არცერთ სადამფუძნებლო დოკუმენტში არ არის დაფიქსირებული ამის შესახებ. არ იზიარებს საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტი მოსარჩელის არც იმის მტკიცებას, რომ ადგილი ქონდა ქონების იპოთეკის უფლებამოსილებაზე გადაცემას. გაზის საერთაშორისო კორპორაციას საწესდებო კაპიტალში ჩასადებად 63218 ათ.ლარის ღირებულებას უძრავი ქონება ფაქტიურად გადაეცა 15.01.99წ. ანუ იმ დროს, როდესაც საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული გადასახადი უძრავი ქონების გადაცემისათვის უკვე იყო შესული ძალაში (მითითებული ნორმები ამოქმედდა 1998 წლის პირველი იანვრიდან). აქედან გამომდინარე საგადასახადო კოდექსს უკუქცევითი ძალა არ მისცემია. აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტმა დაადგინა, რომ მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მიერ სააქციო საზოგადოებაზე უძრავი ქონების გადაცემისათვის გადასახადის დაკისრება 1732,2 ლარის ოდენობით (მათ შორის ძირითადი გადასახადი 1264,4 ათ.ლარი, საურავი 467,8 ათ.ლარი) კანონიერია და ექვემდებარება ბიუჯეტში ამოღებას დადგენილი წესით. ს.ფ. 6,7

მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის 29.12.99წ. №04-2-6/443/1086 წერილის მითითებაა აღსრულების მიზნით საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის მომსახურე საბანკო დაწესებულებაში წარადგინა 14.03.2000წ.ლის №255 საინკასო დავალება (განკარგულება) საურავის გაზრდილი ოდენობის გათვალისწინებით. ს.ფ. 17

მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია სადავო საინკასო დავალებაზე (განკარგულებაზე) მოსარჩელის თანხმობის გარეშე (ანუ უკუქცევითი წესით) ითხოვდა ბიუჯეტის სასარგებლოდ 2.278.381 ლარის გადახდას.

*სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს სრულად შემდეგი გარემოებათა გამო:*

პირელი, სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა, დააკონკრეტა და გააღიდა სასარჩელო მოთხოვნა, კერძოდ დააკონკრეტა, რომ ითხოვს: ა) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის (ამჟამად საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი) 1999 წლის 29 დეკემბრის №04-2-6/443/1086 წერილი (განკარგულება) და ბ) ბათილად იქნეს ცნობილი მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 2000 წლის 14 მარტის №255 საინკასო დავალება (განკარგულება). სასამართლო კოლეგიამ გაითვალისწინა საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის წარმომდგენლის მოსაზრება აღნიშნულის თაობაზე, რომ მითითებული დეპარტამენტი თანახმაა სასარჩელო მოთხოვნის დაკონკრეტებასა და გაზრდაზე. სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით და დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა სარჩელის გაზრდის თაობაზე იმ ნაწილში, რომ არსებითად იქნეს განხილული საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის 1999 წლის 29 დეკემბრის №04-2-6/443/1086 წერილი (განკარგულება) კანონიერება. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილების მოთხოვნას მხარი დაუჭირა თანამოპასუხე ორგანიზაციის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის წარმომადგენელმაც.

მეორე, 19.06.97წ. დათარიღებული აუდიტორული დასკვნით დგინდება, რომ სახაზინო საწარმო „საქტრანსგაზმრეწვიდან“ გამოყოფილი და სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ საწესდებო კაპიტალში შეტანილი ძირითადი საშუალებების აღსრულება 01.04.97წ. მდგომარეობით შეადგენს 18997880 ლარს, რაც დაფიქსირდა საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 20.06.97წ. №1-3/390 ბრძანებაში და ქ.თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 26.06.97წ. დადგენილებაში რომლითაც მოხდა საზოგადოების რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში შეტანით (იხ. ს.ფ. 4,5; 28,29). ხოლო სს „საქტრანსგაზმრეწვისა“ და სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციას“ შორის შედგენილი 15.01.99წ. მიღება-ჩაბარების აქტიდან ირკვევა, რომ სს „საქტრანსგაზმრეწვი“-ს ბალანსიდან გადაეცა მიმღებს, ანუ სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციას 86016591,24 ლარის ღირებულების ქონება, რომელიც 01.01.99 წლისათვის ნარჩენი ღირებულებით შეადგენდა 53369482,72 ლარს.



წინააღმდეგობა მითითებულ დოკუმენტებს შორის არ არსებობს. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო კოლეგია მთლიანად იზიარებს სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ გენერალური დირექტორის ბატონ მერაბ კაციტაძის განმარტებას, რომ ორივე შემთხვევაში იგულისხმება ერთი და იგივე ქონების მასა, მაგრამ მიღება-ჩაბარების აქტში ქონების ღირებულება გადიდებულია იმ მიზეზით, რომ გათვალისწინებულია ქონების აფასების კოეფიციენტი. მითითებულ განმარტებას სრულად იზიარებდა სასამართლო სხდომაზე როგორც მოპასუსე, ასევე თანამოპასუსე.

მესამე, საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება სს „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ ჩამოყალიბების შესახებ 20.04.97წ. როდესაც მიიღო თავისი №206 ბრძანებულება სააქციო საზოგადოება „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ შესახებ“ პრეზიდენტის მითითებული ბრძანებულების რეალიზაციის მიზნით საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ მიიღო 20.06.97წ. №1-3/390 ბრძანება სააქციო საზოგადოება „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ დაფუძნებასთან დაკავშირებით. 26.06.97წ. დადგენილებით თბილისის ვაკის რაიონის სასამართლომ მოახდინა საზოგადოების რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში შეტანით. საზოგადოება შეიქმნა განუსაზღვრელი ვადით და მისი საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 18997880 ლარს. აღსანიშნავია, რომ ეს მონაცემები დღემდე არ შეცვლილა.

მეოთხე, 1998 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომელნიც აწესრიგებენ გადასახადს ქონების გადაცემისათვის (საგადასახადო კოდექსის 164-169-ე მუხლები).

საგადასახადო კოდექსის 164-ე მუხლი ადგენს, რომ უძრავი ქონების გადაცემისას გადამხდელია გადამხდელთა უძრავი ქონების მიმღები. ხოლო იმავე კოდექსის 165-ე მუხლი ღრის მოქმედი რედაქციით (ეს რედაქცია ძალაშია 28.11.98 წლიდან) ადგენს, რომ დაბეგვრის ობიექტია საქართველოში არსებული უძრავი ქონება, რომელზედაც ხდება საკუთრების უფლების გადაცემა ან რომელიც გადაიცემა იჯარის ან ქირავნობის ხელშეკრულებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ამასთან დაბეგვრის ობიექტად არ ითვლება იპოთეკა ან სხვა დოკუმენტი, რომელიც წარმოშობს ვალდებულებას უძრავი ქონების მიმართ ან შეთანხმებას ამ ვალდებულების უზრუნველყოფის შესახებ.

სასამართლო კოლეგია გამომდინარეობს თბილისის ვაკის რაიონის სასამართლოს 26.06.97წ. დადგენილების, რომლითაც გატარდა საზოგადოება რეგისტრაციაში, რეგისტრაციის სისწორის პრეზუმპციიდან და მიიჩნევს, რომ სააქციო საზოგადოებას საწესდებო კაპიტალში ჩადებული ქონება წარმოადგენს სააქციო საზოგადოების საკუთრებას.

სასამართლო კოლეგია ამხვილებს ყურადღებას შემდეგ გარემოებებზე. ა) საგადასახადო კოდექსის 165-ე მუხლის პირველი პუნქტი გულისხმობს ორ კრიტერიუმს, რათა მოხდეს ქონების დაბეგვრა. 1) უძრავი ქონება, 2) ამ ქონებაზე უნდა მოხდეს საკუთრების უფლების გადაცემა; ბ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის განცხადების შეტანა შეუძლია როგორც გამსხვისებელს, ისე შემძენს.

შესაბამისად უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენის საფუძველია დამოწმებული, საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. მოსარჩელე გატარდა საჯარო რეგისტრაციაში 26.06.97წ. ანუ 1998 წლის 1 იანვრამდე, შესაბამისად მოსარჩელეს წარმოეშვა საკუთრების უფლება მისთვის გადაცემულ უძრავ ქონებაზე 1998 წლის 1 იანვრამდე; გ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-4 მუხლის მე-ნ პუნქტის თანახმად საგადასახადო კანონმდებლობის აქტებს უკუქმედების ძალა არა აქვს, თუ შესაბამისი ნორმატიული აქტით სხვა არ არის დადგენილი. უძრავი ქონების გადაცემისათვის დადგენილ გადასახადზე ასეთი დათქმა კანონმდებლობას არ გაუთვალისწინებია. (რომ მას მისცემოდა უკუქმედების ძალა).

მეხუთე, ვინაიდან მოსარჩელემ წინდაწინ გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი, ამასთან მისი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად, მოსარჩელეს უნდა დაუბრუნდეს წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, ვინაიდან მოპასუხე და თანამოპასუხე ორგანიზაციები გათავისუფლებული არიან სახბაჟის გადახდისაგან.

სასამართლო კოლეგიამ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 244-ე, 247-ე, 249-ე, 255-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-12, 32-ე მუხლის პირველი პუნქტით

გ ა ღ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. მოსარჩელის სააქციო საზოგადოება „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე ორგანიზაციის, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტისა და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მიმართ დაკმაყოფილდეს სრულად.

ა) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის (ამჟამად საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი) 1999 წლის 29 დეკემბრის №04-2-6/443/1086 წერილი (განკარგულება).

ბ) ბათილად იქნეს ცნობილი მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 2000 წლის 14 მარტის საინკასო დავალება (განკარგულება) №255.

2. სააქციო საზოგადოება „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციას“ დაუბრუნდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან წინასწარი გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. სახელმწიფო ბაჟის დაბრუნება მოხდეს საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის ანგარიშიდან: ეროვნული ბანკი №1151411102 კოდი 220101107 1 სახაზინო სამსახური, გაიცეს სააღსრულებლო ფურცელი.

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ.№32), ქ.თბილისის საოლქო სასამართლოში საკასაციო საჩივრის შეტანით (თბილისი, გრიგოლ რობაქიძის ქ.№7<sup>ა</sup>) ერთი თვის ვადაში გადაწყვეტილების გამოცხადების (ანუ სასამართლოს აქტივ გასაჩივრების შესაძლებლობის განმარტების) მომენტიდან.

თავმჯდომარე

მოსამართლეები:

PS - აგტორთა მოსაზრება-საოლქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოქასუხე მხარემ არასწორად მიიჩნია და ამის საფუძველი არსებობდა, ვინაიდან უძრავი ქონების მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია ქონების გადაცემისათვის გადასახადის შემოღების შემდეგ. მოსარჩელე შეგნებულად არიდებდა თავს ქონების გადასახადის და ქონების გადაცემისათვის გადასახადის გადახდას. საგადასახადო დეპარტამენტმა მიღებული გადაწყვეტილება კასაციის წესით გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 28 სექტემბრის განჩინება საქმე №3ვ/ად-99-კ.

**დავა უძრავი ქონების იჯარით გადაცემისას, ქონების  
გადაცემის  
გადასახადით დაბეგვრის თაობაზე**

შპს „მეგაკომპა“ აიღო იჯარით კავშირგაბმულობის ანძის გარკვეული მონაკვეთი, რაც თავისი მოსაზრებით არ ჩათვალა უძრავ ნივთად და უარი განაცხადა მის დაბეგვრაზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის სამოქალაქო და საგადასახადო კოდექსთან.

გავეცნოთ ქობილისის საოლქო სასამართლოს მიერ შპს „მეგაკომპა“-ს სააპელაციო საჩივარზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

საქმე №3ვ/325-2001 ფორმა №

**გადაწყვეტილება**

**საქართველოს სახელმით**

**ა მ ო ნ ა წ ე რ ი**

2001 წლის 18 იანვარი ქ.თბილისი

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე

მოსამართლეები:

სხდომის მდივანი

აპელანტი: შპს „მეგაკომი“

წარმომადგენელი

მოწინააღმდეგე მხარე: საქართველოს შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტი.

მოწინააღმდეგე მხარე: საქართველოს შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია.

განიხილა შპს „მეგაკომი“-ს სააპელაციო საჩივარი თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებაზე, შპს „მეგაკომი“-ს სარჩელისა გამო, მოპასუხე სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის მიმართ, თანამოპასუხე საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია, საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 1999 წლის I სექტემბრის აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობის და დაკისრებული საურავის ოდენობის კორექტირების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალის გაცნობის შედეგად

### გ ა მ ო ა რ კ ე ი ა :

შპს „მეგაკომმა“ სარჩელით მიმართა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს, რომლითაც მოთხოვა საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 1999 წლის I სექტემბრის აქტის ბათილად ცნობა ქონების გადაცემის გადასახადის დაკისრების ნაწილში, ასევე დაკისრებული საურავის ოდენობის კორექტირება, მთლიანობაში, ნაცულად 149894 ლარისა, „მეგაკომისათვის“ 14678 ლარის გადახდის დაკისრება, შეძღვეი საფუძველით: საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 1999 წლის I სექტემბრის აქტით შპს „მეგაკომს“ სულ დაეკისრა 149900 ლარის გადახდა, რომელიც მოსარჩელის მიერ გასაჩივრებული იქნა საგადასახადო სახელმწიფო

დეპარტამენტში, მათი საჩივარი არ იქნა დაკმაყოფილებული 2000 წლის 5 იანვრის წერილის თანახმად. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ აქტის მიხედვით დარიცხული ქონების გადასახადი მთლიანად უკანონოა და მოსახსნელია, ვინაიდან შპს „მეგაკომი“ უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოა, კანონის „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ მე-9 მუხლის I პუნქტის მიხედვით საკანონმდებლო აქტს, რომელიც გააუარესებს უკვე განხორციელებული ინვესტიციის პირობებს, არა აქვს უკუქცევითი ძალა 5 წლის მანძილზე. პარლამენტის №768 კანონით საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლში „გადასახადი ქონების გადაცემისათვის“ შემოღებულია მანამდე მოქმედ კანონმდებლობაში არ არსებული გადასახადი ქონების გადაცემისათვის, ხოლო საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლში საურავი 0,1%-ის ოდენობით შეცვლილ იქნა 0,2%-ის ოდენობით.

მოსარჩელე თვლის, რომ ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები, ახლადშემოღებული გადასახადი და საურავის გაზრდილი საპროცენტო განაკვეთი ცალსახად აუარესებენ შპს „მეგაკომი“-ს, როგორც უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს მდგომარეობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება შპს „მეგაკომი“-ს საკუთრების ხელყოფას, რაც გამოვლინდება არასწორად დარიცხული გადასახადის ოდენობით კომპანიის საკუთრების შემცირებაში.

თავისი პოზიციის განსამტკიცებლად მოსარჩელე უთითებს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2000 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებაზე საქმეზე „მოქალაქეები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ და ხელშეკრულებას „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და აშშ-ს მთავრობას შორის ინვესტიციების წახალისებისა და ურთიერთდაცვის შესახებ“, შესრულებული ქვაშინგტონში, 1994 წლის 7 მარტს, რომლის მიზანია ორივე სახელმწიფოში ურთიერთინვესტიციების სამართლებრივი დაცვა და მათ გარანტიებზე ზრუნვა.

მოპასუხე საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტმა წარმოდგენილ შეპასუხებაში არ ცნო სარჩელი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით, რომ „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ კანონის 9.1 მუხლით განსაზღვრული გარანტიები გამოიყენებოდა მხოლოდ უცხოური ინვესტიციების შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში უცხოური ინვესტიციების დაცვის პირობების შეცვლის ან მისი გაუარესების შემთხვევაში და არა მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლის შემთხვევაში, რომ

მოსარჩელის მიმართ გამაყენებულა გადასახადების ის სახეობა, რომელიც დაწესებულია კონსტიტუციის 94-ე მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით და მისი შესრულება სავალდებულოა ყველასათვის; რომ კანონის „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ მიღებისას სახელმწიფო დავალიანებაზე საურავი ერიცხებოდა 0,5%-ის ოდენობით; და 0,2%-ის შემოღება ვერ გააუარესებს საწარმოს მდგომარეობას.

შპს „მეგაკომი“-ს მიერ რაიონულ სასამართლოში წარდგენილი იქნა განცხადება-სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტების და დამატების შესახებ, სადაც მითითებულია, რომ სარჩელში მოყვანილი არგუმენტები ქონების გადასახადის საკითხთან დაკავშირებით მოითხოვს დაზუსტებას, კერძოდ, გარდა მისი უსაფუძვლობისა, თანახმად „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ კანონისა, მისი დარიცხვა მოკლებულია რაიმე სამართლებრივ საფუძველს, კერძოდ, შემოწმების აქტში თანხების დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს შპს „მეგაკომი“-ს მიერ სხვადასხვა სახის უძრავ ქონებაზე გაფორმებული 19 საიჯარო ხელშეკრულება. აქტის მიხედვით დაბეგერის ობიექტი უნდა იყოს მხოლოდ უძრავი და არა მოძრავი ქონება, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ საიჯარო ხელშეკრულების ობიექტები არასწორად არის მიკუთვნებული უძრავ ქონებასთან, კერძოდ, ანძა /კავშირგაბმულობის მოწყობილობა/ ვინაიდან ანძა სამართლებრივი თვალსაზრისით ცალსახად განეკუთვნება მოძრავი ნივთის კატეგორიას და მის მიმართ არ უნდა გაერცყლდეს საგადასახადო კოდექსის 165-ე მუხლით განსაზღვრული პირობები:

მოსარჩელემ აესევე მიუთითა, რომ შემოწმების აქტით დარიცხული თანხა უძრავი ქონების გადაცემისათვის გამოანგარიშებულია არასწორად, დისკონტირების გარეშე. /იხ.ს.ფ. 60-63/.

საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტმა დაზუსტებულ სარჩელზე წარმოდგენილ შეპასუხებაში არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება ანძის მოძრავ ნივთთან მიკუთვნების თაობაზე, ვინაიდან იგი მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და ის არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის. /იხ.ს.ფ. 83-84/, ხოლო მოსაზრებაზე თანხის დაანგარიშების თაობაზე /დისკონტირების კოეფიციენტის გამოყენებით/ მოპასუხებ მიუთითა, რომ გადაანგარიშება უნდა მოხდეს დამატებითი შესწავლის შემდეგ.

2000 წლის 10 აპრილის აქტით მსხვილ გადამხდელთა ინსპექციამ შესწორება და დაზუსტება მოახდინა შპს „მეგაკომი“-ს უძრავი ქონების გადაცემის გადასახადისა, რომ 1999 წლის 1 სექტემბრის შემოწმების აქტის საფუძველზე საწარმოს უძრავი ქონების გადაცემას გადასახადში

დაერიცხა 124476 ლარი, დაშვებული იქნა უზუსტობა და დაზუსტების შედეგად, საწარმოს ერიცხება 11 989 ლარი. /იხ.ს.ფ. 80/.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ 2000 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „მეგაკომი“-ს სარჩელი არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო, მასვე დააკისრა სახელმწიფო ბაჟის გადახდა 2 689 ლარის ოდენობით, რაც სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად: „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ კანონი არ ეხება მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლის შემთხვევებს; რადგან კანონის 9.1 მუხლით განსაზღვრული გარანტიები გამოიყენებოდა მხოლოდ ინვესტიციების შესახებ კანონმდებლობაში უცხოური ინვესტიციების დაცვის პირობების შეცვლის ან მისი გაუქმების შემთხვევაში და ასევე კანონმდებლობას არა აქვს უკუქცევითი ძალა 5 წლის მანძილზე, ე.ი. უცხოური ინვესტიციების კანონმდებლობაში არ უნდა მოხდეს უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოების მდგომარეობის გაუარესება.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ კავშირგაბმულობის ანძები სწორად არის აქტით ჩათვლილი უძრავ ნივთად და სწორად არის დარიცხული გადასახადი, არ გაიზიარა მოსარჩელის არგუმენტაცია, ვინაიდან მათი ლოგიკით შენობები და ხეებიც შეიძლება ვალიაოთ მოძრავ ნივთად, რამეთუ პრაქტიკაში არის ცალკეული შემთხვევები შენობები გადაადგილების, დაშლის და სხვაგან აწყობის, ასევე ხეების ამოღებისა და სხვა ადგილზე გადარგვის.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გადასახადების დარიცხვით არ დარღვეულა კონსტიტუციის 21-ე მუხლი, რამეთუ მესაკუთრის ქონებაში კონსტიტუციის აღნიშნული მუხლის ძალით იგულისხმება კანონით დაწესებული გადასახადების გაღების შემდეგ მესაკუთრის საკუთრებაში დარჩენილი ქონება, ე.ი. კანონით დაწესებული კუთვნილი გადასახადები არ წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის საკუთრებას.

სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოსარჩელის მიერ სხდომაზე წარმოდგენილი 2000 წლის 10 აპრილის აქტი, ვინაიდან მას აკლია რეკვიზიტები და ბოლოს, თანხის გადასინჯვა შესაძლებელია საგადასახადო კოდექსის 256-ე მუხლით დადგენილი წესით, რის წინააღმდეგაც არ არის მოპასუხე.

აღნიშნული გადაწყვეტილება შპს „მეგაკომი“-ს სააპელაციო წესით გაასაჩივრა და მოითხოვა მითითებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება, რომლითაც დაკმაყოფილდება მათი სარჩელი, შემდეგი მოტივით: რომ სასამართლოს გადაწყვეტილება არ



არის საკმაოდ დასაბუთებული, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ 1995 წლის 30 ივნისის კანონის „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ 21-ე მუხლი ეხება დამატებით ხელშეწყობის პირობებს და ამდენად 21.1 მუხლი წაითხულ უნდა იქნას, როგორც სახელმწიფოს გარანტია იმასთან მიმართებაში, რომ უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოები არ იქნებიან უარეს არათანაბარ მდგომარეობაში ადგილობრივ საწარმოებთან შედარებით.

აქელანტი თელის, რომ სახეზეა ინვესტორის მდგომარეობის გაუარესება, კანონით მას გადასახდელი გაუხდა კიდევ ერთი გადასახადი, საუბრობს რა ინვესტორის გათავისუფლებაზე მოგებისა და ქონების გადასახადისაგან პირველი ორი წლის განმავლობაში და მთ განახევრებაზე მომდევნო 4 წლის განმავლობაში „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ კანონი, ამ დროისათვის მოქმედ სპეციალურ საგადასახადო კანონებთან ერთად, საკუთარ თავზე იღებს საგადასახადო რეჟიმის ცალკეული საკითხების რეგულირებას და ბუნებრივია, მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც განსახორციელებელ ინვესტიციებს ეხება, „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის თანახმად მუხლი 5.3 „საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები ქმნიან საქართველოს კანონმდებლობას“, ხოლო საგადასახადო კოდექსის ძალაში შესვლა მოხდა პარლამენტის მიერ კანონის მიღების გზით, აღნიშნული აქელანტის აზრით საკმაო საფუძველია იმის სამტკიცებლად, რომ რეალურად ადგილი ჰქონდა და აქვს შპს „მეგაკომთან“ მიმართებაში ინვესტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების პირობების გაუარესებას, რამაც იწარმოა სწორედ ქვეყნის კანონმდებლობაში პირობების შეცვლით.

აქელანტი, ასევე არ იზიარებს სასამართლოს განმარტებას, რომ კავშირგაბმულობის ანძები განეკუთვნება უძრავ ქონებას და მართებულად არის მიჩნეული დაბეგერის ობიექტად. აქელანტი თელის, რომ ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნას სამოქალაქო კოდექსის 149-ე და 150-ე მუხლები, იმის გათვალისწინებით, რომ კავშირგაბმულობის ანძების გამოცალკევება შესაძლებელია ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე, შესაბამისად ისინი არ უნდა მივაკუთვნოთ ნივთის არსებით შემადგენელი ნაწილის კატეგორიას, ასევე მიაჩნია, რომ კავშირგაბმულობის ანძები შეიძლება იყვნენ ცალკე უფლების ობიექტები და თელის, რომ ისინი ცალსახად განეკუთვნებიან მოძრავი ნივთის კატეგორიას.

აქლანტის აზრით, სასამართლომ არასწორად გამოიანგარიშა გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, რომელიც მოითხოვს კორექტირებას.

საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა წარმოდგენილ შესაგებელში არ ცნო სააქლაციო საჩივარი და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა უსაფუძვლობის გამო, ვინაიდან თელის, რომ უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონის 9.1 მუხლით განსაზღვრული ვარანტიები გამოიყენებოდა მხოლოდ უცხოური ინვესტიციების შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში უცხოური ინვესტიციების დაცვის პირობების შეცვლის ან მისი გაუარესების შემთხვევაში და არა საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლის შემთხვევაში, ასევე, უსაფუძვლოდ მიაჩნია მოსარჩელის პრეტენზია საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლით დაწესებული საურავის 0,1%-ის 0,2%-ით შეცვლის თაობაზე, ვინაიდან „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ კანონის მიღებისას ვადაგასულ დავალიანებაზე საურავი ერიცხებოდა 0,5%-ის ოდენობით, ამდენად, უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს მდგომარეობის გაუარესება გამოირიცხება; მიუღებლად მიიჩნევს შპს „მეგაკომი“-ს მოსაზრებას კავშირგაბმულობის ანძების მოძრავ ნივთთა კატეგორიას მიკუთვნების თაობაზე, ვინაიდან თელის, რომ სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლით განსაზღვრულია უძრავი ნივთის ცნება, რაც განსაზღვრავს შენობა-ნაგებობების მყარ კავშირზე მიწასთან და არ იზიარებს მოსარჩელის მსჯელობას იმის შესახებ, რომ ანძების დაშლა და გადატანა შეიძლება სხვა ადგილზე, რადგან ასეთი მიდგომით შენობებიც შეიძლება დაიშალოს და სხვაგან იქნას აწყობილი ან სპეციალური დანადგარებით გადაადგილებული.

მხარეებმა სააქლაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე აღნიშნეს, რომ 2000 წლის 10 აპრილის აქტით დაზუსტებულ იქნა შპს „მეგაკომი“ 1999 წლის 1 სექტემბრის შემოწმების აქტით დარიცხული გადასახადები და დაზუსტების შემდეგ საწარმოს ერიცხება ძირითადი 7 620 ლარი, სანქცია 1905 ლარი და საურავი ვადაგადაცილებულ დღეებზე—2645 ლარი, სულ —11 989 ლარი.

სააქლაციო სასამართლო საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების გაანალიზების და საქმის სასამართლო განხილვით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ: შპს „მეგაკომი“-ს სააქლაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება

და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ უნდა იქნას ახალი გადაწყვეტილება, შპს „მეგაკომ“-ს სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ბათილად იქნას ცნობილი საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მსხვილ გადახდელთა ინსპექციის 1999 წლის 1 სექტემბრის აქტი /2000 წლის 10 აპრილს აქტის შესწორების გათვალისწინებით/ ქონების გადაცემის გადასახადის ნაწილში და ნაცვლად დაკისრებული 11 989 ლარისა, შპს „მეგაკომს“ უნდა დაეკისროს ბიუჯეტის სასარგებლოდ 9328 ლარის გადახდა, ხოლო შპს „მეგაკომ“-ს სარჩელის მოთხოვნა საურავის 0,1%-ის ოდენობით გადაანგარიშების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდის გამო.

სააპელაციო სასამართლო იზიარებს რაიონული სასამართლოს მსჯელობას შემდეგზე, რომ „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ კანონით დადგენილი გარანტიები გამოიყენებოდა მხოლოდ ინვესტიციების შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში უცხოური ინვესტიციების დაცვის პირობების შეცვლის ან მისი გაუარესების შემთხვევაში და ასეთ კანონმდებლობას არა აქვს უკუქცევითი ძალა 5 წლის მანძილზე, რომ აღნიშნული კანონი არ ეხება საქართველოში მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლის შემთხვევებს; იუნიციტიდან, სააპელაციო სასამართლო თელის, რომ 1995 წლის 30 ივნისის კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკაში უცხოური ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ რეჟიმსა და გარანტიებს; კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული იქნა გარანტიები კანონმდებლობის შეცვლის შემთხვევაში, რომლის პირველი პუნქტით, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობაში უცხოური ინვესტიციების შესახებ უცხოური ინვესტიციების დაცვის პირობები შეიცვლება და იგი გააუარესებს უკვე განხორციელებული ინვესტიციის პირობებს, ასეთ საკანონმდებლო აქტს არა აქვს უკუქცევითი ძალა ამგვარი ინვესტიციებისათვის 5 წლის მანძილზე აქტის მიღების მომენტიდან; აღნიშნული ნორმა პირდაპირ უთითებს, რომ უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონმდებლობაში უცხოური ინვესტიციების დაცვის პირობების შეცვლის შემთხვევაში, ასეთ საკანონმდებლო აქტს არა აქვს უკუქცევითი ძალა 5 წლის განმავლობაში, ანუ კანონით დადგენილი გარანტიები ვრცელდება მხოლოდ უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონმდებლობაში უცხოური ინვესტიციების დაცვის პირობების გაუარესების შემთხვევებში და არა ზოგადად, საკანონმდებლო ცვლილებების დროს, კერძოდ, საგადასახადო

კანონმდებლობის შეცვლის შემთხვევებში, მით უფრო რომ „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ კანონის 21.1. მუხლით განსაზღვრულია, რომ უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოები იხდიან საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს, ამ მუხლში მოცემული შეღავათების გათვალისწინებით, შესაბამისად, 21.3–21.19 მუხლში ამომწურავადაა მოცემული ამგვარი საწარმოთათვის დადგენილი შეღავათები.

სააპელაციო სასამართლო თვლის, რომ ამ შემთხვევაში რაიონულმა სასამართლომ სწორად განმარტა კანონი და ამ ნაწილში მართებულად მიიჩნია სარჩელი უსაფუძვლოდ. შესაბამისად, უსაფუძვლოდ მიიჩნია მოთხოვნა საურავის 0,1%-ის ოდენობით გამომწერის შემთხვევის თაობაზე.

*სასამართლო კოლეგია ვერ დაეთანხმება რაიონული სასამართლოს მსჯელობას შემდეგზე, რომ კავშირგაბმულობის ანძები წარმოადგენს უძრავ ნივთს და რომ მასზე სწორად არის დარიცხული ქონების გადაცემის გადასახადი, შემდეგ გარემოებათა გამო:*

სამოქალაქო კოდექსის მხოლოდ უძრავი ნივთის ცნებას იძლევა /მუხლი 149/ აღნიშნულის გამო, მოძრავად უნდა ჩაითვალოს ყველა ის ნივთი, რომელიც არ ითვლება უძრავად. სასამართლო კოლეგია თვლის, რომ გაზიარებულ უნდა იქნას მოსარჩელის მოსაზრება კავშირგაბმულობის ანძების მოძრავ ნივთთა კატეგორიას მიკუთვნების თაობაზე, რომ აღნიშნულზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის 150 მუხლიც, რომელიც იძლევა მყარი კავშირის დეფინიციას, მითითებული ნორმის თანახმად ნივთის არსებითი შემადგენელია ნაწილია ის, რისი გამოცალკევებაც შეუძლებელია ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების, ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე. არსებითი შემადგენელი ნაწილის იურიდიული ბედი სრულადაა დაკავშირებული ნივთთან და იგი არ შეიძლება იყოს ცალკე უფლების ობიექტი, ამასთან არ შეიძლება მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილად ჩაითვალოს ნივთები, რომლებიც მიწასთან დაკავშირებულია დროებით სარგებლობისათვის, გარდამავალი მიზნებისათვის, ასეთი შეიძლება იყოს, როგორც მყარი, ისე არამყარი კავშირის მქონე ნივთები, აღნიშნული ნორმის განმარტების შედეგად. კოლეგია თვლის, რომ ის, რაც არ წარმოადგენს არსებით შემადგენელ ნაწილს, მასზე უნდა გავრცელდეს მოძრავი ნივთის რეჟიმი.

გარდა აღნიშნულისა, კავშირგაბმულობის ანძა წარმოადგენს ლითონკონსტრუქციისგან დამზადებულ ნაგებობას, რომლის დაშლა ან სხვა ადგილზე გადატანა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, წინააღმდეგ

შემთხვევაში, თვით განათების ბოძიც კი უძრავ ნივთთა კატეგორიას უნდა მიეკუთვნოთ.

აღნიშნულის გამო, სააპელაციო სასამართლოს მიანჩნა, რომ შპს „მეგაკომი“-ს სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ: ბათილად უნდა იქნას ცნობილი საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 1999 წლის I სექტემბრის აქტი /2000 წლის 10 აპრილის შესწორების გათვალისწინებით/ ქონების გადაცემის გადასახადის ნაწილში და ნაკვლად, დაკისრებული 11 989 ლარისა შპს „მეგაკომს“ უნდა დაეკისროს ბიუჯეტის სასარგებლოდ 9328 ლარის გადახდა.

სასამართლო კოლეგია თვლის, რომ შპს „მეგაკომს“ გადახდილად უნდა ჩაეთვალოს რაიონულ და სააპელაციო სასამართლოებში წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 2180 ლარი და მასვე დაეკისროს დამატებით 1167 ლარის გადახდა შემდეგი ანგარიშსწორების ანგარიშებიდან; „თბილუნეერსალბანკი“ ა/ა 000467983; „თბილკომბანკი“ ა/ა 46701001; ბანკი „აბსოლუტი“ ა/ა 05830; ბანკი „ქართუ“ ა/ა 000467121; „საქართველოს ბანკის“ მთაწმინდის ფილიალი ა/ა 902467644 და ჩაირიცხოს თანხის 70% საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი ეროვნული ბანკი კოდი 220101107 ანვარიში 000141107.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის I, II, მე-12, 32-ე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 38-ე, 39-ე, 53-ე, 257-ე, 372-ე, 386-ე, 389-ე, 391-ე, 395-, 397-ე მუხლებით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. შპს „მეგაკომი“-ს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.

3. შპს „მეგაკომი“-ს სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ: ბათილად იქნას ცნობილი საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 1999 წლის სექტემბრის აქტი /2000 წლის 10 აპრილის აქტის შესწორების გათვალისწინებით/ ქონების

გადაცემის გადასახადის ნაწილში და ნაცვლად დაეისრებული 11 989 ლარისა შპს „მეგაკომს“ დაეისროს ბიუჯეტის სასარგებლოდ 9 328 ლარის გადახდა.

4. შპს „მეგაკომ“-ს სარჩელის მოთხოვნა საურაეის 0,1%-ის ოდენობით გამოანგარიშების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდ გამო.

5. შპს „მეგაკომს“ გადახდილდ ჩათვალოს რაიონულ და სააპელაციო სასამართლოებში წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 2 180 ლარი და მასვე დაეისროს დამატებით 1 167 ლარის გადახდა შემდეგი ანგარიშსწორების ანგარიშებიდან: „თბილუნევერსალბანკი“ ა/ა 000 467 983; „თბილკომბანკი“ ა/ა 46701001; ბანკი „აბსოლუტი“ ა/ა 05830; ბანკი „ქართუ“ ა/ა 902 467 644 და ჩაირიცხოს თანხის 70% საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი, ეროვნული ბანკი კოდი 220101107 ანგარიში 000141107.

6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში მდებარე, თბილისში, ძმები ზუბალაშვილების ქ.№32, გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საოლქო სასამართლოს მეშვეობით.

თავმჯდომარე

მოსამართლეები:

PS -აუტორთა მოსახრება-საოლქო სასამართლოს პალატამ სატელევიზიო ანძის ნაწილის იჯარით აღება არ ჩათვალა უძრავი ნივთის გადაცემად და მიღებული გადაწყვეტილებით მოსარჩელეს არ დაეისრა გადასახადი ქონების გადაცემისათვის, რაც საგადასახადო დეპარტამენტმა არასწორად მიიჩნია და მიღებული გადაწყვეტილება კასაციის წესით გასაჩივრებული იქნა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2001 წლის 14 აგვისტოს განიხილა საკასაციო საჩივარი და მიღებული გადაწყვეტილებით საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და საქმე ჩელაჩალი განიხილისათვის დაუბრუნა თბილისის საოლქო სასამართლოს. საქმე №3კ/ად-56-კ-01.

მასალების მომზადების დროსათვის საქმის ხელახალი განხილვა არ შემდგარა.  
აღნიშნულის შესახებ მასალები მეორე ნაწილში იქნება განხილული.

## დავა ქონების გადაცემის გადასახადით დაბეგვრის თაობაზე

შპს „მეგაკომი“-ს სარჩელი სატელევიზიო ანძის მონაკვეთის იჯარით აღებისას უძრავი ქონების გადაცემის გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებით.

უძრავი ქონების გადაცემის გადასახადი განსაზღვრულია საგადასახადო კოდექსის 164, 165, 166, 167, 168, 169-ე მუხლებით და იხდის ქონების მიმღები.  
გავეცნოთ სასამართლო პრაქტიკას.

საქმე №2/796 ფორმა №

## თბილისის კრწანისი-მთაწმინდის სასამართლო გ ა დ ა ვ ა ტ ი ლ ე ბ ა ა მ ო ნ ა წ ე რ ი

11 აპრილი 2000წ. ქ.თბილისი

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის სასამართლომ

მოსამართლე

სხდომის მდივანი

განვიხილოთ მოსარჩელე შპს „მეგაკომი“-ს წარმომადგენლების, მოპასუხეების: საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის წარმომადგენლების, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის წარმომადგერლის მონაწილეობით განვიხილოთ მოსარჩელე შპს „მეგაკომი“-ს სარჩელი მოპასუხეებთან საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტთან და მსხვილ გადამხდელთა ინსპექციასთან, საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 1999 წლის 1 სექტემბრის აქტის ქონების გადაცემის გადასახადის ნაწილში ბათილად ცნობისა, საურავის 0,1%-ის ოდენობით დარიცხვის გამოყენებისა და საბოლოოდ ბიუჯეტის სასარგებლოდ 14678 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ.

### გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე:

მოსარჩელე შპს „მეგაკომმა“ 2000 წლის 14 თებერვალს აღძრა სარჩელი კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში, სადაც მიუთითებს, რომ საქართველოს მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 1999 წლის 10 აგვისტოს №241 ბრძანების საფუძველზე შემოწმებული იქნა შპს „მეგაკომში“ ბიუჯეტთან ანგარიშწორების საკითხის სისწორე, რომელიც მოიტყდა 1997 წლის 1 ოქტომბრიდან 1999 წლის 1 ივლისამდე პერიოდს. შემოწმების შედეგად მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის აქტით შპს „მეგაკომს“ გადასახდელად დარიცხა 149900 (ასორმოცდაცხრა ათას ცხრაასი) ლარი. დადგენილი წესით აღნიშნული აქტი მათ მიერ გასანიუერებულ იქნა სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტში, მაგრამ საჩივარი არ იქნა დაკმაყოფილებული. მოსარჩელე შპს „მეგაკომი“-ს წარმომადგენლებმა სასამართლო სხდომაზე განმარტეს, რომ შპს „მეგაკომი“ არის უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო. საქართველოს საგადასახადო კოდექსის X კარით, შექმნილი იქნა მანამდე არარსებული გადასახადი ქონების გადაცემისათვის. ასევე ამავე კოდექსის IX კარის „გადასახადების აღმნიშვნელობის წესები“ 252-ე მუხლით „საურავი ვადაგადასულ საგადასახადო გადასახადებზე შემოღებული საურავის 0,1% შეიცვალა 0,2%-ით, რასაც ვააუარესა შპს „მეგაკომი“-ს როგორც უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს მდგომარეობა. რაც „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტის შესაბამისად არ უნდა გაერცილებულიყო შპს „მეგაკომზე“ 5 წლის მანძილზე მათი მიღების დღიდან.



მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის აქტივ შვილათა შპს „მეგაკომი“-ს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული მისი როგორც მესაკუთრის ინტერესები.

სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტებისა და დამატების შესახებ წარმოდგენილ განცხადებაში შპს „მეგაკომი“ აცხადებს, რომ საიჯარო ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ნაწილი შეესება კავშირგაბმულობის ანძებს, რომელთა გადატანა და განკარგვა შესაძლებელია მათი მნიშვნელოვანი დაზიანების გარეშე. შემდგომში დანიშნულებით გამოყენების მიზნით და აცხადებს, რომ იგი განეკუთვნება მოძრავი ნივთის კატეგორიას, რის გამოც იგი არ შეიძლება წარმოადგენდეს დაბეგვრის ობიექტს. ამასთან უძრავი ქონების გადაცემისათვის შემოწმების აქტად დარიცხული გადასახადის თანხა გამოანგარიშებულია არასწორად, დისკონტირების კოეფიციენტის გამოყენების გარეშე, რაზეც მოწმობს 2000 წლის 10 აპრილის აქტი.

მოპასუხე საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა არ ცნეს სარჩელი და განმარტეს, რომ სარჩელის მტკიცება იმის შესახებ, რომ ქონების გადაცემისათვის შემოღებული გადასახადი აუარესებს შპს „მეგაკომი“-ს მდგომარეობას, უსაფუძვლოა, რადგან „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ კანონს მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით განსაზღვრული გარანტიები გამოიყენებოდა მხოლოდ უცხოური ინვესტიციების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით უცხოური ინვესტიციების დაცვის პირობების შეცვლის ან მისი გაუარესების შემთხვევაში და არა საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლისას. ვადაგადასულ საგადასახადო დავალიანებებზე საურავი 0,1%-ის 0,2%-ით შეცვლის მიუღებლობაც უსაფუძვლოა, რადგან „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღების დროს საურავი ირიცხებოდა 0,5%-ის ოდენობით.

მოპასუხე საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის წარმომადგენლების განმარტებით მიუღებელია კავშირგაბმულობის ანძების მოძრავ ნივთთა კატეგორიას მიეკუთვნება, ხოლო რაც შეეხება უძრავი ქონების გადაცემისათვის შემოწმებების აქტით დარიცხული გადასახადის თანხის დისკონტირების კოეფიციენტის გარეშე გამოანგარიშება, ანუ გამოყვანილი თანხის გამოანგარიშება შესაძლებელია ერთობლივად, მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის წარმომადგენლებთან ერთად. რაც შესაძლებელია გასწორდეს საკითხის დამატებით გადამოწმების შემდეგ სასამართლოს გარეშე.

თანამოპასუხე საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის წარმომადგენელმა არ სცნო სარჩელი და განმარტა, რომ საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული დაბეგერის რეჟიმი და მისი ხელშემწყობი პირობები, რეგულირდება საგადასახადო კანონმდებლობით. იგი დაეთანხმა საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის წარმომადგენლების განცხადებებსა და მოსაზრებებს, აღნიშნულ საკითხსა და კავშირგაბმულობის ანძების უძრავ ნივთებთან მიკუთვნების საკითხში, ხოლო რაც შეეხება შპს „მეგაკომის“ მიერ სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილ მიმდინარე წლის 10 აპრილით დათარიღებულ უძრავი ქონების გადაცემის გადასახადის დაზუსტების შესახებ აქტთან დაკავშირებით განმარტა, რომ აქტის არსებობის შესახებ მან გაიგო მხოლოდ სასამართლო სხდომაზე, რის გამოც სისწორეზე პასუხს ვერ აგებს და ამდენად მას ვერ გაიზიარებს თუმცა არ გამორიცხავს უძრავი ქონების გადაცემისათვის გადასახადის თანხის კორექტირებას.

*მოვისმინე რა მზარეთა ახსნა-განმარტებანი გამოვიკვლიე საქმეში არსებული მტკიცებულობანი; მათი გაანალიზების შემდეგ მივედი იმ დასკვნამდე, რომ სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:*

მოსარჩელის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქართველოს პარლამენტის №768 კანონით დამტკიცებული „საგადასახადო კოდექსის“ X კარით „გადასახადი ქონების გადაცემისათვის“ შემოღებულია მანამდე მოქმედ კანონმდებლობაში არარსებული გადასახადი ქონების გადაცემისათვის, რაც თითქოს არ შეიძლება გავრცელდეს შპს „მეგაკომზე“ როგორც უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოზე, რის საფუძველზეც იშველიებს „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1995 წლის 30 ივნისის კანონის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით განსაზღვრულ გარანტიებს, რის გამოც თვლის რომ ახლად შემოღებული გადასახადი საურავის გაზრდილი საპროცენტო განაკვეთი ცალსახად აუარესებს შპს „მეგაკომი“-ს როგორც უცხოური ინვესტიციით შექმნილი საწარმოს მდგომარეობას და რომ აღნიშნული ვეჯილირებები არ შეიძლება გავრცელდეს შპს „მეგაკომზე“ 5 /ხუთი/ წლის მანძილზე მათი მიღების მომენტიდან სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს 1995 წლის 30 ივნისის კანონის 2.1.1 მუხლით ნათლად არის

განსაზღვრული. რომ უცხოურ ინვესტიციებით შექმნილი საწარმოები იხდიან საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს და მათზე, როგორც უცხოურ ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებზე იმავე მუხლით გავრცელებულია შესაბამისი შეღავათები. რაც „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 12 ოქტომბრის კანონის მ-13 მუხლის შესაბამისად შენარჩუნებული იქნა საქმიანობის იმ სფეროში, რომელზეც გაცემულია უცხოური ინვესტიციის ლიცენზია.

რაც შეეხება „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს 1995 წლის 30 ივნისის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით განმსაზღვრელ გარანტიებს, იგი გამოიყენებოდა მხოლოდ ინვესტიციების შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში უცხოური ინვესტიციების დაცვის პირობების შეცვლის ან მისი გაუარესების შემთხვევაში და ასევე კანონმდებლობას არ აქვს უკუქცევითი ძალა 5 'ხუთი' წლის მანძილზე. ე.ი. უცხოური ინვესტიციების შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში არ უნდა მოხდეს უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოების მდგომარეობის გაუარესება. ეს კანონი არ ეხება საქართველოს მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლის შემთხვევებს.

ამდენად, მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქონების გადაცემისათვის გადასახადის შემოღება აუარესებს შპს „მეგაკომი“-ს მდგომარეობას, საფუძველს მოკლებულია. სასამართლოს არასწორად მიაჩნია მოსარჩელის მოსაზრება იმ ნაწილში, რომ თითქოს საქართველოს მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის 1999 წლის 1 სექტემბრის აქტით არასწორად აქვს შპს „მეგაკომს“ დარიცხული „გადასახადი ქონების გადაცემისათვის“ ვინაიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-VII კარის 26, 27, და 28-ე თავები არეგულირებენ გადასახადს უძრავი ქონების გადაცემისათვის. ხოლო აქტით კავშირგაბმულობის ანძები არასწორად არის მიკუთვნებული უძრავ ქონებას.

შპს „მეგაკომი“-ს წარმომადგენელთა მსჯელობის ლოგიკით იმის შესახებ, რომ ანძების დაშლა და გადატანა შეიძლება სხვა ადვილზე და ამიტომ ისინი მოძრავ ნივთად უნდა ჩათვალოს. შეიძლება შენობები და ხეებიც ვალიაროთ ნივთად, რაზე თუ პრაქტიკაში არის ცალკეული შემთხვევები შენობების გაადგილების, დაშლის და სხვაგან აწეობის, ასევე ხეების ამოღებისა და სხვა ადვილზე გადარევისა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლის შესაბამისად უძრავ ნივთს მიეკუთვნება შენობა-ნაგებობანი, რაც მკარად დგას მიწაზე.

მიწასთან მყარ კავშირად მოიხსენიება ისეთი კავშირი, როცა მიწის ნაკვეთიდან ნივთის მოცილება მოითხოვს დიდ ენერგიას და დანახარჯს, ან იწვევს უთანაზომო დაზიანებას.

ამდენად, მიმართა, რომ კავშირგაბმულობის ანძები სწორად არის ჩათვლილი აქტით უპრავ ნივთად და მასზე სწორად არის დარიცხული ქონების გადაცემის გადასახადი.

ასევე სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის პოზიციას ვადაგადასულ საგადასახადო გადასახადებზე საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლით დაწესებული საურავი 0,1%-დან 0,2%-ზე გაზრდით შპს „მეგაკომი“-ს მდგომარეობის უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევით გაუარსების შესახებ. ვინაიდან როგორც ზემოთ აღინიშნა ამ კანონის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტი იძლევა გარანტიებს მხოლოდ ამ კანონში ცვლილებების დროს და მას საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებებთან არაერთი კავშირი არა აქვს. თუმცა ხსენებული კანონის მიღებისას ვადაგადასულ გადასახადებზე საურავი დაწესებული იყო 0,5% და ამდენად ფაქტიურად შპს „მეგაკომი“-ს ინტერესებიც არ შელახულა, პირიქით გაუმჯობესდა.

უცხოური ინვესტიციების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 8.3 პუნქტით განსაზღვრულია, რომ „საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობა გამოიყენება ყველა უცხოური ინვესტორის, მათ შორის უცხოურ ინვესტიციებით შექმნილი საწარმოს მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე“.

კონკრეტულ შემთხვევაში სადაო აქტით არავითარი დისკრიმინაციას არა აქვს ადგილი შპს „მეგაკომი“-ს მიმართ, ვინაიდან მის მიმართ გამოყენებულია გადასახადების ის სახეები, რომელიც დაწესებულია საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის მოთხოვნების გათვალისწინებით და შესაბამისად მისი შესრულება სავალდებულოა ყველასათვის და მათ შორის შპს „მეგაკომი“-სათვის.

სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მიერ შედგენილი აქტით ილაზება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცული მისი როგორც მესაკუთრის ინტერესები, რომლის თანახმადაც საკუთრება ხელშეუხებელია.

სასამართლო თვლის, რომ მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადების შპს „მეგაკომზე“ დარიცხვით არ დარღვეულა საქართველოს კონსტიტუციის

21-ე მუხლი, რამეთუ მესაკუთრის ქონებაში კონსტიტუციის აღნიშნული მუხლის ძალით იგულისხმება კანონით დაწესებული გადასახადების გადახდის შემდეგ მესაკუთრის საკუთრებაში დარჩენილი ქონება, ე.ი. კანონით დაწესებული კუთვნილი გადასახადები არ წარმოადგენს გადასახადის გადამხდელის საკუთრებას.

რაც შეეხება მოსარჩელის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ უკრაინა ქონების გადაცემისათვის შემოწმების აქტით დარიცხული გადასახადის თანხა გამოანგარიშებულია არასწორად დისკონსტირების კოეფიციენტის გამოყენების გარეშე, არც თითქოს დასტურდება სასამართლო სხდომაზე მათ მიერ აწრმოადგენილი 2000 წლის 10 აპრილით დათარიღებული აქტით, მიმანია, რომ მოცემული აქტი არ შეიძლება მიღებული და გაზიარებული იქნას, ვინაიდან მას აკლია რეკვიზიტები, კერძოდ, არ არის მინიჭებული მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის უფროსის ბრძანების ნომერი, 1999 წლის 1 სექტემბრის აქტიდან ირკვევა, რომ შემოწმებას აწარმოებდა მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის ორი წარმომადგენელი, ხოლო ახლად წარმოდგენილ აქტის შესაბამისი გადამოწმებას აწარმოებდა ერთი წარმომადგენელი და ბოლოს დარიცხული გადასახადის თანხის გადასინჯვა შესაძლებელია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 256-ე მუხლით დადგენილი წესით, რის წინააღმდეგეც არ არის მოპასუხე მხარე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვიხელმძღვანელებ რა საქართველოს სსკ-ის 243, 144, 247, 249, 364-369 მუხლებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1, 2 და მე-5 მუხლებით

### გ ა ლ ა ვ წ ყ ე ი ტ ე

1. მოსარჩელე შპს „მეგაკომი“-ს სარჩელს მოპასუხებებთან საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტთან და მსხვილ გადამხდელთა ინსპექციასთან მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობისა, საურავი 0,1%-ის ოდენობით დარიცხვის გამოყენებისა და საბოლოოდ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 14 678 (თოთხმეტი ათას ექვსასსამოცდათერამეტი) ლარის გადახდის დაკისრების შესახებ ეთქვას უარი უსაფუძვლობის გამო.

2. დაეკისროს შპს „მეგაკომს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ბაჟის 2 689 (ორი ათას ექვსასოთხმეცდაცხრა) ლარის გადახდა.

3. გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საოლქო სასამართლოში ერთი თვის ვადაში კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მეშვეობით გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტიდან.

მოსამართლე

მდივანი

PS - ავტორთა შოსაზრება—კრწანისი-მთაწმინდის სასამართლომ საქმე არსებითად შეისწავლა და მიიღო კანონიერი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „მეგაკომს“ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა.

მიღებული გადაწყვეტილება მოსარჩელემ არასწორად ჩათვალა და აპელაციის წესით გაასაჩივრა ქ.თბილისის საოლქო სასამართლოში. გაეცნოთ საოლქო სასამართლოს 2001 წლის 18 ივნისის გადაწყვეტილებას. საქმე №3ბ/325-2001წ.

## თავი V

### საკონსტიტუციო დავა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ (1996 წლის 31 იანვარი) კანონის მიღებამ და საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბებამ, რომელიც წარმოადგენს საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოს, უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის კონსტიტუციური უფლებისა და თავისუფლების დაცვას.

საკონსტიტუციო დავა საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის

მე-3 ნაწილის ვ) ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე,

# სოციალური გადასახადებით დაბეგვრასთან დაკავშირებით. ნოტარიუსთა პალატის წარმომადგენელთა დავა

დავის ძირითად არგუმენტად მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ ნოტარიუსი სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, რაც გამოიხატება სამართლებრივი ურთიერთობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტურებით და მისი მიზანი არ არის მოგების მიღება. ამდენად ის არ განეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას და მასზე არ უნდა ვრცელდებოდეს 1997 წლის საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის „არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას განეკუთვნება“ „ე“ ქვეპუნქტი „ფიზიკური პირის საქმიანობა, რომელიც დამოუკიდებლად ეწევა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას“ და აღნიშნულ პუნქტს არაკონსტიტუციურად მიიჩნევენ, თითქოსდა ეს მუხლი წინააღმდეგობაში შოდის საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მოთხოვნებთან.

იმავდროულად ვერ ითაყისებენ „ნოტარიუსის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილს, კერძოდ „ნოტარიუსის შემოსავალს სამსახურებრივი საქმიანობისაგან შეადგენს თანხა, რომელიც ნოტარიუსს რჩება სანოტარო ბიუროს შენახვის ხარჯების, კანონით დადგენილი გადასახადებისა და ნოტარიუსის სამსახურებრივი საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა სავალდებულო გადასახადის შემდეგ იმ თანხიდან, რომელიც ნოტარიუსმა მიიღო საზღაურის სახით. ნოტარიუსის შემოსავალს აგრეთვე შეიძლება შეადგენდეს სხვა ფინანსური შენატანები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას“. აღნიშნულიდან გამომდინარე ეკონომიკური მიზანმიმართულებისა და შედეგების მიხედვით ნოტარიუსთა საქმიანობა განეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას და ის იბეგრება საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

გავეცნოთ სასამართლო პრაქტიკას.

**საქართველოს სახელმწიფო  
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო**

**პირველი კოლეგია**

**ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

# ა ე ო ნ ა ო შ ი რ ი

№1/1/107 თბილისი, 2000 წლის 25 იანვარი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ

თავმჯდომარე

მოსამართლეები:

სხდომის მდივანი

ამავე სასამართლოს ღია სხდომაზე მოსარჩელების – ლელა ინწყარველისა და ეკატერინე ჩაჩანიძის, მოსარჩელეთა წარმომადგენლის, მოპასუხის საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის, საქართველოს პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის, მოწმეების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ნოტარიუსის განყოფილების უფროსის, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარის, საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის საჩივრებისა და პროტესტების დეპარტამენტის და საგადასახადო პოლიტიკისა და გადამხდელთა დაბეგრის დეპარტამენტის, სპეციალისტის–საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის მონაწილეობით.

განიხილა საქმე – „მოქალაქეების საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

კონსტიტუციური სარჩელი შემოტანილია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის „ე“ პუნქტისა და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

დავის საგანია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით იმ ნაწილში, რომლითაც ფიზიკური პირის სანოტარო საქმიანობა არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას განეკუთვნება. მოსარჩელები ნოტარიუსები არიან, მაგრამ საქმის განხილვის დროისათვის დავის საგანს წარმოადგენდა ზოგადად საქართველოს საგადასახადო კოდექსის



მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობა. ასეთი სახით დავის საგანი, საგადასახადო კოდექსის ხსენებული ქვეპუნქტისა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, სანოტარო საქმიანობასთან ერთად მოიცავდა აგრეთვე ფიზიკური პირების სახელოვნებო, სამეცნიერო, სამედიცინო, არქიტექტურულ, საადვოკატო, სააუდიტო, საკონსულტაციო (მათ შორის საგადასახადო კონსულტანტთა), სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო საქმიანობის არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად მიჩნევის კონსტიტუციურობის საკითხს. ამ სფეროებში კი ნოტარიუსები უფლებამოსილ სუბიექტებად არ იქნენ მიჩნეული. ამიტომ მოსარჩელე მხარემ სასამართლო კოლეგიის წინადადებით დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლები. მოსარჩელეთა მოთხოვნა მხოლოდ სანოტარო საქმიანობის არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად მიჩნევის კონსტიტუციურობის განსაზღვრით შემოიფარგლა და დავას საგანიც საბოლოოდ ამის შესაბამისად ჩამოყალიბდა.

მოსარჩელეთა მიმართვა საკონსტიტუციო სასამართლოსადმი გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 1999 წლის 8 ივნისის კანონის შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით, არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად გამოცხადდა „ფიზიკური პირის საქმიანობა, რომელიც დამოუკიდებლად ეწევა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას“; ამის საფუძველზე კი არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად ჩათივალა, კერძოდ, ფიზიკური პირების სანოტარო საქმიანობა.

მოსარჩელეთა აზრით, სანოტარო საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობად მიჩნევა და, შესაბამისად, ნოტარიუსის დაბეგვრა ეკონომიკური საქმიანობისათვის დაწესებული გადასახადით ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ უფლებას. „ნოტარიუსის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტისა და მე-3 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების საფუძველზე მოსარჩელები თვლიან, რომ სანოტარო საქმიანობა განსხვავდება ეკონომიკური საქმიანობისაგან. ნოტარიატის, როგორც საჯარო-სამართლებრივი ინსტიტუტის მიზანია არა მოგების, შემოსავლის, კომპენსაციის მიღება, არამედ კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში და წესით სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების განხორციელება, რაც გამოიხატება სამართლებრივი ურთიერთობებისა და

იურიდიული ფაქტების დადასტურებით. სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების განხორციელება კი არ არის მეწარმეობა, მოგების მიღების წყარო. ევროპარლამენტის მიერ ნოტარიატის შესახებ მიღებული რეზოლუციის მიხედვითაც ნოტარიუსს ნაწილობრივ გადაცემული აქვს სახელმწიფოებრივი ძალაუფლება მასზე დაკისრებული საჯარო სამსახურის უზრუნველყოფის მიზნით. ნოტარიუსის საქმიანობა არ თავსდება ეკონომიკური საქმიანობის დეფინიციის, რომელიც მოცემულია საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველ პუნქტში. იგი არაეკონომიკურ საქმიანობად უნდა მიიჩნიოს. ასეთ ვითარებაში არაეკონომიკური საქმიანობის დაბეგვრა ეკონომიკური საქმიანობისათვის, საგადასახადო კოდექსის 209-ე მუხლით გათვალისწინებული გადასახადით, არაკონსტიტუციურია და ხელყოფს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ საკუთრების ხელშეუხებლობის უფლებას. სახელმწიფო არაა უფლებამოსილი თვითნებურად დაადგინოს დაბეგვრის რეჟიმი. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დაეუშვათ, რომ კონსტიტუცია სათანადოდ არ იცავს საკუთრების ხელშეუხებლობას სახელმწიფოს თვითნებობისაგან. კონსტიტუციის მე-7 მუხლის საფუძველზე სახელმწიფო, ხელისუფლების განხორციელებისას, შეზღუდულია ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით. ამიტომაცაა, რომ თუნდაც კანონის ფორმით დაკანონის ჩარჩოებში სახელმწიფოს მიერ დაბეგვრის რეჟიმის ნებისმიერად (თვითნებურად) დადგენის შესაძლებლობა ხელყოფს სამართლებრივი სახელმწიფოს შეზღუდვის აღნიშნულ პრინციპს. მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ დაბეგვრის რეჟიმი უნდა შეესაბამებოდეს გადასახადის გადამხდელის საქმიანობის არსს. სახელმწიფო ვალდებულია დაბეგვრის რეჟიმი განსაზღვროს მხოლოდ და მხოლოდ გადასახადის გადამხდელის საქმიანობის არსის შესაბამისად და სახელმწიფო შეზღუდულია ამ ვალდებულებით. გადასახადის გადამხდელის სამართლებრივი სტატუსი არის ატჯასახელმწიფოს თავისუფალი არჩევის შედეგი, არამედ განპირობებულია ობიექტური რეალობით – ამა თუ იმ სახის საქმიანობის არსით. სუბიექტის სტატუსი არსებობს გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან დამოუკიდებლად, რაც საგადასახადო კოდექსმა აპრიორად უნდა მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალად მოხდება საკუთრების ხელყოფა. ამას ადასტურებს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს 1990 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე – „დარბი შვეციის წინააღმდეგ“: სასამართლომ დაადგინა, რომ ლუთერანული ეკლესიის

არაწევრის დაბეგვრა ეკლესიის სასარგებლო გადასახადით ხელყოფს საკუთრების უფლებას, რომელიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის №1 ოქმის პირველი მუხლით. გადასახადის გადახდის შედეგად მცირდება საკუთრება. თუ გადასახადი უკანონოა, საკუთრება უკანონოდ შემცირდება. განსახილველ საქმესთან მიმართებით—თუ სანოტარო საქმიანობა არ არის ეკონომიკური საქმიანობა და ნოტარიუსი არ არის ეკონომიკური საქმიანობისათვის გადასახადის გადამხდელი, მაშინ ნოტარიუსის დაბეგვრა ასეთი გადასახადით ამცირებს ნოტარიუსის საკუთრებას 1%-ით. ცხადია, რომ ამ გადასახადით ხელყოფილია ნოტარიუსის საკუთრება. საკუთრების ხელყოფისათვის საკმარისია ის, რომ გადასახადი უკანონოა. ამ შემთხვევაში არსებითი არაა ამ ხელყოფის რაოდენობრივი მაჩვენებლები.

მოსარჩელები მოითხოვენ სანოტარო საქმიანობასთან მიმართებით საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობას და მის გაუქმებას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან წინააღმდეგობის მოტივით.

მოპასუხის — საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლის ზურაბ მარაქველიძის აზრით, სახელმწიფომ თავისი გარკვეული უფლებამოსილების დელეგირება მოახდინა ნოტარიუსზე, აღჭურვა ის სახელმწიფოებრივი უფლებამოსილებით. ამდენად, სახელმწიფოს სრული უფლება აქვს ნოტარიუსის საქმიანობა მიაკუთვნოს ეკონომიკურ საქმიანობას და დააკისროს მას შესაბამისი გადასახადები. გადასახადების დაკისრება კი არ ხელყოფს ნოტარიუსის საკუთრების უფლებას, ვინაიდან გადასახადები ვრცელდება ნოტარიუსის იმ შემოსავალზე, რომელიც ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მის საკუთრებას. ნოტარიუსის საკუთრებაზე შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც გადახდილი იქნება ყველა გადასახადი და შესრულებული იქნება ყველა ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე. წინააღმდეგ შემთხვევაში საერთოდ გამოვა, რომ შემოსავლის დაბეგვრისას ხდება საკუთრების ნაწილის ჩამორთმევა, რაც კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით. მოსარჩელე მხარის მოსაზრებანი საფუძველსაა მოკლებული და სანოტარო საქმიანობა სრულად, ყოველგვარი გადახრის გარეშე ჯდება ეკონომიკური საქმიანობის დეფინიციაში. საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის შინაარსიდან

გამომდინარე, როცა საქმე ეხება კომპენსაციის ან შემოსავლის მიღებას, არა აქვს მნიშვნელობა— ნოტარიუსის ძირითადი ფუნქცია სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების განხორციელებაა თუ სხვა რამ. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმართეულობის ორგანოების საქმიანობაც კი ჩაითვლება ეკონომიკურ საქმიანობად, როცა საქმე ეხება მათ მიერ ხელშეკრულების საფუძველზე ფასიანი მომსახურების გაწევასა და სხვა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას. ნოტარიუსი, რომელიც სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს, სწორედ რომ ფასიან მომსახურებას ეწევა, რისთვისაც იღებს საზღაურს.

მოპასუხე მხარე თვლის, რომ საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი სრულ შესაბამისობაშია არამართო საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან, არამედ „ნოტარიუსის შესახებ“ საქართველოს კანონთანაც და მილიანად საგადასახადო კოდექსთანაც, ვინაიდან სათანადო ნორმით არ ხდება არაეკონომიკური საქმიანობის დაბეგვრა ეკონომიკური საქმიანობის დაბეგვრის რეჟიმით.

მოპასუხემ არ ცნო სასარჩელო მოთხოვნა.

მოწმის განმარტებით, მოსარჩელეთა მოთხოვნა სამართლიანია. ნოტარიუსის საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობად ცნობა კანონმდებლის ერთგვარი მეთოდოლოგიური შეცდომის გამოვლინებაა. ნოტარიუსი არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ეკონომიკური საქმიანობის მწარმოებელ პირად. სანოტარო მოქმედების შესრულებით ნოტარიუსი ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას საქმიანობის იმ სფეროში, რომელიც მას სახელმწიფომ განუაზღვრა. სახელმწიფოს არა აქვს უფლება ნოტარიუსისათვის კანონით განსაზღვრული შემოსავალი გაათანაბროს იმ შემოსავალთან, რომელიც მართლაც ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიიღება. ნოტარიუსის საქმიანობის მიზანი არ არის შემოსავლის მიღება, თუნდაც იმ მრტივით, რომ მას არა აქვს უფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს შესრულებული სანოტარო მოქმედებისათვის საზღაურის ოდენობა. მას უფლება არა აქვს უარი განაცხადოს კანონით გათვალისწინებული სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, თუ ამისათვის არ არსებობს ასევე კანონით გათვალისწინებული საფუძვლები. სანოტარო საქმიანობის ეს თავისებურება განასხვავებს მას თავისუფალი პროფესიის სხვა პირთა საქმიანობისაგან, რომელიც ასევე „მეწარმეთა შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტითაა გათვალისწინებული. ყოველივე აღნიშნულიდან

გამომდინარე, მოწმე თვლის, რომ არ შეიძლება ნოტარიუსი დაიბეგროს ეკონომიკური საქმიანობის დაბეგვრის რეჟიმით.

მოწმე დავით სუხიტაშვილის აზრით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი აე ეხება ნოტარიუსებს და ამდენად, არც დავის საგანს არ უნდა წარმოადგენდეს ის, რომ ითვლება თუ არა ნოტარიუსის საქმიანობა არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად. საგადასახადო კოდექსის სადავო ნორმით, არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება იმ ფიზიკური პირის საქმიანობა, რომელიც დამოუკიდებლად ეწევა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას. ნოტარიუსის საქმიანობა კი არაა დამოუკიდებელი და ამიტომაც შეუძლებელია მასზე გავრცელდეს საგადასახადო კოდექსის დასახელებული ნორმის მოქმედება. ნოტარიუსი თავისუფალია თავის საქმიანობაში, მაგრამ არა დამოუკიდებელი: თავისუფალია იმდენად, რამდენადაც დაუშვებელია მისი საქმიანობის პროცესში ჩარევა; მაგრამ, ვინაიდან სახელმწიფომ ნოტარიუსს დაუდგინა საქმიანობის ფარგლები, რომელსაც იგი ვერ გასცდება და თავისი ფუნქციის შესრულებისას მოკლებულია არჩევანის თავისუფლებას, ამიტომ არ შეიძლება ჩაითვალოს მისი საქმიანობა დამოუკიდებელ საქმიანობად. რადგანაც საგადასახადო კოდექსის სადავო ნორმა არ ეხება ნოტარიუსებს და საგადასახადო სამსახური მაინც ავრცელებს მათზე, ასეთ შემთხვევაში მოსარჩელებმა უნდა მიმართონ საერთო სასამართლოს და მოითხოვონ აღნიშნული სამსახურის უკანონო მოქმედების შეფასება. ამასთან, დ.სუხიტაშვილი აღნიშნავს, რომ მისი პოზიციის მიუხედავად, ნოტარიუსის საქმიანობა არ შეიძლება ჩაითვლოს ეკონომიკურ საქმიანობად. ნოტარიუსის მიერ სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების განხორციელება უკვე ყველაფრის მთქმელია.

მოწმეების – საგადასახადო დეპარტამენტის სპეციალისტების მტკიცებით, სასარჩელო განცხადებიდან ირკვევა, რომ მოსარჩელე მხარე სადავოდ არ ხდის საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლში მოცემული ეკონომიკური საქმიანობის განმარტებას. იგი სადავოდ მიიჩნევს კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის მართლზომიერებას სანოტარო საქმიანობის მიმართ. მაგრამ „ნოტარიუსის შესახებ“ კანონის შესაბამისად განხორციელებული სანოტარო საქმიანობა სრულად აკმაყოფილებს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლში მოცემული ეკონომიკური საქმიანობისათვის დამახასიათებელი ნიშნების მოთხოვნებს. პირებს შორის სამართლებრივ ურთიერთობათა და იურიდიული ფაქტების

დადასტურება წარმოადგენს ნოტარიუსის, როგორც ფიზიკური პირის მოვალეობას, რაც შეუძლებელია ხორციელდებოდეს გარკვეული შემოსაველების (ფულადი ანაზღაურების) მიღების გარეშე. სასამართლოს, როგორც სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოს საქმიანობა არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას. მაგრამ ეს არ ნიშნავს, იმას, რომ მოსამართლე, როგორც თავისი პროფესიული მოვალეობის შემსრულებელი ფიზიკური პირი, არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას დაქირავებული მუშაობის ფორმით და რომ მისი საქმიანობის ერთ-ერთ მიზანს არ წარმოადგენს საზღაურის (შემოსავლის) მიღება. ნოტარიუსის საქმიანობა წარმოადგენს ანაზღაურებად, პროფესიულ საქმიანობას. როცა კანონმდებელმა რელიგიური და საქველმოქმედო საქმიანობა ჩათვალა არაეკონომიკურ საქმიანობად, მხედველობაში მიიღო ის, რომ აქ ჩვენ არა გვაქვს საქმე ანაზღაურებად პროფესიულ საქმიანობასთან. თუ ნოტარიუსის საქმიანობას არ ჩავთვლით ეკონომიკურ საქმიანობად და გავაუქმებთ სადავო ნორმას, მაშინ შეიქმნება პრეცედენტი იმისა, რომ ფიზიკურ პირთა ისეთი კატეგორია, როგორცაა ნოტარიუსები, მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის საზღაურიდან არ გადაიხდიან მთელ რიგ გადასახადებს, მათ შორის საშემოსავლოს და სოციალურს, მაშინ როცა სხვები ყველანი ვალდებულნი იქნებიან გადაიხადონ ისინი. დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მხარი არ დაუჭირეს სასარჩელო მოთხოვნას.

სპეციალისტად მოწვეული ლეო ჩიქავას აზრით, ნოტარიუსის საქმიანობა არასამეწარმეო ხასიათის ეკონომიკური საქმიანობაა, რამდენადაც იგი ეწევა ფასიან მომსახურებას და ამისთვის ღებულობს წინასწარ განუსაზღვრელი ოდენობის შემოსავალს, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება დაბეგვრას. სპეციალისტი არ იზიარებს მოსარჩელეთა მტკიცებას, რომ ნოტარიუსის, როგორც საჯარო-სამართლებრივი ინსტიტუტის, მიზანია არა მოგების, შემოსავლის, კომპენსაციის მიღება, არამედ კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში და წესით სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების განხორციელება, რაც გამოიხატება სამართლებრივი ურთიერთობებისა და იურიდიული ფაქტების დადასტურებით. საბჭოთა პერიოდის ნოტარიუსისაგან განსხვავებით, როცა მისი ანაზღაურება წინასწარ იყო განსაზღვრული, ამჟამად ნოტარიუსის საქმიანობის ძირითად მიზანს შემოსავლის მიღება შეადგენს. ხოლო კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში და წესით სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების განხორციელება – მის საშუალებას (საფუძველს). ნოტარიუსის

საქმიანობა თავსდება ეკონომიკური საქმიანობის ჩარჩოში, იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რაც მას ახასიათებს. ამაზე კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის შინაარსი.

*საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პირველი კოლევების შემადგენლობით საქმის არსებითად განხილვის შედეგად, – კონსტიტუციური სარჩელის მონაცემების, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეთა გამოსვლების, მოწმეთა ჩვენებების, სპეციალისტის დასკვნისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების გაანალიზების საფუძველზე დაადგინა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო გარემოებანი.*

1. მოსარჩელე მხარემ იმის არგუმენტად, რომ სანოტარო საქმიანობა არ განეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას, საქმის არსებითად განხილვის პროცესში დაიცვა და განავითარა კონსტიტუციურ სარჩელში წამოყენებული დებულება–ნოტარიუსის საქმიანობას არ ახასიათებს ეკონომიკური საქმიანობის არსის განმსაზღვრელი ნიშან-თვისებები. აქ იგულისხმება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში მოცემული განსაზღვრება, რომ ეკონომიკური საქმიანობა „წარიმართება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად“. სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს მოსარჩელე მხარის არგუმენტს და ამასთან დაკავშირებით საპირისპიროდ მიუთითებს „ნოტარიუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტზე. იგი განსაზღვრავს „ნოტარიუსის შემოსავალს სამსახურებრივი საქმიანობისაგან... იმ თანხიდან, რომელიც ნოტარიუსმა მიიღო საზღაურის სახით“. ამგვარად, „ნოტარიუსის შესახებ“ კანონი სანოტარო საქმიანობასთან დაკავშირებით პირდაპირ მიუთითებს ნოტარიუსის მიერ მიღებულ საზღაურზე, შემოსავალზე, რაც საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ეკონომიკური საქმიანობის ატრიბუტია. აქედან გამომდინარეობს ეკონომიკური საქმიანობისათვის დაწესებული გადასახადით ნოტარიუსის შემოსავლის დაბეგვრის მართლწომიერება და მაშასადამე, ისიც, რომ ამით არ ირღვევა მოსარჩელეთა საკუთრების უფლება. საკუთრების ხელყოფა მაშინ იქნებოდა, თუკი მისი ოდენობა არასწორი დაბეგვრით, უკანონო გადასახადის დაკისრებითა და გადახდით შემცირდებოდა.

2. სასამართლო კოლეგიას სწორად მიაჩნია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიერ სანოტარო საქმიანობის საერთოდ ეკონომიკური და კერძოდ, არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად გამოცხადება. კოლეგია აღნიშნავს, რომ ეკონომიკური საქმიანობის ცნება

შეიძლება მივიჩნიოთ პირობით საგადასახადო-სამართლებრივ ცნებად (კატეგორიად), რომელსაც საფუძვლად ედება ამა თუ იმ პირის საქმიანობის ეკონომიკური შედეგები. ეკონომიკური საქმიანობის ცნებას მხოლოდ საგადასახადო კოდექსი ადგენს და იგი მხოლოდ საგადასახადო მიზნებისათვის გამოიყენება. ამას ადასტურებს საგადასახადო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც იუწყება, რომ „ამ კოდექსით განსაზღვრული მცნებები და ნორმები გამოიყენება მხოლოდ გადასახადებით დაბეგრასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებისას, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. ეკონომიკური საქმიანობის მცნების შემოტანით საგადასახადო კოდექსი ამა თუ იმ საქმიანობის სუბსტანციურ-ფუნქციურ ბუნებას კი არ განსაზღვრავს, არამედ მის ეკონომიკურ შედეგობრივ დეფინიციას იძლევა. შეუძლებელია სხვა დატვირთვა ჰქონდეს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილ ნორმას, რომლის მიხედვითაც „ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი მართლზომიერი საქმიანობა, რომელიც წარიმართება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, მიხედვად ასეთი საქმიანობის შედეგებისა, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი“. თუ კი საქმიანობა არ წარიმართება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას არ მოსდევს ეკონომიკური შედეგები, ასეთი საქმიანობა არ შეიძლება მივაკუთვნოთ ეკონომიკურ საქმიანობას. იგულისხმება პირდაპირი ეკონომიკური შედეგები, თორემ არაპირდაპირი ეკონომიკური ეფექტი არაეკონომიკურ საქმიანობასაც შეიძლება მოჰყვეს. საგადასახადო კოდექსი სწორედ აღნიშნულ საფუძველზე ადგენს იმ საქმიანობათა წრეს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ეკონომიკურ საქმიანობას. (მუხლი 7. ნაწილი 2, ქვე. „ა“). სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა არ წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას, ამიტომაცაა, რომ არაეის არ მოუვა აზრად პარლამენტისა თუ საკრებულოს საქმიანობა მიიჩნიოს ეკონომიკურ საქმიანობად, როცა ეს საქმიანობა უშუალოდ არის დაკავშირებული მათთვის კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციის შესრულებასთან. მაგრამ თუ ხელშეკრულების საფუძველზე ფასიან მომსახურებას და სხვა სამეწარმეო საქმიანობას განახორციელებენ ისინი მოიქცევიან ეკონომიკური საქმიანობის-იგივე დასაბეგრი საქმიანობის სივრცეში.

საგადასახადო კოდექსით სანოტარო საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობად სწორედ რომ ამ საქმიანობის ეკონომიკური შედეგების



საფუძველზე მიიჩნევა. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ნოტარიუსისათვის კანონმდებლობით მინიჭებულ ფუნქციის თავისებურებებს. მთავარია ის, რომ ნოტარიუსი ამ ფუნქციის შესრულების შედეგად შემოსავლებს ღებულობს. „ნოტარიატის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით ნოტარიუსის შემოსავალს სამსახურეობრივი საქმიანობისაგან შეადგენს თანხა, რომელიც ნოტარიუსს რჩება სანოტარო ბიუროს. შენახვის ხარჯების კანონით დადგენილი გადასახადებისა და ნოტარიუსის სამსახურეობრივი საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა სავალდებულო გადასახადის შემდეგ იმ თანხიდან, რომელიც ნოტარიუსმა მიიღო საზღაურის სახით. ნოტარიუსის შემოსავალს აგრეთვე, შიძლება შეადგენდეს სხვა ფინანსური შენატანები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას, ამიტომაც შეცდომა იქნება ითქვას, რომ ნოტარიუსი თავისი საქმიანობით მარტოოდენ პროფესიულ ჟინს იკმაყოფილებს და შემოსავლების მიღებამის ერთ-ერთ ინტერესს არ შეადგენს. მართალია, ნოტარიუსის მიერ სახელმწიფოებრივი უფლება-მოსილების განხორციელება თავისთავად არ წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას, მაგრამ გადასახადებით დაბეგვრასთან მიმართებით საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ეკონომიკური მიზანმიმართულების მიხედვით, იგი შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკურ საქმიანობად. თუკი გავიზიარებდით მოსარჩელეთა აზრს და ნოტარიუსის საქმიანობას გამოვრიცხავდით ეკონომიკური, კერძოდ, არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობის წრიდან, ასეთ შემთხვევაში, როგორც სწორად შენიშნავენ მოწმეები, ნოტარიუსები სანოტარო საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან აღარ გადაიხდიან მთელ რიგ გადასახადებს, მათ შორის საშემოსავლოსა და სოციალურს, მაშინ როდესაც ყველა სხვა პირი ვალდებული იქნება გადაიხადოს ისინი.

3. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიის აზრით, სანოტარო საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობად ცნობა სრულიადაც არ ეწინააღმდეგება სანოტარო საქმიანობის სუბსტანციურ – ფუნქციურ ცნებას, რომელიც შეუძლებელია ნოტარიუსის დაბეგვრის რეჟიმის განმსაზღვრელ ფაქტორად იქნეს მიჩნეული. ნოტარიუსი იბეგრება არა იმისათვის, რომ იგი სანოტარო საქმიანობას ახორციელებს, არამედ იმისათვის, რომ ამ საქმიანობის განხორციელებას შედეგად მოსდევს შემოსავალი. სანოტარო საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობად ცნობით სრულიადაც არ იცვლება ნოტარიუსის სტატუსი. საგადასახადო კოდექსით არ განისაზღვრება ამა თუ იმ საქმიანობის

ბუნება. ესა თუ ის საქმიანობა სამეწარმეო იქნება, სახელისუფლებო თუ თავისუფალ-პროფესიული, ეს განისაზღვრება არა საგადასახადო კოდექსით, არამედ შესაბამისი ნორმატიული აქტებით. ასე მაგალითად, სამეწარმეო საქმიანობის ცნებას „მეწარმეთა შესახებ“ კანონი ადგენს, სანოტარო საქმიანობის დეფინიცია „ნოტარიუსის შესახებ“ კანონითაა განსაზღვრული. საგადასახადო კოდექსი უცვლელად ღებულობს ამ ცნებას და სწორედ მათ საფუძველზე აყალიბებს ეკონომიკური საქმიანობის ცნებას. სანოტარო საქმიანობა რომარაა მოგებისაკენ წარმართული საქმიანობა, ამიტომ ჩათვალა საგადასახადო კოდექსმა იგი არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად. თუ საგადასახადო რეჟიმი დადგინდებოდა ამა თუ იმ საქმიანობის სუბსტანციური ცნების შესაბამისად, მაშინ საგადასახადო კოდექსში უნდა ასახულიყო ამ ნიშნით განსხვავებული ყველა საქმიანობა, რომლებზედაც კი შეიძლება გაერყელებულიყო საგადასახადო რეჟიმი. ეკონომიკური საქმიანობის ცნება კი საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ყველა მათგანს მოიცავს.

ამრიგად, სანოტარო საქმიანობის მიჩნევა ეკონომიკურ საქმიანობად სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი აღარაა „ნოტარიატის შესახებ“ კანონით დადგენილი საქმიანობა. სანოტარო საქმიანობის სუბსტანციური ცნების განმსაზღვრელია ის, რომ „ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა პირებს შორის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში სამართლებრივ ურთიერთობათა და იურიდიული ფაქტების დადასტურება“ (კანონი „ნოტარიატის შესახებ“, მუხ 1, პუნქტ. 1). ასევე, სასამართლო კოლეგიას სრულიადაც არ მიაჩნია საეჭვოდ, რომ ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებათა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას, რომ მისი საქმიანობა არ არის მეწარმეობა და შოგების მიღების წყარო.

მოსარჩელეთა ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, რომ ნოტარიუსი სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს და ამიტომ არ შეიძლება მისი საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობად მიჩნევა, მათივე მსჯელობაში ხდება უსაფუძვლო. საქმე ისაა, რომ მოსარჩელები არ უარყოფენ საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ღებულებას – ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით სამუშაოს შესრულება ითვლება არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად. საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, საჯარო მოსამსახურე, რომელიც სახელმწიფოებრივ

უფლებამოსილებას ახორციელებს. ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტია და ეს გამოწვეულია იმით, რომ იგი აღნიშნული სამსახურის განხორციელებისათვის იღებს საზღაურს. იგივე შეიძლება ითქვას მოსამართლის მიმართაც. ასეთ ვითარებაში ნაკლებად დაზავებულია იმისი მტკიცება, რომ სანოტარო საქმიანობა არაეკონომიკური საქმიანობაა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, არ შეიძლება გაზიარებული იქნეს მოსარჩელეთა მტკიცება, რომ „სახელმწიფო ვალდებულია დაბეგურის რეჟიმი განსაზღვროს არსის შესაბამისად“. ბუნებრივია, მხედველობაში მიიღება ეს გარემოებაც, მაგრამ დაბეგურის რეჟიმის განსაზღვრისათვის ამოსავალია ეკონომიკური საქმიანობის ცნება.

*ამდენად, სასამართლო კოლეგია მიიჩნევს, რომ „საგადასახადო კოდექსში მოცემული ეკონომიკური საქმიანობის ცნება პირობითი საგადასახადო-სამართლებრივი ცნებაა და სწორედ ამ აზრითაა ჩათვლილი ნოტარიუსის საქმიანობა არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად, რაც სრულიადაც არ უარყოფს ამ საქმიანობის სუბსტანციურ-ფუნქციურ ბუნებას.*

4. სასამართლო კოლეგია ვერ დაეთანხმება მოსარჩელეთა არგუმენტებს იმის შესახებ, რომ საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი ნოტარიუსებთან მიმართებით ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტს: „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შექმნის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება“. მოსარჩელე მხარის მთელი მსჯელობა ამ წინააღმდეგობის ჩვენებისას არსებითად აბსტრაქტულ დებულებებზეა აგებული და მოყვანილი მტკიცებულებებიდან არა მხოლოდ არ საბუთდება ნოტარიუსის საკუთრების ხელყოფა საგადასახადო კოდექსის სადაეო ნორმით, არამედ ნათლად არც აღნიშნული წინააღმდეგობის შინაარსია გამოკეთილი. სასამართლო კოლეგიის აზრით, ერთადერთი, რითაც გამოიხატებოდა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნოტარიუსის საკუთრების ხელყოფა, შეიძლება ყოფილიყო ის, რომ საგადასახადო კოდექსის სადაეო პუნქტს გამოეწვია საკუთრების შემცირება სამართლიანობის თვალსაზრისით მიუღებელი ოდენობით. მოსარჩელეთა ყურადღება კი არსებითად გადატანილია არა საკუთრების უფლების ხელყოფის რაოდენობრივ მაჩვენებლებზე, არამედ სხვა გარემოებებზე. კერძოდ, მათი მტკიცებით, ეკონომიკური საქმიანობის რეჟიმით ნოტარიუსების დაბეგრა

არაკონსტიტუციურია და ამიტომაც ეწინააღმდეგება საგადასახადო კოდექსის. სადავო ქვეპუნქტი კონსტიტუციის დასახელებულ ნორმას. საგადასახადო კოდექსის მიხედვით კი, როგორც უკვე აღინიშნა, სანოტარო საქმიანობა სწორადაა ჩათვლილი არასამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობად. როდესაც კონსტიტუციის ხსენებულ მუხლთან წინააღმდეგობაზეა საუბარი, შეფასების საგანი უნდა იყოს სადავო ნორმის საფუძველზე ნოტარიუსისათვის დადგენილი გადასახადების სიდიდე, ის, თუ რამდენად მისაღებია მასზე დაკისრებული საგადასახადო ტვირთი, რათა არ დაირღვეს სამართლიანი ბალანსი საერთო ინტერესებსა და ნოტარიუსის ინტერესებს შორის.

საკონსტიტუციო სასამართლო, მართალია, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ვერ ხედავს რაიმე წინააღმდეგობას საგადასახადო კოდექსის სადავო ნორმასა და კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტს შორის, ამასთან აღნიშნავს, რომ ნოტარიუსისა და საერთოდ თავისუფალი პროფესიის პირთა შემოსავლების დაბეგვრის მექანიზმი ხელს უნდა უწყობდეს მათი პროფესიული საქმიანობის სტიმულირებას. სახელმწიფოსთვის გაცილებით მნიშვნელოვანია ასეთი საქმიანობის არაქონებრივი შედეგები, ვიდრე ქონებრივი. ნორლამური სანოტარო საქმიანობა სტაბილური და მოწესრიგებული სამოქალაქო ბრუნვის სერიოზული გარანტიაა. ადვოკატის მიერ ადამიანის უფლებათა დაცვა გაცილებით მეტი ფასეულობაა სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, ვიდრე მისი საქმიანობით მიღებული შემოსავლების დაბეგვრის მატერიალური შედეგები. როგორი დიდიც არ უნდა იყოს ფინანსურ საშუალებებზე სახელმწიფოს მოთხოვნილება, გადასახადმა არ უნდა ჩაკლას გადამხდელთა დაინტერესება თავიანთი პროფესიული საქმიანობით.

სასამართლო კოლეგია ვერ გაიზიარებს მოპასუხე მხარის მიერ განვითარებულ დებულებას — ნოტარიუსის საკუთრების უფლება ვერცელდება მხოლოდ იმ შემოსავალზე, რომელიც მას რჩება გადასახადების გადახდის შემდეგ. სასამართლოს მიაჩნია, რომ ნოტარიუსის საკუთრებას შეასდგენს სანოტარო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებული ყველა შემოსავალი. ნოტარიუსი, „ნოტარიატის შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ სანოტარო ბიუროს შენახვის ხარჯებს, კანონით დადგენილ გადასახადებსა და სანოტარო საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა სავალდებულო გადასახადებს იხდის სწორედ იმ ქონებიდან, რომელიც მის საკუთრებას წარმოადგენს. წინააღმდეგ

შემთხვევაში საგადასახადო ვალდებულების ობიექტი იქნება ქონება, რომელიც ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ნოტარიუსის საკუთრებას ნოტარიუსის საკუთრებაა როგორც დასაბეგრი, ისე გადასახადის გადახდის შემდეგ დარჩენილი ქონება. გადასახადზე სახელმწიფოს საჯარო-სამართლებრივი უფლების ობიექტია გადამხდელის საკუთრებაში არსებული ქონება. საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის საფუძველი სწორედ საკუთრების უფლების წარმოშობაა. გადასახადის გადახდით გადამხდელი თავის საჯარო-სამართლებრივ ვალდებულებას სწორედ, რომ თავის საკუთრებაში არსებული ქონებიდან ასრულებს. ამიტომაც, გადასახადის გადახდით საკუთრების ჩამორთმევა კი არ ხდება, რაც კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტითაა გათვალისწინებული, არამედ სრულდება ის საგადასახადო ვალდებულება, რომელიც სახელმწიფომ გადამხდელს დააკისრა.

6. სასამართლო კოლეგია ვერც მოწმეთა მოსაზრებას ვერ გაიზიარებს. მისი მტკიცებით, საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი არ ეხება სანოტარო საქმიანობას, ვინაიდან მასში საუბარია ფიზიკური პირის ისეთ საქმიანობაზე, რომელიც დამოუკიდებლად ეწევა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ საქმიანობას, ხოლო ნოტარიუსის საქმიანობა არ წარმოადგენს დამოუკიდებელ საქმიანობას. სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ ნოტარიუსი თავისი საქმიანობის განხორციელებისას თავისუფალია და დამოუკიდებელიც, რაზედაც პირდაპირ იუწყება „ნოტარიუსის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები: „ნოტარიუსი თავის პროფესიულ საქმიანობაში თავისუფალია და სანოტარო მოქმედებათა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას ამ კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე“; სანოტარო მოქმედების შესრულებისას ნოტარიუსი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია“. ის გარემოება, რომ სანოტარო მოქმედება სრულდება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ფარგლებში, სრულიადაც არ აყენებს ეჭვქვეშ ნოტარიუსის დამოუკიდებლობას. ნოტარიუსის დამოუკიდებლობაზე მიგვანიშნებს ევროპარლამენტის რეზოლუცია (A3-0422/93) ევროპის თანამეგობრობის თორმეტ წევრ-სახელმწიფოში ნოტარიატის მდგომარეობისა და ორგანიზაციის შესახებ, რომლის მიხედვითაც ნოტარიუსობა დამოუკიდებელი საქმიანობაა და თავისუფალი პროფესიის ფორმით ხორციელდება.

ხელმძღვანელობს რა საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის „ე“ პუნქტით, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 39-ე მუხლითა და 43-ე მუხლის მე-8 პუნქტით, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 32-ე და 33-ე მუხლებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ა დ გ ე ნ ს

- 1.) არ დაკმაყოფილდეს მოქალაქეების – კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით;
- 2.) ეს გადაწყვეტილება ძალაშია საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან;
- 3.) გადაწყვეტილება საბოლოოა, გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება;
- 4.) ამ გადაწყვეტილების პირი გაეგზავნოთ მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოს;
- 5.) გადაწყვეტილება ოფიციალური ბეჭდით ორგანოში გამოქვეყნდეს 7 დღის ვადაში.

თაემჯდომარე

მოსამართლეები

PS ავტორთა მოსაზრება–საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულა სხვადასხვა საკანონმდებლო აქტების კონსტიტუციურობის თაობაზე, ასევე მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო მოსარჩელეთა მოთხოვნას და მიიღო კანონიერი გადაწყვეტილება, რაც ადასტურებს საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრებისათვის სწრაფვას.

## თაზი VI

# საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების გადასინჯვისა და გასაჩივრების წესი

### ინსტრუქცია

რეგისტრირებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ 1998 წლის 14  
ივლისს

№090012003318

საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების  
გადასინჯვის წესის შესახებ

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. მოცემული ინსტრუქცია შემუშავებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 243-ე, 256-ე და 257-ე მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს შუამდგომლობის, აპელაციის და გასაჩივრების წესს.

2. საგადასახადო კოდექსის შესაბამისად კონტროლს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ გადასახადების გამოანგარიშების სისწორესა და დროულად გადახდაზე, ისევე როგორც გადასახადის ადმინისტრირებისა და მოკრების ყველა ასპექტზე, ახორციელებენ მხოლოდ საგადასახადო ორგანოები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საგადასახადო კოდექსით ასეთი უფლებამოსილება გადაცემულია სხვა ორგანოებისათვის.

3. გადასახადის გადამხდელს, რომელსაც სადავოდ მიაჩნია დარიცხული გადასახადის თანხა ან საგადასახადო ორგანოს სხვა გადაწყვეტილებები, კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება მიმართოს საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობით, აპელაციით ან საჩივრით ან გაასაჩივროს სასამართლოში და მოითხოვოს მისი გადასინჯვა.

4. გადასახადის გადამხდელის შუამდგომლობას, აპელაციას ან საჩივარს იხილავენ მხოლოდ საგადასახადო ორგანოები ან სასამართლოები და მათი გადაწყვეტილებები სავალდებულოა შესასრულებლად საგადასახადო ორგანოებისათვის და გადამხდელთათვის.

### მუხლი 2. გადამხდელთა შუამდგომლობის განხილვა

1. გადასახადის გადამხდელს, რომელსაც სადავოდ მიაჩნია საგადასახადო ორგანოს მიერ დარიცხული გადასახადის თანხა ან საგადასახადო ორგანოს სხვა გადაწყვეტილებები, შეუძლია მიმართოს ამ გადაწყვეტილების მიმღებ საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობით და მოითხოვოს მისი გადასინჯვა. შუამდგომლობის წარდგენა ხდება ამ ინსტრუქციის №1 დანართის მიხედვით.

2. შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს მტკიცებულებები და სათანადო დოკუმენტები, რომლებიც ასაბუთებენ გადასახადის გადამხდელის თხოვნას. კერძოდ:

მუხლი 3. საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აპელაცია

1. საგადასახადო ორგანოს მიერ შუამდგომლობასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე აპელაცია შეიძლება გავგზავნოს ზემდგომ საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების მისაღებად დადგენილი 20 დღიანი პერიოდის გასვლის შემდეგ ან შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში, რომელიც განიხილავს აპელაციას და აცნობებს გადამხდელს გადაწყვეტილებას 20 დღის ვადაში. აპელაციის წარდგენა ხდება ამ ინსტრუქციის №2 დანართის მიხედვით.

2. ზემდგომი საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საგადასახადო ინსპექციაში, რომელიც თავისი გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს გადამხდელს 20 დღის ვადაში.

3. აპელაციაში მითითებული უნდა იყოს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების გადასინჯვის მოტივაცია, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს ქვემდგომი ინსპექციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სათანადო დოკუმენტებითურთ.

მუხლი 4. საქართველოს საგადასახადო ინსპექციის გადაწყვეტილების გასაჩივრება

გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს გაასაჩივროს საქართველოს საგადასახადო ინსპექციის გადაწყვეტილება სასამართლოში კონსტრუქციული დანართის დადგენილი წესით.

5. გადახდილი გადასახადის გასაჩივრება



დარიცხული გადასახადის გადახდის შემთხვევაში გადასახადს გადახდელს შეუძლია პირდაპირ მისართის საქართველოს საგადასახადო ინსპექციას ან სასამართლოს, გასანივრების წარდგენა საქართველოს საგადასახადო ინსპექციაში ხდება ამ ინსტრუქციის №3 დანართის მიხედვით.

## მუხლი 6. საგადასახადო ორგანოების სადავო გადაწყვეტილებებს შესწავლის წესი

1. ამ ინსტრუქციის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებში მოცემულ შემთხვევებში საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების ადვილზე გამომწეების აუცილებლობიდან გამომდინარე შესაბამისი საგადასახადო ორგანო თავისი გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს გადახდელს შუამდგომლობის მიღების დღიდან 10 დღის ვადაში. გამომწეების მთელი პერიოდის განმავლობაში საგადასახადო ორგანოს უფროსის მიერ შეიძლება შეჩერებული იქნეს დარიცხული თანხის ბიუჯეტში ამოღება.

2. საქართველოს საგადასახადო ინსპექციის ცენტრალური აპარატის მუშაკების მიერ ჩატარებული შემოწმების აქტების მიმართ შუამდგომლობა იხილება საქართველოს საგადასახადო ინსპექციის საგადასახადო საჩივრებისა და პროტესტების დეპარტამენტის მიერ.

3. საგადასახადო საჩივრებისა და პროტესტების დეპარტამენტის მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს საგადასახადო ინსპექციის ცენტრალური აპარატის დეპარტამენტებმა და სამმართველოებმა, აგრეთვე საგადასახადო ინსპექციებმა ავტონომიურ რესპუბლიკებში, ქალაქებსა და რაიონებში მოთხოვნის მიღებიდან 5 დღის ვადაში წარუდგინონ დასკვნა აღნიშნულ დეპარტამენტს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათ მიერ ჩატარებულ შემოწმებებზე დაასწრონ თავიანთი წარმომადგენლები საჩივრების განხილვას.

4. შუამდგომლობის ან აპელაციის განხილვის შედეგად თუ დადასტურდება შემოწმებით არასწორად დარიცხვის ფაქტები, რითაც გადახდელს შეექმნა ფინანსური სიძნელები ან ბიუჯეტს დააკლდა კუთვნილი თანხები, ასეთ შემთხვევაში განიხილება იმ მუშაკების პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევით ჩაატარეს შემოწმება, სამსახურიდან დათხოვნამდე კი, ხოლო თანამდებობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში მასალები გადაეცემა საგამომძიებლო ორგანოებს.

## მუხლი 7. მტკიცების ტვირთი

გასაჩივრების პროცესში საგადასახადო დარიცხვის მცდარობის მტკიცების ტვირთი ეკისრება გადასახადის გადამხდელს.

## მუხლი 8. ჯარიმებისა და საურავების სადავო თანხების გაანგარიშება და ამოღება

1. გადასახადის დარიცხულ თანხასთან დაკავშირებით ზემდგომ საგადასახადო ორგანოში გასაჩივრების ან სასამართლოში აპელაციის შემთხვევაში გადასახადის დარიცხული თანხა ექვემდებარება გადახდას და შეიძლება გადახდევინებული იქნეს გასაჩივრების ან აპელაციის მიუხედავად საგადასახადო კოდექსის 243-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნების გათვალისწინებით;

2. ჯარიმებისა და საურავების სადავო თანხები ამოიღება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. ჯარიმებისა და საურავების თანხები ამოიღება საგადასახადო ორგანოს მიერ.

ა. თუ გადასახადის დარიცხვის ან სხვა გადაწყვეტილების შესახებ საგადასახადო ორგანოს შეტყობინების მიღებიდან 60 დღის ვადაში გადამხდელმა არ წარადგინა საგადასახადო ორგანოში შუამდგომლობა ან სასამართლოში საჩივარი;

ბ. ან აპელაციის განხილვის შედეგებზე შეტყობინების მიღებიდან 10 დღის ვადაში გადამხდელმა არ წარადგინა ზემდგომ საგადასახადო ორგანოში აპელაცია.

4. ზემდგომი საგადასახადო ორგანოს უფროსს უფლება აქვს შეაჩეროს დარიცხული ძირითადი გადასახადის გადახდა დაეის განხილვის პერიოდში.

5. თუ საჩივარი ან აპელაცია გადასახადის გადამხდელის სასარგებლოდ გაწყდა, გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია დაიბრუნოს:

ა. არასწორად გადახდილი გადასახადი;

ბ. ამ თანხაზე დარიცხული პროცენტები სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის მიხედვით.

6. ზედმეტად გადახდილ თანხაზე პროცენტის დარიცხვა ხდება თანხის ანაზღაურების შესახებ განცხადების წარდგენის მომენტიდან ნამატი თანხის დაბრუნების მომენტამდე.

7. იმ შემთხვევაში, თუ ნამატი თანხა ჩაითვალა, ანაზღაურებად ჩაითვლება იმ გადასახადის გადახდის თარიღი, რომლისათვისაც მოხდა ჩათვლა. ამ მიზნით ანაზღაურება ჩაითვლება განხორციელებულად იმ პირობით, რომ გადასახადის გადამხდელი დაბრუნებულ თანხას მიიღებს შეიდი დღის განმავლობაში.

8. იმ შემთხვევაში, როცა საგადასახადო ინსპექცია კანონმდებლობის დარღვევით ახდენს გადასახადის დარიცხვას და გადახდევინებას, ხოლო საჩივარი ან აპელაცია გადასახადის გადამხდელის სასარგებლოდ გადაწყდა, მაშინ საჩივარის ან აპელაციის განხილვის შედეგების გათვალისწინებით საგადასახადო ინსპექცია ახდენს შესწორებით დარიცხვას და განისაზღვრება არასწორად გადახდევინებული თანხა და მასზე დასარიცხი პროცენტები. გადასახდელი პროცენტის თანხის განსაზღვრა ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მთავრობის სესხისათვის დადგენილი განაკვეთის მიხედვით.

9. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევით ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების შემთხვევაში ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების მომენტად ითვლება საგადასახადო ინსპექციის მიერ თანხის დაბრუნებაზე სათანადო დოკუმენტების გამოწერისა და წარდგენის დღე, იმ პირობით, რომ აღნიშნულ თამხას გადამხდელი მიიღებს 7 დღის განმავლობაში.

10. იმ შემთხვევაში, როცა არასწორად გადახდევინებული თანხების ჩათვლა ხდება სხვა გადასახადების გადახდის ან გადამხდელის თანხმობით მომავალი გადასახადების ვალდებულებათა ანგარიშში, მაშინ ითვლება, რომ არასწორად გადახდევინებული თანხის ანაზღაურება განხორციელებულია იმ გადასახადის გადახდის თარიღისათვის, როცა უნდა გადახდილიყო ჩათვლილი გადასახადი, როდესაც ხდება ზედმეტად გადახდილი თანხის ჩათვლა სხვა გადასახადების გასული პერიოდის გადახდის ანგარიშში, მაშინ გადამხდელს ამ პერიოდის გადაუხდელობაზე საურავი არ ერიცხება (დარიცხული საურავი ეხსნება) და ზედმეტად გადახდილ თანხაზე პროცენტი არ აუნაზღაურდება. მოცემულ შემთხვევასი ზედმეტად გადახდილ თანხაზე ასანაზღაურებელი პროცენტის დარიცხვა ხდება მხოლოდ ანაზღაურებაზე განცხადების წარდგენის მომენტიდან იმ გადასახადის გადახდის თარიღის მომენტამდე, რომელშიც მოხდა ჩათვლა.

მაგალითი №2 გადასახადის გადამხდელმა აპელაციაზე განცხადება შეიტანა 1997 წლის 30 ივნისს, ხოლო საგადასახადო ინსპექციამ აპელაციის შედეგები აცნობა გადამხდელს 20 ივლისს. აპელაციის შედეგების გათვალისწინებით 1997 წლის 9 აგვისტოს გადამხდელმა საგადასახადო ინსპექციაში წარადგინა განცხადება თანხის დაბრუნებაზე, რომლის მიხედვით საგადასახადო ინსპექციამ განახორციელა შესწორებითი დარიცხვა და განსაზღვრა არასწორად გადახდევინებული აქციზის თანხა 50 ათასი ლარის ოდენობით. საგადასახადო ინსპექციამ 11 აგვისტოს გადაწყვეტილებით მოახდინა მისი ჩათვლა 11 აგვისტოსათვის (10 აგვისტოს არასამუშაო დღეა) გადასახდელი აქციზის ანგარიშში. ამ შემთხვევაში ითვლება, რომ ანაზღაურება განხორციელებულია 11 აგვისტოსათვის და არასწორად გადახდევინებულ თანხაზე დასარიცხი პროცენტი გაიანგარიშება 30 ივნისიდან 10 აგვისტოს ჩათვლით პერიოდის მიხედვით, რაც შეადგენს 840 ლარს (42 X 0,04) X 50 ათ.ლარი

100

მაგალითი №3 გადასახადის გადამხდელმა აპელაციაზე განცხადება შეიტანა 1997 წლის 30 ივნისს, საგადასახადო ინსპექციამ აპელაციის განხილვის შედეგები აცნობა გადამხდელს 20 ივლისს. აპელაციის შედეგების გათვალისწინებით გადამხდელმა 1997 წლის 10 სექტემბერს საგადასახადო ინსპექციამ განახორციელა შესწორებითი დარიცხვა და განსაზღვრა არასწორად გადახდევინებული აქციზის თანხა 50 ათასი ლარის ოდენობით. საგადასახადო ინსპექციამ 1997 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოახდინა მათი ჩათვლა 1997 წლის 20 აგვისტოსათვის გადასახდელ დღე-ის ანგარიშში. ამ შემთხვევაში ითვლება, რომ ანაზღაურება განხორციელებულია 1997 წლის 20 აგვისტოსათვის და ზედმეტად გადახდილ თანხაზე ასანაზღაურებელი პროცენტი გაიანგარიშება 1997 წლის 30 ივნისიდან 20 აგვისტომდე პერიოდის მიხედვით და შედგენს 1020 ლარს.

(51 X 0,04) X 50 ათ.ლარი, ამასთან 20 აგვისტოდან 11

სექტემბრამდე

100

დღე-ის ნარჩენ თანხას საურაეი არ ერიცხება.

საქართველოს საგადასახადო  
ინსპექციის უფროსი

ქალაქის (რაიონის)

საგადასახადო ინსპექციას

199      წელი

-----  
(გადასხდელის დასახელება ან გვარი, სახელი)

□ □ □ □ □ □ □ □  
(მაინდენტოეკაციო ნომერი)

-----  
(მისამართი, ქუჩა, ქალაქი რაიონი)

□ □ □ □ □ □ □ □  
(სარეგისტრაციო ნომერი)

**უუამღვრელობა**

სადავოდ შინეული დარიცხული გადასახადების შესახებ

გაცნობებთ, რომ -----  
(წელი, თვე, რიცხვი)

-----  
(შემოწმებულთა გვარი, სახელი, თანამდებობა (საგადასახადო ორგანოს დასახელება))  
-----  
-----  
-----

ჩატარდა შემოწმება ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საკითხებზე, რომელიც  
შეესო ----- რის  
(მოუთხოვ მიზეზები)

შედევად ბიუჯეტის სასარგებლოდ დაერიცხა სულ -----  
ლარი აქედან:

- 1. საშემოსავლო გადასახადი ----- (მ.შ. სანქცია ....საურაფი ....)
- 2. მოვების გადასახადი ----- (მ.შ. სანქცია ....საურაფი ....)
- 3. დღე ----- (მ.შ. სანქცია ....საურაფი ....)
- 4. ქონების გადასახადი ----- (მ.შ. სანქცია ....საურაფი....)
- 5. სხვა გადასახადები ----- (მ.შ. სანქცია ....საურაფი....)
- (მ.შ. სანქცია ....საურაფი....)
- (მ.შ. სანქცია ....საურაფი....)
- (მ.შ. სანქცია ....საურაფი....)

დარიცხული თანხებიდან არ ვკეთავს შენობის \_\_\_\_\_

პოლიტიკური გადასახადის სახეობა.

გადასახადის თანხა (შ.შ. სანქცია, საურავი) \_\_\_\_\_

-----  
-----  
-----

შეკვეთის გარეყოფის გამო \_\_\_\_\_

(პოლიტიკური მოხელეები)

-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----

აღნიშნულიდან გამოდინარე, გთხოვთ განისილოთ წარმოდგენილი  
შუამდგომლობა და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.  
შუამდგომლობას თან ერთვის შემოწმების მასალები, მტკიცებულებები  
და დოკუმენტები ფურცელზე.

-----  
გადასმდელის

(ხელისმოწერა)

საგადასახადო ინსიპექციის

-

199 წელი

-----  
(გადასახადოს დასახელება ან გვარი, სახელი)

□ □ □ □ □ □ □ □ □  
(საინფორმაციო ნომერი)

-----  
(მისამართი, ქუჩა, ქალაქი რაიონი)

□ □ □ □ □ □ □ □ □  
ხარვეზობის ნომერი

აპელაცია

სადავოდ ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე

გაცნობებთ, რომ -----  
(წელი, თვე, რიცხვი) (საგ. ორგანოს დასახელება)

საგადასახადო ინსიპექციის მიერ განხილული იქნა შუამდგომლობა  
სადავოდ მინიშნული გადასახადის თაობაზე, სულ -----  
ლარის ოდენობით, მათ შორის:

- 1. საშემოსავლო გადასახადი ----- (მ.შ. სანქცია ....საურაფი ....)
- 2. მოგების გადასახადი ----- (მ.შ. სანქცია ....საურაფი ....)
- 3. დღე ----- (მ.შ. სანქცია ....საურაფი ....)
- 4. ქონების გადასახადი ----- (მ.შ. სანქცია ....საურაფი....)
- 5. სხვა გადასახადები ----- (მ.შ. სანქცია ....საურაფი....)
- (მ.შ. სანქცია ....საურაფი....)
- (მ.შ. სანქცია ....საურაფი....)
- (მ.შ. სანქცია ....საურაფი....)

რაზხედაც \_\_\_\_\_ საგადასახადო  
(წელი, თვე, რიცხვი) (საგ. ორგანოს დასახელება)

ინსპექციის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება ბიუჯეტში  
\_\_\_\_\_ ლარის გადახდევინებაზე, მათ შორის:

- 1. საშემოსავლო გადასახადი \_\_\_\_\_ (მ.შ. სანქცია ....საურაფო ....)
- 2. შოგების გადასახადი \_\_\_\_\_ (მ.შ. სანქცია ....საურაფო ....)
- 3. დღგ \_\_\_\_\_ (მ.შ. სანქცია ....საურაფო ....)
- 4. ქონების გადასახადი \_\_\_\_\_ (მ.შ. სანქცია ....საურაფო....)
- 5. სხვა გადასახადები \_\_\_\_\_ (მ.შ. სანქცია ....საურაფო....)
- \_\_\_\_\_ (მ.შ. სანქცია ....საურაფო....)
- \_\_\_\_\_ (მ.შ. სანქცია ....საურაფო....)
- \_\_\_\_\_ (მ.შ. სანქცია ....საურაფო....)

რასაც არ ვეთანხმებით შექმდე გარემოებათა გამო \_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_ (მოუთხოვთ შიზუსები და გადაწყვეტილების გადასინჯვის მოტივაცია)

-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----  
-----

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ განახლოთ აპელაცია და  
შიდლოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

აპელაციას თან ერთვის შემოწმების მასალები, მტკიცებულებები და  
დოკუმენტები ფურცელზე.

\_\_\_\_\_ გადამხდელის (ხელისმოწერა)



საგადასახადო ინსიქციის

-

199

წელი

-----  
(გადასხდელის დასახელება ან ვარი, სახელი)

□□□□□□□□  
(სამდენტიფიკაციო ნომერი)

-----  
(მისამართი, ქუჩა, ქალაქი რაიონი)

□□□□□□□□  
სარეგისტრაციო ნომერი

**ბასანიშრება**

ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების შესახებ

გაცნობებთ, რომ -----  
(წელი, თვე, რიცხვი)

----- საგადასახადო ინსიქციის 199 წ. -----  
(საგ. ორგანოს დასახელება) (თვე, რიცხვი)

----- გადაწყვეტილების ან საგადასახადო, საინკასო დავალებების საფუძველზე გადახდილი შაქის ბიუჯეტში (სახელმწიფო ფონდში) ----- ლარი, მათ შორის:

- 1. საშემოსავლო გადასახადი ----- (მ.შ. სანქცია ...საურაყი ....)
- 2. შოგების გადასახადი ----- (მ.შ. სანქცია ...საურაყი ....)
- 3. დღე (შოთოთუდ შიზეუბი) ----- (მ.შ. სანქცია ...საურაყი ....)
- 4. ქონების გადასახადი ----- (მ.შ. სანქცია ...საურაყი....)
- 5. სხვა გადასახადები ----- (მ.შ. სანქცია ...საურაყი....)
- (მ.შ. სანქცია ...საურაყი....)
- (მ.შ. სანქცია ...საურაყი....)
- (მ.შ. სანქცია ...საურაყი....)

დარაცხეული თანხებიდან არ ვეთანხმები \_\_\_\_\_  
(საჯ. ორგანოს დასახელება)

\_\_\_\_\_ საგადასახადო ინსიქუქციის მხარე

\_\_\_\_\_ (საგადასახადო დეკლარაციები, ინჟინერიათა გადამხდელი თანხის შესახებ)

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ საფუძველზე

რამდენადაც არ ვეთანხმები შემდეგ გარეშობათა გამოს \_\_\_\_\_

\_\_\_\_\_ (მოყოლილ მიზნებსა)

\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_  
\_\_\_\_\_

გთხოვთ მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება გადამხდელი თანხის დაბრუნების შესახებ.

\_\_\_\_\_  
გადამხდელის

(ხელისმოწერა)

საგადასახადო ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილების  
ან დარიცხული გადასახადის გადახდის შემთხვევაში  
სასამართლოში გასაჩივრების წესი.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 256-ე მუხლის თანახმად, თუ საგადასახადო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გადასახადის გადახდელს მიაჩნია უკანონოდ, ან დარიცხული გადასახადის თანხა ბიუჯეტში ზედმეტადაა ჩარიცხული და საგადასახადო ორგანო არ აბრუნებს, მაშინ გადასახადის გადახდელი უფლებამოსილია ზემოაღნიშნული 256-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად სარჩელით მიმართოს სასამართლოს.

საგადასახადო კოდექსის 237-ე მუხლის შესაბამისად, გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა არის 6 წელი.

სასამართლოში სარჩელის შეტანა ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177, 178, 179 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად (სასარჩელო განცხადების პირობითი ფორმა დანართი №1-ს). საერთო განხილვის მიხედვით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლების თანახმად, სარჩელის შეტანა ხდება რაიონულ და საქალაქო სასამართლოებში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

თუ სარჩელის ფასი აღემატება 500 ათას ლარს, საგადასახადო დავებს ტერიტორიული პრინციპით განიხილავენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, ქობილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოები. ამავე სასამართლოებში განიხილება სააპელაციო საჩივარი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს, საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, შეიტანება საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და ის გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

დანართი №1-ს სასარჩელო განცხადების პირობითი ფორმა

სასამართლოს დასახელება მისამართი

მოსარჩელის გვარი სახელი მისამართი

წარმომადგენლის გვარი სახელი მისამართი  
როცა სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს

მოპასუხის გვარი სახელი მისამართი

ს ა ს ა რ ჩ ე ლ ო გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა

1. მოსარჩელის მოთხოვნა
2. გარემოებები, რომელზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის  
მოთხოვნას
3. მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს
4. სარჩელის ფასი და საბოლოო მოთხოვნა
5. სარჩელისათვის დართული საბუთების ნუსხა

სარჩელში დასაშვებია

მოსარჩელის მოთხოვნა სასამართლოსადმი: ა) თუ რა  
მტკიცებულებების წარმოდგენა მოსთხოვოს მოპასუხეს.

ბ). სასამართლომ მისცეს შესაბამის დაწესებულებებს მიითეთება, რათა მათ წარმოადგინონ წერილობითი და ნივთიერი საბუთები და მასალა, რომლის გარეშე, მოსარჩელეს უარი განუცხადეს.

გ). სასამართლო სხდომაზე გამოიძახოს მოწმეები ან საქმის განხილვაში ჩართოს მე-III პირები.

მოსარჩელის  
ან წარმომადგენლის  
ხელმოწერა:  
თარიღი:

# საქართველოს კონსტიტუცია

მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს

გათვალისწინებულია ცვლილებები

საქართველოს

07/20/99 № 2221

07/20/99 № 2224

04/20/2000 № 260

03/30/2001 № 826

კონსტიტუციური კანონებით

საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა საღებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ეყრდნობიან რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას.

თავი პირველი

ზოგადი დებულებები

მუხლი I

1. საქართველო არის დამოუკიდებელი ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

2. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

### 3. საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა „საქართველო“

#### მუხლი 2

1. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციით და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

2. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვიება აკრძალულია. სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით.

3. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფო მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯნვას პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

4. საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეუღახავად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ორგანული კანონით.

#### მუხლი 3

1. მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება:

ა) კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის, ადამიანთა უფლებათა და თავისუფლებათა, ემიგრაციისა და იმიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ;

ბ) სახელმწიფო საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცის, კონტინენტური შელფისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სტატუსი, მათი დაცვა;

გ) სახელმწიფოს თავდაცვა და უშიშროება, სამხედრო ძალები, სამხედრო მრეწველობა და იარაღით ვაჭრობა;

დ) ომისა და ზავის საკითხები; სავანგებო და საომარ მდგომარეობათა სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და შემოღება;

ე) სავარეო პოლიტიკა და საერთაშორისი ურთიერთობანი;

ვ) სავარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები;

ზ) სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო სესხი; ფულის მოჭრა; საბანკო, საკრედიტო, სადაზღვევო და სავადასახადო კანონმდებლობა;

თ) სტანდარტები და ეტალონები; გეოდეზია და კარტოგრაფია; ზუსტი დროის დადგენა; სახელმწიფო სტატისტიკა;

ი) ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი; კავშირგაბმულობა; საეაქრო ფლოტი; გემთა აღმები; საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურები, ტრანსპორტის კონტროლი, საჰაერო ტრანსპორტის რეგისტრაცია; მეტეოროლოგიური სამსახური; გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა;

კ) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა და საავტომობილო გზები;

ლ) თევზჭერა ოკეანესა და ზღვაში;

ვ) სასაზღვრო-სანიტარული კორდონი;

ზ) ფარმაცევტული პრეპარატების კანონმდებლობა;

ო) საშუალო და უმაღლესი სასწავლებლის ატესტაცია და აკრედიტაცია; კანონმდებლობა აკადემიური, სამეცნიერო, პროფესიული წოდებებისა და ხარისხების შესახებ;

პ) ინტელექტუალური საკუთრების კანონმდებლობა;

ჟ) საეაქრო, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული და შრომის სამართლის, სასჯელის აღსრულებისა და საპროცესო კანონმდებლობა;

რ) კრიმინალური პოლიცია და გამოძიება;

ს) მიწის, წიაღისეულისა და ბუნებრივი რესურსების კანონმდებლობა;

2. ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები ცალკე განისაზღვრება.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“.

5. (დამატებულია 20.04.2000 წლის № 260 კონსტიტუციური კანონით)

მუხლი 4



1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა – რესპუბლიკის საბჭო და სენატი.

2. რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან.

3. სენატი შედგება აფხაზეთში, (აჭარაში) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან. (შეცვლილია 20.04.2000 № 260 კონსტიტუციური კანონით)

4. პალატების შემადგენლობის, უფლებამოსილებასა და არჩევის წესს განსაზღვრავს ორგანული კანონი.

## მუხლი 5

1. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

2. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

3. არაეის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.

4. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

## მუხლი 6

1. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.

2. საქართველოს კანონმებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ

შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შინასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ (30.03.2001 № 826)

## მუხლი 7

სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

## მუხლი 8

საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში აგრეთვე – აფხაზური.

## მუხლი 9

1. სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ამასთან ერთად აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.

2. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით. კონსტიტუციური შეთანხმება სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში.

## (მუხლი 9)

სახელმწიფო აღიარებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, ამასთან ერთად აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.) (30.03.2001 № 826)

## მუხლი 10

საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი.

## მუხლი 11

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები დადგენილია ორგანული კანონით.

## თავი მეორე

საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი

## მუხლი 12

1. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით.

2. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე.

3. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

## მუხლი 13

1. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა.

2. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.

3. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება შეუძლებელია.

4. საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსთვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

## მუხლი 14

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

## მუხლი 15

1. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.

2. სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ამ სასჯელის შეფარდების უფლება აქვს საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

## მუხლი 16

ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

## მუხლი 17

1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.

2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.

## მუხლი 18

1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.

2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ

სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

4. დაუშვებელია დაკავებული ანუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.

5. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამკველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.

6. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა – 9 თვეს.

7. ამ ძუხლის მტოხოვნათა დარღვევა ისეება კანონით. უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

## მუხლი 19

1. ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება.

2. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

3. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

## მუხლი 20

1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

2. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სსვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

## მუხლი 21

1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება.

2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.

## მუხლი 22

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება.

2. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, შეუძლია თავისუფლად გავიდეს საქართველოდან. საქართველოს მოქალაქეს შეუძლია თავისუფლად შემოვიდეს საქართველოში.

3. ამ უფლებათა შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელი სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

## მუხლი 23

1. ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია.

2. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში ცენზურა დაუშვებელია.

3. შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს.

## მუხლი 24

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თავისუფალია. ცენზურა დაუშვებელია.

3. სახელმწიფოს ან ცალკეულ პირებს არა აქვთ მასობრივი ინფორმაციის ან მისი გავრცელების საშუალებათა მონოპოლიზაციის უფლება.

4. ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

## მუხლი 25

1. ყველას, გარდა იმ პირებისა, რომლებიც არიან სამხედრო ძალების, პოლიციისა და უშიშროების სამსახურის შემადგენლობაში, უფლება აქვს წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ.

2. კანონით შეიძლება დაწესდეს ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილების აუცილებლობა, თუ შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპირტის სამოძრაო ადგილას იმართება.

3. ხელისუფლებას შეუძლია შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო.

## მუხლი 26

1. ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება.

2. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური გაერთიანება და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.

3. დაუშვებელია ისეთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობის დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

4. დაუშვებელია საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა მიერ შეიარაღებული ფორმირებების შექმნა.

5. პირი, რომელიც ჩაირიცხება სამხედრო ძალების, სახელმწიფო უშიშროების ან შინაგან საქმეთა ორგანოების პირად შემადგენლობაში, გამწესდება მოსამართლედ ან პროკურორად, წყვეტს პოლიტიკური გაერთიანების წევრობას.

6. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება ან მათი აკრძალვა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

## მუხლი 27

სახელმწიფო უფლებამოსილია დააწესოს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეების არმქონე პირთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა.

## მუხლი 28



1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლინება.

2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლომ ქმედითუუნაროდ ცნო ან სასამართლოს განაჩენით იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში.

## მუხლი 29

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სახელმწიფო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

## მუხლი 30

1. შრომა თავისუფალია

2. სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

3. შრომითი ურთიერთობების მომწესრიგებელ საერთაშორისო შეთანხმებათა საფუძველზე სახელმწიფო იცავს მოქალაქეთა შრომით უფლებებს საზღვარგარეთ.

4. შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლებრივი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვანისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება კანონით.

## მუხლი 32

სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში. საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის პირობები და უმუშევრის სტატუსი განისაზღვრება კანონით.

### მუხლი 33

გაფიცვის უფლება აღიარებულია. ამ უფლების განხორციელების წესი განისაზღვრება კანონით. კანონი აღგენს აგრეთვე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურების საქმიანობის გარანტიებს.

### მუხლი 34

1. სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფლობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებასა და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.

2. საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით.

### მუხლი 35

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობას საერთაშორისო წესებთან და სტანდარტებთან.

3. სკოლამდელ აღზრდას უზრუნველყოფს სახელმწიფო. დაწყებითი განათლება სავალდებულოა. სახელმწიფო თავის ხარჯზე უზრუნველყოფს საბაზო განათლებას. მოქალაქეებს უფლება აქვთ კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ფარგლებში სახელმწიფო სასწავლებლებში უფასოდ მიიღონ საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლება.

4. სახელმწიფო მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კანონით დადგენილი წესით.

### მუხლი 36

1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.

2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.

3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით.

### მუხლი 37

1. ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ჯანმრთელობის დაზღვევის, როგორც ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების საშუალებით. კანონით დადგენილი წესით განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყოფილია უფასო სამედიცინო დახმარება.

2. სახელმწიფო აკონტროლებს ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებას, სამკურნალო საშუალებათა წარმოებას და ამ საშუალებებით ვაჭრობას.

3. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი. ყველა ვალდებულია გაუფრთხილდეს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს.

4. ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვასა და რაციონალურ ბუნებათსარგებლობას.

5. ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.

### მუხლი 38

1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

## მუხლი 39

საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავდ გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან.

## მუხლი 40

1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

2. არაინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.

3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

## მუხლი 41

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

## მუხლი 42

1. ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

3. დაცვის უფლება გარანტირებულია.

4. არაეის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსგავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

5. არაეინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

6. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.

7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.

8. არაეინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელია საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.

9. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლოს წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან.

#### მუხლი 43

1. საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი, რომელსაც 5 წლის ვადით სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

2. სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს. სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

3. სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით.

#### მუხლი 44

1. საქართველოში მცხოვრები ყოველი პირი ვალდებულია ასრულებდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს.

2. აღმინის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლებები.

#### მუხლი 45

კონსტიტუციეში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით, ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე.

#### მუხლი 46

1. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს ქვეყანაში ან მის რომელიმე ნაწილში შეზღუდოს კონსტიტუციის მე-18, მე-20, 21-ე, 22-ე, 24-ე, 25-ე, 30-ე, 33-ე და 41-ე მუხლებში ჩამოთვლილი უფლებანი და თავისუფლებანი. საქართველოს პრეზიდენტი ვალდებულია არა უგვიანეს 48 საათისა ეს გადაწყვეტილება შეიტანოს პარლამენტში დასამტკიცებლად.

2. თუ შემოღებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, სხვა წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმების შემდეგ.

#### მუხლი 47

1. საქართველოში მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისისა.

2. საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით, საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს.

3. დაუშვებელია სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული პირი, რომელსაც დეკინან პოლიტიკური მრწამსისათვის, ან იმ ქმედებისათვის, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება.

## თავი მესამე

### საქართველოს პარლამენტი

#### მუხლი 48

საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწესებს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებებს.

#### მუხლი 49

1. პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, ოთხი წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 85 პარლამენტის წევრისაგან.

2. პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან.

3. პარლამენტის შინაგანი სტრუქტურა და მუშაობის წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

#### მუხლი 50

1. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის ინიციატივაც დადასტურებულია არანაკლებ 5000 ამომრჩევლის

ხელმოწერით, ან რომელსაც ჰყავს წარმომადგენელი პარლამენტში არჩევნების დანიშვნის დროისათვის, მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში პირს, რომლის წარდგენის ინიციატივა დადასტურებულია 1000 ხელმოწერით მაინც, ან რომელიც ბოლო არჩევნების იყო პარლამენტის წევრი.

2. პარლამენტის წევრთა მანდატები განაწილდება მხოლოდ იმ პოლიტიკურ გაერთიანებებსა და საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებიც პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში მიიღებენ მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 7 პროცენტს მაინც.

1. (შეცვლილია საქართველოს 20.07.99 № 2221 კონსტიტუციის კანონით).

2. პარლამენტის მორიგი არჩევნები ტარდება მისი უფლებამოსილების გასვლამდე არა უგვიანეს 15 დღისა. თუ არჩევნების ვადა ემთხვევა საგანგებო ან საომარ მდგომარეობას, არჩევნები ტარდება ამ მდგომარეობის გაუქმებიდან არა უგვიანეს 60 დღისა. არჩევნების თარიღს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებამდე არა უგვიანეს 60 დღისა.

3. პარლამენტის უფლებამოსილება წყდება ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე.

4. პარლამენტის არჩევის წესი, აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება კონსტიტუციით და ორგანული კანონით.

## მუხლი 51

საქართველოს ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა უნდა გაიმართოს არჩევნებიდან 20 დღის განმავლობაში. პირველი სხდმის დღეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. პარლამენტი მუშაობას შეუდგება, თუ დადასტურებულია დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამის უფლებამოსილება.

## მუხლი 52

1. საქართველოს პარლამენტის წევრი არის სრულიად საქართველოს წარმომადგენელი, სარგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია.



2. პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, საშუალო ადგილის ან პირადი განსრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამოინაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა. რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, პარლამენტის დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

3. პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გაანდეს, როგორც პარლამენტის წევრს. დაუშვებელია ამ საკითხთან დაკავშირებული წერილობითი მასალის დაყადაღება. ეს უფლება პარლამენტის წევრს უნარჩუნდება მისი უფლებამოსილობის შეწყვეტის შემდეგაც.

4. პარლამენტის წევრი პასუხისგებაში არ მიეცემა თავისი მოვალეობის შესრულებისას პარლამენტში თუ მის გარეთ გამოთქმული აზრებისა და შეხედულებებისათვის.

5. უზრუნველყოფილია პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები. პარლამენტის წევრის უფლებამოსილებათა შეუფერხებელი განხორციელების პირობები პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები უზრუნველყოფენ მის პირად უსაფრთხოებას.

6. დეპუტატის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით.

## მუხლი 53

1. პარლამენტის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. შეუთავსებლობის შემთხვევებს განსაზღვრავს კანონი.

2. წინა პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევისას პარლამენტის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება.

3. პარლამენტის წევრი იღებს კანონით დადგენილ გასამრჯელოს.

## მუხლი 54

1. პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს პარლამენტი. პარლამენტის ეს

გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში.

2. პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადაძღვე შეუწყდება, თუ:

ა) პირადი განცხადებით უფლებამოსილება მოეხსნა;

ბ) მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

გ) სასამართლომ ცნო ქმედითუნაროდ, უგზო-უკელოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;

დ) დაიკავა პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობა, ან ეწევა შეუთავსებელ საქმიანობას;

ე) დაკარგა საქართველოს მოქალაქეობა;

ვ) არასაპატიო მიზეზით ოთხი თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა პარლამენტის მუშაობაში;

ზ) გარდაიცვალა.

## მუხლი 55

1. საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ვადით, რეგლამენტით დადგენილი წესით, ფარული კენჭისყრით ირჩევს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეებს, მათ შორის თითო მოადგილეს აფხაზეთიდან და (აჭარიდან) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან არჩეულ პარლამენტის წევრთაგან მათივე წარდგინებით. (შეცვლილია 20/04/2000 № 260 კონსტიტუციური კანონით).

2. პარლამენტის თავმჯდომარე უძღვება პარლამენტის მუშაობას, უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვას, ხელს აწერს პარლამენტის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას ან თანამდებობიდან მისი გადაყენებისას.

3. პარლამენტის თავმჯდომარე რეგლამენტით გათვალისწინებული წესით ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს პარლამენტის შენობაში.

## მუხლი 56

1. საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულების ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების და მთავრობის საქმიანობის

კონტროლის მიზნით პარლამენტში მისი უფლებამოსილების ვადით იქმნება კომიტეტები.

2. კონსტიტუციითა და რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე დეპუტატთა არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით პარლამენტში იქმნება საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიები. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლობა კომისიაში არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარს.

3. საგამოძიებო კომისიის მოთხოვნით მის სხდომაზე გამოცხადება აგრეთვე საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენა სავალდებულოა.

### მუხლი 57

1. პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციისათვის იქმნება პარლამენტის ბიურო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პარლამენტის კომიტეტებისა და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები.

2. კონსტიტუციით განაზღვრულ თანამდებობის პირთა დანიშვნასთან დაკავშირებულ საკითხებს ბიურო შესაბამისი კომიტეტების დასკვნის საფუძველზე განიხილავს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით. დასკვნა წარედგინება პრეზიდენტს და პარლამენტს. ბიურო იღებს გადაწყვეტილებებს პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებზე.

### მუხლი 58

1. პარლამენტის წევრები შეიძლება გაერთიანდნენ საპარლამენტო ფრაქციაში. ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს ათზე ნაკლები.

2. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესი, მისი უფლებამოსილება განისაზღვრება კანონითა და რეგლამენტით.

### მუხლი 59

1. პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობის წევრს, ქალაქის მერს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის

აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს, სახელმწიფო დაწესებულებებს და მიიღოს მათგან პასუხი.

2. პარლამენტის წევრთა სულ ცოტა ათკაციან ჯგუფს, საპარლამენტო ფარაქციას უფლება აქვთ შეკითხვით მიმართონ პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობის ცალკეულ წევრს, რომლებიც ვალდებული არიან უპასუხონ დასმულ შეკითხვას პარლამენტის სხდომაზე. პასუხი შეიძლება გახდეს პარლამენტის განხილვის საგანი.

## მუხლი 60

1. პარლამენტის სხდომები საჯაროა. დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით პარლამენტს შეუძლია ცალკეული საკითხების განხილვისას სხდომა ან მისი ნაწილი დახურულად გამოაცხადოს.

2. პარლამენტის მიერ არჩეული, აღნიშნული ან დამტკიცებული თანამდებობის პირი უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს პარლამენტის, მისი კომიტეტისა და კომისიის სხდომებს. ასეთი თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს პარლამენტმა, კომიტეტმა ან კომისიამ.

3. კენჭისყრა ყოველთვის არის ღია ან სახელობითი, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. პარლამენტის სხდომის ოქმი, საიდუმლო საკითხების გამოკლებით, ქვეყნდება პარლამენტის ბეჭდვით ორგანოში.

## მუხლი 61

1. საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებებით იკრიბება მორიგ სესიაზე წელიწადში ორჯერ. საშემოდგომო სესია იხსნება სექტემბრის პირველ სამშაბათს და იხურება დეკემბრის მესამე პარასკევს, ხოლო საგაზაფხულო სესია იხსნება თებერვლის პირველ სამშაბათს და იხურება ივნისის ბოლო პარასკევს.

2. საქართველოს პრეზდენტი პარლამენტის თავმჯდომარის, დეპუტატთა არანაკლებ მეოთხედის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით სესიებს შორის პერიოდში იწვევს პარლამენტის რიგგარეშე სესიას, ხოლო მორიგი სესიის მიმდინარეობისას რიგგარეშე სხდომას. თუ წერილობითი მოთხოვნის წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში მოწვევის აქტი არ გამოიცა, პარლამენტი თავისი რეგლამენტის

თანახმად ვალდებულია მომდევნო 48 საათის განმავლობაში შეუდგეს მუშაობას.

3. პარლამენტს რიგგარეშე სხდომა ჩატარდება მხოლოდ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.

4. პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადებიდან 48 საათის განმავლობაში პარლამენტი იკრывается. პარლამენტის მუშაობა გრძელდება ამ მდგომარეობის დამთავრებამდე.

## მუხლი 62

პარლამენტის გადაწყვეტილება ომისა და ზავის, საგანგებო ან საომარო მდგომარეობისა და კონსტიტუციის 46-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე მიიღება პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

## მუხლი 63

1. 75-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედს. საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა უზენაეს სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს.

2. თუ უზენაესმა სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა, ან საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის დარღვევა, დასკვნის განხილვის შემდეგ პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას, რომ კენჭისყრაზე დაისვას იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების საკითხი.

3. პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით გადაყენებულად ჩაითვლება, თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.

4. თუ 30 დღის ვადაში პარლამენტმა არ მიიღო გადაწყვეტილება, საკითხი მოხსნილად ითვლება და მომდევნო ერთი წლის განმავლობაში დაუშვებელია იმავე ბრალდების წარდგენა.

5. დაუშვებელია პრეზიდენტისთვის წარდგენილი ბრალდების პარლამენტში განხილვა და გადაწყვეტილების მიღება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის ან ომის დროს.

## მუხლი 64

1. კონსტიტუციის დარღვევისას, სახელმწიფო ლაღატიისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენისათვის იმპიჩმენტის წესით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, მთავრობის წევრების, გენერალური პროკურორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.

2. 63-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით დასკვნის მიღების შემდეგ სრული შემადგენლობის უმრავლესობით პარლამენტი უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი თანამდებობის პირები. ამ შემთხვევებზე ვრცელდება აგრეთვე 63-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედება.

## მუხლი 65

1. საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას.

2. იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გარდა, რომლებიც ითვალისწინებენ რატიფიცირებას, სავალდებულოა აგრეთვე ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების რატიფიცირება, რომელიც:

ა) ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლას;

ბ) სამხედრო ხასიათისაა;

გ) ეხება სახელმწიფო ტერიტორიულ მთლიანობას ან სახელმწიფო საზღვრების შეცვლას;

დ) დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სესხის აღებასა და გაცემასთან;

ე) მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას, ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონებისა და კანონის ძალის მქონე აქტების მიღებას.

3. პარლამენტს უნდა ეცნობოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა დადების შესახებ.

4. საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელის ან წარდგენების შეტანის შემთხვევაში დაუშვებელია შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების თუ შეთანხმების რატიფიცირება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

## მუხლი 66

1. პარლამენტში კანონპროექტი ან დადგენილება მიღებულად ითვლება, როცა მას მხარს დაუჭერს დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა, თუ კონსტიტუციით არ არის განსაზღვრული კანონპროექტის ან დადგენილების მიღების სხვა წესი.

1.<sup>1</sup> კონსტიტუციური შეთანხმება დამტკიცებულად ითვლება, თუ მხარს დაუჭერს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა სამი მეხუთედი (30.03.2001 №826)

2. ორგანული კანონის პროექტი მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს პარლამენტის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. პარლამენტის თანხმობა მიიღება დადგენილების სახით, თუ კონსტიტუციით სხვა წესი არ არის განსაზღვრული.

4. სხვა სახის გადაწყვეტილებათა მიღების წესი განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით.

## მუხლი 67

1. საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, (აფხაზეთისა და აჭარის) აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, არანაკლებ 30000 ამომრჩეველს. (შეცვლილია 20/04/2000 № 260 კონსტიტუციური კანონით)

2.საქართველოს პრეზიდენტის მოთხოვნით მის წარდგენილ კანონპროექტს პარლამენტი განიხილავს რიგგარეშე.

## მუხლი 68

1.პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი 5 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს პრეზიდენტს.

2.პრეზიდენტი 10 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს.

3.თუ პრეზიდენტი დააბრუნებს კანონპროექტს, პარლამენტი კენჭს უყრის პრეზიდენტის შენიშვნებს. შენიშვნათა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რაც ამ სახის კანონპროექტისათვის დადგენილია კონსტიტუციის 66-ე მუხლით. თუ შენიშვნები მიღებულია, კანონპროექტის საბოლოო რედაქცია გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც 7 დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.

4.თუ პარლამენტმა არ მიიღო პრეზიდენტის შენიშვნები, კენჭი ეყრება კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას. კანონი ან ორგანული კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.

5.თუ პრეზიდენტმა დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე.

6.კანონი ძალაში შედის მისი ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მეთხუთმეტე დღეს, თუ სხვა ვადა არ არის დადგენილი.

## თავი მეოთხე

### საქართველოს პრეზიდენტი

## მუხლი 69

1.საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური.

2.საქართველოს პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად.



3. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში.

## მუხლი 70

1. საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

2. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.

3. პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას ან საინიციატივო ჯგუფს. კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს არანაკლებ 50000 ამომრჩევლის ხელმოწერით.

4. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის უმრავლესობამ. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნების მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.

5. თუ არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა, მაგრამ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ორი კვირის თავზე იმართება არჩევნების მეორე ტური.

6. არჩევნების მეორე ტურში კენჭი ეყრება პირველ ტურში უკეთესი შედეგის მქონე ორ კანდიდატს. მეორე ტური ჩატარებულად ჩაითვლება თუ მასში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის მესამედი მაინც. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას მიიღებს, ოღონდ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთი მეხუთედისა.

7. თუ არჩევნები ჩატარებულად არ გამოცხადდა, ან ჩატარდა, მაგრამ პირველ ტურში მონაწილეობდა მხოლოდ ერთი კანდიდატი და მან ხმების საჭირო რაოდენობა ვერ მოაგროვა, ან მეორე ტურში არ აირჩა პრეზიდენტი, ორი თვის ვადაში იმართება ხელახალი არჩევნები.

8. საგანგებო ან საომარო მდგომარეობის დროს არჩევნები არ ტარდება.

8. პრეზიდენტის მორიგი არჩევნების პირველი ტური ეწყობა წინა არჩევნების ჩატარებიდან მეხუთე წლის აპრილის მეორე კვირა დღეს.

9. პრეზიდენტის არჩევნების წესი და პირობები აგრეთვე არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის დაუშვებლობა განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით.

1. (დამატებულია საქართველოს 20.07.99 №2224 კონსტიტუციური კანონი)

## მუხლი 71

1. თანამდებობის დაკავების წინ საქართველოს ახალარჩეული პრეზიდენტი წარმოთქვამს საპროგრამო სიტყვას და დებს ფიცს:

"მე, საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევა მოსილებისათვის".

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცერემონიალი იმართება პრეზიდენტის არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს.

## მუხლი 72

საქართველოს პრეზიდენტს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობისათვის.

## მუხლი 73

საქართველოს პრეზიდენტი:

ა) დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, აწარმოებს მოლაპარაკებას უცხოეთის სახელმწიფოებთან; პარლამენტის თანხმობით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ელჩებსა და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლებს; იღებს უცხოეთის სახელმწიფოთა და

საერთაშორისო ორგანიზაციათა ელჩებისა და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას;

ა) საქართველოს სახელმწიფოს სახელით დებს კონსტიტუციურ შეთანხმებას საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან; (30.03.2001 №826)

ბ) პარლამენტის თანხმობით ნიშნავს მთავრობის წევრებს-მინისტრებს;

გ) უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს მინისტრები;

დ) იღებს მინისტრებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა თანამდებობის პირთა გადადგომას, უფლებამოსილია მინისტრებს დააკისროს თანამდებობრივ მოვალეობათა შესრულება ახალი მთავრობის შექმნამდე;

ე) წარუდგენს პარლამენტს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს პარლამენტის კომიტეტებთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების შემდეგ;

ვ) პარლამენტს წარუდგენს, ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობის პირებს კონსტიტუციისა და კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით;

ზ) საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში აცხადებს საომარ მდგომარეობას, სათანადო პირობების არსებობისას დებს ზავს და არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს ეს გადაწყვეტილებები პარლამენტში დასამტკიცებლად;

თ) ომიანობის თუ მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შეიარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფების და ეპიდემიების დროს, ან სხვა შემთხვევებში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებულნი არიან კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელი ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ეს გადაწყვეტილება არა უგვიანეს 48 საათისა შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად. საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, რომლებიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე, ახორციელებს საგანგებო ღონისძიებებს. დეკრეტები წარეგინება პარლამენტს, როცა იგი შეიკრიბება. საგანგებო უფლებამოსილებანი ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ამ პუნქტში აღნიშნულ მიზეზთა გამო გამოცხადებულია საგანგებო მდგომარეობა;

ი) პარლამენტის თანხმობით უფლებამოსილია შეაჩეროს თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობა, ან დაითხოვოს ისინი, თუ მათი მოქმედებით საფრთხე შეექმნა ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა განხორციელებას;

კ) კონსტიტუციისა და კანონის საფიძველზე გამოსცემს ბრძანებულებებს და განკარგულებებს;

ლ) ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს კონსტიტუციით განსაზღვრული წესით;

მ) წვეტს მოქალაქეობის, თავშესაფრის მიცემის საკითხს;

ნ) ანიჭებს სახელმწიფო ჯილდოებს, უმაღლეს სამხედრო, სპეციალურ და საპატიო წოდებებს, უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს;

ო) შეიწყალებს მსჯავრდებულთ;

3. პრეზიდენტი ნიშნავს პარლამენტისა და წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებს კანონით დადგენილ წესით.

4. პრეზიდენტი უფლებამოსილია, გააუქმოს მისდამი ანგარიშვალდებული აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა აქტები.

5. პრეზიდენტი არის საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. იგი ნიშნავს ეროვნულ უშიშროების საბჭოს წევრებს, თავმჯდომარეობს მის სხდომებს, ნიშნავს და გადააყენებს მხედართმთავრებს.

6. პრეზიდენტი უფლებამოსილია მიმართოს ხალხს და პარლამენტს. წელიწადში ერთხელ იგი პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

7. პრეზიდენტი ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

## მუხლი 74

1. საქართველოს პარლამენტის, არანაკლებ 200000 ამომრჩევლის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციითა და ორგანული კანონით განსაზღვრულ საკითხებზე ნიშნავს რეფერენდუმს მისი ჩატარების მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის განმავლობაში.

2. არ შეიძლება რეფერენდუმის მოწეობა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად, ამნისტიისა და შეწყალების გამო, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებისა და ღწონისირების შესახებ, აგრეთვე ისეთ საკითხებზე, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

3. რეფერენდუმის დანიშნასა და ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება ორგანული კანონით.

## მუხლი 75

1. საქართველოს პრეზიდენტი ხელშეუვალაია. თანამდებობაზე ყოფნის დროს არ შეიძლება მისი დეპატიმრება ან სისხლის სამართლის პასუხისგებასი მიცემა.

2. პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფო ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პარლამენტს კონსტიტუციის 63-ე მუხლითა და ორგანული კანონით დადგენილი წესით შეუძლია თანამდებობიდან გადააყენონ პრეზიდენტი, თუ:

ა) კონსტიტუციის დარღვევა დადასტურებულია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით;

ბ) სახელმწიფოს ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები დადასტურებულია უზენაესი სასამართლოს დასკვნით.

## მუხლი 76

1. საქართველო პრეზიდენტის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე. ამ ხნის განმავლობაში პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე.

2. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი უფლებამოსილი არ არის გამოიყენოს 73-ე მუხლის პირველი პუნქტის "გ" და "ი" ქვეპუნქტებით და 74-ე მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებული უფლებები.

3. პრეზიდენტის არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის დროიდან 45 დღის განმავლობაში და მის ჩატარებას უზრუნველყოფს პარლამენტი.

## მუხლი 77

1. აღმასრულებელი ხელისუფლების განსახორციელებლად საქართველოს პრეზიდენტი ფიცის მიღების შემდეგ იღებს მთავრობის ძველი შემადგენლობის მიერ უფლებამოსილებათა მოხსნას და შეუძლია მასვე დააკისროს მოვალეობათა შესრულების მთავრობის ახალი შემადგენლობის ფორმირებამდე. ორი კვირის განმავლობაში პრეზიდენტი ვალდებულია ჩამოაყალიბოს მთავრობის შემადგენლობა და წარუდგინოს პარლამენტს. შესაბამის კომიტეტებში განხილვის შემდეგ პარლამენტი ამტკიცებს მას სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

2. მთავრობის იმ წევრთა საკითხს, რომლის მიმართ პატრლამენტმა მიიღო აცხილება, წარადგინოს იგივე ან ახალი კანდიდატურა. ერთი და იგივე კანდიდატურა შეიძლება წარდგენილ იქნას ორჯერ. მეორედ წარდგენის წესი განისაზღვრება კანონით.

3. მინისტრის განთავისუფლების შემთხვევებში მინისტრის კანდიდატურას პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს ორი კვირის ვადაში.

## მუხლი 78

1. აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურასა და საქმინობის წესს პრეზიდენტის წარდგინებით ამტკიცებს პარლამენტი.

2. აკრძალული სამხედრო ძალების, სახელმწიფო უშიშროებისა და პოლიციის უწყებათა შერწყმა ან სხვაგვარი გაერთიანება.

## მუხლი 79

1. მთავრობის წევრები პასუხისმგებლები არიან საქართველოს პრეზიდენტის წინაშე.

2. მთავრობის წევრები უფლებამოსილებას იხსნიან პრეზიდენტის წინაშე.

## მუხლი 80

1. მთავრობის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, ეწოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობიდან.

2. მთავრობის წევრის თანამდებობიდან განთავისუფლება შესაძლებელია პრეზიდენტის ბრძანებით ან პარლამენტის მიერ 64-ე მუხლით განსაზღვრული წესით.

## მუხლი 81

1. სამინისტროები იქმნება კანონის საფუძველზე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად.

2. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხზე. მინისტრი კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს.

მთავრობის შემადგენლობაში სახელმწიფო მინისტრი, რომელიც ხელმძღვანელობს კანცელარიას და პრეზიდენტის რწმუნებით ასრულებს მის ცალკეულ დავალებებს

## თავი მეხუთე

### სასამართლო ხელისუფლება

## მუხლი 82

1. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.

2. სასამართლო აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

3. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები.

4. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით.

## მუხლი 83

1. საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. მისი უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციით და ორგანული კანონით.

2. მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები. მათი სისტემა და სამართლწარმოების წესი დადგენილია კანონით.

3. სამხედრო სასამართლოს შემოღება შეიძლება საომარ პირობებში და მხოლოდ საერთო სასამართლოს სისტემაში.

4. სავანგებო ან სხვა სახის სასამართლოების შექმნა დაუშვებელია.

## მუხლი 84

1. მოსამართლე ოციანი საქმიანობით დამოუკიდებელია და ეზორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით, აკრძალულია და ისჯება კანონით.

2. მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი ვადამდე განთავისუფლება ან სხვა თანამდებობადებობიდან მისი ვადამდე განთავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში.

3. არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

4. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

5. სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით.



## მუხლი 85

1. სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქეყნოდ.

2. სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელმაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი. იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწიფო ენას, უზრუნველყოფილია სახელმწიფო ენის შესწავლისა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

3. სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

## მუხლი 86

1. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციელობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება.

2. მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხდება არანაკლებ 10 წლის ვადით. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნის, თანამდებობიდან განთავისუფლების წესი განისაზღვრება კანონით.

3. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობაზე და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

## მუხლი 87

1. მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, საშუაო ავტოლის ან პირადი გარეგნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.

თუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლის და მისი ოჯახის უსაფრთხოებას.

## მუხლი 88

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით.

2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისაგან. სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს ირჩევს პარლამენტი სიითი შემადგებლობის არანაკლებ სამი მესუთედით, სამ წევრს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 10 წელი. საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს. თავმჯდომარედ ერთი და იმავე პირის ხელშეორედ არჩევა დაუშვებელია.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ადრე ეკავა ეს თანამდებობა.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების შერჩევის, დანიშვნისა და არჩევის, მათი უფლებამოსილების შეწყვეტის, აგრეთვე საკონსტიტუციო სამართალწარმოების და სასამართლოს საქმიანობის სხვა საკითხები განისაზღვრება კანონით.

5. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ იგი არ მისცემს თანხმობას, საკონსტიტუციო სასამართლოს დაკავებული ან დაპატიმრებული წევრი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეზუთედის, სასამართლოს, (აფხაზეთისა და აჭარის) აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, სახალხო დამცველის და მოქალაქის სარჩელისა თუ წარდგინების საფუძველზე ორგანული კანონით დადგენილი წესით: (შეცვლილია 20/04/2000 № 260 კონსტიტუციური კანონით)

ა) იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციასთან კონსტიტუციური შეთანხმების, (30.03.2001 № 826) კანონის და პრეზიდენტის, აფხაზეთის, (აჭარის) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხებზე; (შეცვლილია 20/04/2000 № 260 კონსტიტუციური კანონით) -

ბ) იხილავს დაეას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ;

გ) იხილავს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხებს;

დ) იხილავს რეფერენდუმებისა და არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხთან დაკავშირებულ დაეას;

ე) იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების კონსტიტუციურობის საკითხს;

ვ) მოქალაქის სარჩელის საფუძველზე იხილავს ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით;

ზ) ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით და ორგანული კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტი ან მისი ნაწილი კარგავს იურიდიულ ძალას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან.

1. საქართველოს უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულობის განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში, პირველი ინსტანციით განიხილავს კანონით განსაზღვრულ საქმეებს.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიით შემადგენლობით უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი არანაკლებ 10 წლის ვადით.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება, ორგანიზაცია, საქმიანობისა და უზენაესი სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაზე შეწყვეტის წესი განისაზღვრება კანონით.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები ხელშეუხებელი არიან. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და წევრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მათი ბინის, მანქანის, საშუაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დამატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

## მუხლი 91

1. საქართველოს პროკურატურა არის სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სისხლის სამართლებრივ დევნას, ზედამხედველობს მოკვლევას, სასჯელის მოხდას, მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.

2. საქართველოს პროკურატურა ერთიანი ცენტრალიზებული სისტემაა. გენერალურ პროკურორს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 5 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ნიშნავს პარლამენტი. ქვემდგომ პროკურორებს ნიშნავს გენერალური პროკურორი.

3. პროკურატურის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

## თავი მეექვსე

### სახელმწიფო ფინანსები და კონტროლი

## მუხლი 92

1. საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის უპრაველესობით ყოველწლიურად იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი.

2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და მიღების წესი განისაზღვრება კანონით.

## მუხლი 93

1. მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილი პარლამენტს წარუდგინოს ბიუჯეტის პროექტი.

2. პრეზიდენტი მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს პარლამენტს წარუდგენს არა უგვიანეს სამი თვისა საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე. ბიუჯეტის პროექტთან ერთად პრეზიდენტი წარადგენს მოხსენებას მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს პრეზიდენტი პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 თვისა.

3. პრეზიდენტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია ბიუჯეტის პროექტში ცვლილებების შეტანა. პრეზიდენტს მხოლოდ იმ პირობით შეუძლია მოსთხოვოს პარლამენტს დამატებითი სახელმწიფო ხარჯის გაღება, თუ მიუთითებს მისი დაფარვის წყაროს.

4. თუ პარლამენტმა ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ვერ მოახერხა ბიუჯეტის მიღება, სახელმწიფოს მიერ აღრე ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი ხარჯები დაიფარება წინა წლის ბიუჯეტის მიხედვით.

## მუხლი 94

1. საეკლდებულოა გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა კანონით დადგენილი ოდენობითა და წესით.

2. გადასახადებისა და მოსაკრებლების სტრუქტურას. შემოღების წესს ადგენს მხოლოდ კანონი.

3. გადასახადებისაგან განთავისუფლება, აგრეთვე სახელმწიფო ხაზინიდან ხარჯის გაღება დასაშვებია მხოლოდ კანონით.

## მუხლი 95

1. საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკი.

2. საქართველოს ეროვნული ბანკი შეიმუშავებს და ახორციელებს ფულად-საკრედიტო და საგალუტო პოლიტიკას პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად.

3. ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.

4. ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობა, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.

5. ფული სახელწოდება და ერთეული განისაზღვრება კანონით. ფულის ემისიის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნულ ბანკს.

## მუხლი 96

1. საქართველოს ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომლის წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 7 წლის ვადით სიითი შემადგინლობის უმრავლესობით ირჩევს პარლამენტი. ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით 64-ე მუხლის შესაბამისად.

2. ეროვნული ბანკი პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით ბანკის საბჭოს წევრთაგან ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

3. ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს მას თავისი საქმიანობის ანგარიშს.

## მუხლი 97

1. სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას ზედამხედველობს საქართველოს კონტროლის პალატა. იგი უფლებამოსილია აგრეთვე შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა

საქმიანობა, წარუდგინოს პარლამენტს საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფის წინადადებები.

2. კონტროლოს პალატა დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ანგარიშვალდებულა პარლამენტის წინაშე. კონტროლის პალატა თავმჯდომარეს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 5 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ნიშნავს პარლამენტი. მისი თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ პალამენტის გადაწყვეტილებით 64-ე მუხლის შესაბამისად.

3. წელიწადში ორჯერ, ბიუჯეტის შესრულების წინასწარი და სრული ანგარიშის წარდგენის დროს, კონსტროლის პალატა პარლამენტს წარუდგენს მოხსენებას მთავრობის ანგარიშთან დაკავშირებით, ხოლო წელიწადში ერთხელ თავისი საქმიანობის ანგარიშს.

4. კონტროლის პალატის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი, დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება კანონით.

5. სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოები იქმნება კანონის შესაბამისად.

## თავი მეშვიდე

### სახელმწიფოს თავდაცვა

#### მუხლი 98

1. თავდაცვითი ომი საქართველოს სუვერენული უფლებაა.

2. ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს სამხედრო ძალები.

3. სამხედრო ძალების სახეობები და შემადგენლობა განისაზღვრება კანონით. სამხედრო ძალების სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი, რაოდენობას კი ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით - პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

#### მუხლი 99

1. სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის იქმნება ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი.

2. ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

## მუხლი 100

1. საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია სამხედრო ძალთა გამოყენება საგანგებო მდგომარეობის დროს ან საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად.

2. სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალის შემოყვანის, გამოყენების და გადაადგილების გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად და ძალაში შედის პარლამენტის თანხმობის შემდეგ.

## მუხლი 101

1. საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა.

3. ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია. სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმას ადგენს კანონი.

## თავი მერვე

### კონსტიტუციის გადასინჯვა

## მუხლი 102

1. კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის კანონპროექტის შეტანის უფლება აქვს:

ა) პრეზიდენტს;



ბ) პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს;

გ) არანაკლებ 200000 ამომრჩეველს.

2. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი წარედგინება საქართველოს პარლამენტს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნიდან ერთი თვის შემდეგ.

3. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.

4. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი.

### მუხლი 103

საგანგებო ან საომარო მდგომარეობის გამოცხადება გამოიწვევს კონსტიტუციის გადასინჯვის შეჩერებას საგანგებო ან საომარო მდგომარეობის გაუქმებამდე.

### თავი მეცხრე

#### გარდამავალი დებულებები

### მუხლი 104

1. საქართველოს კონსტიტუცია ძალაში შედის საქართველოს ახლარჩეული პრეზიდენტისა და პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან.

2. კონსტიტუციის 49-ე, 50-ე და 70-ე მუხლები ძალაში შედის კონსტიტუციის გამოქვეყნებისთანავე.

### მუხლი 105

1. 1995 წლის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის ინიციატივა დადასტურებულია 50000

ხელმოწერით მაინც, ან რომელსაც კყავს წარმომადგენელი პარლამენტში კონსტიტუციის მიღების დღისათვის.

2. პროპორციული სისტემით არჩევნები ტარდება ერთიანი პარტიული სიით.

3. პოლიტიკურ გაერთიანებას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარადგინოს დეპუტატობის ის კანდიდატიც, რომელიც იმავდროულად მის პარტიულ სიაშია.

4. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს, მაგრამ კენჭისყრის მონაწილეთა არანაკლებ ერთი მესამედისა.

5. პირველ ტურში თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ჩატარდება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს უკეთესი შედეგის მქონე ორი კანდიდატი. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს.

6. ეს მუხლი ძალაში შედის კონსტიტუციის გამოქვეყნებისთანავე და მოქმედებს ახლარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე.

## მუხლი 106

1. კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ მოქმედებს მხოლოდ ის სამართლებრივი აქტი ან აქტის ნაწილი, რომელიც კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება.

2. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფენ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მიღებული ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეგისტრაციას, კონსტიტუციასთან და კანონმდებლობასთან მათ შესაბამისობას.

3. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კონსტიტუციით ვათვალისწინებული ორგანული კანონები, ან დაადასტუროს ამ სფეროში არსებული ნორმატიული აქტების მართლზომიერება.

## მუხლი 107

1. კონსტიტუციის შესაბამისად სასამართლო წყობილების ორგანული კანონების მიღებამდე ძალაში რჩება სასამართლოს წყობილების მოქმედი კანონმდებლობა.

2. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ძალაში შევა შესაბამისი სისხლის სამართლის საპროცესო საკანონმდებლო აქტების მიღების შემდეგ.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი მიღებულ უნდა იქნეს 1996 წლის 1 თებერვლამდე.

## მუხლი 108

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულ აღდგენასთან დაკავშირებით კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტში სათანადო ცვლილებებისა თუ დამატებების შეტანა გამონაკლისის წესით დასაშვებია კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნების გარეშე.

## მუხლი 109

1. შესაბამისი წესით მიღებულ კონსტიტუციას ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

2. საქართველოს პარლამენტისა და საკონსტიტუციო კომისიის წევრები ხელს აწერენ კონსტიტუციის ტექსტს. კონსტიტუციის ძალში შესვლიდან სულ ცოტა ერთი წლის განმავლობაში ტექსტი ღიად უნდა ინახებოდეს საქართველოს ყველა ადგილობრივი ორგანოს შენობაში, რათა მოსახლეობა გაეცნოს მის შინაარსს.

საქართველოს სახელმწიფოს  
მეთაური:

ელუარდ შევარდნაძე

## ძირითადი მცნებები

საზოგადოების განვითარებისა და სახელმწიფო მოწყობის ყველა ეტაპზე გადასასადებთან მიმართებაში თავის მნიშვნელობას არ კარგავს ორი ძირითადი მცნება:

პირველი იესო ქრისტე: "შიეციო კეისრისა კეისარსა და ლეთისა ლმერთსა".

მეორე ფრანგი განმანათლებელი შარლ ლუი მონტესკიე, რომელმაც კაცობრიობას საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზროვნება ასწავლა, ამბობს: "ზედმეტობის დაბეგვრა ამცირებს ზედმეტობის წარმოშობას", თუ ის არ იქნება მიმართული კვლავწარმოებისათვის.

კომპიუტერული უზრინველყოფა შ.პ.ს. "არადანი"

ფორმატი 60X84 1/32 ქალაქი ოფსეტი №1

ბეჭდვა ოფსეტური

ტირაჟი 100

საგამომცემლო სახლი "მარსი"

2002 წელი